ეროვნული
ბიბლიოთეკა

მნათობი

11

ნოემბერი

1948

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მნათობი

სრულიად-საქართველოს საბჭოთა მწერლების
კავშირის უოველთვიური სალიტერატურო
სახელოვნო და საზოგადოებრივ-საპოლიტიკო
ჟურნალი

ფელიეტონი ოცდამეხუთე

11

ნოემბერი

★

თბილისი

1948

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

	33
დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXXI წლისთავი,—ვ. მ. მ ო ლ ო ტ ო ვ ი ს მოხსენება მოსკოვის საბჭოს საზეიმო სხდომაზე 1948 წლის 6 ნოემბერს . . .	3
კონსტანტინე გამსახურდია — დავით აღმაშენებელი, ტრილოგია, კარი მესამე . .	23
კარლო კალაძე — ახლა თუ არა, როდის ვიმღეროთ? ლექსი	41
დავით ბაქრაძე — გმირთა სისხლით, გაგრძელება	43
სოლომონ თავაძე — მაისის განთიადი, რომანი, გაგრძელება	61
კლიმენტი გოგიავა — სოციალისტური შრომის გმირები, ნარკვევი	83
გესარიონ ჟღენტი — ლეო ქიაჩელი, წერილი	106
გიორგი ჯიბლაძე — ილია ჭავჭავაძის მემკვიდრეობის ზოგიერთი საკითხისათვის, წერილი	125
თამარ ჯაოშვილი — ივ. თარხნიშვილის წერილები რეპინისადმი, წერილი . . .	141
ს. ფიცხელაური — ბალნეოლოგიური კურორტი თბილისში, წერილი	149
შალვა ალხაზიშვილი — ვიბრძოლოთ თარგმანის მაღალი ხარისხისათვის, წერილი .	160

პასუხისმგებელი რედაქტორი
ირაკლი აბაშიძე

სარედაქციო კოლეგია:

ალექსანდრე აბაშელი, ნიკოლოზ აბიაშვილი (პასუხისმგებელი მდივანი), იოსებ გრიშაშვილი, პავლე ინგოროყვა, სერგო კლდიაშვილი. ალიო მირცხულავა (მაშაშვილი), გესარიონ ჟღენტი, გალაკტიონ ტაბიძე, სანდრო შანშიაშვილი, დემნა შენგელაია.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 25/XI-48 წ. ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 10¼ ფ. УЭ 17306
შეკვ. № 1390. ტირაჟი 6.000.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პოლიგრაფიისა და გამომცემლობის საქმეთა სამმართველოს ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXXI წლისთავი

ვ. მ. მოლოტოვის მოხსენება მოსკოვის საბჭოს საზეიმო სხდომაზე 1948 წლის 6 ნოემბერს

★

ამხანაგებო!

დღეს ჩვენ ვდღესასწაულობთ ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური რევოლუციის 31-ე წლისთავს.

საბჭოთა კავშირის მშრომელნი დიდი ოქტომბრის ამ წლისთავს ეგებებიან ომისშემდგომი ხუთწლედის მესამე გადამწყვეტი წლის სახელოვანი გამარჯვებებით. ფართოვდება და მტკიცდება სოციალისტური შეჯიბრება მუშათა კლასში, კოლმეურნე გლეხობაში, საბჭოთა ინტელიგენციის რიგებში, დღითიდღე მრავლდება სსრ კავშირის ხალხთა წარმატებანი კომუნიზმის მშენებლობის საქმეში. საბჭოთა ადამიანების შემოქმედებითი ღონისძიებანი მიმართულია მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის აღმავლობის უმაგალითო მასშტაბისა და მნიშვნელობის დიადი გეგმების განსახორციელებლად. ჩვენს თვალწინ იზრდება საბჭოთა კავშირის ეკონომიური ძლიერება. განუხრელად იზრდება ჩვენი ხალხის მატერიალური კეთილდღეობა. უფრო მეტად მტკიცდება მეგობრობა სსრ კავშირის ხალხებისა, რომელნიც აღფრთოვანებული არიან საბჭოთა პატრიოტიზმით, გამსჭვალული არიან უსაზღვრო ნდობითა და სიყვარულით ჩვენი ქვეყნის სტალინური ხელმძღვანელობისადმი.

ოქტომბრის რევოლუციამ დასაბამი მისცა კაპიტალიზმის სისტემის ნგრევას, მაგრამ თითქმის სამი ათეული წლის მანძილზე საბჭოთა კავშირი სოციალიზმის ერთად-ერთი ქვეყანა იყო. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ კაპიტალიზმს ჩამოშორდნენ ევროპის ისეთი ქვეყნები, როგორიც არიან პოლონეთი, რუმინეთი, ჩეხოსლოვაკია, ბულგარეთი, უნგრეთი, ალბანეთი, იუგოსლავია. გიგანტური ნაბიჯებით მიდის წინ სახალხო განმათავისუფლებელი მოძრაობა დამოკიდებულ და კოლონიურ ქვეყნებში, მიუხედავად ყველა დაბრკოლებისა დემოკრატიული ძალები იზრდებიან და იწრთობიან კაპიტალიზმის ქვეყნებში რეაქციის ძალების წინააღმდეგ ბრძოლაში. სულ უფრო იზრდება საერთაშორისო ავტორიტეტი სსრ კავშირისა, როგორც დემოკრატიული და ანტიიმპერიალისტური ბანაკის მთავარი ბურჯისა, რომელიც უპირისპირდება იმპერიალიზმისა და აგრესიის ბანაკს.

ლენინ-სტალინის დიადი დროშით ჩვენი ხალხი წინ მიდის თავისი მომავლის სრული რწმენით და კმაყოფილებით უყურებს გმირული ბრძოლისა და სახელოვან გამარჯვებათა განვლილ წლებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

I

ახალი აღმავლობის გზით

ჩვენი ხალხის მთელ მუშაობას დიდი სამამულო ომის ძლევამოსილად დამთავრების შემდეგ საფუძვლად უდევს ამხანაგ სტალინის ცნობილი მითითებანი:

„დაამთავრა რა ომი მტრებზე გამარჯვებით, საბჭოთა კავშირი შევიდა თავისი სამეურნეო განვითარების ახალ, მშვიდობიან პერიოდში. ამჟამად საბჭოთა ხალხის წინაშე დგას ამოცანა — განამტკიცოს მოპოვებული პოზიციები და გასწიოს წინ ახალი სამეურნეო აღმავლობისაკენ. ჩვენ არ შეგვიძლია დავჯერდეთ ამ პოზიციების განმტკიცებას, ვინაიდან ეს ერთ ადგილზე შეჩერებამდე მიგვიყვანდა, — ჩვენ უნდა გავწიოთ წინ, რათა შევქმნათ პირობები სახალხო მეურნეობის ახალი მძლავრი აღმავლობისათვის. ჩვენ უმოკლეს ვადაში უნდა მოვუშუშოთ ჩვენს ქვეყანას მტრის მიერ მიყენებული ჭრილობები და აღვადგინოთ სახალხო მეურნეობის განვითარების ომამდელი დონე, რათა უახლოეს დროში მნიშვნელოვნად გადავაჭარბოთ ამ დონეს, ავამაღლოთ ხალხის მატერიალური კეთილდღეობა და კიდევ უფრო განვამტკიცოთ საბჭოთა სახელმწიფოს სამხედრო-ეკონომიური ძლიერება“.

ახლა ყველა ხედავს, რომ საბჭოთა ადამიანები წარმატებით ახორციელებენ მოპოვებული პოზიციების განმტკიცებისა და ახალი სამეურნეო აღმავლობისაკენ შემდგომი წინსვლის ამ სტალინურ პროგრამას.

თუ ომისშემდგომი ხუთწლედის პირველი წლის გეგმა მთლიანად ვერ შესრულდა, რადგან პირველ ომისშემდგომ წელს დიდი ძალები დასჭირდა მრეწველობის სამხედრო რელსებიდან მშვიდობიანი განვითარების რელსებზე გადაყვანას, აგრეთვე 1946 წლის გვალვასა და მოუსავლიანობასთან დაკავშირებით წარმოშობილი დამატებითი სიძნელეების გამო, უკვე ხუთწლედის მეორე წელს მდგომარეობა გაუმჯობესდა მთელ სამეურნეო ფრონტზე. 1947 წელს ჩვენმა მრეწველობამ არა თუ მთლიანად, არამედ მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულა თავისი წლიური გეგმა. ამის შედეგად მთლიანად შესრულდა ომისშემდგომი ხუთწლედის პირველი ორი წლის საერთო გეგმაც. საბჭოთა ხალხის დიდი მიღწევა იყო ის ფაქტიც, რომ უკვე გასული წლის დამლევს ჩვენი მრეწველობა ომამდელ, 1940 წლის დონემდე ავიდა.

ასეთ ვითარებაში ომისშემდგომი ხუთწლიანი გეგმის შესრულებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ხუთწლედის მიმდინარე მესამე წელს. ჩვენი მუშაობის, პარტიული ორგანიზაციების, პროფკავშირების, კომკავშირის მუშაობის წარმატებებზეა დამოკიდებული მთელი ხუთწლედის შესრულება და, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, მისი ვადამდე შესრულების შესაძლებლობა. ჩვენ კი ვიცით, რომ ხუთწლედის ვადამდე შესრულების იდეა ღრმად შეიჭრა მუშათა კლასის შეგნებაში.

ჯერ კიდევ შარშან ლენინგრადის მუშებმა მოწოდებით მიმართეს მთელი ჩვენი ქვეყნის მუშებს — შეესრულებინათ ხუთწლედი ოთხ წელიწადში. ამ მოწოდებამ უდიდესი გამოხმაურება ჰპოვა. ჩვენ მივაღწიეთ იმას, რომ მიმდინარე წლის პირველ კვარტალში არ ყოფილა სამრეწველო პროდუქციის გამომუშავების ჩვეულებრივი შემცირება წინა წლის უკანასკნელ თვეებთან შედარებით. წელს ჩვენი მრეწველობა ყოველ კვარტალში გადაჭარბებით ასრულებს დაწესებულ დავალებებს. პირველი ცხრა თვის მანძილზე მრეწველობის

საერთო პროდუქცია 27 პროცენტით გაიზარდა გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით. მარტო ეს ფაქტი მოწმობს, თუ რა სწრაფად მიდის ჩვენი სახელმწიფოს ომისშემდგომი აღდგენა და ეკონომიური აღმავლობა. ამას მოწმობს ის ფაქტიც, რომ მიმდინარე წელს ჩვენი მრეწველობა ისეთ დონეზე მიდის, რომელიც 17 პროცენტით აღემატება ომამდელ, 1940 წლის დონეს. **(ტაში).**

მრეწველობის აღდგენასა და ზრდასთან ერთად მაღლდება მუშათა კლასის მატერიალური კეთილდღეობა. წელს მუშა-მოსამსახურეთა ხელფასის ფონდი თითქმის ერთი-ორად აღემატება 1940 წლის ხელფასის ფონდს. სწარმოებს ფართო საბინაო მშენებლობა — სკოლების, საავადმყოფოების, დასასვენებელი სახლების, კულტურულ დაწესებულებათა მშენებლობა. წარმატებით ხორციელდება ხუთწლიანი გეგმით მიღებული ფართო პროგრამა მშრომელთა ყოფაცხოვრებისა და მათი შრომის პირობების გაუმჯობესებისა.

რასაკვირველია, ჩვენ არ დავკმაყოფილდებით მიღწეული წარმატებებით. ჩვენ არ დავივიწყებთ აგრეთვე იმას, რომ მძიმე და მსუბუქი მრეწველობის მთელმა რიგმა დარგებმა, სადაც დღემდე იგრძნობა ომიანობის პერიოდის დამანგრეველი შედეგები, ჯერ კიდევ ვერ მიაღწიეს ომამდელ დონეს და ჯერ კიდევ ხშირად არ სწარმოებს სათანადო ბრძოლა სამრეწველო პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის. ამასთან ერთად, მიღწეული წარმატებანი საშუალებას გვაძლევენ დავაჩქაროთ მრეწველობის ჩამორჩენილი დარგების აღმავლობა და უზრუნველვყოთ მრეწველობის ომისშემდგომი ხუთწლედის ვადამდე შესრულება. პარტია მოგვიწოდებს წინ ვიაროთ—უკეთ მოვაწყოთ და გავაჩაღოთ საწარმოებსა და კოლმეურნეობებში გეგმიანი ბრძოლა ხუთწლედის ოთხ წელიწადში შესასრულებლად.

საბჭოთა კავშირში ადგილი აქვს მრეწველობის საერთო და განუხრელ აღმავლობას, რომელსაც ხელმძღვანელობს სოციალისტური სახელმწიფო. ახლა ამ გზას დაადგნენ აგრეთვე სახალხო დემოკრატიის ქვეყნები. ამას ვერ ვიტყვით კაპიტალიზმის ქვეყნებზე, თუმცა ისინი ომით გაცილებით ნაკლებ დაზარალდნენ, ვიდრე სსრ კავშირი და ვიდრე ახალი დემოკრატიის ქვეყნები.

ამერიკის შეერთებულ შტატებში მრეწველობა ახლა 1943 წლის დონის 80 პროცენტზეც კი არ არის, როცა მან, იკვებებოდა რა უდიდესი სამხედრო დაკვეთებით, თავის უმაღლეს დონეს მიაღწია. მიუხედავად ამისა, ამერიკის სააქციო კომპანიათა მოგება კვლავ იზრდება. თუ 1939 წელს ეს მოგება 6,4 მილიარდ დოლარს შეადგენდა, ხოლო გაჩაღებული ომის დროს იგი წელიწადში 24 მილიარდ დოლარს აღემატებოდა, შარშან ამერიკის მონოპოლიათა მოგებამ თითქმის 30 მილიარდ დოლარს მიაღწია. მეორე მხრივ, ამერიკელ მუშათა ხელფასი უკანასკნელ წლებში მკვეთრად ჩამორჩება ფასების ზრდას, რაც მუშათა კლასის მდგომარეობის მნიშვნელოვან გაუარესებას მოასწავებს. თუ ოფიციალური ცნობებით უმუშევართა რიცხვი შეერთებულ შტატებში მხოლოდ ოდნავ აღემატებოდა 2 მილიონ კაცს, რაც ბევრი ცნობის მიხედვით თითქმის ერთი-სამად არის შემცირებული, ნახევრად უმუშევართა რაოდენობა, რომლებიც სრულ კვირას არ მუშაობენ, ოფიციალური ცნობებითაც კი, უკვე 8 მილიონზე მეტ კაცს აღწევს.

ან აიღეთ საფრანგეთი, სადაც მუშათა კლასის მდგომარეობა საყოველთაო ყურადღებას იპყრობს. ფრანგი მუშების რეალური ხელფასი, საქონლის ფასე-

ბის ზრდის გამო, ომისშემდგომ წლებში ერთიორად შემცირდა. გამოქვეყნებული მასალებით ცნობილი გახდა, რომ მიმდინარე წლის პირველ ნახევარში ფრანგი კაპიტალისტების მოგება შეადგენდა საფრანგეთის მთელი ნაციონალური შემოსავლის 43 პროცენტს, ხოლო მუშა-მოსამსახურეთა ხელფასი ამ ნაციონალური შემოსავლის მხოლოდ 39 პროცენტს. ეს ცნობები ცხადჰყოფენ, რომ ფრანგ კაპიტალისტთა მოგება მნიშვნელოვნად აღემატება ხელფასის მთელ იმ თანხას, რასაც საფრანგეთის ყველა მუშა და მოსამსახურე იღებს.

იმ დროს, როცა ჩვენი მრეწველობის აღმავლობა მთლიანად ემყარება ჩვენს შინარესურსებს და საბჭოთა ადამიანების შრომითს ღონისძიებებს, ევროპის კაპიტალისტურ ქვეყნებში ყველაფერი აგებულია იმ ვარაუდით, რომ კრედიტები მიიღონ „ამერიკელი ძიასაგან“.

ყველასათვის ცნობილია „მარშალის გეგმის“ გარშემო ატეხილი ხმაური ევროპაში. ამ გეგმას რეკლამას უკეთებენ, როგორც ხსნას ევროპის ეკონომიკის ომისშემდგომი აღდგენისათვის. თუ ზოგიერთ ინგლისელ და ფრანგ სახელმწიფო მოღვაწეებს მოუსმენთ, „მარშალის გეგმით“ ამერიკული კრედიტების მიუღებლად თითქოს შეუძლებელია ევროპის ქვეყნების ეკონომიური აღდგენის უზრუნველყოფა. მაგრამ ამერიკულმა დოლარებმა, რომლებიც წელს ევროპის კაპიტალისტთა ჯიბეებში ჩაჩხრიალდა ამერიკის შეერთებული შტატების საკრედიტო გეგმით, ევროპის კაპიტალისტური ქვეყნების მრეწველობას ნამდვილი აღმავლობა ვერ მოუტანა. ისინი ვერც მოიტანენ ამ აღმავლობას, რადგან ამერიკის კრედიტები გათვალისწინებულია არა იმისათვის, რომ აღადგინოს და აამაღლოს ამერიკის შეერთებული შტატების მეტოქე ევროპის სახელმწიფოთა მრეწველობა, არამედ იმისათვის, რომ უზრუნველჰყოს ამერიკული საქონლის უფრო ფართო გასაღება ევროპაში, და რომ ეს სახელმწიფოები ეკონომიურად და პოლიტიკურად დაუმორჩილოს შეერთებულ შტატებში გაბატონებულ კაპიტალისტურ მონოპოლიებსა და მათს აგრესიულ გეგმებს და ანგარიში არ გაუწიოს თვით ევროპის ხალხთა ინტერესებს.

ამისაგან განსხვავებით, მრეწველობის ომისშემდგომი აღდგენა და აღმავლობა სსრ კავშირში დამოკიდებული არ არის რომელიმე კაპიტალისტურ ქვეყანაზე და მთლიანად ემსახურება ჩვენი ხალხის საჭიროებათა დაკმაყოფილებას.

საბჭოთა კავშირის როგორც მრეწველობა, ისე სოფლის მეურნეობა ახალი მძლავრი აღმავლობის პერიოდში შევიდა.

აი ზოგიერთი ფაქტი.

წელს მარცვლეული კულტურების საერთო მოსავალმა უკვე მიაღწია ომამდელი, 1940 წლის დონეს. ჩვენ ამას მივაღწიეთ, მიუხედავად იმისა, რომ ნათესი ფართობი ჯერ კიდევ არ მისულა ომამდელ დონემდე და ჯერ კიდევ არ აგვინაზღაურებია სოფლის მეურნეობაში ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების ის მძიმე დანაკლისი, რაც მტრის ოკუპაციის დროს მოგვივიდა. მით უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმ ფაქტს, რომ არსებული ტექნიკის უფრო სწორი გამოყენებისა და კოლმეურნეთა შრომის ორგანიზაციის მნიშვნელოვანი გაუმჯობესების შედეგად, მარცვლეული კულტურების მოსავალმა წელს გადააჭარბა ომამდელი, 1940 წლის მოსავალს. ახლა ჩვენ კარგად ვიცით, ჩვენი მთავარი ამოცანები მიწათმოქმედებაში ის არის,

რომ მივაღწიოთ მარცვლეული კულტურების, აგრეთვე სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის შემდგომ გადიდებას. ყველამ იცის, თუ რაოდენ წარმატებითი იყო პურის დამზადების მსვლელობა წელს, რასაც ჩვენი მთავრობა მუდამ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. ოლქებსა და რაიონებს შორის, აგრეთვე რესპუბლიკებს შორის შეჯიბრების გაჩაღებამ სერიოზული შედეგი გამოიღო. თქვენ ეს იცით ამხანაგ სტალინის სახელზე გამოგზავნილი მრავალი წერილით, რომლებიც გამოქვეყნებულია ჩვენს პრესაში. მიუხედავად გვალვისა ვოლგისპირეთის დიდ ტერიტორიაზე, პურის დამზადების გეგმის შესრულება წელს წარმატებით მთავრდება, მთელმა რიგმა ოლქებმა და მხარეებმა სახელმწიფოს ჩააბარეს მნიშვნელოვნად მეტი პური, ვიდრე შარშან, და მეტი, ვიდრე ომამდელ წლებში. საკმაოა ითქვას, რომ წელს სახელმწიფოს ჩაბარდა მეტი პური, ვიდრე შარშან, უკრაინაში 131 მილიონი ფუთით მეტი, ჩრდილოეთ კავკასიაში—77 მილიონი ფუთით მეტი, ციმბირში 40-მილიონი ფუთით მეტი. ახლა არა მარტო მთლიანად უზრუნველყოფილია მოსახლეობის მიმდინარე მომარაგება პურით, არამედ შექმნილია აგრეთვე საჭირო სახელმწიფო მარაგი მომავლისათვის.

სოფლის მეურნეობის — მარცვლეულის, ბამბის, შაქრის ჭარხლისა და სხვა კულტურების შემდგომი აღმავლობის დაჩქარების, აგრეთვე მეცხოველეობის ყოველმხრივი განვითარებისათვის საკვები ბაზის შექმნის მიზნით სახელმწიფო ახორციელებს ფართო ღონისძიებებს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში აგროტექნიკური კულტურის ასამაღლებლად, მინერალური სასუქებითა და ყველა საჭირო მანქანით მოსამარაგებლად. სახელმწიფოს დახმარებით კოლმეურნეობებს ახლა შეუძლიათ განავითარონ საზოგადოებრივი მეცხოველეობის ყველა დარგი და ამავე დროს აამაღლონ მისი პროდუქტიულობა. სოფლის მეურნეობა წელს სახელმწიფოსაგან მიიღებს ერთისამად მეტ ტრაქტორს, ერთიორად მეტ ავტომობილს, ერთიორად მეტ სასოფლო-სამეურნეო მანქანას, ვიდრე ომამდელ, 1940 წელს. სახელმწიფო სულ ახალ-ახალ ღონისძიებას იღებს, რათა ყოველმხრივ განამტკიცოს სოფლის მეურნეობის ტექნიკური ბაზა, გაუადვილოს კოლმეურნეებს შრომა და გაადიდოს მათი შრომის ნაყოფიერება.

წელს განსაკუთრებით ფართოდ გაჩაღდა შეჯიბრება კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, რაც წარმოადგენს, უწინარეს ყოვლისა, ჩვენი პარტიული ორგანიზაციების დამსახურებას. ამავე დროს კოლმეურნეობები უფრო წარმატებით იბრძვიან უქნარებისა და საკოლმეურნეო შრომის დეზორგანიზატორთა წინააღმდეგ, ეს კი ხელს შეუწყობს საკოლმეურნეო წარმოების ორგანიზაციის შემდგომ გაუმჯობესებას და საკოლმეურნეო სოფლის კეთილდღეობის აღმავლობას. მთავრობის შარშანდელმა გადაწყვეტილებამ სოფლის მეურნეობაში დიდი წარმატებისათვის დაჯილდოების შესახებ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა სოფლად სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღებაში. ახლა ჩვენ გვყავს ათასობით სოციალისტური შრომის გმირი კოლმეურნეობებში და აგრეთვე საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა შორის. ათიათასობით კოლმეურნე დაჯილდოებულია ორდენებითა და მედლებით სასოფლო-სამეურნეო შრომაში დიდი მიღწევებისათვის. წელს მიღებულია გადაწყვეტილება გადიდდეს მოთხოვნა იმათდამი, ვისაც მთავრობა მომავალში დააჯილდოებს მიწათმოქმედებაში, მეცხოველეობასა და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის დაუფლებაში წარმატებისათვის. შეიძლება ეჭვი არ შევიტანოთ

იმაში, რომ დაჯილდოებულთა რიგები წელს არა თუ არ შემცირდება, არამედ უფრო გადიდდება. ამას მოწმობს შეჯიბრების გაჩაღება და მზარდი შრომითი აღმავლობა კოლმეურნეობებში.

სულ რამდენიმე დღის წინათ გამოქვეყნდა ამხანაგ სტალინის თაოსნობით მიღებული დადგენილება პარტიისა და მთავრობისა „სსრ კავშირის ევროპული ნაწილის ველიან და ტყე-ველიან რაიონებში უხვი და მყარი მოსავლის უზრუნველსაყოფად მინდორსაცავი ტყის ნარგავების, ნათესბალახიანი თესლბრუნვის დანერგვის, გუბურებისა და წყალსატევების მშენებლობის გეგმის შესახებ“. დასახულია ამოცანა — ისე გამოვიყენოთ არსებული დიდი პრაქტიკული გამოცდილება და სასოფლო-სამეურნეო მეცნიერების მიღწევანი, რომ ველიანი და ტყე-ველიანი რაიონების კოლმეურნეობებმა და საბჭოთა ძეურნეობებმა, მოწინავე ტექნიკით შეიარაღებულებმა, უახლოესი წლების განმავლობაში არსებითი ნახტომი გააკეთონ მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის შემდგომ განვითარებაში. ამასთან განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მიწათმოქმედების ნათეს-ბალახიანი სისტემის ათვისებას და მინდორსაცავი ტყის გაშენების დარგში სამუშაოთა ფართო მასშტაბით მოწყობას. ამ გრანდიოზული სახელმწიფო გეგმის განხორციელება, რომლის მიღებითაც ომი გამოეცხადა გვალვასა და მოუსავლიანობას ჩვენი ქვეყნის ევროპული ნაწილის ველიან და ტყე-ველიან რაიონებში, ჩვენს სოფლის მეურნეობას გამოიყვანს უხვი და მყარი მოსავლის სწორ გზაზე, კოლმეურნეთა შრომას გახდის მაღალნაყოფიერს და დიდად აამაღლებს საბჭოთა კავშირის ეკონომიურ ძლიერებას. ჩვენი რწმენა დიად სამუშაოთა ამ ისტორიული გეგმის განხორციელებისადმი იმას მოწმობს, თუ რაოდენ სწრაფად იზრდებიან ჩვენი ძალები, ჩვენი წარმატებანი და შესაძლებლობანი, როცა ჩვენ მივდივართ კომუნისტური პარტიის, დიდი სტალინის მიერ დასახული გზით. **(მქუხარე ტაში).**

სახალხო მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის უფრო რთული ამოცანების წარმოშობის შესაბამისად ჩვენს წინაშე დაისახა ახალი ამოცანები სახელმწიფო დაგეგმვის, მატერიალური მომარაგების ორგანიზაციის, მეურნეობის ყველა დარგში მოწინავე ტექნიკის დანერგვის საქმეში.

სახალხო მეურნეობის დაგეგმვის საქმეში განსაკუთრებული მნიშვნელობა მოიპოვა წარმოების ცალკეული დარგების კოორდინაციისა და აღმავლობის დაჩქარების საკითხებმა. როგორც ცნობილია, წარმოებისა და მშენებლობის გეგმები საწარმოებისათვის ახლა სდგება მოწყობილობისა და მასალის გამოყენების პროგრესულ ტექნიკურ-ეკონომიურ ნორმებზე დაყრდნობით, რაც ხელს უწყობს მრეწველობის, ტრანსპორტისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების აღმავლობის დაჩქარებას. გეგმების შესრულებისადმი კონტროლი მიზნად ისახავს საერთო პროდუქციის მთელი თანხის არა უბრალოდ მიღწევას, არამედ აგრეთვე დავალებათა აუცილებელ შესრულებას პროდუქციის ძირითადი ნომენკლატურის, ასორტიმენტისა და მისი ხარისხის გაუმჯობესების დარგში.

მატერიალური მომარაგების სწორი ორგანიზაციის, საჭირო მატერიალური რეზერვების შექმნისა და სახელმწიფო რესურსების მომჭირნედ გამოყენების საქმის სწორ ორგანიზაციაზე ბევრად დამოკიდებულია ჩვენი მეურნეობის აღმავლობის ტემპი. წარმოებისა და მშენებლობის ახლანდელი უდიდესი მასშტაბის დროს მომარაგების ზუსტ ორგანიზაციას და მატერიალური რესურსების ხარჯვის დაწესებული ნორმების დაცვისადმი კონტროლს სახელმწიფოსათვის დიდი მნიშვნელობა აქვს.

შრომატევადი სამუშაოების მექანიზაციის დაჩქარება და მოწინავე ტექნიკის დანერგვა მრეწველობის, ტრანსპორტისა და სოფლის მეურნეობის ყველა დარგში მუდამ ითვლებოდა ბოლშევიკური პარტიის უმნიშვნელოვანეს საქმედ. ჩვენს ომისშემდგომ სამეურნეო ამოცანებთან დაკავშირებით ამხანაგი სტალინი ამბობდა: „...შრომის პროცესთა მექანიზაცია წარმოადგენს ჩვენთვის იმ **ახალსა და გადამწყვეტ** ძალას, ურომლისოდაც ვერ შევინარჩუნებთ ვერც ჩვენს ტემპს, ვერც წარმოების ახალ მასშტაბებს". ჩვენი შესაძლებლობანი ამ საქმეში დიდად გაიზარდნენ. საბჭოთა კავშირის მრეწველობას ახლა შეუძლია დაამზადოს ყოველგვარი მანქანა, ამასთან მანქანათმშენებლობის მასშტაბმა უკვე დიდად გადააჭარბა ომამდელ დონეს. დაზგების მოქმედი პარკი ჩვენს ქვეყანაში, 1940 წელთან შედარებით, მნიშვნელოვნად გადიდდა და მოკლე ვადაში შეიძლება უფრო გადიდდეს. მოწინავე ტექნიკის გეგმაზომიერი დანერგვა სახალხო მეურნეობის ყველა დარგში წარმოადგენს საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების შემდგომი გადიდების მძლავრ ბერკეტს.

ჩვენს ქვეყანაში ოქტომბრის 30 წლისთავის შემდეგ განხორციელებული უმნიშვნელოვანესი ღონისძიება იყო ფულის რეფორმის გატარება, ამავე დროს მოსახლეობის მომარაგების საბარათო სისტემის გაუქმება და სამრეწველო და სასურსათო საქონლის ერთიანი შემცირებული სახელმწიფო ფასების დაწესება. ამ გადაწყვეტილებამ ხელი შეგვიწყო სწრაფად აღმოგვეფხვრა უარყოფითი შედეგები მიმოქცევაში არსებული ზედმეტი ფულისა, რაც ომის პერიოდში წარმოიშვა, და ხელსაყრელი წინაპირობები შეჰქმნა სახალხო მეურნეობის აღმავლობის დასაჩქარებლად. სასურსათო და სამრეწველო საქონლის სახელმწიფო საცალო ფასების შემცირებისა და ამის შემდეგ კოოპერაციულ ვაჭრობაში და საკოლმეურნეო ბაზარზე ფასების შემცირების შედეგად, მანეთის სყიდვითი უნარიანობა ერთიორად გადიდდა. ამის შედეგად და აგრეთვე ფულადი ხელფასის ზრდასთან დაკავშირებით, მუშებისა და მოსამსახურეების რეალური ხელფასი, შარშანდელ წელთან შედარებით, ერთიორად და უფრო მეტად გადიდდა. **(ხანგრძლივი ტაში).**

ამრიგად, ფულის რეფორმამ და სახელმწიფოს ღონისძიებებმა ვაჭრობის გაუმჯობესების დარგში დიდად შეუწყეს ხელი მუშებისა და მოსამსახურეების ცხოვრების მატერიალური დონის ამაღლებას.

ამ ღონისძიებათა განხორციელება შესაძლებელი გახდა უკვე ორი წლის შემდეგ, რაც დამთავრდა ომი, რომლის დროს შემოჭრილმა ფაშისტებმა ჩვენს ქვეყანას უმაგალითო უბედურება და განადგურება მიაყენეს. ეს ფაქტი მთელი მსოფლიოს წინაშე ხცადჰყოფს, თუ რაოდენ უდიდესი ძალები და შინაგანი შესაძლებლობანი მოეპოვება საბჭოთა სახელმწიფოს.

ამასთან ერთად, მომარაგების საბარათო სისტემის გაუქმების შემდეგ მთელი სიგრძე-სიგანით დაისახა ახალი ამოცანები საბჭოთა ვაჭრობის დარგში როგორც ქალაქად, ისე სოფლად. საჭიროა ყველაფერი გავაკეთოთ იმისათვის, რომ ყოველმხრივ გავადიდოთ ფართო მოხმარების საგნების წარმოება და გავაუმჯობესოთ ამ პროდუქციის ხარისხი და ასორტიმენტი, აგრეთვე გავაუმჯობესოთ სახელმწიფო და კოოპერაციული სავაჭრო ორგანიზაციების მხრივ მომხმარებელთა მომსახურება.

მეორე მხრივ, ფულის რეფორმის დადებითი შედეგების მთლიანად უზრუნველყოფას ჩვენ მხოლოდ იმ შემთხვევაში შევძლებთ, თუ ყველაფერში დავიცავთ მომჭირნეობის რეჟიმს, არ დავუშვებთ ზედმეტობას, გაუ-

ფრთხილდებით საბჭოთა კაპიკს. ამ მარტივი ამოცანების დიდი მნიშვნელობის შეგნება ახლა შეიჭრა საბჭოთა ადამიანების უაღრესად ფართო წრეებში.

მიმდინარე წელს წარმოიშვა ახალი პატრიოტული მოძრაობა მუშათა მასებში — მოძრაობა შინაგანი რეზერვების მობილიზაციისათვის, საწარმოთა მუშაობის რენტაბელობისათვის, ზეგეგმითი დაგროვებისათვის. მიმდინარე წლის 9 თვის მანძილზე სამრეწველო პროდუქციის ღირებულების შემცირებისაგან საერთო ზეგეგმითი ეკონომია შეადგენს 4 მილიარდ მანეთზე მეტს. გაჩაღებული შეჯიბრება იმედს გვაძლევს, რომ წლის დამლევისათვის ზეგეგმითი დაგროვების ეს თანხა გადიდდება ერთნახევარჯერ მაინც. შეჯიბრებას ამ საქმეში, ამასთან ერთად მოსდევს საწარმოებში მანქანებისა და მთელი მოწყობილობის უკეთ გამოყენება და ხელს უწყობს წარმოების უკეთ ორგანიზაციას, რაც წახალისების ღირსია ყველა ჩვენი ხელმძღვანელი ორგანოს მხრივ. ამ მოძრაობამ, რომელმაც მოიცვა ჩვენი ქვეყნის მრავალი ათასი საწარმო, საყოველთაო-სახალხო მნიშვნელობა მიიღო ჩვენი დედაქალაქის მოსკოვის კომუნისტური ორგანიზაციებისა და მშრომელთა ინიციატივით, მოსკოვისა, რომელმაც ამჯერადაც გაამართლა ამხანაგ სტალინის მიერ მისთვის მიცემული მაღალი შეფასება, როგორც „ახალი, საბჭოთა ეპოქის მედროშისა". **(ხანგრძლივი ტაში).**

ჩვენ ისეთ დროში ვცხოვრობთ, როცა ჩვენი მუშები, მოსამსახურეები და კოლმეურნე გლეხები მთელ ქვეყანაში მონაწილეობენ სოციალისტურ შეჯიბრებაში. ახლა არ არის და არც უნდა იყოს ისეთი ფაბრიკები და ქარხნები ან კოლმეურნეობები, რომლებიც არ მონაწილეობდნენ შეჯიბრებაში ან არ ცდილობდნენ გაადიდონ შეჯიბრებულთა რიცხვი საწარმოში, კოლმეურნეობაში. ამხანაგ სტალინის თქმით „შეჯიბრება არის სოციალიზმის მშენებლობის კომუნისტური მეთოდი". და აი ჩვენ ვხედავთ, რომ სოციალიზმის მშენებლობის ეს კომუნისტური მეთოდი უკვე ჩვენი სამშობლოს მთელი მშრომელი მასების კუთვნილება გახდა. ეს ოქტომბრის რევოლუციის ისეთი დიდი მონაპოვარია, რომლის გადაჭარბებით შეფასება შეუძლებელია.

უკვდავი ლენინი ამბობდა:

„სოციალიზმი არა თუ არ სპობს შეჯიბრებას, არამედ პირიქით, პირველად ჰქმნის შესაძლებლობას გამოვიყენოთ იგი ნამდვილად **ფართოდ** ნამდვილად **მასობრივი** მასშტაბით, ჩავაბათ მშრომელთა ნამდვილად უმრავლესობა ისეთი მუშაობის ასპარეზზე, სადაც მათ შეუძლიათ თავი გამოიჩინონ, გაშალონ თავიანთი უნარი, გამოავლინონ ტალანტები, რომლებისაც ხალხში უშრეტი წყაროა და რომელთაც კაპიტალიზმი სთელავდა, ახშობდა, სრესდა ათასობით და მილიონობით.

ჩვენი ამოცანაა ახლა, როცა ხელისუფლების სათავეში სოციალისტური მთავრობაა, — მოვაწყოთ შეჯიბრება".

ლენინი შემდეგ ამბობდა:

„ინიციატივის, შეჯიბრების, გაბედული თაოსნობის გამოვლინების ფართო, ჭეშმარიტად მასობრივი შესაძლებლობის შექმნა მხოლოდ ახლა გვეძლევა. თვითეული ფაბრიკა, საიდანაც კაპიტალისტი გამოდევნილია, ან თუნდაც ალაგმულია ნამდვილი მუშათა კონტროლის მიერ, თვითეული სოფელი, საიდანაც გამოძევებულია მემამულე ექსპლოატატორი და მას ჩამორთმეული აქვს მიწა, წარმოადგენს ახლა, და მხოლოდ ახლა ასპარეზს, რომელზეც

შეუძლია თავი გამოიჩინოს შრომის ადამიანმა, შეუძლია ოდნავ წელში გაიმართოს, შეუძლია გასწორდეს, შეუძლია იგრძნოს თავისი თავი ადამიანად. სხვებისათვის საუკუნოვანი შრომის შემდეგ, ექსპლოატატორთათვის მონური მუშაობის შემდეგ, პირველად ჩნდება შესაძლებლობა **იმუშაო საკუთარი თავისათვის** და ამასთან იმუშაო ისე, რომ დაეყრდნო უახლესი ტექნიკისა და კულტურის ყველა მონაპოვარს".

ლენინი ამ სტრიქონებს სწერდა 1917 წლის დეკემბერში, ესე იგი 30 წელზე მეტი ხნის წინათ. ახლა ყველა თვალნათლივ ხედავს ლენინის ამ დიადი ანდერძის პრინციპულ და პრაქტიკულ მნიშვნელობას.

სოციალისტური შეჯიბრების მასშტაბი და სიღრმე მოწმობენ, რომ მთელი საბჭოთა ხალხი, ეროვნული სხვადასხვაობისა და სარწმუნოებისაგან დამოუკიდებლად, გადაიქცა მშრომელთა ერთსულოვან ოჯახად. ამხანაგ სტალინისათვის გაგზავნილი ცნობები და ანგარიშები, რომლებიც ყოველდღე იბეჭდება ჩვენს გაზეთებში, ქარხნებისა და კოლმეურნეობების, მშენებლობათა და სამეცნიერო დაწესებულებათა, რაიონებისა და ქალაქების, მრეწველობის მთელი დარგებისა და ტრანსპორტის ცალკე სახეების, ოლქების, მხარეებისა და საბჭოთა რესპუბლიკების შრომის მიღწევებზე, — ყოველივე ეს მოწმობს, რომ ჩვენი სახელმწიფო გადაიქცა ხალხთა ერთსულოვან ოჯახად, რომელმაც გვიჩვენა თავისი ურყევი დარაზმულობა და უძლეველობა სამამულო ომის წლებში, და ახლა შრომის ფრონტზე თავისი მონაწილეობის თვითეული დღით გვიჩვენებს საბჭოთა ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობის და მისი სოციალისტური შეგნების მზარდ ძალას. **(ტაში).**

ჩვენს ქვეყანაში ყველა მშრომელია, ჩვენში არ არის და არც უნდა იყოს მუქთახორები, პარაზიტები. ზოგჯერ საზღვარგარეთ ამბობენ, რომ როცა ჩვენ ეს ვაჟბატონები მოკალათებული ადგილებიდან გამოვყარეთ, სავსებით დემოკრატიულად ვერ მოვიქეცით. მაგრამ შედეგები ცუდი არ აღმოჩნდა. სწორედ იმიტომ, რომ ჩვენ მშრომელთა სახელმწიფო ვართ, სადაც ადგილი არა აქვთ არც მუქთახორებს, არც პარაზიტებს, — დღეს ჩვენ შევადგენთ ერთსულოვან, მრავალეროვან მშრომელ ოჯახს და ამასთან ერთად მტკიცედ ორგანიზებულ, მძლავრ და უძლეველ არმიას. **(მჭუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

ლენინი და სტალინი გვასწავლიან არ გავყოყოჩდეთ და არ დავმშვიდდეთ მიღწეული წარმატებებით. ამხანაგი სტალინი განუწყვეტლივ განმარტავს კრიტიკისა და თვითკრიტიკის მეთოდის მნიშვნელობას ჩვენი წინსვლისათვის. უკლებლივ ყველა რანგის მუშაკთათვის.

სულ უფრო იზრდება ჩვენი ორგანიზაციების მუშაობის მასშტაბი და მნიშვნელობა კულტურულ ფრონტზე. ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებში 730 ათასი მოსწავლეა, გარდა ამისა, 270 ათასი — უმაღლესი სასწავლებლის დაუსწრებელი მოსწავლეა და 34 მილიონზე მეტი — საშუალო და დაწყებითი სკოლების და ტექნიკუმების მოსწავლე. ჩვენი პრესა, ჩვენი კულტურული ორგანიზაციები უდიდეს მეცნიერულ-საგანმანათლებლო მუშაობას ეწევიან მასებში. დაე გამოვიდეს ისეთი კაპიტალისტური სახელმწიფო, რომელიც მოისურვებდა შეჯიბრებოდა საბჭოთა კავშირს ქვეყნის კულტურის აღმავლობის დარგში! **(ტაში).**

ჩვენ უფლება გვაქვს ვიამაყოთ საბჭოთა ხელოვნების და უკანასკნელ დროს, განსაკუთრებით საბჭოთა ლიტერატურის წარმატებებით (ტაში), რაც პარტიის წარმმართველი ხელმძღვანელობის მცირე მიღწევა როდია. ჩვენი ლიტერატურა, კინო და ხელოვნების სხვა სახეები სულ უფრო მდიდრდებიან ისეთი ნაწარმოებებით, რომლებიც თავიანთი სახეებით გადაგვიშლიან საბჭოთა ეპოქის მოვლენებისა და ადამიანთა მუშაობის იდეურ აზრს. ნამდვილი ხელოვნება მისაწვდომია და ღრმა კვალს სტოვებს ადამიანთა შეგნებაში. და ამიტომ ასე დიდია საბჭოთა ხელოვნების ახლანდელი აღმავლობის მნიშვნელობა საბჭოთა ხალხის კომუნისტური აღზრდის წარმატებათა განვითარებისათვის. საბჭოთა ხელოვნება ღრმად იჭრება ჩვენი ქვეყნის საზღვრებს იქით, აშუქებს ჩვენი სამშობლოს საქმეებსა და დღეებს, რის დაფარვასაც ან მშრომელთა თვალში დამახინჯებას ცდილობს კაპიტალისტური პრესა.

მეცნიერულ-თეორიული მუშაობის აღმავლობისათვის დიდი პრინციპული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს უკანასკნელ დისკუსიას ბიოლოგიის საკითხების გამო მეცნიერულ წრეებში.

დისკუსიამ მემკვიდრეობითობის თეორიის საკითხებზე დააყენა დიდი პრინციპული საკითხები მატერიალიზმის პრინციპებზე დამყარებული ნამდვილი მეცნიერების ბრძოლის შესახებ რეაქციულ-იდეალისტური ნაშთების წინააღმდეგ მეცნიერულ მუშაობაში, როგორიც არის ვეისმანიზმის მოძღვრება უცვლელი მემკვიდრეობითობის შესახებ, რომელიც გამორიცხავს შეძენილ თვისებათა გადაცემას მომდევნო თაობებისათვის. ამ დისკუსიამ ხაზგასმით აღნიშნა მატერიალისტური პრინციპების შემოქმედებითი მნიშვნელობა მეცნიერების ყველა დარგისათვის, რამაც ხელი უნდა შეუწყოს მეცნიერულ-თეორიულ მუშაობის დაჩქარებულ წინსვლას ჩვენს ქვეყანაში. ჩვენ უნდა გვახსოვდეს მეცნიერების წინაშე ამხანაგ სტალინის მიერ დასახული ამოცანა: „არა მარტო დაეწიონ, არამედ უახლოეს დროში კიდევაც გადააჭარბონ მეცნიერების მიღწევებს ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ“. **(ხანგრძლივი ტაში).**

დისკუსიას ბიოლოგიის საკითხებზე დიდი პრაქტიკული მნიშვნელობაც ჰქონდა განსაკუთრებით სოციალისტური სოფლის მეურნეობის შემდგომი წარმატებისათვის. ტყუილად ხომ არ ჩაუდგა ამ ბრძოლას სათავეში აკადემიკოსი ლისენკო, რომლის დამსახურებაც სოციალისტური სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის ჩვენს საერთო ბრძოლაში, ყველასათვის ცნობილია. ეს დისკუსია ჩატარდა მიჩურინის ცნობილი დევიზით: „ჩვენ ვერ დაველოდებით მოწყალებას ბუნებისაგან; ჩვენი ამოცანაა გამოვართვათ იგი მას“. მიჩურინის ეს ანდერძი, შეიძლება ითქვას, გამსჭვალულია ბოლშევიკური სულისკვეთებით და მოუწოდებს არა მარტო მეცნიერების მუშაკებს, არამედ სოფლის მეურნეობის მილიონობით პრაქტიკოსებსაც ცოცხალი შემოქმედებითი მუშაობისაკენ, ჩვენი ხალხის სასარგებლოდ და სადიდებლად.

მეცნიერული დისკუსია ბიოლოგიის საკითხებზე ჩატარდა ჩვენი პარტიის წარმმართველი გავლენით. ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელმა იდეებმა აქაც შეასრულეს გადამწყვეტი როლი, ახალი ფართო პერსპექტივები დასახეს მეცნიერულ და პრაქტიკულ მუშაობაში.

ახალი აღმავლობის გზაზეა ჩვენი ქვეყანა.

ამას მოწმობენ ის შრომითი აღმავლობა და უბრალო საბჭოთა ადამიანების ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესება, მეცნიერებისა და ხელოვნების ადამიანთა ის მიღწევები და სოციალისტური მშენებლობის ის წარმატებანი, რომლებსაც ჩვენ ყოველდღე ვხედავთ, ვმონაწილეობთ მათში თვითეული საკუთარი ძალების შიხედვით და რომლებითაც ჩვენ უფლება გვაქვს ვიამაყოთ. ჯერ კიდევ გუშინ ჩვენი მტრები ცდილობდნენ გადაექციათ ჩვენი ქვეყნის ვეებერთელა ტერიტორია „უდაბნოს ზონათ", ანადგურებდნენ და ანგრევდნენ ყველაფერს თავიანთ მტრულ გზაზე. ჩვენ ჯერ კიდევ არ მოგვიშუშებია ომით მოყენებული ბევრი ჭრილობა, არ აღგვიდგენია მთელი რიგი ქალაქები, არ აგვიშენებია ის შენობები და ბინები, რომლებიც ჩვენ გვჭირდება, რათა ბოლო მოვუღოთ ფაშისტ ბარბაროსთა შემოსევის შედეგებს. მაგრამ ჩვენ ამ მუშაობას წარმატებით ვეწევით და სულ უფრო სწრაფად და მტკიცედ მივდივართ წინ, უკან ჩამოვიტოვეთ რა ომამდელი დროის ბევრი მიღწევა.

დიდი აღმავლობის გზაზეა ჩვენი ქვეყანა, სადაც სამშობლოს სასარგებლოდ მეგობრობითა და ერთობლივი შრომით შეკავშირებული საბჭოთა ხალხების ოჯახი გვიჩვენებს მრავალეროვანი საბჭოთა კავშირის ხალხთა თანამშრომლობისა და ძმური ურთიერთობის ისტორიაში არნახულ მაგალითს. **(ტაში).**

ჩვენ გვაერთიანებს, ბრძოლისათვის აღგვაფრთოვანებს და წინ მივყავართ ბოლშევიკურ პარტიას, საბჭოთა ხალხის დიდ ბელადს ამხანაგ სტალინს. **(მთელი დარბაზის მქუხარე ოვაცია).**

II

მტკიცე, დემოკრატიული მშვიდობისათვის ბრძოლის ავანგარდში

ოთხი წლის წინათ ამხანაგმა სტალინმა ომის შემდგომი პერიოდის ამოცანების განსაზღვრისას სთქვა:

„გერმანიის წინააღმდეგ ომის მოგება ნიშნავს დიადი ისტორიული საქმის განხორციელებას. მაგრამ ომის მოგება ჯერ კიდევ არ ნიშნავს ხალხებისათვის მომავალში მტკიცე მშვიდობისა და საიმედო უშიშროების უზრუნველყოფას. ამოცანა არა მარტო ის არის, რომ მოვიგოთ ომი, არამედ ისიც, რომ შეუძლებელი გავხადოთ ახალი აგრესიისა და ახალი ომის წარმოშობა, თუ სამუდამოდ არა, ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მაინც".

რათა ხელი შეეწყო ამ მიზნების წარმატებით განხორციელებისათვის, სსრ კავშირმა აქტიური მონაწილეობა მიიღო მთელ რიგ საერთაშორისო შეთანხმებათა შემუშავებაში ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის პერიოდში.

ყველას ახსოვს, თუ როგორ შემუშავდა შეთანხმებანი საბჭოთა კავშირსა, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ინგლისს შორის, რასაც ჩინეთი და საფრანგეთი მიემხრნენ, და რაც შემდეგ საფუძვლად დაედო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას. უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა საბჭოთა კავშირის, შეერთებული შტატებისა და ინგლისის შეთანხმებას გერმანიის საკითხზე, რაც მიღებული იყო იალტასა და პოტსდამში. ცნობილია აგრეთვე რომ პოტსდამის გადაწყვეტილებებმა განსაზღვრეს საერთო მიმართულება

ომისშემდგომი მოწესრიგების საქმისა არა მარტო ევროპაში. პოტსდამის სპეციალური დეკლარაცია იაპონიის შესახებ უნდა გახდეს, კაირის დეკლარაციასა და იალტის შეთანხმებასთან ერთად, საფუძველი მშვიდობის მოწესრიგებისა შორეულ აღმოსავლეთშიც. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ეს საერთაშორისო შეთანხმებანი განმტკიცებულია ჩვენი ხალხების სისხლით, რომლებმაც უთვალავი მსხვერპლი გაიღეს და შესაძლებლობა მოგვცეს ძლევამოსილად დაგვემთავრებინა ომი ფაშიზმისა და აგრესიის წინააღმდეგ ევროპასა და აზიაში.

მას შემდეგ საბჭოთა კავშირი განუხრელად მოითხოვდა, რომ ამ შეთანხმებებით ნაკისრ ვალდებულებებს ყველა სახელმწიფო წმიდად იცავდეს და საქმით ასრულებდეს.

არ შეიძლება ითქვას, რომ ეს ვალდებულებანი მხოლოდ ქაღალდზე დარჩნენ. საკმაოა გავიხსენოთ, რომ შეიქმნა და მოქმედებს გაერთიანებული ერების საერთაშორისო ორგანიზაცია, თუმცა ხშირად ცდილობენ მის მუშაობას მისცენ ისეთი მიმართულება, რაც არ შეეფერება მის ძირითად მიზნებს. დადებულია ხუთი საზავო ხელშეკრულება: იტალიასთან, ბულგარეთთან, რუმინეთთან, უნგრეთსა და ფინეთთან, რაც მნიშვნელოვან წვლილს წარმოადგენს ევროპაში მშვიდობის მოწესრიგების საქმეში.

მეორე მხრივ, არ შეიძლება თვალი დავხუჭოთ იმაზე, რომ გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადების საქმე ადგილიდან არ იძვრის. ამასთან ერთად, გერმანიის ოკუპაციის ამერიკულ, ინგლისურ და ფრანგულ ზონებში, რომლებიც, საბჭოთა კავშირსა, შეერთებულ შტატებსა, ინგლისსა და საფრანგეთს შორის დადებულ შეთანხმებათა საწინააღმდეგოდ, დაყენებული არიან ოთხი სახელმწიფოს კონტროლის გარეთ, მრეწველობისა და მმართველობის ხელმძღვანელ თანამდებობებზე აღადგენენ ჰიტლერული რეჟიმის ძველ მოღვაწეებს. ამასთან ბევრი დემოკრატიული ორგანიზაცია მოკლებულია ნორმალური მოღვაწეობის შესაძლებლობას, რაც საბჭოთა კავშირს შეუწყნარებელ თვითნებობად მიაჩნია.

ადგილიდან არ იძვრის არც იაპონიასთან საზავო ხელშეკრულების დადების საქმე.

გასაგებია, რომ საბჭოთა კავშირი მტკიცედ მოითხოვს დაჩქარდეს საზავო ხელშეკრულებათა შემუშავება გერმანიისა და იაპონიისათვის იმის შესაბამისად, როგორც ეს გათვალისწინებულია მოკავშირეთა შეთანხმებებით. ეს იმას ნიშნავს, რომ აღნიშნულ საზავო ხლშეკრულებათა შემუშავების მიზანი ის უნდა იყოს, რომ დაშვებულ არ იქნას გერმანიისა და იაპონიის, როგორც აგრესიული სახელმწიფოების აღდგენა და, მაშასადამე, საზავო ხელშეკრულებათა შემუშავებამ ხელი უნდა შეუწყოს ამ სახელმწიფოთა დემილიტარიზაციისა და დემოკრატიზაციის განხორციელებას. ამის შესაბამისად საბჭოთა მთავრობა მტკიცედ მოითხოვს, რომ სავსებით განიარაღდეს გერმანია და განხორციელდეს რურის სამრეწველო ოლქის, როგორც გერმანიის სამხედრო მრეწველობის მთავარი ბაზისადმი საერთაშორისო კონტროლის გარკვეული გეგმა. ამის შესაბამისადვე საბჭოთა მთავრობა მტკიცედ მოითხოვს, რომ სავსებით აიკრძალოს სამხედრო მრეწველობა იაპონიაში და დაწესდეს სათანადო საერთაშორისო კონტროლი, რათა იქ დაშვებულ არ იქნას სამხედრო მრეწველობის აღდგენა. მაგრამ ამასთან ერთად, საბჭოთა მთავრობას მიაჩ-

ნია, რომ არ შეიძლება ჩახშობილ იქნას სამშვიდობო მრეწველობა არც გერმანიაში და არც იაპონიაში. როგორც გერმანელ, ისე იაპონელ ხალხს უნდა მიეცეს შესაძლებლობა უზრუნველჰყონ თავისი თავი ყოველივე იმით, რისი მოცემაც შეუძლია მათს საკუთარ მრეწველობას, რომელიც სამშვიდობო საჭიროებას ემსახურება.

თუ ჩვენ გვსურს ვიყოთ იმ ვალდებულებათა ერთგულნი, რომლებიც ვიკისრეთ გერმანიისა და იაპონიის მიმართ მშვიდობის მოწესრიგების საქმეში, ამ გზით უნდა ვიაროთ. მხოლოდ იმათ, ვისაც სურს დაუსრულებლად გააჭიანუროს გერმანიისა და იაპონიის ოკუპაცია და ვინც ანგარიშს არ უწევს მათი ხალხების კანონიერ ინტერესებს, შეუძლიათ თავი აარიდონ აღნიშნულ საერთაშორისო შეთანხმებათა შესრულებას.

ასეთია ომისშემდგომი მშვიდობის მოწესრიგების მთავარი ამოცანების მდგომარეობა.

სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკის სხვა ძირითადი საკითხია ბრძოლა აგრესიის ახალი ძალების წინააღმდეგ და, ამის შესაბამისად, ახალი ომის პროპაგანდისა და გამჩაღებელთა წინააღმდეგ.

ამ მიზნით ჯერ კიდევ 1946 წელს საბჭოთა კავშირმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განსახილველად შეიტანა ცნობილი წინადადება შეიარაღების საყოველთაო შემცირებისა და ატომური იარაღის აკრძალვის შესახებ. მიუხედავად აგრესიული ელემენტების წინააღმდეგობისა, ეს წინადადება გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ ძირითადად მიიღო.

შარშან საბჭოთა კავშირმა გენერალურ ასამბლეაში შეიტანა წინადადება ახალი ომის პროპაგანდისა და გამჩაღებელთა წინააღმდეგ ღონისძიებათა შესახებ. ყოველგვარი შენიშვნისა და შეზღუდვის შემდეგ, რომლებიც ჩვენს პროექტში შეიტანეს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ სათანადო გადაწყვეტილება მიიღო. გენერალური ასამბლეის რეზოლუცია ისე გულმოდგინედ გარეცხეს ყოველგვარ წყალში და ისე ბეჯითად გასწმინდეს, რომ იქ ერთი სიტყვითაც არ იხსენებიან ახალი ომის გამჩაღებლები. მხოლოდ ამ რეზოლუციის სათაურში დარჩა იმის ხსენება, რომ იგი მიმართულია ახალი ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ. მაგრამ ამ რეზოლუციას მაინც აქვს დადებითი მნიშვნელობა საერთაშორისო უშიშროების ყველა პატიოსანი მომხრის თვალში, რამდენადაც იქ დაგმობილია პროპაგანდის ყოველგვარი ფორმა, რასაც მიზნად აქვს ან შეუძლია შექმნას ახდა დაიჩქაროს საფრთხე მშვიდობისათვის, მშვიდობის დარღვევა ან აგრესიის აქტი.

რათა რეზოლუცია შეიარაღების შემცირებისა და ატომური იარაღის აკრძალვის შესახებ მხოლოდ ქაღალდზე არ დარჩეს, საბჭოთა კავშირმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის აღნიშნული გადაწყვეტილების განსავითარებლად წელს შეიტანა კონკრეტული წინადადებანი.

საბჭოთა კავშირმა წინადადება შეიტანა, რომ ერთი წლის განმავლობაში ერთი მესამედით შემცირებულიყო ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საბჭოთა კავშირის, საფრანგეთისა და ჩინეთის—ხუთი ქვეყნის, რომლებიც, როგორც უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრები, მთავარი პასუხისმგებლები არიან საერთაშორისო უშიშროების დაცვისათვის, მთელი არსებული შეიარაღებული ძალები და შეიარაღება. ეს წინადადება უშუალოდ შეეხება მხოლოდ დიდ სახელმწიფოებს და არ ეხება არც ერთი სხვა სახელმწიფოს

შეიარაღებას. გარდა ამისა საბჭოთა კავშირმა წინადადება წამოაყენა აკრძალულიყო ატომური იარაღი, როგორც ისეთი იარაღი, რომელიც გამოყენებულია აგრესიული მიზნებისათვის და არა თავდაცვის მიზნებისათვის. შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემცირებისა და ატომური იარაღის აკრძალვის ღონისძიებათა განხორციელებისადმი მეთვალყურეობისა და კონტროლისათვის ჩვენ წინადადება წამოვაყენეთ შექმნილიყო უშიშროების საბჭოს ფარგლებში საერთაშორისო საკონტროლო ორგანო, რომლისთვისაც უნდა წარედგინათ სრული ოფიციალური ცნობები შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების მდგომარეობის შესახებ ამერიკის შეერთებულ შტატებში, ინგლისში, სსრ კავშირში, საფრანგეთსა და ჩინეთში.

ერთ თვეზე მეტს იხილავდნენ ამ საკითხს გენერალურ ასამბლეასა და მის კომიტეტებში. ყოველგვარი საბაბით დიდი სახელმწიფოები არ თანხმდებოდნენ თავიანთი შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების შემცირებასა და ატომური იარაღის აკრძალვაზე. და მიაღწიეს იმას, რომ გენერალურმა ასამბლეამ მათთვის სასურველი რეზოლუცია მიიღო.

შეერთებული შტატებისა და ინგლისის წარმომადგენლები განსაკუთრებით ძტრულად შეხვდნენ ჩვენს წინადადებას ატომური იარაღის აკრძალვის შესახებ. ისინი ვერ უარჰყოფენ უდავო მტკიცებას, რომ ატომური ბომბი აგრესიის იარაღია და არა თავდაცვის იარაღი, რომ იგი დანიშნულია მშვიდობიანი მცხოვრებლების, და, უმთავრესად, დიდი ქალაქების მასობრივი მოსპობისათვის, და რომ ასეთი იარაღის გამოყენებაზე ოცნება შეუძლიათ მხოლოდ ფაშისტ მტარვალებს და არა თავისუფალ ხალხთა წარმომადგენლებს. მაგრამ ისინი, ვისაც ამხანაგმა სტალინმა უწოდა „აგრესიაში ჩერჩილის მორჩილი მოწაფეები“, ყოველგვარ საბაბს ეძებენ, რომ არ დაუშვან დანაშაულებრივი ატომური იარაღის აკრძალვა.

ამ მხრივ სულ უფრო გარკვეული ხდება ორი ძირითადი ბანაკი საზოგადოებრივ აზრში.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ატომური იარაღის აკრძალვის სასარგებლოდ გამოვიდნენ ამას წინათ შექმნილი პროგრესული პარტია უოლესის მეთაურობით და ბევრი ამერიკელი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, რომ აღარაფერი ვთქვათ მილიონობით მშრომელზე, რომელთა ხმა გამოხატულებას ვერ ჰპოულობს ყვითელი ბურჟუაზიული პრესის მოსყიდულ და დაქირავებულ ორგანოებში. შარშან ზაფხულში უშიშროების საბჭოს ატომის კომისიასთან არსებულ ეგრეთწოდებულ „სამუშაო კომიტეტში“ სახელმწიფოთა უმრავლესობამ, ინგლისის ჩათვლით, აზრი გამოსთქვა, ატომური ბომბის აკრძალვის სასარგებლოდ. თუმცა, ამერიკის შეერთებული შტატების ზეგავლენით ისინი დიდხანს ვერ შერჩნენ ამ პოზიციას. დიდი ხანია ცნობილია, რომ ბევრი ინგლისელი მეცნიერი საბჭოთა კავშირის პოზიციას ამ საკითხში სწორად თვლის: ეჭვი არ არის, რომ ყველა ქვეყანაში ატომური იარაღის აკრძალვის მომხრეთა რიცხვი ხალხის დიდ უმრავლესობას შეადგენს, თუმცა ეს თავის გამოხატულებას ვერ ჰპოულობს გენერალურ ასამბლეაში.

რაც უფრო დაჟინებით წინააღმდეგობას გაუწევენ აგრესიული ელემენტები ატომური იარაღის აკრძალვას, მით უფრო გაღრმავდება გათიშვა ერთი მხრივ აგრესიისა და იმპერიალიზმის ძალებსა და მეორე მხრივ იმ ძალებს შორის, რომლებიც იცავენ საყოველთაო მშვიდობისა და დემოკრატიის განმტკი-

ცების საქმეს. აქედან გამოდის, რომ საერთაშორისო საზოგადოებრივ აზრში ყოველდღე გაიზრდება ატომური იარაღის მომხრეთა იზოლაცია. აქედან აგრეთვე გამოდის, რომ საბჭოთა კავშირი, რომელიც სათავეში უდგას ბრძოლას დანაშაულებრივი ატომური იარაღის აკრძალვისათვის, სათავეში უდგას ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხს, სათავეში უდგას მთელი მსოფლიოს მოწინავე ადამიანებს. **(ხანგრძლივი ტაში).**

მეორე მსოფლიო ომამდე კაპიტალისტური სამყარო გაყოფილი იყო ბურჟუაზიული დემოკრატიის ქვეყნებად და ფაშიზმის ქვეყნებად. მაშინ აგრესიის წამომწყებთა როლს ასრულებდნენ ფაშისტური და მილიტარისტული ქვეყნები — გერმანია, იტალია და იაპონია, რომლებმაც შეჰქმნეს ეგრეთწოდებული ანტიკომინტერნული ბლოკი. სწორედ მათ გააჩაღეს მეორე მსოფლიო ომი, რომელიც ყველა ფაშისტის სამარცხვინო მარცხით დამთავრდა.

საბჭოთა კავშირი მეორე მსოფლიო ომამდე დიდი ხნით ადრე მოუწოდებდა ყველა არააგრესიულ ქვეყანას გაერთიანებულიყვნენ ფაშისტური აგრესიისათვის წინააღმდეგობის გასაწევად და ყოველთვის ჰგმობდა ცალკეულ დიდ სახელმწიფოთა გარიგებებს აგრესიულ ფაშისტურ ქვეყნებთან სხვა მშვიდობისმოყვარე ხალხთა ხარჯზე, მსგავსად მიუნხენის სამარცხვინო შეთანხმებისა ჩეხოსლოვაკიის ხარჯზე.

როცა მეორე მსოფლიო ომი დაიწყო, საბჭოთა კავშირს არ დასჭირებია თავისი პოლიტიკის შეცვლა ინგლისთან და ამერიკის შეერთებულ შტატებთან ერთად ანტიჰიტლერულ კოალიციაში შესვლისას. ეს იყო იმ საგარეო პოლიტიკის ბუნებრივი განგრძობა, რომელსაც საბჭოთა მთავრობა მეორე მსოფლიო ომამდე ახორციელებდა.

მრისხანე საფრთხე, რომელიც ევროპას, და არა მარტო ევროპას, დაემუქრა ფაშისტური გერმანიისა და აგრესიული იაპონიის მხრივ მათი სულელური გეგმებით მსოფლიო ბატონობისა და ყველა იმათი განადგურების შესახებ, ვინც ამ სახელმწიფოებს წინააღმდეგობას გაუწევდა, აიძულა ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეები გაერთიანებულიყვნენ საბჭოთა კავშირთან აგრესიისა და ფაშიზმის ძალების წინააღმდეგ. სსრ კავშირის და დემოკრატიული ქვეყნების ამ კავშირის შედეგად მოპოვებულ იქნა გამარჯვება აგრესიულ სახელმწიფოებზე და მიღებულ იქნა დიდმნიშვნელოვანი შეთანხმებანი ომისშემდგომი მოწყობის შესახებ.

საბჭოთა კავშირი ახლაც დგას ამ შეთანხმებათა ბაზაზე, რომლებიც მიმართულია დემოკრატიის ინტერესების დაცვისაკენ და ახალი აგრესიის აღკვეთისაკენ. საბჭოთა კავშირი კანონიერად მოითხოვს, რომ ეს შეთანხმებანი სრულდებოდეს ნამდვილად და რომ ამასთან დაკავშირებით წამოჭრილი ახალი საკითხები გადაიჭრას აგრეთვე დაინტერესებულ სახელმწიფოთა ურთიერთშეთანხმებით. ვერავინ ვერ უარჰყოფს საბჭოთა მთავრობის სტალინური საგარეო პოლიტიკის თანმიმდევრობას და იმას, რომ იგი სავსებით შეესაბამება საერთაშორისო უშიშროების ინტერესებს.

მთელი საქმე ის არის, რომ მეორე მსოფლიო ომის დამთავრების დროიდან ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის მმართველი წრეების პოლიტიკაში ისეთი ცვლილებები მოხდა, რომლებიც ნამდვილად მოასწავებენ უარის თქმას სსრ კავშირთან ერთად დადებულ შეთანხმებებზე, რომლებიც მიმართულია ომის შემდეგ მტკიცე დემოკრატიული მშვიდობის დამყარებისაკენ,

და გამოხატავენ ამ წრეების მისწრაფებას თავს მოახვიონ სხვა ქვეყნებს თავიანთი — იმპერიალისტური მშვიდობა, რაც შეუთავსებელია სახელმწიფოთა ანტიჰიტლერული კოალიციის განმათავისუფლებელ მიზნებთან.

ისინი ალბათ ფიქრობენ, რომ მას შემდეგ, რაც მათთვის სამხედრო საშიროებამ განვლო, შეუძლიათ უგულებელჰყონ ძველი შეთანხმებანი სსრ კავშირთან და ანგარიში არ გაუწიონ მათს არსებობას. ამ ქვეყნების მმართველ წრეებში ცოტა როდია იმის მსურველი, რომ ხელი მოჰკიდოს თავისი დამპყრობლური გეგმების განხორციელებას, რომლებიც მიმართულია ინგლისამერიკის ბლოკის მსოფლიო ბატონობის დამყარებისაკენ. ისინი ფიქრობენ, რომ გერმანიასა და იაპონიაზე გამარჯვების შემდეგ გაწმენდილია ასპარეზი ყველა სხვა ხალხზე ბატონობის მათი გეგმების განსახორციელებლად, თუმცა ამის თქმა აშკარად არ შეუძლიათ. სულ უფრო მზარდი ხმაურითა და ღრიანცელით იმპერიალისტური წრეების პრესა თავს ესხმის ჩვენს ქვეყანას, რადგან ყველასათვის ცნობილია, რომ საბჭოთა კავშირი იმპერიალიზმის დამპყრობლური გეგმების შეურიგებელი მოწინააღმდეგეა.

ამის შემდეგ გასაგები ხდება, თუ რატომ ირღვევა ყოველ ნაბიჯზე საბჭოთა კავშირის მონაწილეობით მიღებული უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო შეთანხმებანი, და რომ, მაგალითად, ბერლინის საკითხი, მიუხედავად სსრ კავშირსა, ამერიკის შეერთებულ შტატებსა, ინგლისსა და საფრანგეთს შორის მიღწეული შეთანხმებისა, გადაუჭრელი რჩება.

ამხანაგმა სტალინმა ღრმად განმარტა ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის მმართველი წრეების ეს პოლიტიკა.

„საქმე ის არის, რომ აგრესიული პოლიტიკის სულისჩამდგმელებს ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ინგლისში თავი არ მაჩნიათ დაინტერესებულად სსრ კავშირთან შეთანხმებითა და თანამშრომლობით. მათ უნდათ არა შეთანხმება და თანამშრომლობა, არამედ ლაპარაკი შეთანხმებასა და თანამშრომლობაზე, რათა ჩაშლიან რა შეთანხმებას, ბრალი დააკისრონ სსრ კავშირს და ამით „დაამტკიცონ“ სსრ კავშირთან თანამშრომლობის შეუძლებლობა. ომის გამჩაღებლებს, რომლებიც ისწრაფვიან გამოიწვიონ ახალი ომი, ყველაზე უფრო ეშინიათ სსრ კავშირთან შეთანხმებისა და თანამშრომლობისა, ვინაიდან სსრ კავშირთან შეთანხმების პოლიტიკა ძირს უთხრის ომის გამჩაღებელთა პოზიციებს და უსაგნოს ხდის ამ ვაჟბატონთა აგრესიულ პოლიტიკას“.

ამხანაგმა სტალინმა განსაზღვრა ეს პოლიტიკა და სთქვა. რომ „ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის ახლანდელ ხელმძღვანელთა პოლიტიკა არის აგრესიის პოლიტიკა, ახალი ომის გაჩაღების პოლიტიკა“.

ამ თვალსაზრისით გასაგები ხდება თუ რატომ იქმნება დედამიწის ყველა ნაწილში ახალ-ახალი ამერიკული სამხედრო ბაზები, რატომ სურთ ამერიკის ხელისუფალთ იყოლიონ თავიანთი ჯარები ბევრ ქვეყანაში, რატომ გაიბერა წელს ამერიკის სამხედრო ბიუჯეტი ომიანობის დროის ოდენობამდე და თერთმეტჯერ უფრო მეტია, ვიდრე იყო იგი მაგალითად, ომამდელ 1940 წელს. ამ თვალსაზრისით გასაგებია ისიც, თუ რატომ ინარჩუნებენ დღემდე ვაშინგტონში მეორე მსოფლიო ომის დროს შექმნილ ინგლის-ამერიკის სამხედრო შტაბს, რომელიც, როგორც ამერიკელი, ისე ინგლისელი ხალხისაგან საიდუმლოდ ამუშავებს აგრესიის ახალ გეგმებს.

უკანასკნელ დროს განსაკუთრებით დიდი ხმაურია დასავლეთ სახელმწიფოთა ყოველგვარი „კავშირებისა“ და „ბლოკების“ შექმნის გარშემო, თუმცა მათ არც ერთი სხვა სახელმწიფო არ ემუქრება. მთელ ამ აურზაურს „დასავლეთის კავშირების“, „ატლანტის კავშირების“, „ხმელთაშუა ზღვის ბლოკებისა“ და სხვათა გარშემო, ფარავენ თავდაცვითი დეკლარაციებით, რომლებითაც შეიძლება მოატყუონ მხოლოდ უაღრესად გულუბრყვილო ადამიანები. ნამდვილად ეს „კავშირები“ და „ბლოკები“ მიზნად ისახავენ ახალი აგრესიის მომზადებას და ახალი ომების გაჩაღებას, რომლებითაც დაინტერესებული არიან ესა თუ ის მმართველი წრეები და არა ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის ან რომელიმე სხვა ქვეყნის ხალხები. რაც შეეხება ინგლისსა და საფრანგეთს, ისინი ამ ქვეყნების მიერ სსრ კავშირთან დადებული მეგობრობისა და ურთიერთდახმარების პაქტების წინააღმდეგი არიან.

ამხანაგმა სტალინმა თავისი გადამწყვეტი სიტყვა სთქვა იმის შესახებ, თუ რით შეიძლება დამთავრდეს ახალი ომის გამჩაღებელთა პოლიტიკა. მან სთქვა:

„ეს შეიძლება დამთავრდეს მხოლოდ ახალი ომის გამჩაღებელთა სამარცხვინო მარცხით. ჩერჩილმა, ახალი ომის მთავარმა გამჩაღებელმა, უკვე მიაღწია იმას, რომ დაჰკარგა თავისი ერისა და მთელი მსოფლიოს დემოკრატიული ძალების ნდობა. ასეთივე ბედი მოელის ომის ყველა სხვა გამჩაღებელს. ხალხთა ხსოვნაში მეტად ცოცხალია ამასწინანდელი ომის საშინელებანი და მეტად დიდია საზოგადოებრივი ძალები, რომლებიც მხარს უჭერენ მშვიდობას, და ჩერჩილის მოწაფეებს აგრესიის დარგში არ ძალუძთ მათი დაძლევა და ახალი ომისაკენ მიბრუნება“.

ამხანაგ სტალინის განცხადებამ გამომაფხიზლებლად უნდა იმოქმედოს. ეს განცხადება ცხადჰყოფს, რომ ანტისაბჭოთა ინტრიგებს, რომლებსაც ახლა მიმართავენ ახალი ომის გამჩაღებელთა სხვადასხვა აგენტები, საბჭოთა კავშირი და მთელი მსოფლიოს დემოკრატიული ძალები ფხიზლად ადევნებენ თვალყურს. (ტაში). ყველასათვის ცნობილია, რომ ასეთ ამბებს დღის სინათლე არ უყვარს, მაგრამ განვლო იმ დრომ, როცა ხალხები ამა თუ იმ მმართველი ხროვის ბრმა იარაღი იყვნენ. (ტაში).

2 ნოემბერს ამერიკის შეერთებულ შტატებში მომხდარმა არჩევნებმა გამარჯვება მოუტანეს დემოკრატიულ პარტიას და პრეზიდენტ ტრუმენს, რესპუბლიკური პარტიისა და დიუის მარცხი, რომლებიც არჩევნებში გამოდიოდნენ აშკარად რეაქციული და ყველაზე აგრესიული პროგრამით, ცხადჰყოფს, რომ ამერიკელი ხალხის უმრავლესობა ამ პროგრამას უარჰყოფს.

მეორე მსოფლიო ომმა, რომელიც ფაშიზმის განადგურებით დამთავრდა, გამოიწვია არსებითი ცვლილებანი ევროპაში, და არა მარტო ევროპაში.

განმტკიცებული საბჭოთა კავშირის ხვედრითი წონა საერთაშორისო საქმეებში ახალ სიმაღლეზე ავიდა. სოციალიზმის გზას დაადგნენ სახალხო დემოკრატიის მთელი რიგი ქვეყნები, რომლებთანაც სსრ კავშირი მეგობრობისა და ურთიერთდახმარების კავშირით არის დაკავშირებული. იუგოსლავიის ხელმძღვანელი ნაციონალისტური ჯგუფის გამცემლობამ დიდი ზიანი მიაყენა თავის ხალხს, მაგრამ შეიძლება ეჭვი არ ვიქონიოთ, რომ იუგოსლავიის კომუნისტური პარტია, თავის ინტერნაციონალისტურ ტრადიციებზე დაყრდნობით, გამონახავს გზას, რომ იუგოსლავიამ შესძლოს კვლავ შევიდეს ერთსულოვან ოჯახში, რომელიც აერთიანებს სსრ კავშირსა და ახალი დემოკრატიის ქვეყნებს, (ტაში).

გაიზარდნენ და განმტკიცდნენ კომუნისტური პარტიები ევროპის ქვეყნებში. ფაშიზმის განადგურებამ დიდი შესაძლებლობა შეჰქმნა მთელი დემოკრატიული და ანტიიმპერიალისტური ბანაკის ძალთა ზრდისა და დარაზმვისათვის.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ძირეულად შეიცვალა აგრეთვე მდგომარეობა აზიაში. დედამიწაზე არსებული ორი და ერთი მეოთხედი მილიარდი ადამიანიდან, აზიის მოსახლეობა შეადგენს ერთ მილიარდ ორას მილიონ კაცს. ახლა აზიის ხალხები ამოძრავდნენ და ამ მოძრაობაში სულ მეტ როლს ასრულებენ სახალხო განმათავისუფლებელი ძალები. მხოლოდ კაცობრიობის პროგრესის უბოროტეს მტრებს შეუძლიათ შეაფერხონ ეს სახალხო განმათავისუფლებელი მოძრაობა.

ასეთია ისტორიის შემტევი აღმავალი მსვლელობა.

იმპერიალიზმის საყრდენები სულ უფრო ინგრევა და არასაიმედო ხდება. ამავე დროს იზრდებიან და ირაზმებიან დემოკრატიის, მშვიდობისა და სოციალიზმის ძალები.

ამ პირობებში იმპერიალისტური ძალები სულ უფრო ხშირად აგებენ თაკიანთ ვარაუდს საკუთარი პოლიტიკის აგრესიულობის გაძლიერებაზე, ომის ისტორიისა და სხვა ატმოსფეროს შექმნაზე. ეს ხერხები კარგად არის ცნობილი.

რამდენადაც უფრო მეტს იხმაურებენ ახალი ომის გამჩაღებელი ვაჟბატონები მით სულ უფრო ჩამოიშორებენ მილიონობით უბრალო ადამიანს ყველა ქვეყანაში და მით უფრო მალე მოხდება ამ ვაჟბატონთა საერთაშორისო იზოლაცია. ამავე დროს მშვიდობისა და დემოკრატიის მომხრეთა საერთაშორისო ბანაკი, რომლის ავანგარდშიც სსრ კავშირი დგას, სულ უფრო მტკიცდება და დიდ ურყევ ძალად იქცევა. **(ხანგრძლივი ტაში).**

*
* *

ჩვენი ქვეყანა ახალ აღმავლობას განიცდის. ეს აღმავლობა ჩანს სამეურნეო წარმატებებით, კულტურული მუშაობის მასშტაბითა და შინაარსით, საბჭოთა ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობით, საბჭოთა ხალხისა, რომელიც ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე ავიდა. წლითიწლობით იზრდებიან საბჭოთა ხალხის ძალები, სულ უფრო მაღლდება სსრ კავშირის საერთაშორისო ავტორიტეტი და ძლიერდება მისი გავლენა საერთაშორისო საქმეებში, რაც ადასტურებს ჩვენი პარტიის პოლიტიკის სისწორეს. ამის შესაბამისად, სტალინური საგარეო პოლიტიკა გამსჭვალულია ურყევი თანმიმდევრულობით და ხვალინდელი დღის მტკიცე რწმენით.

ჩვენს წარმატებებს უნდა ვუმადლოდეთ ბოლშევიკურ პარტიას ლენინისა და სტალინის ხელმძღვანელობას. **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

როცა 1917 წლის ზაფხულში, სამხედრო დამარცხებათა და სამეურნეო მოშლილობის პერიოდში ჩვენმა მოწინააღმდეგეებმა განაცხადეს, რომ რუსეთში არ არის ისეთი პოლიტიკური პარტია, რომელიც დასთანხმდეს და ხელში აიღოს მთლიანად სახელმწიფო ძალაუფლება, ვლადიმერ ილიას-ძე ლენინმა მაშინვე უპასუხა, რომ არის ასეთი პარტია, რომ „ჩვენი პარტია უარს არ ამბობს ამაზე: იგი მზად არის ყოველ წუთს ხელში აიღოს მთელი ძალა-უფლება“.

იმავე წელს ბოლშევიკური პარტია, რომელიც მაშინ თავის რიგებში სულ 240 ათას წევრს ითვლიდა, სათავეში ჩაუდგა ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციას და ჩვენი სამშობლო მიიყვანა სახალხო, საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებამდე. **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

ამის შემდეგ ბოლშევიკურმა პარტიამ ჩვენი ქვეყანა გამოიყვანა იმპერიალისტური ომიდან, მემამულეთა მიწები გადასცა გლეხებს და გააქარწყლა წინააღმდეგობის ცდა კაპიტალისტებისა და მემამულეების მხრივ. მაშინვე მოპოვებულ იქნა გამარჯვება უცხოელ ინტერვენტებზე, რომლებმაც შეჰქმნეს მარიონეტული „კავშირი 14 სახელმწიფოსი“ და რომლებიც დამარცხებულ იქნენ რუსეთში ბურჟუაზიულ-მემამულური ხელისუფლების აღდგენის თავიანთ ცდებთან ერთად.

ამის შემდეგ ბოლშევიკური პარტიის მთავარი ამოცანა იყო დაეძლია მეურნეობის მოშლილობა, რაც გამოწვეული იყო გაჭიანურებული სამოქალაქო ომით. ჩვენი მტრები ამბობდნენ: „ბოლშევიკებს მხოლოდ ნგრევა შეუძლიათო“. რამდენჯერ დაუფიცნიათ მათ რომ, თუ მემამულეები და კაპიტალისტები არ იქნენ, შეუძლებელია სახალხო მეურნეობის აღდგენაო. ლენინ-სტალინის პარტიამ ამაზე უპასუხა სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის ბოლშევიკური გეგმით, ძლევამოსილი სტალინური ხუთწლედებით, რომლებმაც გარდაქმნეს ჩვენი ქვეყანა. **(ტაში).**

ამის შემდეგ იწყეს წინასწარმეტყველება, „ბოლშევიკები კისერს მოიტეხენ გლეხთა საკითხზეო“, რომ შეუძლებელია სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნაო. ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით ბოლშევიკურმა პარტიამ გადასჭრა ეს ამოცანაც, განახორციელა კულაკობის, როგორც კლასის ლიკვიდაცია, მრავალი მილიონი გლეხური მეურნეობის კოლექტივიზაცია და შეჰქმნა წინათ უმაგალითო წინამძღვრები სოფლის მეურნეობის აღმავლობისა და გლეხობის ყოფაცხოვრების ძირეული გაუმჯობესებისათვის. ამ გარდაქმნათა შედეგად ჩვენ იმას მივაღწიეთ, რომ მუშათა და გლეხთა კავშირი ავიდა უმაღლეს საფეხურზე და გადაიქცა სოციალისტური საზოგადოების მორალურ-პოლიტიკურ ერთიანობად, რისი მაგალითიც მსოფლიო ისტორიამ არ იცოდა. **(ხანგრძლივი ტაში).**

ამ ამოცანების განხორციელებისას პარტია არაერთგზის შეხვედრია წინააღმდეგობას კლასობრივი მტრების აგენტების მხრივ განსაკუთრებით ტროცკისტებისა და ბუხარინელების მხრივ, რომელთაგანაც გაიწმინდა ბოლშევიკური პარტია და უფრო განმტკიცდა და უფრო დაირაზმა ამხანაგ სტალინის გარშემო. **(მქუხარე ტაში).**

ყველას ახსოვს დიდი სამამულო ომის ამბები. სტალინი სათავეში ჩაუდგა ჩვენი სამშობლოს დაცვის საქმეს და ხელში აიღო ჩვენი ქვეყნის შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელობა — და საბჭოთა ხალხმა მოიპოვა გამარჯვება გერმანიის ფაშიზმსა და მის მოკავშირეებზე. ფიქრობდნენ, გამოიფიტება და დასუსტდება სსრ კავშირიო, იგი კი უფრო განმტკიცდა, დიდი სამამულო ომის დროს. ვარაუდობდნენ, ომის შემდეგ საბჭოთა კავშირი დამოკიდებული აღმოჩნდება მთავარ კაპიტალისტურ სახელმწიფოებზეო, ხოლო საბჭოთა კავშირი, როგორც წინათ, ახორციელებს თავის დამოუკიდებელ სტალინურ საგარეო პოლიტიკას და ხელმძღვანელობს საბჭოთა ხალხისა და საერთაშორისო უშიშროების ინტერესებით. **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

ომი დამთავრდა. ჩვენ მოგვეცა შესაძლებლობა შევდგომოდით მშვიდობიან შრომას. საბჭოთა კავშირი გადაჭარბებით ასრულებს თავის ახალ, ომისშემდგომ ხუთწლედს. აღმავლობაა სხვა ქვეყნებშიც, რომლებიც სოციალიზმის გზას დაადგენ. ახლა გაბატონებულ ბურჟუაზიულ წრეებში გავრცელდა ყოველგვარი უაზრო „შიში“ — შეშინებული არიან ჩვენი წარმატებებით, ეშინიათ სსრ კავშირის სულ უფრო მზარდი ეკონომიური აღმავლობისა. რა თქმა უნდა, ეს ვერ აიძულებს საბჭოთა ხალხს შეასუსტოს თავისი შრომითი ღონისძიებანი, არამედ, პირიქით, უფრო აღაფრთოვანებს ჩვენი ქვეყნის მილიონობით მშრომელს — მუშებს, კოლმეურნეებს, საბჭოთა ინტელიგენციას, ჩვენს ახალგაზრდობას.

რა არის ჩვენი ახალ-ახალი წარმატების საფუძველი? შეიძლება მოკლედ ვუპასუხოთ ამ კითხვაზე. ჩვენი წარმატებათა საფუძველია ბოლშევიკური პარტიის, დიდი სტალინის ხელმძღვანელობა, რამაც მუშათა კლასი და მშრომელი გლეხები დარაზმა სოციალიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში. **(მქუხარე, ხანგრძლივი ოვაცია).**

არის კაპიტალისტური ქვეყნები, სადაც ცოტა სიმდიდრე და ადამიანთა გამოცდილება როდია დაგროვილი, სადაც არის ბუნებრივი რესურსები და ბევრი სხვა რამ. მაგრამ კაპიტალიზმის დრომოჭმული სისტემა, მისი კერძო საკუთრება და წარმოების ანარქია, მისი სოციალური და პოლიტიკური ანტაგონიზმები და კრიზისები, რომლებიც მას სწეწავენ, ამ ქვეყნებს უმზადებენ არასიმტკიცესა და კატასტროფულ მარცხებს, პერიოდულ ქანაობასა და რევოლუციურ რყევას.

სულ სხვა მდგომარეობაა საბჭოთა კავშირში, სადაც განმტკიცდა სოციალისტური საზოგადოებრივი წყობილება, რომელიც წარმოადგენს ჩვენი სახელმწიფოს ძალების ზრდის, საბჭოთა ადამიანების შრომითი ენთუზიაზმისა და სულიერი აღმავლობის უშრეტ წყაროს. ჩვენს ქვეყანაში როგორც დიდ, ისე ყოველ მცირე საქმეში ჩანს წარმმართველი და მამობილიზებული ნება კომუნისტური პარტიისა, რომელმაც არ იცის, თუ რა არის გადაულახავი დაბრკოლებანი. **(ხანგრძლივი ტაში).**

ოქტომბრის რევოლუციის ისტორიამ შეამოწმა და გამოაწრთო ჩვენი პარტიის ლენინურ-სტალინური ხელმძღვანელობა, რომელმაც საბჭოთა ხალხის უსაზღვრო ნდობა და სიყვარული მოიხვეჭა. ჩვენმა ხალხმა თავისი საპატიო ისტორიული ადგილი დაიკავა სხვა ხალხთა შორის და დაამტკიცა, რომ კომუნისტური პარტიისა და დიდი სტალინის ხელმძღვანელობით მას ძალუძს შეასრულოს ახალ-ახალი დიადი საქმეები. **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

გაუმარჯოს ჩვენს საბჭოთა სამშობლოს — ჩვენი ქვეყნის ხალხთა მეგობრობისა და დიდების ბურჯს! **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

გაუმარჯოს დიად პარტიას ბოლშევიკებისას, ლენინ-სტალინის პარტიას, ბრძოლებში გამობრძმედილ საბჭოთა ხალხის ავანგარდს, ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს! **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

ლენინის დროშით, სტალინის წინამძღოლობით წინ — კომუნიზმის გამარჯვებისაკენ! **(მქუხარე ოვაცია, რომელიც დიდხანს არ სწყდება. ყველანი ფეხზე დგებიან. შეძახილები: „გაუმარჯოს ჩვენს მშობლიურ ამხანაგ სტალინს!“, დიდ სტალინს ვაშა!“, „გაუმარჯოს ჩვენს დიდ სოციალისტურ სამშობლოს!“).**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კონსტანტინე გამსახურდია

დავით აღმაშენებელი

ტრილოგია

კარი მესამე

★

I

„დაუბრუნე ირმები ტყეებს!“

გიორგობას აღლუმი უნდა შემდგარიყო შაორის მთის სანახებში, მეფის სახელით წვევის წიგნნი გაუგზავნეს გიორგი ჭყონდიდელს, გეგუთში, შერგილ ლიპარტიანს, ბეშქენ ჯაყელს, ფარჯანიანს, აზნაურ მოჯინეველს, ფანასკერტის ციხისთავს.

უსპოდ იყვნენ ნახმობნი ჰერეთელნი დიდებულნი ბარამ არიშიანი და ქავთარ ბარამიძე.

მეფეს განზრახული ჰქონდა ახლა შთიანეთის პირობებში გამოეცადა სპათა ამტანობა, ცხენთა გამძლეობის უნარი, ქარაფებზე აღმართულ ციხეთა შემოწყობა, ლოდსატყორცნების, ტარანებისა და ვერძების გამოყენება ახლადშემოკრეფილ მონასპათათვის.

მოეწყო სასინჯი იერიშები როგორც ციხეებზე გარედან მისატანი, ისე გოდოლების, გალავნებისა და ბლისკინების დასაცავი. ბერძნული ცეცხლის, საგორავების გამოყენება და მდუღარის დაშენა ციხის გარემომცველთა მიმართ.

შაორიდან ბირთვისს უნდა წამოეყვანა ეს ლაშქარი მეფეს და ეჩვენებინა სავსებით მიუვალი ციხის აღების შაგალითები.

ბირთვისი მოუვლელი დარჩათ ბალუაშ-ორბელიანებს, რადგან თურქთაგან შევიწროებას არ განიცდიდნენ ისინი, გარდა ამისა ამ ციხის მომარაგება სჭირდა მისი სივრცისა, სიდიდისა და სიმაღლის გამო.

მანდაურ მკაცრ ბუნებას ვერ უძლებდნენ მეციხოვნენი ზამთარში, არც ლიპარიტისძეთ გააჩნდათ იმდენი სახსარი, ციხეონი ნიადაგ შეენახათ მანდა, ამიტომაც მოუვლელი და უკაცრიელი დარჩა ბირთვისი.

დავით მეფე მთელ წელიწადს იღვწოდა შეეკეთებინა ამ უზარმაზარი ციხე-ქალაქის მისადგომთა გოდოლები, ქვითკირის კარი-ზჭენი, წყლის მილები, თანგირები და წყალთა შემკრები აუზები, რომელშიაც ინახავდნენ წვიმის წყალს, იმ შემთხვევაში, როცა მტერი ხანგრძლივად შემოეწყობოდა ამ ციხეს.

თრიალეთის აღების უმალვე დავით მეფემ შეაკეთა ბირთვისი, ჩუხჩნი ჩააყენა იმ გოდოლებში, რომელნიც ჰკეტავენ ნახევარი ფარსანგის მანძილზე გავლებულ კლდეთა ნაპრალს.

ამ ნაპრალების გაყოლებით სულ ალმა და ალმა ადის ერთადერთი გზა, ბირთვისის ციხეების ზეგანზე ასასვლელი.

თავის დროზე ამაოდ ეცადა მალიქშაჰ სულტანი, როგორმე აეღო ბირთ-

ვისი და გაწბილებული უკუაქციეს იგი გიორგი მეფის სპათა.

ამიტომ უყვარდა დავით მეფეს ბირთვისი და ამ ციხის აღებაც უნდა ეჩვენებინა თავის სპარსალარებისა და სპათათვის მას.

„ალბათ ეგ იქნება უკანასკნელი აღლუმი, ჩვენო პატრონო“.

სთქვა ხმადაბლა მახარამ.

„ვითარებას გააჩნია, მახო, თუ გავიმარჯვეთ, შესაძლოა ვერც კი მოვიცალოთ აღლუმებისათვის, თუ არა და კვლავადაც არა ერთი დაგვჭირდება ალბათ“.

მალემსრბოლნი ლიხზედაც გადასულნი არ იქნებოდნენ, ისე ჩამოსთოვა თრიალეთის მთებზე.

მეფე უთენია დგებოდა, უგუნებოდ უთვალთვალებდა მოღუშულ ბუნებას, ჯერაც ფოთლები ზედ ესხა ჭადრებს, როცა თრიალეთის ბარსაც ეწვია ნაადრევი თოვლი.

ერთი კვირაც არ გასულა, ანთიმოზ ბერი ჩამოვიდა გეგუთიდან. ბიზანტიონიდან ახლადდაბრუნებული ნიანია ბაკურიანისა და გიორგი მეფის ბარათები ჩამოუტანა პატრონს.

მეფემ თავათ გახსნა გრაგნილი, ორგზის გადაიკითხა ნიანიას საკმაოდ ვრცელი პიტაკი ბიზანტიაში მომხდარ უკანასკნელ ამბების გამო.

მინაწერში იუწყებოდა ნიანია: გაზაფხულზე მარიამ დედოფალი აპირებსო ჩამოსვლას.

ხუფთაში მოუღწევია იერუსალიმელ ბერს, ფოჩოლიკაის, ჯონდი ერისთავის მიერ გამოგზავნილი წიგნი მოაქვსო თან.

ცნობისწადილი მოეძალა პატრონს: უკანასკნელი პიტაკი ჯონდი შამანისძისა ჯერ კიდევ გასულ ზაფხულს მოუვიდა ანტიოქიიდან.

იერუსალიმიდანო?

გაოცდა მეფე.

„ნუ თუ იერუსალიმი აიღეს ჯვაროსნებმა?“

შეესიტყვა მახარას.

„ჯონდის უკანასკნელი ბარათი ისე ნაღვლიანი და უსასოო იყო, შესაძლოა, მობეზრდა მას ჯვაროსან ლაშქართან ხეტიალი და თავათ წასულიყოს იერუსალიმს“.

მიუგო მახარამ და ისევ ნიანია ბაკურიანის მიერ გამოგზავნილ წიგნს დაუწყო ფურცლვა.

მეფემ სთქვა:

„ღმერთმა ინებოს, მშვიდობით დაგვიბრუნდეს ჯონდი, ეს ხეტიალი და წამება დია გამოადგება მომავალ ომებში, მახო“.

„არაფერია, ჩვენო პატრონო, ფოლადი რაც უფრო დიდხანს დაჰყოფს ბრძმედში, მით უფრო მტკიცე დადგება იგი.

ბუხრის პირად ჯერ აროდეს გაზრდილა სარდალი. მე იმას ვწუხვარ, დასძინა მახარამ, თავისი ძერასფერი ჯაჭვი რომ არ წაიღო ჯონდი ერისთავმა თან. შამინ ერისთავს სვიანად უტარებია იგი მრავალ ომში, მეფევ ბატონო“.

„ეჰ, ჩემო მახო, ჯაჭვი რა ბედენაა, ყველაზე საიმედო ჯაჭვი ბედისწერაა თავათ. მაჰმადს კარგად უთქვამს ამის გამო: მე მათ ვებრძოლები უჯაჭვოდ დღესა მას რისხვისას“.

მახარამ შენიშნა: „აფსუს, ნიანიაც თან რომ არ გაჰყვა შამან ერისთავის ვაჟს“.

მეფე მცირე ხანს შესცქეროდა სარკმლის გადაღმა მოცქრიალე ფთილებს თოვლისას და მერმე ბრძანა:

„ნიანია ბაკურიანს ეყო, რაც თავს გადახდა, სელჯუკიანებმა საკმარისად გაუმაგრეს სხეულის ოგები მას“...

*

* *

გიორგი ჭყონდიდელი მობრძანდებაო!

მხოლოდ ესა სთქვა ანთიმოზ ბერმა ლიპარიტის უბნის ეკლესიაში ნაწირ-

ვევს, და მთელს საერისთავოს მოედო ეს ხმა.

ჯერ არავის სმენია დავით მეფის სარდლების მისვლამოსვლა წინასწარ ცოდნოდა ვინმეს, მით უმეტეს გიორგი ჭყონდიდელისა.

ყველამ იცოდა: ორლესულ მახვილსავით რომ ხმარობდა დავით მეფე ჭყონდიდელის სახელს.

ავისმიმთხრობნი უფრო მეტს ამბობდნენ:

„როცა სათნოების გამოჩენა სწადია დავითს, მაშინ ჭყონდიდელის თეთრ წვერს ისაფრებს, რათა ლმობიერად არ მოეჩვენოს მტრებს, ხოლო როცა წურთვნა მოუნდება ვინმესი, ჭყონდიდელს წარუძღვანებს თავის სპას ქრისტეს ჯვრითა და ბაგრატეული მახვილით აღჭურვილს.

ჭყონდიდელი ომიცაა და ზავიცა“.

ჭყონდიდელი მობრძანდებაო!

ღელავდნენ აზნაურთაგანნი, ლიპარიტის მემხრენი.

„ომია თუ აღლუმი?“

ჩურჩულებდნენ თრიალეთელი მოხუცებული აზნაურები, იჭვნეულად გასცქეროდნენ გზებს თავთავიანთ ციხეკოშკების სამზერებიდან. . . .

*
* *

მახარამ წვრილად გამოკითხა გეგუთის ამბები ანთიმოზ ბერს.

მას ლიხზე გადმოესწრო და ჭყონდიდელის გამომგზავრების ზოგზოგი წვრილმანი გაიგო. წინა დღეს გეგუთშიაც მოეთოვა, შეძრწუნებულან მეფე გიორგი და დიოფალი ელენე, არ უნდოდათ ავდარში გამოეშვათ მოხუცი, იგიც ზეკარის უღელტეხილზე.

მეფე გიორგი ეევედრა თურმე ჭყონდიდელს, თუ წასვლაა, ლიხით მაინც იარეთო, არა ჰქნა თურმე მამაი გიორგიმ: პატრონის ნაბრძანი აგეთია, ზეკარით უნდა გადავიდეთ ჯავახეთში და ბეშქენ ჯაყელი თან უნდა წავიყვანოთო.

ბეშქენ ჯაყელის ხსენებამ დაბეჭვა თურმე გიორგი მეფე.

„რა დროს აღლუმია ვეეო გიორგობის თვეში!“

გიორგი მეფე დამწუხრებული აუწყებდა დავითს, იოანე მაგისტრის დაღუპვას, კონსტანტინე პორფიროგენიტოსის და მის მემხრეთა გეგმების დაფუშვას. არც იმას მალავდა თუ როგორ განქარდა მისი „უკანასკნელი სასო“, კონსტანტინეს მიერ კეისრის ტახტის მიტაცებაზე დამყარებული.

დავითმა მახარას დაუბრუნა გრაგნილი და სთქვა:

„ამით მოეღება ბოლო „ბიზანტიელი სიძეების“ შემყურე დიდაზნაურთა ოცნებასაც, მახო“.

წერილის კიდეზე დიოფალ ელენეს ხელით მიწერილი იყო: „გეევედრები, შვილო, გაზაფხულისთვის გადასდო აღლუმი“.

*
* *

თოვდა ლიპარიტის უბანშიც...

ლიპარიტელები ღმერთს ეევედრებოდნენ, რაც შეიძლება დიდი, დიდი თოვლი მოსულიყო, რათა ომიც ჩაფარცხოდა მეფეს და აღლუმის გამართვაც.

ეუბნებოდა იოანე დუკისძე ევტიხი ბერს:

„რომელი აღლუმი, აღლუმი ხომ გამართა შარშან დავით მეფემ ტასის კარში“.

„ომი იქნება, ომი“, მიუგო დუკისძეს ევტიხი ბერმა.

„წუხელის ვნახე კვირაცხოველის ეკლესიიდან უცნაური ანაგობის ცთომილი, სწორედ ისეთი, როგორც ვარსკვლავი დოკიდა, რომლის გამოჩენას მოჰყვა რობერტ გვისკარამდის შემოსევა ბიზანტიაში“.

*
* *

არიან ადამიანები, რომელთაც ტყუილისადმი მიდრეკილება მოსდგამთ ბუნებით, ასეთნი ვერ ეგუებიან არსებულს და თანადროულობაზე გულამრეზილნი, თავის მიერ შეთხზული ტყუილით ინუგეშებენ ხოლმე თავს.

ერთნი ერთობიან ტყუილის გამოგონებით, ზოგს ანგარება უკარნახებს ამას, მათ აგრე ეოცნებებათ, თითქოს არსებული შეიცვლებოდეს კიდევაც მათ მიერ შენათხზი ტყუილის თარგზე და მათთვის ხელსაყრელი ვითარება დამყარდებოდეს.

ევტიხი ბერმა ხმა დააგდო: ნიანია ბაკურიანსაც დაუმოწმებია კონსტანტინე დუკას ტახტზე ასვლის ამბავი. შვიდი გალერა დაუტვირთავს ახალ კეისარს სპითა, ნიანიას თან ჩამოუყვანია ისინი, ეს მონასპანი არგვეთის ციხეებში ჩაუყენებია ჭყონდიდელს.

ახლა გიორგი ჭყონდიდელს, შერგილ ლიპარტიანსა და ბეშქენ ჯაყელს მოჰყავთ იმერთა და სამცხელთა ლაშქარნი.

ამ ამბებით გულმოცემული მეფე სელჯუკიანებს ომს გამოუცხადებს, მაგრამ უთუოდ დამარცხდება, სულტან ბარქიაროკი თრიალეთს აიღებს, ლიპარიტს ბორკილს აჰყრის. და საერისთაოს ბაღუაშ-ორბელიანებს დაუბრუნებსო.

ევტიხის სიბერე კარზე ადგა, ხელმოცარული ბერი ამას ოცნებობდა, მამისეული ხელობა მოემარჯვებინა: გამარჯვებული ერისთავისათვის ფეხების ფხანა.

*
* *

დავით მეფე მოუთმენლად ელოდა ჭყონდიდელსა და სპასალარებს, ნაღვლობდა იდუმალ: ნეტავ არ მეხმოვო გიორგი ჭყონდიდელი ამჯერად. მალემსრბოლებს აგზავნიდა ჯავახეთისკენ, მაგრამ მათგან ბაიბური არ ისმოდა.

*
* *

თოვდა თრიალეთურად და უხვად...

მახარა გამოჰკითხავდა მოხუცებს: „ასე ადრიანი და აგრე ხვავიანი დიდი თურქობის შემდეგ აღარავის ხსოვნებია“.

„სწორედ ასეთი ადრიანი თოვლი დასდო იმ წელს, როცა თურქის სარანგი მოვიდა ალგეთში. გაქცეულ თურქებს ინდოურის ჭუკივით იჭერდნენ სამეფოის სპანი“.

ამბობდა მესაწოლეთუხუცესი, ქარსანისძე.

*
* *

ყველაზე მეტად ღელავდა კატაი, დედისიმედის ნაამბობიდან მან ბუნდოვანად იცოდა, ჭყონდიდელის მოსვლას უნდა აეყარა ლიპარიტისათვის ბორკილი, მისი ქალის ბედიც მასვე უნდა გადაეწყვიტა.

თვით კირიონ მანგლელსაც არ უმხელდა ამ ამბავს, რაკი მთლად დარწმუნებული არ იყო ყოველივე ამაში, რადგან ბაგრატოვანთაგან სიკეთის მომლოდინე არასოდეს ყოფილა იგი.

იდუმალად მაინც ამზადებდა საკლავებს მომავალი სტუმრების ჯეროვანად შესახვედრად. ღელავდა და ელოდა, მაგრამ თოვდა და ამბის მომტანიც ჯერ არსაიდან სჩანდა. . . .

ერთი მზგეფსიც გამოხდა და მღელვარება შეეპარა გულით უძრავ დავით მეფესაც.

თოვდა ისე დაუცხრომლად და დაქინებით, ეთერში გაიქნენ რძისფერი ცარგვალის კიდეებზე აზვინული მთები თრიალეთისა, ზვავები მოსქდნენ

მწვერვალებიდან, ღამღამობით ხეობებიდან მოისმოდა გრუხუნი.

მოზვავებულმა თოვლმა გაასწორა ბორცვები და გორმახები, ამოავსო ხრამები და ღარტაფები. თოვდა დაუცხრომლად, სხვილსხვილი ფრთილები სცვივოდნენ ისეთის სიუხვით მიწაზე, განსაკუთრებით ღამღამობით, ცაი ფეხად ჩამოდიოდა . . . . . .

უკვე ჩურჩულებდნენ ბნელისმომთხრობნი: ალბათ უგრძნეულო და უმტკივნეულო მეორედ მოსვლას გვიწყობს ღმერთი, რათა ძილნასვამ საუფლოს თვისას თოვლის წარღვნა მოუვლინოსო.

ევტიხი ბერი ამტკიცებდა: რაკი პირველი წარღვნა წყლისა იყო, ალბათ მეორე თოვლისა იქნება, განიხვნებიან საქანელნი ცისანი და თოვლში მოაშთობსო ადამის მოდგმას ღმერთი.

*
* *

უცნაურად აირია ნადირი და ფრინველი. ირმის ჯოგებმა დააგდეს ტყეები, საწყალობელი ბღავილით მოაწყდნენ ლიპარიტის უბანის ხვადაბუნებს, ციხე-კოშკებს, ეკლესიებს, მონასტრებს, წისქვილებსა და ბოსლებს.

მნათენი, მეწისქვილენი, მენახირენი და ჩუხჩნი ხელით იჭერდნენ ირმებს და მოჰყავდათ „ნებსითი ტყვენი“ პატრონთან.

ირმები ვეღარ ეტეოდნენ ლიპარიტისეული სასახლის თავლებსა და საჩიხეებში, ეკლესიისა და სასახლის ეზო გაივსო ირმის ჯოგებით.

ყოველ დილას ახალახალი დასტა ირმებისა მოჰყავდათ მენადირეებსა და ჩუხჩებს. თრთოდნენ, ცახცახებდნენ ბედშავნი, მათი სხეულისაგან ამდგარი ორთქლი ბურავდა სასახლის კარმიდამოს.

დილაადრიან გამოდიოდა თავის სამყოფლოდან მეფე, შორიახლოდან თვალს შეავლებდა ამ მშვენიერ ცხოველებს, ნაღვლიანად გაეყრებოდა მათ. ყველას უკვირდა: ეგზომ დიდი მოყვარული ნადირობისა, ნადირის ამ არნახული მოზღვავებისას ერთხელაც არ წასულა სანადიროდ.

ამაზედაც ამჩნევდა მახარა: ჭმუნავდა პატრონი იდუმალ, თავისი მზრდელის მღელვარე მოლოდინში, მაგრამ არავის უმხელდა ამას რადგან მეფეს არ სჩვევოდა წარამარა ჩივილი რაიმე სიმძიმილის გამო.

მხოლოდ ერთ საღამოს ეს უთხრა ძახარას:

„ბეშქენს, ნიანიას და შერგილს არა უშავთ რა, ვაჲ თუ მამაი გიორგი გაგვიცივდეს, მახო. სუბუქი გაცივება კიდევ არაფერი, ზვავებმა არ იმსხვერპლოს, ეგ მაფიქრებს მხოლოდ“.

დავით მეფეს არ უყვარდა გულხელდაკრეფილად ცდა მოსალოდნელი სიმძიმილისა.

შაბათ საღამოს, გვიანობამდის კითხულობდა. დაწვა, ისევ წამოდგა საწოლის დარბაზში ბოლთას სცემდა. მთელი ღამე თეთრად გაათენა, დაჯდებოდა ბუხრის პირას, ისევ კითხულობდა, წარამარა დგებოდა, სარკმელთან მიდიოდა, უთვალთვალებდა ცას, ეგებ გადაიკაროსო როგორმე.

თოვდა და ბარდნიდა დაუცხრომლად, ლიპარიტის სასახლის გალავანი ეფლებოდა თოვლში, ძლივს დაბობღავდნენ დათოვლილი გუშაგები მის სარკმელთა გასწვრივ, ხვნეშოდნენ და ფრუტუნებდნენ ირმები. . . .

ხანაც ისმოდა საწყალობელი ბღავილი ბნელში და მოჰყვებოდა ერთობლივი ფრუტუნი ჯოგისა.

უთენია წამოდგა მეფე.

ქარიმან სეტიელი იხმო და უბრძანა: სამასი უმამაცესი ჩუხჩი აღეჭურვათ თხილამურებითა და ნიჩბებით და ჯავახეთის გზით ეარნათ ჭყონდიდელის შესაგებებლად.

მახარას გადაედო პატრონის მღელვარება, აქ ლოდინს მე მირჩევნია თავათ წარვუძღვეო ჩუხჩითა.

„შენ წახვალ და ახალი დარდი მომემატება, მახო“.

სთქვა ყოყმანით მეფემ.

„მე კარგად ვიცი სად და როდის დაიძვრებიან ზვავები, ჯავახეთის გზას ჩემზე უკეთ როგორ გააგნებს თაკვერელი ქარიმანი“.

სიტყვა მოუჭრა მეფეს და მერემეთუხუცესს უბრძანა: ზანზალიკებიანი ჯორი მოეგვარათ ერთი.

„მაინცდამაინც ზანზალიკებიანი რად უნდა იყოს, უფლისწულო ბატონო, ჯორი?“.

შეეკითხა მერემეთუხუცესი.

„თუ ღმერთი გაწყრა და ზვავმა ჩამიტანა, ზანზალიკების ხმაზე გამომჩხრიკავს სიტყვაი ქორა“.

მერემეთუხუცესს გაეცინა და მახარამ გადმოსძახა ჯორიდან:

„ვეხუმრე, შენ გაზრდას, ყელგრძელისძე, თორემ თუ ქაოსმა პირი მიყო, ვეღარც ზანზალიკები მიშველის რაიმეს“.

მახარაი, ქარიმან სეტიელი და ჩუხჩნი ლიპარიტის უბნიდანაც არ იყვნენ გასულნი, მახარობელი მოვარდა სასახლეში. მობრძანდებაო მამაი გიორგი. შობილეთის ეკლესიამდის მოაღწიესო უკვე.

მეფე უკაზმავი იდგა საწოლის დარბაზში, როცა მესტუმრეთუხუცესმა თაყვანი სცა და მოახსენა ეს ამბავი, შეეცადა თავისი მღელვარება არ ემცნო ამბის მომტანისათვის. დავითს ანაზდად მოუდუნდა მთელი იოგები სხეულისა, ცალი ხელით წაეპოტინა საკარცხულს, მესტუმრეთუხუცესი დაითხოვა და ჩამოჯდა.

ამ წუთში თვალწინ დაუდგა მამაი გიორგის მშვენიერი მხცით მოსილი სახე.

ფიქრობდა მეფე:

არც მამას, არც დედას, არც რომელიმეს სისხლის მიერ ნათესავს მისას არ ესმოდა თუ რას მიელტვოდა იგი. უცხონი იყო მათთვის მისი დიდნი ზრახვანი.

თუნდაც გიორგი მეფის უკანასკნელი წიგნი რათა ღირდა!

მოსწრებული ვაჟის პატრონი თავისი ქვეყნის ხსნის ამბავს ამყარებდა კონსტანტინე დუკას და იმ სვედავსილ იოანე მაგისტრის მიერ მოჩმახულ ამბებზე.

დავითის დიდი სულიერი ტკივილების თუნდაც შეძთხვევითი გამომჟღავნება, გიორგი მეფეს და დარბაზის ერთა, ისე მიაჩნდათ, როგორც ახირება ქიმერებით შეპყრობილი უცნაურისა.

არცერთ მხცითმოსილს დიდებულთა, დიდ აზნაურთა შორის, არა სჯეროდათ რომ ჭაბუკი დავით მეფე უაქიშებდა საქართველოს იარებს, არავის, გარდა გიორგი ჭყონდიდელისა.

როგორის იგავმიუწვდენელი თავდადებით ასრულებდა ყოველ წადილს თუ ნაბრძანებს პატრონისას ეს სნეული ძოხუცი, რომელმაც მთელი თავისი ქაცობა შეალია ცალკერძ სახელმწიფოს სამსახურს, ცალკერძ უფლისწულის ზრდას, ახლა ხანდაზმულობაც გადავიწყოდა და სენიცა, ყრმა სპასალარებთან ერთად მუდამ მზად იყო თავი დაედო მეფისა და მამულისათვის.

მარადმორჩილი, მარად მდუმარე, მარად აღგზნებული, მაგრამ თავშეკავებული, თავგანწირული, არ მაყვედრი თავდადებასა.

ბუნებით გმირი, ბუნებითვე თავმოდრეკილი, რომელსაც სიტყვა „მე“ გადავიწყნოდა, მხოლოდ „ჩვენს“ იტყოდა ხოლმე და ამ „ჩვენსში“ იგულისხმებოდა მეფე. მამული და სახელმწიფო, რომლის დაქცევის თანდამსწრე თავათ გამხდარიყო.

ჭმუნავდა იდუმალ იავარქმნილი მამულის შემყურე, მაგრამ გულს არ იტეხდა მაინც: წამომეზრდება გაზრდილი და დიდთა საქმეთა დავადგამთო თავს.

თორსა და ხმალს არ იშორებდა მოხუცი, ჭაბუკებთან ერთად ხმლის ამოწვდენას დანატრებული.

და ამ წუთში დავითის თვალწინ გაიელვა მამაი გიორგის უმწიკვლო ცხოვრებამ. აჰა კაცი, რომელმაც უარი უთხრა ყოველივე ლხენას ამსოფლიურს, არამც თუ შავოსანი ჩაცმულობითა, არამედ გულით მგლოვიარე დაქცეული სამშობლოსათვის.

თავის გახუნებულ ბერულ შავ ჩოხაში მორთული, თავგამოჩინების ყოველგვარის მოძულე, არამც თუ მჭირდავი კაცთა სიძაბუნისა, განმკითხავი უპოვართა და გლახაკთა.

დიდი ვაზირი და მთავარეპისკოპოსი, თავათაც ისე საწყალობელად ცხოვრობდა, როგორც უპოვართაგანი ერთი, ერთადერთი მესაწოლე ბერის, ბესას ამარა, ჭყონდიდელთა ბატონკაცურ სასახლეში.

ოსპის გბოლვილი იყო მისი სანიადაგო საზრდო და მოხუცი ძიძაშვილების ქალ-რძალთა მიერ გამომცხვარი ხმიადი.

აჰა, კაცი, რომელსაც ბაბაჭუასათვის ფეხი არ დაუდგამს არასდროს, მას არც თუ ხორცის ნახარშიც უგემნია ოდესმე, დღენიადაგ არ იშორებდა სისხლით დამთვრალ ხმალს ბაგრატეულს, რომელიც გიორგი მეფემ უსახსოვრა მას ალგეთში გამარჯვების მეორე დღეს.

არსთა ყოველთა შემწყალე ბერი, მამულისათვის სისხლის დანთხევისთვის განმზადილი მარადჟამს.

იჯდა ფიქრში წასული მეფე, მხოლოდ ზანზალიკების ხმაზე შეკრთა და წამოდგა სარკმლიდან გაიხედა: ირმის ჯოგით გავსილ ციხის ეზოში გიორგი ჭყონდიდელი შემოიყვანეს მისმა ძიძაშვილებმა და მეფის სპასალარებმა.

თორმეტ ვაჟკაცს ეკავა ორი ძელი, რომელზედაც ნაბდები იყო გადაჭიმული და ზედ იწვა შავნაბადში გახვეული, ჩაბალახით თავშეგრაგნილი მოხუცი, რომელიც ბალღურად სპეტაკ ღიმილს მიაგებდა მის სათაყვანოდ მიახლოებულთა.

სარკმლიდანვე დაინახა შეშფოთებულმა მეფემ:

თავშიშველი დედისიმედი პირველი მიეჭრა საკაცეს, წამოიწია მოხუცი და შუბლზე ეამბორა ქალწულს.

მეფე ჩქარი ნაბიჯით გავიდა საწოლის დარბაზიდან, უქუდოდ ჩავიდა ციხის ეზოში, ეამბორა მზრდელს და მყისვე შენიშნა დასიცხული იყო იგი, მაგრამ მაინც შემოსცინა პატრონს თავისი შეუდარებელი, უმწიკვლო ღიმილით.

ჭყონდიდელი ჩამობრძანდაო!

ძელსა ჰკრეს ლიპარიტის უბნის ეკლესიაში.

თრიალეთის საერისთავოს უპოვარნი გლახაკნი ფსალმუნების გალობით უკან მოსდევდნენ სპასალარების მომყოლ სპას.

მახარა წინ გაუძღვა საკაცეს, მეფის სამყოფოსკენ წამოიყვანეს ავადმყოფი, მაგრამ ამასობაში მოაღწიეს კირიონ მანგლელმა, მამაი ბასილიმ და კატაიმ, დაწინაურდა ერისთავის მეუღლე და დიდ დარბაზისკენ წამობრძანდითო, ანიშნა მას.

მეფე უნებურად გაჰყვა მათ და ლიპარიტის დატყვევების შემდეგ პირველად შევიდა ლიპარიტის დიდ სასტუმროში.

უზარმაზარ მშვილდისარს თვალი მოჰკრა დავითმა, ტუღრილ ბეგის მიერ ლიპარიტ დიდისათვის ნაჩუქარს, მისგანვე ნაანდერძევ გარდამოხსნას, სპილოს ძვლისაგან გამოკვეთილს.

საკაცე გაჩაღებულ ბუხრის წინ დასდგეს. მანდილოსნებმა სასტუმრო

დასტოვეს, მესაწოლე ბერმა ბესამ და ძიძაშვილებმა წამოაყენეს სნეული და ნიამორის ტყავებით მოგებულ საწოლზე გადაიყვანეს.

მეფე სასთუმალთან მიუჯდა ავადმყოფს. უჩვეულოდ გაყვითლებოდა სახე მამაი გიორგის, მწიფე კომშისფრად გახდომოდა არა მარტო შუბლი და ღაწვისთავები, თვალის თეთრონზედაც გადასდებოდა სიყვითლე.

იწვა უდრტვინველად, დასიცხული მამაი გიორგი. მან შენიშნა, მეფე შეშფოთებული იყო. ამიტომაც სთქვა ჩამოწოლილი დუმილის გასაფანტავად: მახარამ ბევრი გვაცინა, თავისი თეთრი ჯორის ზანზალიკების გამო.

„წუხანდელი ღამე სად გაათიეთ, მამაო გიორგი?“

შეეკითხა პატრონი.

„შაორის ხეობის ერთ წისქვილში“.

„დიდძალი ვირთხები ყოფილან თურმე იმ წისქვილში“.

სიტყვა ჩაურთო მახარამ.

„მე და მეწისქვილეს არ გვეძინა, ჭაბუკები დაიქანცნენ ჩემი საკაცისა და ცხენების თრევით, გზის გაწმენდით, ცხენები დავარდნენ, ჯორებმა დიდი სამსახური გაგვიწიეს“.

სთქვა ჭყონდიდელმა.

„ზეკარზე თუ გაგიჭირდათ გადმოსვლა?“

შეეკითხა მეფე.

„ზეკარზე ცხენდაცხენ გადმოვედით. ჯერაც არ იყო დიდი თოვლი. რკინის ჯვარზე წამოგვეწიენ ზვავები“.

მიუგო ჭყონდიდელმა და, წყალიო, უჩურჩულა მის სასთუმალთან მდგარ მესაწოლე ბერს ბესას.

კატაი შემოვიდა, მას თან შემოჰყვნენ დედისიმედი და აქიმი შერაქისძე.

მაჯა უსინჯა ავადმყოფს თვალებს დააკვირდა მისას. ყველამ იცოდა: ღვიძლის ტკივილი და თვალის გუგის ვაფართოება რომ ჰქონდა მამაი გიორგის, ამიტომ კატაისა და დედისიმედს უკვე მზად ჰქონდათ მისთვის ქრთილის წყალი და არდის წყალი, სანდალი და ქაფური ღვიძლზე შემოსადები. ნარნარაი მალამოები თურინჯის ქერქისა, კატკატოს თესლისა, იის შარაბისა და კვერცხის ყვითელისაგან შეზავებული.

ავადმყოფი თავს იტკივებდა, კატაიმ ვარდის ზეთი გაატფო და თავზე ასხურა სნეულს, მერმე სოსანისა და ნარგიზის ზეთში ამოვლებული ტილო დაადო დედისიმედმა შუბლზე.

აქიმი შერაქისძე შეგონებას შეუდგა:

„მეაკვე რამ არ მიირთვათ, არცა ღვინო, საჭამანდი ნუშის ზეთზე უნდა იქნეს დამზადებული. სანდალისა და ვარდის წყალი ასვით, თვალზე დაადევით კურდღლისა და ველური თხისა, ვეფხისა და ქორის ნაღველი ურთიერთში გაგალული“.

მახარას გაეღიმა, ღვინის სმას რომ უკრძალავდა აქიმი ჭყონდიდელს, რომელსაც სიყრმეშიაც აროდეს გაუსინჯავს ღვინო.

მთელი კვირა ღამეს უთევდნენ ავადმყოფს დედისიმედი და მესაწოლე ბერი ბესა.

სიყვითლე მთლად არ ჰქონდა გამქრალი, ისე დააპირა წამოდგომა, მახარამ მყისვე აუწყა ეს ამბავი მეფეს.

დავითი წინ აღუდგა განზრახვას მისას.

„ხომ უკურნებელია ეგ სენი, მეფევ ბატონო, ჩვენ თუ მის მორჩენას ვუცადეთ, ჩემი საქმეები აქიმს გადააპირეთ, შერაქისძეს ბარემ“.

გაიხუმრა მამაი გიორგიმ.

*
* *

მეორე დღეს ორშაბათი იყო. დაჯდა ჭყონდიდელი სააჯო კარსა და შეუდგა ობოლთა, ქვრივთა და მიძალებულთა მრჩივართა განკითხვას, თუმცა ისევდა ისევ თოვდა დაუცხრომლად, მაინც

მოაწყდნენ ლიპარიტისეულ სასახლეს უპოვარნი და გლახაკნი, დიდძალი დრაჰკანი, პერპერი და ბოტინატი გასცა ჭყონდიდელმა უპოვართა და გლახაკთან მეფის სახელით.

. . . . . .

შეღამებულზე მეფე და მისი სპასალარები ეწვიენ ავადმყოფ ვაზირს დიდხანს ითათბირეს კახეთ-ჰერეთისა და თრიალეთის ამბების გამო.

მახარა განაწყენდა, თათბირზე რომ არ მიიწვიეს იგი.

ბევრს ეცადა, მაგრამ ვერც ნიანიას, ვერც რომელიმე სხვა სპასალარს სიტყვაც ვერ დააცდენინა, თუ რის გამო იყო ბჭობა.

ბოლოს როცა მეფე საწოლის დარბაზში მიბრუნდა, სული ყელში მიებჯინა მახარას, დიდ დარბაზში შეიპარა ფეხაკრეფით, ეგებ მამაი გიორგის წამოსცდესო რაიმე.

ბუხრის პირად იჯდა ჭყონდიდელი. მეფისადმი წარსადგენ პიტაკს სწერდა, დასავლეთის ციხეთა შეკეთებისა და ლაშქართა წურთნის შესახებ.

არსად სჩანდნენ საწოლის მწიგნობარნი, არც საწერელთ მპყრობელნი, ეძინა მესაწოლე ბერს, ბესას.

სასახლის ეზოდან მოისმოდა ირმების ბღავილი და ფრუტუნი.

„ღამღამობით როგორ გძინავთ მამაო გიორგი?“

შეეკითხა მახარა.

ჭყონდიდელს ჩივილი არა სჩვეოდა, ერთი გაიხედა სარკმელისაკენ და არა სთქვა რა. . . . . .

*
* *

მხოლოდ ერთი კვირის შემდეგ გადაიკარა. ჭყონდიდელი და კირიონ მანგლელი კლდეკარს აპირებდნენ წასვლას. გვიანი ღამით ქარიმან სეტიელს მსტოვარი მოუვიდა ფარცხისის ციხიდან და ამცნო: რატი ლიპარიტისძე შეკრთა თურმე, გიორგი ჭყონდიდელისა და სპასალარების თრიალეთში სპიანად ჩამოსვლა რა შეიტყო, გადაკარებას უცდის, ფარცხისიდან აპირებსო ციხიონითურთ გაპარვას.

პატრონმა უბრძანა აზნაურ მორკნეველს, შემოწყობოდა ფარცხისის ციხეს . . . . . .

*
* *

პარასკევს დილით, ლიპარიტის უბანს უწია იერუსალიმელმა ბერმა ფოჩოლიკამ და ჯონდი ერისთავის მიერ გამოგზავნილი წიგნი მიართვა გიორგი ჭყონდიდელს.

იერუსალიმის აღებამ და ჯონდი ერისთავის გადარჩენამ დიდად გაახარა მეფე. გიორგი ჭყონდიდელმა მალემსრბოლები დააგზავნა მთელს საქართველოში, ასე რომ მრავალ ათას ეკლესიაში ძელსა ჰკრეს, ზარები დააირისხეს და პარაკლისები გადაიხადეს.

*
* *

შაბათს საღამოს მეფემ თავის სამყოფელში ნადიმი გადაიხადა.

ეპისკოპოსები და სპასალარები დაუკხრომლად საუბრობდენ იერუსალიმის აღებისათვის. მახარა ჩუმჩუმად ასმევდა ფოჩოლიკა ბერს ღვინოს, რათა სიმჭევრე და გამბედაობა შეჰმატებოდა მას.

მეფე ჩინებულ გუნებაზე იყო, ღვინოს სვამდა, ხუმრობდა.

მამაი გიორგის სადღეგრძელო დალიეს, მეფემ სთქვა:

როცა ნიანია ბაკურიანი სელჯუკიანთა ტყვეობიდან დაგვიბრუნდა, მე მას ვაჩუქე ჩემი საყვარელი კვიცი ორაგულა, ეგებ მამაი გიორგიმ ინებოსო რაიმე?..

გაოცდნენ ამის გამგონენი, რადგან არავის სმენოდა ოდესმე რაიმე ეთხო-

ვოს საკუთრივ თავისთვის ჭყონდიდელს მეფეთათვის.

მთვრალი მახარა მიბორიალდა პატრონთან და გაიხუმრა:

„მამაი გიორგის ერთი სააჯო აქვს შენს წინაშე, ჩვენო პატრონო, დღეს“.

დავითს ოდნავ შესამჩნევმა ღიმმა გადაფრინა ბაგეზე. ჭყონდიდელს ესროლა მზერა.

„დაუბრუნე ირმები ტყეებს“.

სთქვა მოკრძალებულად ჭყონდიდელმა და ჭაბუკსავით შეუფაკლდა ღაწვის თავები და გამოუჩნდა მომღიმარს თავისი თეთრი, თეთრი კბილები, რომელნიც წამიერად ჩქმალავდნენ ხანდაზმულობას მისას.

დავითის ბრძანებისამებრ, იმ ღამესვე გახსნეს ალაყაფის კარები, საჩიხეებიდან გამორეკეს მენადირეებმა ირმები, გახარებული ნადირი ბღავილით მოედო ტყეებს . . . . . .

II

როგორ ჩავიდა იერუსალიმში ბაბრატოვანთა საომარი ჯვარი?

წიგნი ჭყონდიდის მთავარეპისკოპოზის, მამაი გიორგის წინაშე გეგუთში

„განსაცდელთა ჩვენთა. წვრილად აღსაწერად, ეტრატი და მელანი არ მეყოფოდა“, — იწერებოდა ჯონდი შაშანისძე იერუსალიმიდან.

„განთავისუფლებულ ანტიოქიაში თურქების გაქცევას შავი ჟამი მოჰყვა.

. . . . . .

განუკითხავად იხოცებოდნენ მდაბიორნი, უპოვარნი და გლახაკნი, სწორედ ისინი, ვინც ჭუჭყიანი ხილით, ნამკვდრევი საქონლის ხორცით იკვებებოდა ნიადაგ.

დილას და საღამოს ჯორებშებმული ორბორბალები ჩამოივლიდნენ, აკრეფდნენ ცხედრებს და ქალაქგარეთ გაიფანდნენ უხუცოდ, ლოცვების უთქმელად.

ისევ ატყდა ცილობა თავადებსა და სარდლებს შორის, იმის გამო, თუ ვინ უნდა ყოფილიყო საბოლოოდ ანტიოქიის უფალი?

ამ ცილობამ ისე აღიტაცა ეპისკოპოსნი და დიდაზნაურნი, იერუსალიმის აღება ყველას გადაავიწყდა. მონასპანი, დიაკონნი, მეაბჯრენი და მეკარვენი იდროვებდნენ სიღამით და გარბოდნენ ანტიოქიიდან იდუმალ, შიმშილისა და ჭირის შიშით შეძრულნი.

ამ შიმშილობის დროს ოციოდე ბერძენი მონასპა გაიპარა ანტიოქიის ციხიდან, საზრდოს საძებნად მახლობელ სოფლებში, მათთან ერთად წასული აღმოჩნდა ხახუტაი.

თურქის მარბიელი წამოსწრებოდა მათ ანტიოქია — წ. სვიმენის გზაზე. ტყვედ წაუყვანიათ გაპარულნი, მხოლოდ ერთი ბერძენი დამალულიყო ძეძვებში და მან მოგვიტანა ამბავი.

გული დაგვწყვიტა ხახუტაის დაკარგვამ, რადგან იგი, (უკეთუ მუცელღმერთობა მიეტოვება კაცთაგანს), ფრიად გულალალი და მამაცი ვაჟკაცი იყო. თავათ ამბობდა ბედშავი: ჩემი უბედურება ეგ არის, ეს ჩემი ოხერი სტომაქი ვეღარაფრიდ ამომიყორავსო.

რაც უმთავრესია, თავისი ოხუნჯობით გვიიოლებდა იგი ამ საშინელი წაწყმენის გზას, კონსტანტინოპოლიდან — ანტიოქიამდის.

* * *

. გრაფ რაიმონმა და გოდფრუა დე ბუჟონმა ბრძანეს და დააგმინვიეს ანტიოქიის ყველა კარიბჭე.

მათვე მოითხოვეს დაუყოვნებლივ აეყარათ ბანაკი და იერუსალიმს წასულიყვნენ.

ჭირმა იმსხვერპლა პუჟს ეპისკოპოსი ადემარი, მამაცი მეომარი, გლახაკთა განმკითხავი. უმისობა ძლიერ დაეტყო მდაბიორებს.

გამოხდა ხანი.

ბოჰემუნდი და ტანკრედი დაემდურნენ სარდლებს, კილიკიას წავიდნენ და სომხის ქალაქები წაართვეს თურქთა.

ბოლოს გოდფრუა დე ბუჟონმა და გრაფ რაიმონმა დაიყოლიეს სარდალნი და სპანი, აჰყარეს ბანაკები, გალობითა და დუმბულების ცემით დავადექით ანტიოქია-იერუსალიმის გზას. . . .

პაპანება სიცხეში იწყო დენა ლაშქარმა ალ-ნუმანისკენ, არც წყალი გვქონდა, არცა საზრდო, იხოცებოდნენ ჯორ-ცხენები და სახედრები გზადაგზა.

ჯერ კიდევ ანტიოქიაში, ოთხბორბალზე მოძრავი საალყო კოშკები გააკეთებინა გენუელ ოსტატებს გრაფ რაიმონმა. სწორედ ისეთნი, კლდეკარის ციხეს რომ მიაყენა დავით მეფემ.

ცხენებს აბამდნენ შიგ, მაგრამ გზაში ცხენები ვეღარ უძლებდნენ უწყლობასა და ხვატს, ამიტომ დიდ ალმართებში მონასპათ აბამდნენ შიგ და ისე მიათრევდნენ. . . .

საალყო კოშკები მიაყენეს ციხე-ქალაქს — მარატ ალ-ნუმანს. გადავწვით და გადავბუგეთ იგი.

წინ წარგვიძღვენ სირიელები და სომხები. მაჰარას ციხეს შემოვეწყვეთ გათენებისას.

გალავნებზე დედაწულიანად გამოცვივდნენ თურქნი, დაგვაყარეს საგორავები, ცეცხლშემოგზნებული ძელები და როცა გაუჭირდათ, ფუტკრებით გავსილი სკებიც მიაყოლეს ზედ.

მისჭირდა საქმე.

ამასობაში მოაღწია ბოჰემუნდმა, შევლეწეთ გალავნები, ქალაქი გაძარცვეს, მიტაცებული ხვასტაგი მალე შემოელია ლაშქარს, შიმშილისაგან მოისრენ სპანი.

მაჰარას ციხის აღების მეორე დღეს, ამ ციხის დილეგებში ვიპოვნეთ სომეხ და ასირიელ ტყვეებთან ერთად ხუთასი ქართველი, სირიის სხვადასხვა დილეგებიდან გამოქცეულნი და მათ შორის ხახუტაი, მაჰარას ამირს ბაზიერად აუყვანია იგი, ერთი ქორი შემოკვდომია ბედშავს და ამის გამო ჩაუგდიათ დილეგში.

ისევ გვეწვია შიმშილი.

ღარიბებმა და უპოვარებმა მიტაცებას მიჰყვეს ხელი, ისარგებლებდნენ სიღამით, ეპისკოპოსებს, თავადებს თავს ესხმოდნენ, სტაცებდნენ ოქროვერცხლს.

მდიდრები მიტაცების შიშით ყლაპავდნენ ოქროებს, იხოცებოდნენ იგინიცა, დაფლობოდნენ მათ ცხედრებს, უკან ბრუნდებოდნენ უპოვარნი, საფლავებიდან იღებდნენ ცხედრებს, როცა ოქროს ვეღარ პოულობდნენ, კაცის ხორცის ჭამას მიჰყოფდნენ ხელს.

მე ამ გზაზე უდიდესი სიმძიმილი დამატყდა თავს, ვეღარ ავუდიოდი დედოფალყოფილისა და სნეულთათვის საზრდოს შოვნას, დღისით და ღამით ხახუტაის ვუთვალთვალებდი, ვშიშობდი არ გამპარვოდა ჩემი მეაბჯრე და მოყვასის ხორცით არ წაეწყმიდა სული.

ავიღეთ თუ არა მაჰარა, კვლავ წაიკიდნენ თავადები და ეპისკოპოზები, ვის უნდა დარჩესო საუფლოდ მაჰარა?

ბოჰემუნდი და რაიმონი წაკენწლავდნენ, ლამის არ იყო, ხმლით აკუწეს ერთმანეთი.

ბოჰემუნდი გაცხარდა, ანტიოქიას გაბრუნდა სპიანად.

დავაგდეთ გადაბუგული მაჰარა და კაფარ ტაბს დავესხით ნაშუალამევს თავს.

კაფარ-ტაბის ციხეში ორასიოდე ქართველი ტყვე ვიპოვნე, ჯერ კიდევ დიდი თურქების დროს წამოყვანილი ალგეთიდან. გადაგვეხვიენ ქართველებს გადაკარგულნი თვისტომნი.

ისევ დავარდა ქადაგად პეტრუს

ბარტოლომეუს: ჩვენება ვნახე ახალი; წმიდა ნიკოლოზი განმეცხადა ძილში, მიბრძანა გამცნოთ, იერუსალიმი უნდა წავგლიჯოთო აგარიანთა.

მოითხოვა ხალხმა: უკეთუ პეტრუს ბარტოლომეუს მატყუარა არაა, ჩვენ კოცონებს დავანთებთ, ფეხშიშველა განვლოს და მის ჩვენებას ვერწმუნებითო.

დაანთეს კოცონები უდაბნოში უზარმაზარი ხის ჯვარი იტვირთა პეტრუსმა და ფეხშიშველა შევიდა აღგზნებულ ცეცხლში, მარტოოდენ პერანგი ეცვა, ზედ მოედო ალი. შემოაფხრიწეს საცვალი პეტრუსს და ჩაჰქოლეს ქვებით.

მიცვალებულის დამარხვაც არ ისურვა ხალხმა.

პეტრუსის დაღუპვამ „ქრისტესეული ხელშუბის“ სინამდვილეში დააეჭვა ხალხი.

მაშინ ეპისკოპოზებმა და თავადებმა კარვიდან გამოიტანეს ოქროს ქანდაკი ღვთისმშობლისა, განაცხადეს: წუხელ ანგელოსებმა ჩამოგვიტანესო ეს ქანდაკი ციდან.

კვლავ შეაჯერეს სპანი და უთენია შევუდექით სიდონის უდაბნოზე მიმავალ გზას.

ერთ ღამეს მეწინავე ლაშქრის ცხენებმა და ჯორებმა ასტეხეს უხიაგი ჭიხვინი და ფრუტუნი, მრავალი მხედარი მიწას დაანარცხეს და არ გადადგეს ნაბიჯი წინ.

დაწინაურდნენ სპანი და ჰოდ, რა რიგ მიმძიმს საშინელისა და საოცარის უწყება!

მრავალი ათასი ჭრელჭრელა გველი, ერთ უზარმაზარ მდინარის დარად შეტბოებული, მოემართებოდა აღმოსავლეთიდან. მოასავსავებდნენ ზეაწეულ თავებს, მათი თვალების ციმციმისაგან ამდგარი ელვარება, ანათებდა სიდონის ურწყულსა და უკაცრიელ უდაბნოს...

შეწითლებულ ღრუბლებიდან ოდნავ ანათებდა მთვარე.

არაოდეს ჩემი ხსოვნიდან არ ამოიფხვრება, ამ საშინელი, შეტბორებული ზლაზნია სხეულთა დინება, ამაზრზენი და გულისამრევი, ხან ურთიერთში გადაგრაგნილი, როგორც უზარმაზარი ბაგირები, ბაგირების დარად ბეწვიანნი, დაღვარჭნილნი და დახეშილნი.

გლუ და სლიპი ხორცის ჭავლისებრი დინება, რომელიც ხან მუქდებოდა და ჟჩინარდებოდა, ხან სალამურის ჯაჭვის მსგავსად, ხანაც ბამომწვარი ფოლადის დარად ელავდა ბნელში.

და მოისმოდა მრავალი ათასი ზეაწეულ გველის ხახიდან, ერთობლივი სისინი, სისხლის გამყინველი და შემზარავი . . . . . .

დაწინაურდნენ ეპისკოპოსნი და ხუცნი, ლოცვები სთქვეს, იშიშვლეს ჯვრები, მაგრამ არც ცხენები და არც მონასპანი არ იძვროდნენ შიშისაგან შეძრულნი.

გადაუხვიეთ გზიდან, ერთ ტაფობში ვუცადეთ, მეჯორეებსა და მეკარვეებს, გავაჩაღეთ კოცონები, დავდგით უდაბნოში კარვები, დაეძინათ ქანცმილეულ მეომრებს.

იმ ღამეს მრავალი ათასი მონასპა დაჰკბინეს გველებმა, დააოსეს ცხენები და ჯორები, ასე რომ უცხენოდ დარჩენილი რაინდები, მეორე დღეს ფეხით დაადგნენ ცეზარეასკენ მიმავალ გზას.

მერმე ის იყო, ავიღეთ ცეზარეა, ხაიფა და რამლა, აქაც იღვრებოდა სისხლი, იხოცებოდნენ სპანი თურქთა ისრებისა და გველებისაგან დაგესლილნი.

რამდენიმე ფარსანგი[1] წინ გვედო იერუსალიმამდის, სავსებით მოულოდნელად ნაშუადამევს დავკარგეთ უდაბ-

[1] ფ ა რ ს ა ნ გ ი — 5½ კილომეტრი.

ნოში ხახუტაი, მე აგრე ვივარაუდე: ალბათ, ისევ სარჩოს მოსაპოვებლად გაგვეპარა და ტყვედ ჩაიგდეს მეთქი თურქებმა.

მომყოლ რაზმეულს ჩამოვცილდი ჩემსას სამი შუბოსანი ავიყოლიე და გავბრუნდი უკან.

მივაქროლებ ცხენს უკაცრიელ უდაბნოში, აფთარების ჩხავილი მესმის მხოლოდ.

ორი ფარსანგი გავიარე და გზისპირად, თურქულ სასაფლაოსთან შევნიშნე დასადაებული უპატრონო ცხენი.

ვიცანი მყისვე.

გორაკისკენ გავიხედე: ვიღაც აბჯროსანი დევკაცი იდგა თურქულად აყირავებულ ლოდებს შორის. ასე მეჩვენა: ცალ ხელში გველის თავი ეკავა, ცალითაც ფრინველის ფრთებს ჭყრიდა მიწაზე.

ფეხაკრეფით მივეპარე და ვხედავ.

სად იყო გველი?

ნამკვდარევი წერო ეპოვნა ხახუტაის გზაზე, პუტავდა და ნადირივით სანსლავდა უმ ხორცს. ჩემს დანახვაზე შეკრთა და დაიღრიჯა ვაგლახად.

კიდევ ერთი ციხე ავიღეთ. მისი სახელი არ დამამახსოვრდა. ასი ქართველი და სამასიოდე სომეხი გამოვიყვანეთ ამირას საგვარეულო ციხიდან.

ჩემი რაზმეულის ხუთასი ბერძნიდან მხოლოდ ასი კაცი გადაურჩა თურქებს, ჭირსა და შიმშილს.

ახლა უკვე ათასზე მეტი ქართველი, სომეხი და ასირიელი მოგროვდა ჩემს კოჰორტში.

გრაფ რაიმონმა შუბები და ხმლები მომცა მათ აღსაჭურველად.

კიდევ ერთ კვირას ვიხეტიალეთ უკაცრიელ ველებზე.

გამოჩნდნენ თუ არა ცარგვალის კიდეს იერუსალიმის ციხეთა ქონგურები, ფეხზე გაიხადა დიდმა და მცირემ, მუხლი მოვიყარეთ და მადლი მივაგეთ უფალს.

მოხუცნი, დიაცნი და მონაზონი სიხარულისაგან სტიროდნენ, სტიროდა დედოფალყოფილი რუსუდანი, უსინათლო ბერი ათანასე, იმის გამოც, რომ მას არ ეღირსა ამ ქონგურების საკუთარი თვალით ნახვა, სტიროდა ნადიაკვნარი ხახუტაიც, ალბათ იმიტომ, რომ მას ეგონა, იერუსალიმი ისე გაძარცვული ექნებათ თურქებს, მისატაცებელი აღარაფერი დარჩებაო მანდ.

მკითხა კიდევაც ამ ვირეშმაკამ:

„ნუთუ გაძარცვული დაგვიხდება იერუსალიმის საუნჯენი, შენ რას იტყვი, ჯონდი ბატონო, ჰა?“

„ალბათ გაძარცვავდნენ მეთქი“.

მივუგე.

მძიმედ ამოიოხრა ხახუტაიმ და ხმა ჩაიკმიდა გაწბილებულმა.

• •

იერუსალიმის ციხეს რვა რკინის კარნი ჰქონდა დატანებული: კარნი სიონისა, კარნი სოლომანისანი, კარნი უდაბნოსანი, კარნი სასახლისანი, კარნი იერემიასნი, კარნი სილოამისანი, კარნი სვეტისანი და კარნი დავითისანი.

ჯვაროსნები სამი მხრიდან გარს შემოეწყვნენ იერუსალიმს, ბოლოს მოაღწია გრაფ რაიმონმა და სამხრეთით დასდგა თავისი კარვები.

ღამით მოვიდა სამი მსტოვარი, უდაბნოს კარიბჭედან გამოპარულნი. ერთი სირიელი, ერთი სომეხი და ერთიც ქართველი და გვამცნეს: იერუსალიმის პატრიარქი და სხვა ქრისტიანები, კიპროსის კუნძულზე გაიხიზნენო, ჯერ კიდევ ამირ ილღაზის იერუსალიმში ყოფნის დროს.

ეგ ქართველი აღმოჩნდა ქართული ჯვარის მინასტრის ბერი, ვინმე ფოჩოლიკაი, ეს ფოჩოლიკაი ჭარმაგი კა-

ცია, მაგრამ ფრიად უშიშარი ვინმე.

მანვე გვამცნო: კაპპატას, ლაზთა, ნიკოლოზისა, ჯვარისა და დედათა მონასტრები ჯერ კიდევ ილღაზის გაუძარცვავს. ასიოდე დაყუდებული და მიხრწნილებაში გადამდგარი ბერი და ხუცი დარჩენილან სიკვდილის მამაცურად მომლოდინენი.

სამი დღეც არ გასულა და უწყლობამ დაგვრია ხელი. თავათ სარკინოზებს მშვენიერი წყაროები ჰქონოდათ ქალაქში. ასე რომ იერუსალიმში ანდაზად ამბობენ: აზანი და წყალნი გახლავთ ამ ქალაქის ხელისუფალნი.

თითქმის ყოველ უბანში წყაროა, სამიც ტბაა: იზრაელისა, სოლომონისა და იადასი. მარტო ერთ ჰარამ აშ — შერიფის მიზგითაში ოცი ჭაა. ჩვენ კი, რამდენიმე ფარსანგის სიშორიდან ტიკებით უნდა გვეზიდა წყალი. უდაბნოს ცხელი ქარები გრიალით აწყდებოდა იერუსალიმის კედლებს, ვიხრჩობოდით უწყლობით.

ღამღამობით გაიპარებოდნენ წყაროების საძებრად სპანი, ბნელში თავს ესხმოდნენ მათ სარკინოზები, ხოცავდნენ, მხოლოდ სვებედნიერნი აბერხებდნენ თითო ტიკჭორა წყლის მოტანას. წყალს ყიდიდნენ ღარიბები, მაგრამ ისე ძვირად, მხოლოდ მდიდრებს შეეძლოთ მისი შესყიდვა.

ჩემმა მეაბჯრემ, ხახუტაიმ აქაც ისახელა თავი, ერთ მოტანაზე მთელ საპალნეს მოგვითრევდა წყალს, რაც ჩვენ მოგვრჩებოდა, ფრანკებს მიჰყიდდა ხოლმე შვილის ფასად.

ხუმრობდა თანაც: თუ ღმერთმა ჰქნა და იერუსალიმი დიდხანს ვერ აიღეს ფრანკთა, ჩემ სიცოცხლეში ერთხელ მაინც დავიჯაბნებ მდიდრებს, ქარვასლებს ავიშენებო წყლით.

გაურეცხელი, ბინძური თხიერებით მოტანილმა წყალმა სახადი გაუჩინა ჯვაროსნებს, ასე რომ, რაც ხმალმა დაგვაკლო, ის წყალმა მოგვითავა. ორი მონაზონი მოუკვდა დედოფალყოფილ რუსუდანს სახადით.

ისევ ატყდა თავადთა შორის ცილობა. ვინ ავირჩიოთო იერუსალიმის მეფედ?

ხუცებმა სთქვეს: იერუსალიმს ჰყავდა ეკლის გვირგვინიანი მეუფე, სხვა მეფის ამორჩევა არ იქნებაო.

ბოლოს იძალეს სამღვდელოთა და დაადგინეს: სამ დღიური მარხვა მოეწყოთ, და სამგზის გარს შემოეარაო მთელს ლაშქარსა და მის მიმყოლს წმიდა ქალაქისათვის.

თეთრი ფილონები ჩაიცვეს ხუცებმა და დაიწყეს შემოვლა.

ქალაქის ზღუდეებიდან გადმოდგნენ სარკინოზები, ქალი და კაცი აფურთხებდნენ ჯვრებს, ლეწავდნენ და გვაყრიდნენ თავზე. გვიშენდნენ ქვებს, გვასხამდნენ მდუღარეს.

გოდფრუამ და რაიმონმა თავი მოუყარეს სარდლებს, ითათბირეს.

იმ ღამესვე მიაყენეს ლოდსატყორცნები და ლოდები დაუშინეს მძინარე ქალაქს, ვერძები დაეძგერნენ ზღუდეებს და ხორთუმებით დაუწყეს ცემა.

გაბრაზდნენ სარკინოზები და ასეთ ხერხს მიმართეს:

გალავნებზე გადმოკიდეს თივით გატენილი ტომრები, რათა მანქანებს არ შეენგრიათ ქვითკირი.

ჯვაროსნებმა ცეცხლმოკიდებული ქვიბურები ესროლეს ამ ტომრებს და დასწვეს ისინი. ისევ დაუშინეს ლოდები გალავნებს.

რაიმონმა ბრძანა და ვერძებსა და ლოდსატყორცნებს ჩელტები შემოარტყეს გარს. (მე აქ პირველად ვნახე ასეთი რამ). ეს ჩელტებიანი მანქანები მიაყენეს კედლებზე, საგრძნობლად დააზიანეს ისინი.

სარკინოზები გადმოდგნენ გალავნებიდან, გადმოგვასხეს თავზე ცეცხლმოდებული ფისი, დინგელი და გო-

გირდი. ცეცხლი გაუჩინეს ჩვენს ვერძებსა და ლოდსატყორცნებს.

ამ ამბავმა ააღელვა ქრისტეს მხედრობა, თხიერებით მოზიდეს წყალი და გადაარჩინეს მანქანები.

ზოგი ჭირიც მარგებელი ყოფილა თურმე და მე დავხელოვნდი ამგვარ საოძარ ხერხებში.

რაიმონმა მოუხმო ოსტატებს, მანქანები შეფუთნეს აქლემის, კამეჩის, ცხენისა და სახედრის ტყავებით.

გოდფრუა დე ბუჟონმა და რაიმონმა აგებინეს ორსართულიანი მანქანები. ზემო სართულზე ავიდნენ თავათ, მძიმედ შეჭურვილი რაინდებიც ზედ აიყვანეს და მიაყენეს მანქანები გალავნებს ხელახლა.

ახლა სარკინოზებმა სხვა ხერხი იღონეს. ნაღვერდალით გავსილ დერგებსა და ქოთნებს გვიშენდნენ, მაგრამ ფრანკები მიუხვდნენ, მანქანებზე შემოგრაგნილი აქლემისა და კამეჩის ტყავები შემოაბრუნეს, გლუ პირიდან შემოახვიეს მანქანების კიდეებს, დერგები და ქოთნები ხვდებოდნენ მანქანებს და უსაზმნოდ ცვივოდნენ ძირს.

მაშინ სარკინოზებმა დიდრონი ჯაჭვებით შეკრული ფისით გაბიდნული, ცეცხლწაკიდებული ძელები გადმოისროლეს, ქრისტიანების მანქანები საფრთხეში ჩავარდნენ.

ფრანკებმა კვლავ ახალი ხერხი გამოსძებნეს, მოზიდეს დიდძალი ძმარი და გადაასხეს გალავნებიდან გადმოკიდებულ ცეცხლმოდებულ ძელებს. როგორც მოგახსენეთ, ეს ძელები ხომ ჯაჭვებით იყვნენ შეკოჭილი, ძელები ცეცხლმა დასწვა, ქრისტიანებმა კაჩხებით დაითრიეს ჯაჭვები და წაჰგლიჯეს სარკინოზებს ისინი.

როცა გალავნებზე გადმოკიდულ ჯაჭვებს ებღაუჭებოდნენ გადმოღმიდან ქრისტიანები და გადაღმიდან სარკინოზები, გოდფრუა დე ბუჟონმა ახლოს მიაწევინა კედლებისკენ თავისი მანქანები, დაუშინეს უშჯულოებს საგორავები, ქეიბურები და ისრები.

ზემოთა სართულზე აცვივდნენ მძიმედ შეჭურვილი ჰერცოგ გოდფრუა და სხვა რაინდები, ძელები ხიდად გასდვეს მანქანებსა და გალავნებს შორის და ხმალშემართულნი გადაეშვნენ გალავნებიდან. . . . .

მხნეობა მოიკრიფა ქრისტეს ლაშქარმა, ზოგმა ძელები, ზოგმა კიბეები მიადგა გალავნებს და შესცვივდნენ ქალაქში.

გოდფრუა, ტანკრედი და გრაფ ევსტრახი უკვე სოლომონის სასახლეს შემოერტყნენ, დახოცეს მოიერიშე სარკინოზები და სახურავზე ავარდნენ, განუკითხავად ჩამოჰყარეს ძირს ქალები, მოხუცები და ბალღებიც.

მე და ხახუტაიმ კარვებში დავტოვეთ დედოფალყოფილი, მოხუცები და წინ გავუძეხი ჩემს კოჰორტას, რომელიც უპირატესად ბერძნებისა, ქართველებისა და სომხებისაგან შესდგებოდა, სოლომონისეულ სასახლემდის მივყევით ტანკრედის რაზმს, გული ვიჯერით სარკინოზების ხოცვით.

როცა მოედნები დასთმეს, სარკინოზები მამაცურად იბრძოდნენ გალავნებთან, ციხე ქალაქის კარიბჭეებთან, წყაროს თავებთან.

როგორღა აგიწეროთ ყოვლად ნეტარო მამაო გიორგი, თუ რა გადაგვხდა იმ საშინელ დღეებში.

მე ბარძაყში დამკოდეს შუბით, მარჯვენა ფეხს ძლივს მივათრევდი, მოედნებზე ველური ჭიხვინით დაჭენობდნენ თურქების უპატრონო ცხენები, ხახუტაიმ ორი უნაგირიანი დაიჭირა, ერთზე ზედ შემსვა, მეორეზე თავათ შეჯდა, ცხენდაცხენ ვიბრძოდით, ქუჩებში დამდგარი სისხლი საბარგულებზე გვცემდა, ცხენებს ლაშებამდის სწვდებოდა სისხლის ტბორები. . . . . .

როცა უდაბნოს კარიბჭე გავაღეთ

შიგნიდან, გარედან შემოცვენილი ჯვაროსნები ზედახტებოდნენ, სრესდნენ ურთიერთს, არა ერთი ათასი ქალი და კაცი გადაჯეგეს ცხენებმა ალაყაფის კარებთან.

ადამიანის გააფთრება არა ერთგზის ვნახე ამ ომებში, მაგრამ ცხენების გაცოფება ამ გვარი, არასოდეს მსმენია. გახელებული მგლებივით იკბინებოდნენ კარიბჭეებში შემოცვენილი მხედრების ცხენები, ჯაჭვიანად გლეჯდნენ ქვეითად მომავალ მონასპათ მხრებიდან / ხორცს, სისხლი თქრიალით მოსდიოდათ კაცის ხორცით გავსილ ლაშებიდან.

ნამდვილი ნადირობა გამართეს ფრანკებმა, დერეფნებში, საკუჭნაოებში, სარდაფებში გადამალულ თურქის დიაცებსა და ბალღებზე.

თოთო ბალღები გამოჰყავდათ სამალებიდან, დედებს იქვე ხოცავდნენ, ბალღებს ფეხებზე ხელს ავლებდნენ, ქვერცხივით ახეთქებდნენ კედლებზე, როცა სარკინოზები შემოელიათ, ებრაელებს მიჰყვეს ხელი.

ტანკრედმა და მისმა ნორმანელებმა გაძარცვეს აკსა მიზგითა, ჰარამის მეჩეთი, ომაიადის მიზგითა, ამირას სასახლე, სოლომონისეული სასახლე და ეკლესიები, მათნი სპანი ვაშკარანებით ეზიდებოდნენ ოქრო-ვერცხლს, ხახუტაი ვეღარ დავამაგრე. ჯიბა-უბენი გაივსო ნალაფარი ოქროთი.

მარტო ტანკრედსა და მის რაინდებს ექვსი აქლემის საპალნე ოქრო მიუტაცნიათ იმ დღეს . . . . .

მხოლოდ გოდფრუა დე ბუჟონ შევიდა ფეხშიშველი ქრისტეს სამარხის ტაძარში, დიდხანს იყო მუხლმოყრილი, სტიროდა და მადლს მიაგებდა უფალს.

ხომ ბევრი მაწამა დიაკონყოფილმა ხახუტაიმ, თავისი სიხარბის, მუცელღმერთობისა და ანგლობის მეოხებითა, მაგრამ ამ ომების უკანასკნელ დღეს უცილო სიკვდილს გამომგლიჯა ხელიდან.

იერუსალიმის ციხეზე — ხელომების დაწყების კვირაძალში მე ვურჩიე ხახუტაის: კარავში დარჩენილიყო, რადგან ტყვეობაში ნაშიმშილევი საკმაოდ დაოსებული იყო ბედშავი და დედოფალყოფილის მცველებისათვის ეხელმძღვანელა.

სამ დღესა და ღამეს იგი გააფთრებული იბრძოდა ჩემს გვერდით, ჩემი მეაბჯრე შევარქვი მას ხუმრობით.

უკანასკნელ დღეს მიმწუხრზე თითქმის მოთავსებული იყო სარკინოზებისგან გაწმენდა ქალაქისა. ხალიფას სარდალი ალ-აფდალი გაიქცა, ცალკეული რაზმეულები მიიმწყვდიეს ჯვაროსნებმა ჩიხებში და გაქუქეს.

ჩვენც გავასუფთავეთ ერთი უბანი, სახელდობრ ქართული, ჯვარის მონასტრის შემოგარენში, წყურვილი გვახრჩობდა დაქანცულთ, მე, ხახუტაი და რამდენიმე ქართველი სოლომონისეულ წყაროსთან დავყოვნდით, სისხლში ამოსვრილი ხელპირის დასაბანად.

ჩემი ჯაჭვის კურტაკი დასვრილი იყო სისხლით, შემძაგდა, გავიძვრე და ხახუტაის გადავეცი გასარეცხად. ბევრს ეწვალა იგი, ვეღარ გააცილა ცხიმიანი სისხლი, ამასობაში მოგვივიდა სირიელი მსტოვარი.

სარკინოზი ცხენოსნების ერთმა რაზმეულმა გაბედულად გადაიჯირითა ჩვენს თვალწინ მოედანზე, უდაბნოს კარიბჭეში შეგვასწროვო. ეს კარიბჭე ჰკეტავდა ეზოში გამოსულ გვირაბს საკმაოდ გრძელსა და ვრცელს.

ამასობაში მოაღწია მათმა მდევარმა, რამდენიმე ჯვაროსანმა და გვამცხო, ერთი ეგვიპტელი შეიხი[1] და მისი ჰეჯიბი,[2] თავიანთ რაზმეულიდან მო-

---

[1] შ ე ი ხ ი — ტომის უფროსი, თავადი.

[2] ჰ ე ჯ ი ბ ი, ჰაჯიბი, ეჯიბი, მსახური.

წყვეტილნი და მასთან ოციოდე მონასპა, დიდხანს ებრძოდნენ თურმე ფრანკებს ჰარამის მეჩეთთან, ბოლოს გაჰქუსლეს ცხენები და ჭენებით მიაშურეს უდაბნოს კარიბჭეს.

ხახუტაი მეეედრა: „შენ უჯაჭვოდ ხარ, ჯონდი ბატონო, ათი შუბოსანი მომეცი და მე გამოვიყვანო სამალიდან მაგ უშჯულოებს“.

შემებრალა ხახუტაი. ომი გათავდა და ამ უკანასკნელ წუთებში არ მომიკლან მეთქი, ვიფიქრე და თორმეტი სირიელი შევგზავნე კარიბჭეში. შესავალის გვირაბი ნახევრად ბნელი იყო და ქვითკირით გადახურული.

ისევ ჩამაცივდა ხახუტაი, კურტაკი მომაჩეჩა, ჩაიცვიო ჯაჭვი მეეედრა კვლავ.

გული ამერია კაცთა სისხლით გაზინთულ კურტაკის დანახვისას და არ ვინდომე ჩაცმა.

ამასობაში ერთი ყბაგაჩეხილი სირიელი გამოვარდა გვირაბიდან და შემოგვტირა: დაგვიხოცესო სპანი. ათიოდე ქართველი და სომეხი შუბოსანი შევგზავნე გვირაბში და როცა მათთაც დააყოვნდათ, ცხენს დეზი ვკარი და მომყევით მეთქი, ვუბრძანე სპათა.

შევედით თუ არა გვირაბში, ნახევრად ბნელში თვალი მოვკარი: სარკინოზებს წინ მოუძღოდა ჩალისფერ ცხენზე მჯდარი თოროსანი და ხმლით დარეოდა ქვეითა შუბოსნებს.

დამინახა თუ არა, რამდენიმე კაცის თავზე გადაახტუნა ცხენი და დანდობილად გამოჰქანდა ხმალამოწვდილი ჩემსკენ.

შეჯავშნულ მკერდზე ვაძგერე შუბი შეიხის ცხენს, ცხენი ყალხზე შესდგა, მხედარმა ტვინი შეასხა ქვითკირს, მისი სისხლი ღვარივით გადამესხა სახეზე.

შუბი გამიტყდა და ვიდრე ხმლის ვადას მოვსინჯავდი, მისმა ჰეჯიბმა, ცხენდაცხენ გადათქერა თავისი პატრონის ცხედარი და მისი წაქცეული ცხენიცა, შემართული მახვილით უნდა ვავეკვეთე უჯაჭვო, სწორედ ამ წუთში შუბი აძგერა ხახუტაიმ ისეთის ძალით, თითის ტარივით გაუყარა აბჯროსანს მუცლის არეში.

ეგ ბრძოლაც რა მოვათავეთ, კვლავ დავსხედით სოლომონისეულ წყაროსთან ხელპირიდან სისხლის ჩამოსაბანად, ხახუტაი მეუბნება ღიმილით:

„შენთვის რომ დამეჯერებინა, ჯონდი ბატონო, და კარავში დავრჩენილიყავ, ჩემს მაგივრად ვინ აძგერებდა იმ ჰეჯიბს შუბს?“

*
* *

იერუსალიმიდან რა გადაშენდნენ სარკინოზნი, ცხედრებისაგან დავასუფთავეთ მოედნები და ქუჩები, ტბებში ცხედრები ეყარნენ, წყაროებიც სისხლით იყო გავსილი. ქართული მონასტრების სამალებიდან გამოვიყვანეთ ქართველი მონაზვნები და ბერები, ვეახელით დედოფალყოფილ რუსუდანს თავის კარავში, გალობით შემოვიყვანეთ განთავისუფლებულ იერუსალიმში და ქართულ დედათა მონასტერში დავაბინავეთ.

დედოფალყოფილის სურვილისამებრ, იმავე საღამოს ქრისტეს სამარხის ტაძარში დაასვენა უსინათლო ბერმა ათანასემ ბაგრატოვანთა საომარი ჯვარი.

მდუღარე ცრემლით იტირა და ილოცა ათანასე ბერმა, მადლი მიაგო უფალს. იმ ღამეს დაწოლის წინ მოისურვა: მაზიარეთო. აზიარეს.

გააცივა.

ბოდავდა დასიცხული: ხვალ დილა-

ადრიან ავდგები, ცრემლების წყაროზე თვალებს ამოვიბან, ეგებ სინათლე მომიბრუნდეს და განთავისუფლებული იერუსალიმი ვიხილოვო თვალით, მაგრამ მეორე დღეს მკვდარი იპოვნეს საწოლში.

მე, ხახუტაი და ათასიოდე ქართველი მეომარი, ამ დღეებში ლაუდიკეაში ჩავალთ და იქიდან ზღვით წამოვალთ ხუფთას.

ბარათის მინაწერში იუწყებოდა ჯონდი ერისთავი:

„მრავალი ჭირი გადაგვხდა, მაგრამ მრავალი საომარი ხერხი ვისწავლე ამ ომებში და მათ შესახებ პიტაკს წარვუდგენ პატრონს“.

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კარლო კალაძე

ახლა თუ არა, როდის ვიმღეროთ?!

☆

ძახილი გვესმა. განგაშის ხმაში
ავიშალენით. ჩაჰქრა ქორწილი, —
როგორც ხელადა ტუჩ-დაკოცნილი
მოულოდნელად დაგტოვე მაშინ.

რისხვა გადამხდა ომის — ფიცხელის,
გამოვვლე ხალხთა სალეწი კალო, —
ხელმა, რომელმაც დამლოცა, ქალო,
ვარ მონატრული ისევ იმ ხელის, —

კვლავ იმ ხელადით მსურს გავიხარო,
მე ნატყვიარი გულიც მიმღერის!

ხარ სასურველი როგორც ხელადა
აგრე, ამაყად ამართულ ყელით! —
და აგიტაცებ ორივე ხელით,
შენით მწყურვალი, მოსალხენადა!..

ო, ჩემო კარგო, იქნებ სწუნობდე,
მითხრა ძველ სასმისს რად მიგამსგავსე, —
დოინჯ-მოყრილი, ჩუმად, შენც ასე
ტუჩით ჩემ ტუჩთან მსურს ჩურჩულობდე!

ლხინით, ღიმილით, ღიღინით სავსევ,
ახლა თუ არა, როდის მწყუროდე!?

მე ჩემი დღე და ღამე კი არა —
შენი თვალწარბი უნდა მეხატა,
უნდა ეს ჭერი გადამეხადა,
რომ შენს ვარსკვლავებს იქ ეცქრიალა...

დროა, ცხოვრებას ლაღად ვუმღერო! —
და შენც ნუ ეტყვი ამ შთაგონებას,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიცოცხლის ამ ერთ ჩამოქროლებას
რომ გულს სიყვარულს ნულარ უმხელო, —

ო, ჩემს სიხარულს, ჩემს აფრთოვნებას
ახლა თუ არა, როდის ვუმღერო!?

და თუ ეგ წარბი რტოა ნუგეშის,
იქ მინაბული თვალი ნუშია, —
მტრობას არ ჩავთვლი აინუნშიაც
სიყვარულსა და სიჭაბუკეში,

ოღონდ ვიმღეროთ, ოღონდ ვიმღეროთ,
ოღონდ ხელადა აქეთ მოცურდეს! —
განა ცოდვაა, მოსმა რომ გვსურდეს,
ყელი მოლხენით რომ მოვიღეროთ, —

ახლა თუ არა, როდის მოგვწყურდეს,
ახლა თუ არა, როდის ვიმღეროთ!?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დავით ბაქრაძე
საბჭოთა კავშირის გმირი

გმირთა სისხლით*

★

XI

მთის საცალფეხო ბილიკები, რომლებითაც ჩვენ მიმოვდიოდით, არც ერთ რუქაზე არ იყო აღნიშნული. ძალიან გვიჭირდა ამ გზებზე სიარული. აქ არამც თუ ღამით, დღისითაც კისერს მოიტეხდა კაცი. მეგზურის პოვნაც აგრე ადვილი როდი იყო. გავწვალდით, ძალზე მძიმე დღეები დაგვიდგა. ამ კლდიანი კარპატების ერთი სიკეთე ისღა იყო, რომ ხანდისხან ტყის ხილს წავაწყდებოდით ხოლმე.

მკითხველმა უკვე იცის, როგორ გავისტუმრეთ რუსინები. ამის შემდეგ გზა განვაგრძეთ, ვჩქარობდით; მაგრამ უბედურება ის იყო, რომ ბილიკები ზევით თანდათან დავიწროვდა, ვეღარც კაცი და ვეღარც ცხენი ფეხს ვერ იკიდებდა ციცაბოებზე, კლდოვან აღმართებზე. ჯერ ისევ მთის შუა კალთებზე ვიყავით, როცა ოთხთვალა ურმები ორთვალა ურმებად გადავაკეთეთ, ბოლოს კი, როდესაც მთების შუა — წელს გავცდით, ბილიკების სივიწროვის გამო ორთვალა ურმებზეც ხელი ავიღეთ. გაჭირდა მძიმე იარაღის ტარება, მაგრამ ქვემეხებზე და ნაღმტყორცნებზე ხელის აღება ჯერჯერობით ფიქრად არ მოგვსვლია.

სწორედ ამ გაჭირვების დღეებში წავაწყდით მწყემს გუცულებს. ძალზე გულთბილად შეგვხვდნენ ისინი. თანაც გულუხვი მასპინძლები აღმოჩნდნენ, არც რძის პროდუქტები დაიშურეს ჩვენთვის და არც საკლავი საქონელი.

გერმანელებმა საიდანღაც გაიგეს, რომ პარტიზანები გუცულებს დაუმეგობრდნენო. მათ სასწრაფო ბრძანება გასცეს: კარპატებში მობინადრე მწყემსებმა დაუყოვნებლივ დასტოვონ მთა და საქონელი ბარში ჩამორეკონო. ბრძანების შეუსრულებლობისათვის მწყემსებს დახვრეტა ელოდათ. გუცულები იძულებული გახდნენ შეესრულებინათ გერმანელების ბრძანება, მაგრამ ყველა როდი დამორჩილდა დამპყრობელს: მწყემსების ნაწილმა მთებში მყუდრო და მიუვალი ადგილი მონახა და დამალვა მოახერხა. მთიელებისათვის ხომ აქ ყოველი ბილიკი ნაცნობი იყო. გერმანელებს კი სად შეეძლოთ მოენახათ ისინი.

მაინც სცადეს დამპყრობლებმა და კარპატების ტყიან მთებში ცხვირის შეყოფა გაბედეს. სულ არ მოველოდით ისე წავაწყდით გზაში გერმანელების თავდაცვას; ადვილად დავძლიეთ მტერი, გავარღვიეთ რკალი და სამშვიდობოზე გამოვედით. მაგრამ რა სამშვიდობო იყო ეს, რა მშვიდობაზე შეიძლებოდა აქ ლაპარაკი, როცა პირ-

* გაგრძელება „მნათობი", № 10.

სისხლიანი მტარვალი დაგეშილი ძალლივით დაეძებდა ჩვენს ნაფეხურებს, დაგვეძებდა, ხშირად გვიპოვნიდა ხოლმე და იმავე დროს იპოვნიდა თავის სიკვდილსაც, თავის უკანასკნელ საათსაც.

ეხ, კარპატებო, კარპატებო! ვინ იცის რამდენ მგოსანს უმღერია თქვენზე, რამდენს შეუქია თქვენი დიდი და იდუმალი მყუდროება, რამდენის დარდი გაგიფანტავთ და სევდამორეული კაცი უდარდელად ჭაბუკივით მხიარულებით აგივსიათ, მაგრამ რას იტყოდნენ ის მგოსნები — შენი მყუდრო ხეობების მოტრფიალენი—ეს გრიალი, ეს ქვემეხების გრუხუნი რომ მოესმინათ, რომელიც გაუთავებლად გადადიოდა ხეობიდან ხეობაში!

მაგრამ ჩვენ მყუდროება როდი გვენატრება, ჩვენ ის გვაწუხებს, რომ კლდეებში ვართ ჩაჭედილი. აქამდე კი ფართოდ გაშლილი ასპარეზი გვქონდა ბრძოლისათვის, როცა უკრაინის ტრამალებში ვიბრძოდით. იქ მიეჩვია პარტიზანი სული ნავარდს, აქ კი უცებ ასპარეზი დაგვიწროვდა.

როგორც იყო მივაღწიეთ მწვერვალებს. ტყეები აქაც იყო, მაგრამ უჯიშო და უხარისხო. მწვერვალებზე საჭმლის მოხარშვა სულ აღარ ხერხდებოდა, მტრის ავიაციას ისედაც აჩემებული ვყავდით და ახლა, ხომ კვამლის გამოჩენა საკუთარი ბანაკის გაცემას უდრიდა.

კარპატების კალთებზე მდებარეობს სოფელი პოლიანიცა. აქედან ჩეხოსლოვაკიის საზღვრამდე ორი კილომეტრია. ამ სოფელში იმიერკარპატიელი უკრაინელები ცხოვრობენ. პოლიანიცა არაჩვეულებრივად გამაგრებული აღმოჩნდა. მტერს აქ დიდი ძალებისათვის მოეყარა თავი. ეს ლამაზი სოფელი მტერს ციხე-სიმაგრედ გადაექცია, ყოველ ნაბიჯზე გერმანელებისა და უნგრელების სამთო ქვემეხები იდგა. ეს გასაგებიც იყო: პოლიანიცას დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა — ეს იყო ჩეხოსლოვაკიის საზღვარიც და იმავე დროს კარპატებიდან ბარში გასასვლელი გზაც. გერმანელებს სწორედ ამ გზის გადაღობვა და ამ საზღვრის ჩაკეტვა ჰქონდათ გადაწყვეტილი.

და აი ჩვენ პირდაპირ მივადექით სოფელს. ძალზე რთული ამოცანა იდგა ჩვენს წინაშე: ან უნდა გაგვერღვია მტრის სიმაგრეები, ან აქ დავღუპულიყავით. სხვა გამოსავალი არ იყო.

პარტიზანები სოფელს აღმოსავლეთის მხრიდან მივუდექით და ჩავსაფრდით. დავუწყეთ ხეობას თვალყურის დევნება. ვხედავდით როგორ გარბოდნენ და გამორბოდნენ დღისით და ღამით მტრის ავტომანქანები. ჩვენ კარგად ვიცოდით რას მოასწავებდა გერმანელების ეს ფუსფუსი, ისიც ვიცოდით, რომ გერმანელებმა აქ ჩვენი განადგურება გადასწყვიტეს. მათი აზრით ამ ამოცანის განხორციელებისათვის კარპატები პირდაპირ მისწრება იყო. ასე ბჭობდნენ ისინი. „სადღა წაგვივლენო, ფიქრობდნენ, მთის მიუვალ კალთებზე არიან თავშეფარებულნი, მთის ირგვლივ მდებარე ყველა გასასვლელსა და შემოსასვლელს ჩავუკეტავთ და ამბის მომტანს არ გაუშვებთ ისე ამოვწყვეტავთო“.

ისინი უფრო და უფრო ავიწროვებდნენ რკალს ჩვენს გარშემო, გადამწყვეტი დარტყმისათვის ემზადებოდნენ. ერთ დღეს უეცრად, როგორც თოვლის ფიფქი, ისე დაგვაყარეს თავზე აუარებელი ფურცლები. მათი შინაარსი ასეთი იყო: „კოვპაკის დივიზიას ბოლო ეღება, პარტიზანები მუჭაში გვყავს მომწყვდეული, კოვპაკი და რუდნევი დღეს თუ ხვალ იძულებული იქნებიან დასტოვონ შენაერთი და გაიპარონ. პარტიზანებო, გონს მოდით, ნუ ღუპავთ ცოლშვილს და სა-

კუთარ თავს, ჩვენ სულგრძელები ვართ, დანაშაულს გაპატიებთ. ვინც მოინანიებს, იმათ მიწებს და მაღალ თანამდებობებს დავურიგებთო“.

ამ ბინძურმა ფურცლებმა, ცხადია, ვერცერთი პარტიზანი შეცდომაში ვერ შეიყვანეს. სასაცილოდ არ გვყოფნიდა ეს აბდა-უბდა. ბიჭები ხუმრობდნენ:

— დახე, მამულებს გვთავაზობენ ეს მათხოვრები...

— თანამდებობებს იძლევიან ეს წუნკლები, უყურეთ, ძმებო, რა ხელგაშლილები გამხდარან ეს გუდამშიერი ქვა-წვიები...

— კოვპაკისა და რუდნევისა რა მოგახსენოთ და თქვენი გენერლები კი მართლა დაგტოვებენ და გაიქცევიან... აი ვნახავთ, ალილო და ხვალაო — გაიძახოდნენ პარტიზანები.

პარტიზანთა შენაერთის შტაბი პოლიანიციდან ორი კილომეტრის დაშორებით მოვათავსეთ. ჩემს ასეულს შტაბის დაცვა დაავალეს უფროსებმა.

კოვპაკი თავისი ჩვეული სიდინჯით შეუდგა მზადებას. დღე და ღამე ფიქრობდა, გეგმას აზუსტებდა, თანაც გამარჯვების იმედსა და რწმენას გვინერგავდა.

— პოლიანიცასთან დიდი ბრძოლებია მოსალოდნელი, — ამბობდა ის, — ერთხელ კიდევ უნდა დავამტკიცოთ, რომ ჩვენ, პარტიზანები უძლეველნი ვართ, მაგრამ ნურავინ იფიქრებთ, რომ იოლად გავიმარჯვებთ. დიდძალი ჯარები მოაყარა მტერმა. ხუმრობა ხომ არ არის: მას მიზნად აქვს დასახული ჩვენი საბოლოოდ განადგურება.

XII

კარპატების ბუნება თავისი სიუხვით როდი გვანებივრებდა! მოცვის გარდა, სხვა ხილს აქ იშვიათად წააწყდებოდით. ეს დალოცვილი კი ბლომად იყო. მოცვის ბუჩქები დახუნძლული იყო ნაყოფით. ვერ იტყვის კაცი, რომ ეს ხილი ძალიან კარგია, მაგრამ არც ისე უგემურია, რომ ჭამა შეგეზაროს. ჰოდა, ამ მოცვის კრეფაში პარტიზანები ძალიან დავოსტატდით. ხშირად ისღა იყო კარპატებში ჩვენი სადილ-ვახშამი. ვინ მოსთვლის რამდენჯერ სული მოგვაბრუნებინა ამ ხილმა.

იმავე დროს ისიც სათქმელია, რომ მთის საღი ჰავა საოცრად აძლიერებდა ჩვენს მადას. ბარში პარტიზანებს ასეთი მადა როდი გვქონდა, სამაგიეროდ საჭმელი იყო უხვად. აქ კი საკუროორტო ჰავა იყო, მადის აღმძვრელი, ხოლო საჭმელი — იოხ — როგორც ერთ თათარს უთქვამს.

და აი ერთ დილით, როცა სიმშილისაგან თვალები მიბნელდებოდა, ბანაკიდან გამოვედი და იქვე მახლობლად ფერდობზე წამოვწექი. მშვენიერი დილა იყო. მთებს ნისლის საბანი გადაეხადათ. ფიქრმა წამიღო. მეორე თვეა დიდ მიწას მოწყვეტილი ვართ, მეოთხე თვეა სახლიდან წერილი არ მიმიღია. ნეტავ რა ამბავია ახლა საქართველოში, ნეტავ თუ იციან ჩვენებმა, რომ აი ახლა, აქ ვზივარ მარტო და მათზე ვფიქრობ... ამ ფიქრში ვიყავი, როცა შორიდან მოტორის ღმუილი მოისმა. წამოვიწიე რომ დავმალულიყავ, მაგრამ თვითმფრინავმა ტყვიასავით გადაიშხუილა ტყეებზე და თვალს მიეფარა. ჩანს სადღაც მიეჩქარება და ჩვენთვის არა სცალია.

ამ ტიალის გამოჩენამ მთელი ტყე შეაჩოჩქოლა, მე ისევ პირქვე წამოვწექ, იდაყვებზე დავებჯინე და წინ სივრცეს დავუწყე ცქერა. დაბლა ტაფობია, ყვავილების ზღვა გაშლილა. უეცრად ტყისა და ტაფობის მიჯნაზე უცხო ტყიურის ლანდს შევასწარი თვალი. პირუტყვი სწრაფად შეტრიალდა და ტყეში მიიმალა. სმენად გადავიქეცი. მან ისევ გამოჰყო ტყიდან თა-

ვი, მარდად მიმოავლო არემარეს თვალი და ისევ მიიმალა.

წამოვჯექი და ცქერა დავუწყე. ისევ გამოძვრა ფრთხილად პირუტყვი, რქები ზურგზე გადაიწყო და ერთ ადგილზე ქანდაკებასავით გაქვავდა. ვიცანი, ირემი იყო. რა ლამაზი იყო კარპატების ეს ლაღი ნადირი! ირემმა მიწა დაყნოსა და ისევ გასწორდა. ნელა მიმოავლო თვალი არე-მარეს, თავი ძირს დასწია და ბალახის ყნოსვა იწყო.

ზაფხულობით ირემი ძალზედ თვალწარმტაცია. ხვადი ირემი შემოდგომაზე მოცვლილ რქას გაზაფხულზე იყრის, დატოტიანებული რქებით, მაღალ, წვრილ ფეხებზე შემდგარი ის იშვიათი სანახავია. არა მგონია რომელიმე ცხოველი შეედაროს მას სილამაზით. ვუცქეროდი და ვტკბებოდი ამ უცხო სანახაობით, სიმშილი აღარც კი მახსოვდა.

უეცრად ხელი დავავლე ავტომატს, მაგრამ მსხლეტთან მიტანილი თითი თითქოს გაშეშდა, აღარ მემორჩილება, მენანება ირმის მოკვლა.

უეცრად ვამჩნევ, ირემმა კისერი მოიღერა, გასაქცევად ემზადება.

აღარ მახსოვს როდის გამოვწიე თითი. გაისმა ავტომატის ტყვიების ზუზუნი და ნადირი უსულოდ დაეცა მიწაზე. საჩქაროდ ზეზე ავდექი და ირმისაკენ გავქანდი.

გავრბივარ, მიხარიან და თან გულს რაღაც აწუხებს, მენანება. ნეტავი სულაც არ გამოსულიყო, ეს ბედშავი, ტყიდან. მაგრამ რას ვამბობ! რა დროს ეს გულჩვილობაა! ნაბიჯს ვერ გადასდგამ ამ სლავთა ძველ მიწაზე, რომ ყველა მტკაველი სისხლით მორწყული არ იყოს, ჰო და, რა დროს ირმის შებრალებაა! კიდევ კარგი, რომ დროზე ვესროლე, თორემ წუთი და ირემი თვალიდან მიიმალებოდა; რომ გამქცეოდა ხომ ბევრს ვიჯავრებდი?!.

ირემს მივუახლოვდი, ხელი დავავლე, ზურგზე წამოვიკიდე და მალე სამზარეულოსაკენ გავეშურე. ნახევარი საათის შემდეგ სიხარულით ანთებული, სისხლში ხელებდათხუპნული მოხუცი მზარეული, ქაფქირით ხელში, ქვაბზე მოყენებულ ქაფს ხდიდა. ნაჭრებად აქნილი ირემი ცხელ წყალში ჩახჩახებდა.

იმ დღეს ისეთი სადილი გეახელით, რომ როგორც იტყვიან, თითებს ჩაიკვნეტდა კაცი!

XIII

მზვერავებმა ამბავი მოიტანეს: გერმანელებმა ყველა ახლო-მახლო მწვერვალი დაიკავეს, პოლიანიცის ირგვლივ ჩასაფრდნენ, გააფთრებულ მზადებაში არიანო.

ჩვენც შეტევისათვის ვემზადებით, ამ ბრძოლას პირადად რუდნევი უდგება სათავეში. კომისარი წუთსაც აღარ ისვენებს, აქეთ-იქით დაჰქრის მისი ცხენი. ამ წუთში აქ არის, შემდეგ წუთში ხეობის მეორე თავში გაჩნდება, განკარგულებას იძლევა, ამხნევებს მეომრებს, გამარჯვების რწმენას უნერგავს, თვალებიდან ცეცხლს აფრქვევს.

დაიწყო შეტევაც, ლომებივით იბრძოდნენ პარტიზანები, ბრძოლის სასწორი ხან ერთ, ხან მეორე მხარეზე იხრებოდა. უპირატესობა, როგორც ყოველთვის, ახლაც პარტიზანების მხარეზე იყო. ნაშუადღევს ბრძოლამ უმაღლეს წერტილს მიაღწია. ყურთასმენა აღარ იყო ქვემეხების ქუხილისაგან. მთელ ტყეს მოედო პარტიზანების ყიჟინა, ხელჩართულ ბრძოლაში ჩაერიენ ჩვენი ბიჭები. მთის უსწორ-მასწორო ზედაპირი პარტიზანებს თხრილებთან შეუმჩნევლად მიპარვას უადვილებდა. პანტასავით ცვიოდა გერმანელთა თხრილებში ხელყუმბარები. ჩქარა გერმანელებმა წინა თხრილები

დასტოვეს და გადაინაცვლეს. ეს საბრძოლო დღეც ამით დამთავრდა.

კარპატებში გერმანული თვითმფრინავები პირდაპირ დავლურს უვლიდნენ ჩვენს თავზე. მათი შიშით ცხენები ველარ გამოგვეყვანა საბალახოზე. არაქათგამოლეული პირუტყვი ძალზე შეწუხდა, მოძრაობის უნარი აღარა ჰქონდათ, სად შეეძლოთ მათ ქვემეხების თრევა.

ბრძოლის დამთავრების შემდეგ რუდნევმა შტაბში ცხენი მოაგდო. მას თან მზვერავები ახლავან. სანამ შტაბში შევიდოდა და კოვპაკს ინახულებდა, იქვე ახლო მყოფი მეთაურები გვიხმო და გვითხრა:

— ფრიად სერიოზული მომენტის წინაშე დავდექით ამხანაგებო! მტერმა სულ ახალ-ახალი პოლკები გადმოიყვანა ამ უბანზე. გერმანელები ყველა ჯურის იარაღს იყენებენ ამ ბრძოლებში. ჩვენ ჯერ-ჯერობით წარმატებები გვაქვს, აი სოფელშიც შევიჭერით, მტერი გავფანტეთ, მაგრამ ეს არ ნიშნავს თითქოს მოწინააღმდეგე საბოლოოდ დამარცხებული იყოს. გაიხსენეთ, თუ რა ვერაგ მტერთან გვაქვს საქმე; ჩვენ კი დღეს სამხედრო მასალა და სურსათ-სანოვაგე არც ისე თავზე საყრელი გვაქვს, პირიქით, გვაკლია და ამ დანაკლისის შევსება არ ძალგვიძს. აბა დაუფიქრდით ამას...

რუდნევი ერთხანს შეჩერდა, თითქოს ფიქრის დრო მოგვცაო და მერე განაგრძო:

— ამ დილით მზვერავებმა ორი ტყვე გერმანელი მოიყვანეს. მათ სთქვეს, რომ კარპატების რაიონში მტრის ახალ-ახალი ნაწილების გადმოსხმა თავბრუდამხვევი სისწრაფით გრძელდებაო. ჩვენ პოლიანიცასთან ისევ ხელახლა მაგარი ბრძოლების გადახდა დაგვჭირდება. ყური მიგდეთ — ერთ მთავარ საკითხზე მინდა მოგელაპარაკოთ: თქვენ, ამხანაგებო, მოწამე ხართ, თუ როგორ გაძნელდა ერთი ადგილიდან მეორეზე გადანაცვლება, ამას ისიც დაუმატეთ, რომ თვითმფრინავების შიშით საძოვრებზე ვერ გამოგვიყვანია ცხენები, სიმშილისაგან არაქათგამოლეული პირუტყვი დავარდა, მოძრაობა უჭირთ. აღალების და ქვემეხების აღმართებში მუდამ ხელით თრევაც ძნელია. როგორც ხედავთ ბილიკები თანდათან ვიწროვდება და სულ მალე არტილერიისათვის ისინი გაუვალი გახდება; იარაღის დაკარგვა დღეს ჩვენთვის სამძიმოა, მაგრამ სამწუხაროდ და სავალალოდ თვალები უნდა დავხუჭოთ და მძიმე იარაღზე ხელი უნდა ავიღოთ. დღემდე არტილერიას, ნაღმტყორცნელებს რამდენჯერ ვუხსნივართ განსაცდელისაგან, მაგრამ ამავე იარაღებს მომავალში შეუძლია ხიფათში გაგვხვიონ. კუს ნაბიჯით ამ მთებში ველარ ვივლით. ამას შესაძლოა ჩვენი განადგურება მოჰყვეს.

ასე დაამთავრა კომისარმა თავისი სიტყვა და მძიმედ ამოიქშინა.

გაფართოვებულ თვალებით შესცქეროდნენ კომისარს მეთაურები.

— ესე იგი, სიმონ ვასილის-ძევ, მძიმე იარაღი უნდა დავტოვოთ არა?— შეეკითხა რუდნევს კულბაკა.

— უნდა ავაფეთქოთ, — იყო კომისრის პასუხი.

სიჩუმე ჩამოვარდა. პავლოვსკის ცეცხლმოკიდებული ჩიბუხი ხელში ჩერჩა, გარინდდა თითქოს აღარ ახსოვდა, რომ სწევდა მას.

— მიწაში ჩავფლათ იარაღი, — წამოიძახა ლენკინმა.

— მსუბუქი იარაღი კიდევ შეიძლება კაცმა მიწაში ჩაფლას, მძიმეს ჩაფლვა კი სახიფათოა, მტერმა შეიძლება ის ადვილად მონახოს, — განმარტა კომისარმა.

— რას იტყვის ნეტავი კოვპაკი ამაზე, — იკითხა ბაზიმამ.

— კოვპაკი უარს იტყვის, — წამოი-

ძახა პავლოვსკიმ და ახლა-ღა მოაგონდა თავისი ჩიბუხი.

— საქმეც აშაშია, კოვპაკთან მოლაპარაკება არის საჭირო ამ საკითხზე, უნდა დავუმტკიცოთ, რომ ამ საკითხის სხვანაირად გადაწყვეტა — შეუძლებელია. თქვენი თანხლებით მინდა მივიდე კოვპაკთან, — წარმოსთქვა კომისარმა.

— ნუ თუ განადგურების გარდა სხვა გზა არ არის?

— სხვა გამოსავალი არ არის, ამ გადაწყვეტილებას ძე კარგახანია გულში ვატარებ. ახლა ისე წავიდა საქმე, რომ იძულებული გავხდი ეს ჩემი გულისნადები საჯაროდ გამომეტანა.

—თქვენი მოსაზრება სავსებით სწორია, სიმონ ვასილის-ძევ, — ვუთხარი კომისარს, — ვთქვათ კარგი, ჯერჯერობით ვატაროთ ხელით მძიმე იარაღი, მაგრამ ბილიკები მალე გაუვალი რომ გახდებიან? მე დარწმუნებული ვარ ამ საკითხში სიდორ არტემის-ძე თქვენი თანახმა იქნება.

— ეს საკითხი დღესვე უნდა გადაიჭრას, — დაასკვნა კომისარმა;

ამ სიტყვებთან ერთად ის შტაბში შევიდა. ჩვენც თან შევყევით. შემოსვლისთანავე კოვპაკმა რუდნევს ბრძოლის ამბები გამოჰკითხა.

— მდგომარეობა ძალზე რთულია— უპასუხა. კომისარმა — მტრის თავდაცვა ძალზე ძლიერია ახალი პოლკები გადმოიყვანეს ჩვენს წინააღმდეგ. გერმანელები განაგრძობენ რეგულიარული ჯარის ნაწილების გადმოსხმას.

— პარტიზანების სულიერი განწყობილება როგორია? — იკითხა მოხუცმა.

— როგორც ყოველთვის, ჩინებული, შეუპოვრად იბრძვიან ჩვენი ბიჭები. პირველ შეტაკებისთანავე მტერი იძულებული გახდა დაეტოვებია პირველი წყების თხრილები. ხელჩართულ ბრძოლაში დიდი წარმატება გვხვდა წილად. ჭერეხებივით დავალაგეთ გერმანელები.

— პოლიანიცასთან მტერი უნდა გავიფრინოთ, შემდეგი ბრძოლების წარმატებისათვის ამას დიდი მორალური მნიშვნელობა ექნება, — სთქვა კოვპაკმა.

— აგრეა, სიმართლეა, სიდორ არტემის-ძევ. პოლიანიცასთან გამარჯვება აუცილებლია, ეს სიკვდილ-სიცოცხლის საკითხია, — დასძინა რუდნევმა.

მეთაურებს მოთმინება აღარ ჰყოფნიდათ, ვუცდიდით სულგანაბულნი როდის და როგორ დაიწყებდა რუდნევი ლაპარაკს მძიმე იარაღზე. და აი მან უფრო დასაბუთებულად და მჭერმეტყველურად, ვინემ ეს მეთაურებთან საუბრის დროს, დამაჯერებლად და მშვიდად განმარტა მძიმე იარაღის განადგურების საჭიროება.

ხის კუნძზე მჯდომარე და საფეთქლებზე ხელებშემოწყობილი კოვპაკი კომისარს გარინდებული უსმენდა. რუდნევმა სიტყვა დაასრულა. მცირე სიჩუმის შემდეგ კოვპაკმა მტკიცე კილოთი წარმოსთქვა:

— განა მე არ მიფიქრია მაგაზე? ვიცოდი, რომ ადრე თუ გვიან ჩვენ მძიმე იარაღის განადგურება დაგვჭირდებოდა. ეს ყველა ჩვენთაგანისათვის ნათელია; ვიცი, რომ კარპატების მთებში მძიმე იარაღის ტარება ჩვენთვის მოუხერხებელია, მხოლოდ დღეს-დღეობით ამ იარაღზე ხელის აღება, მე მგონია, ნაადრევია.

— დროულია სიდორ არტემის-ძევ, დროული, რაც ადრე გავიღებთ გამოსაშვებ სისხლს, მით უკეთესი იქნება, — ერთხმად შესძახეს მეთაურებმა.

— მძიმეა ჩვენთვის ამ ფრიად მნიშვნელოვან იარაღზე ხელის აღება, ეს თითქმის მარჯვენა ხელის მოკვეთას უდრის, მაგრამ რა ვქნათ, როცა მარტო ამ ნაბიჯს შეუძლია ჩვენი ხსნა, ეს-ღაა გამოსავალი, — დასძინა კომისარმა.

კოვპაკი კარგად გრძნობდა, რომ კომისარი მართალი იყო, ამაზე როგორც სთქვა, თვითონაც უფიქრია, მაგრამ უკანასკნელ წუთში გაუძნელდა მოხუცს, ვეღარ იმეტებდა ამ ძვირფას იარაღს. ის ერთხანს კიდევ ფიქრობდა, მერე ჭაბუკივით მკვირცხლად ზეზე წამოხტა, თავის ჩვეულებისამებრ მათრახის ცემა იწყო წაღებზე, სიგარა გაიწყო, შემდეგ შეტრიალდა მეთაურთა კრებულისაკენ, იქ მყოფთ თვალებში ჩააცქერდა, გაიარ-გამოიარა და ხელი ჩაიქნია:

— კარგი, ვიძლევი თანხმობას, მხოლოდ ერთი პირობით: უკანასკნელად ქვემეხებიდან და ნაღმმტყორცნელებიდან გრიგალისებური ცეცხლი გახსენით, რაც ყუმბარები გაქვთ მტერს დააყარეთ, ოღონდ ისე, რომ არც ერთი ყუმბარა არ გაცუდდეს, ყველამ მიზანს მიაღწიოს! დაე, საშვილიშვილო ამბავად დარჩეს ჩვენი დღევანდელი ბრძოლა!

რუდნევი გამობრუნდა შტაბიდან და თავისი გადაწყვეტილების განხორციელებას შეუდგა. ჯერ ყველას განუმარტა, თუ რატომ იყო აუცილებელი მძიმე იარაღის განადგურება, მერე ბრძანება გასცა:

— ისეთი ცეცხლი გააჩაღეთ, რომ მტრის ფეხქვეშ მიწას ალი ასდიოდეს, ზუსტად ესროლეთ, არცერთი არ ააცდინოთ, ყოველმა ყუმბარამ მიზანს უნდა მიაღწიოსო.

— ეს კარგი, სიმონ ვასილის-ძევ, მაგრამ აღალებს და ორთვალებს რაღა ბედი ეწევათ? — შეეკითხა რუდნევს მეხუთე ასეულის უფროსი ეფრემოვი.

— იგივე რაც ქვემეხებსა და ნაღმმტყორცნებს, ესეც უნდა გავანადგუროთ..

სამზადისი დასრულდა, დავიწყეთ სროლა. საშინელი ჭექა-ქუხილი ატყდა. პოლიანიცა და მისი ახლო მდებარე უბნები ცეცხლში გაეხვიენ. მოწინააღმდეგისათვის ასეთი ... ანადგურებელი ცეცხლი სხვა დროს ჩვენ არ დაგვიყრია. სოფლის ერთეულ კვადრატიულ მეტრზე თითქმის ერთი ყუმბარა მოდიოდა, მტერმა დიდი მარცხი განიცადა და უწესრიგოდ უკან დაიხია. კვალდაკვალ დავედევნეთ, გზაგზა ვსპობდით და ვანადგურებდით მტრის ცოცხალ ძალას. პარტიზანებმა იცოდნენ რით დამთავრდებოდა დღევანდელი ბრძოლა, იცოდნენ, რომ მათ თითონვე უნდა მოესპოთ თავისი ნაცადი და საყვარელი იარაღი, ამიტომ ასე გააფთრებით იწევდნენ საძულველ მტერზე.

— მართალია დღეს ჩვენს იარაღზე ხელს ვიღებთ, მაგრამ ამ უკანასკნელად მტერს ისეთი ლახვარი უნდა ჩავცეთ, რომ ჭრილობების მოშუშება წლობით ვერ შესძლოსო, — ამბობდნენ პარტიზანები.

უკანასკნელი ყუმბარები მიზუზუნებენ მტრისკენ, უკვე დაცალიერდა საომარი მასალის საწყობი ყუთები.

ახლა დროა გამოვეთხოვოთ ჩვენს არტილერიას. ვემზადებით ქვემეხების აფეთქებისათვის და ეს მზადება სამგლოვიარო პროცესიას ჰგავს.

არტილერისტებმა და ნაღმმტყორცნელებმა უსიტყვოდ შეაგორეს ქვემეხები ღრმად ტყეში, მოამზადეს ასაფეთქებლად და ქუდები მოიხადეს. აფეთქების ჯოჯოხეთურმა ქუხილმა კარპატების მთების მწვერვალები შეაზანზარა. სიჩუმე ჩამოვარდა.

ყველას გული დაგვწყდა: ვინ იცის რამდენჯერ ვუხსნივართ განსაცდელისაგან ამ ქვემეხებს, რამდენჯერ გადურჩენივართ სიკვდილისაგან. ყველაზე მეტად შეწუხდა ანისიმოვი, რომელიც წელიწადნახევარზე მეტი დროის განმავლობაში თავს ევლებოდა ამ ქვემეხებს, ელოლიავებოდა. აფეთქების დროს ანისიმოვი მოგვ-

ცილდა, ღრმად შევიდა ტყეში, ყურებზე ხელი მიიდო, რომ აფეთქების ხმა არ გაეგონა. ცრემლები ღაპა-ღუპით ჩამოსდიოდა ლოყებზე. დაინახა თუ არა კომისარმა, მკაცრად მიმართა:

— აბა, რა გატირებს, არ გრცხვენიან. ჩვენ თუ კარგად ვიქნებით, ქვემეხებს კიდევ ბევრს წავართმევთ მტერს, მშობლიურ არტილერიასაც ბლომად მოგვაწოდებენ დიდი მიწიდან.

— გულს ნუ გაიტეხთ, ამხანაგებო! — წამოიძახა ერთმა არტილერისტმა, — მართალია, დღეს ჩვენი ხელით ავაფეთქეთ ნაცადი და საყვარელი იარაღი, მაგრამ დრო დადგება დღევანდელ დანაკლისს ერთი-ათად ავინაზღაურებთ, მანამდე კი ნაღმტყორცნელებმა და არტილერისტებმა ავტომატები ავიღოთ ხელში, ვიბრძოლოთ ისეთივე სიმხნევით და თავგანწირულად როგორც დღემდე ვიბრძოდით.

ქვემეხებისა და ნაღმმტყორცნელების აფეთქების საქმეს რომ მოვრჩით — მერე აღალები და ორთვალები გავანადგურეთ.

XIV

მოახლოვდა გამგზავრების დრო. შტაბმა ბრძანება გამოსცა: სამხედრო საჭურველის ერთი ნაწილი ცხენებს აჰკიდეთ და მეორე ნაწილი კი თვითონ პარტიზანებმა ზურგით წამოიღონო. რიგითი მეომრებმა და მეთაურებმა ორ-ორ ფუთამდე საომარი მასალა წამოიკიდეს ზურგზე, ცხენებიც დავტვირთეთ და მთის ვიწრო ბილიკებს შევყევით.

შენაერთის ხელმძღვანელობა იმავე დროს ერთი წუთითაც არ სწყვეტდა ზრუნვას დაჭრილი და ავადმყოფი პარტიზანების მიმართ. ერთი წყება დაჭრილებისა, ვისაც თავისუფლად მოძრაობა შეეძლოთ, ცხენებზე შევსხით, მძიმედ დაჭრილები საკაცეებით წავიყვანეთ. მე პირადად ალმართზე, ხუთ-ექვს კილომეტრზე ვატარე საკაცეთი ჩემი ოცეულის დაჭრილი უფროსი.

ახლაც თვალწინ მიდგას მძიმედ დაჭრილების ნაღვლიანი სახეები. მგზავრობის წინ მთელ ბანაკში ფაცი-ფუცი იყო, ღელავდა დიდი და პატარა. ერთ გამოუცდელ პარტიზანს ცხენზე ბარგი უშნოდ აეკიდებინა, ცალი საპალნე ალმა იყო და ცალი დალმა. მეთაურმა შენიშნა, ვეღარ მოითმინა და მიმართა:

— ახსენი საჩქაროდ და წესიერად აჰკიდე, შე უშნო!

— ბაბუას ყავარჯენივით რომ მიჰყუდებიხარ მაგ ხეს, ბარგი რა უყავი? — ეკითხება მეორე მეომარს ოცეულის უფროსი.

და მეომარიც უმალ მოსწყდება ადგილს, წესრიგში მოჰყავს ყველაფერი.

— ხუთ წუთში უნდა გავიდეთ, არეულ-დარეულობა არ იყოს, — აფრთხილებს მეომრებს ჩემი მოადგილე.

— გასაგებია, ამხანაგო მეთაურო, — ერთხმად უპასუხებს პარტიზანელების ჯგუფი.

აგერ ბრძანებაც მოისმის:

— ასეულო, სმენა! ნაბიჯი წინ!.. გამყივანო, დაიწყე!

იწყება მგრგვინავი სიმღერა, გუგუნებს მთელი ასეული და სიმღერის ხმა ეფინება კარპატის ხეობებს.

ამ საერთო ხმაურის და ორომტრიალის დროს თეთრი ღორღით დაფენილ ვიწრო მოედანზე განცალკევებულად იდგა დაჭრილთა საკაცეები. ბიჭებმა მარჯვედ დასტაცეს ხელი ამ საკაცეებს. მაგონდება ერთი დაჭრილი — ძალზე გამხდარი იყო, მკვდრის ფერი ედო. თვალები სანახევროდ დახუჭული ჰქონდა. მან ჩურჩულით მიმართა პარტიზანებს, როცა მათ საკაცე ასწიეს:

— დამტოვეთ ბიჭებო, სულერთია შუა გზამდე ველარ მივატან. აბა, ტყუილად რაზე უნდა გაწვალოთ...

— ნუ გეშინიან ძმაო, — შესძახა პარტიზანმა, — ყველაფერი კარგად იქნება, გული არ გაიტეხო. აქ როგორ დაგტოვებთ შე კაი კაცო, იმასაც ვნახავთ, რომ მალე ისევ ჩვენს გვერდით იბრძოლებ...

ახლა სხვა დაჭრილებს გადავხედე. „ბიჭებო, ჩემი ატვომატი აქ არ დარჩეს, ხელი ისე მაქვს მასზე შეჩვეული, რომ სხვას ვერ ვიხმარებ“, — იძახის საკაცეზე მწოლი. მეორე დაჭრილმა ეს რომ გაიგონა, წამს დაფაცურდა, თავის ამხანაგს უხმობს, უბარებს, „ჩემი ვალტერი არ დამიკარგო, ბრძოლაში ავართვი გერმანელ ოფიცერს, სისხლით ნაშოვნიაო“. ვუცქეროდი ამ ხალხს, და ვფიქრობდი: აი ეს უმწეო დაჭრილებიც კი ისევ იარაღზე ფიქრობენ, განა ამათი დამარცხება შეუძლია რაიმე ძალას. ვაი იმ მტრის დედას, ვისაც ამგვარი ხალხი ბრძოლაში შეებმება.

დაჭრილთაგან მრავალი დანაღვლიანებული და მძიმედ ჩაფიქრებული იყო. იცოდნენ, თუ რა ძნელი იყო მათი წაყვანა ამ ციცაბოებზე, უჩიოდნენ უდროოდ მიღებულ ჭრილობებს, ბრაზობდნენ, რომ ამხანაგებს ამ მძიმე ლაშქრობას უფრო უძნელებდნენ: მებრძოლები ცდილობდნენ გაემხნევებინათ ისინი, ხან მოსწრებული სიტყვით, ხან დარიგებით მათთვის სულის სიმტკიცე შთაენერგათ.

დაჭრილებზე განსაკუთრებით რუდნევი ზრუნავდა: მას წუთითაც არ ავიწყდებოდა ისინი. ზემოთაც ვთქვი, რომ კარპატების მთებში ჩვენ ხშირად ვშიმშილობდით, მაგრამ ავადმყოფებისათვის მუდამ ყველაფერი გვქონდა: მკურნალობა, რამდენადაც ეს მოგვიხერხდებოდა მთების პირობებში, სასმელ-საჭმელი გამოულევლად ჰქონდათ დაჭრილ-დაავადებულებს. ადრე მძიმედ დაჭრილებს რეგულიარულად ვგზავნიდით თვითმფრინავებით დიდ მიწაზე, ახლა ეს ველარ მოგვეხერხებინა, რადგან კარპატებში აეროდრომის მოწყობა შეუძლებელი იყო. ეს იყო მიზეზი, რომ კარპატებში ყოფნის დროს დაჭრილთა დიდი რაოდენობა შენაერთშივე იმყოფებოდა.

ასე დაიწყო ჩვენი მგზავრობა. სადღა იყო არტილერიის, ნაღმმტყორცნების და აღალების ჯავშად გაბმული ქარავანი, წინათ რომ გაიჭიმებოდა ხოლმე უკრაინის ველებზე და ხმაურით, ჟრიამულით მიიწევდა წინ. ახლა ქვეითი მეომრები და დასაპალნიანებული ცხენები ძლივს მიბობღავდნენ მთის ვიწრო ბილიკებზე. საოცრად ძნელი გზა შეგვხვდა. კლდოვან ბილიკებზე ორ ნაბიჯს წინ წავდგამდით და ერთს უკან ჩამოვდიოდით. ოფლის ხვითქში გავიწურეთ. მეომრების უმრავლესობა ტრამალებსა და ველებში გაზრდილი ხალხი იყო, პირველად უხდებოდათ მთებში სიარული და, რასაკვირველია, რომ ძალიან უჭირდათ ადამიანს კი არა, ცხენებსაც უფრო მეტად გაუჭირდათ. ღორღიან კლდოვან ბილიკებზე სიარულით ფეხები დაუწყლულდათ და დაუსივდათ. მათი დაჭედვაც კი ძნელი გახდა. ბარში ყოფნისას საკმაო იყო პირუტყვისათვის მუხლზე ხელი დაგედოთ, ის ფეხს თითონ აიღებდა, ერთი კაციც მას ადვილად სჭედდა. ახლა, გაძვალტყავებული ცხენის დასაჭედად სამოთხი კაცი იყო საჭირო. ცხენებს დასიებული ფეხები სტკიოდათ, ხტოდნენ, ტკივილისაგან პირდაპირ ჭკუას ჰკარგავდნენ.

ასეთ დღეში ვიყავით, როცა მთის კალთებზე თხრილებში ჩასაფრებულმა გერმანელებმა სროლა აგვიტეხეს. მტერს თავდასხმისათვის მოხერხებული ადგილი შეერჩია და თხრილებში გამაგრებულიყო. ამან პარტიზანები მაინც არ დააბნია. სახელდახელოდ

ავარჩიეთ გაბედული მებრძოლები, ისინი ხოხვით მივიდნენ თხრილების მისადგომებთან და ხელყუმბარები გადისროლეს მოწინააღმდეგეს თხრილებში. მალე ჩვენებს მეორე ჯგუფი მივაშველეთ, მათ დასძახეს „ვაშა“ და ხელყუმბარებით განგმირეს ჩასაფრებულები.

ამის შემდეგ უფრო მეტი სიფრთხილით წავედით წინ. ახლა მტრის ავიაციამ დაგვიწყო ძებნა, გვიპოვნა და მოსვენება აღარ მოგვცა. მტრის თვითმფრინავების გამოჩენისთანავე ჩვენ საფარს ახლა უფრო ადვილად მოვნახავდით ხოლმე, შედარებით იმ დროსთან, როცა ქვემეხები და ნაღმტყორცნელები დაგვქონდა თან.

ისიც სათქმელია, რომ კარპატების მთების ნისლები ძალიან უშლიდა ხელს მტრის თვითმფრინავების მოქმედებას. ისეთი ნისლი წამოვიდოდა ხოლმე, ერთი მეტრის მანძილზე კაცი კაცს ვეღარ ხედავდა. ეს ნისლი ჩვენც გვიშლიდა ხელს, მაგრამ ამას აღარა ვჩიოდით. მთავარი ის იყო, რომ მტრის მფრინავებს თავგზა ებნეოდათ. მიუხედავად დიდი სიფრთხილისა და თადარიგიანობისა მტრის მფრინავებმა არაერთი პარტიზანი მოგვიკლეს. შორეული მთების კალთებზე გაიჭრა არაერთი ჩვენი მებრძოლის სამარე, საფლავებზე თეთრ ბრტყელ ლოდებს ვადებდით და სათანადო წარწერებს ვაკეთებდით.

კარპატებში ასეთი სიდუხჭირე რომ დაგვატყდებოდა თავს — ეს ადრევე ვიცოდით. ჩვენ მორალურად მზად ვიყავით სიძნელეთა გადასატანად. ამ სულიერმა მზადყოფნამ შეაძლებინა პარტიზანებს მტკიცედ შეეხვედროდნენ დაბრკოლებებს. მძიმე პირობებმა ჩვენი მებრძოლების ხალისი და სულიერი სიმტკიცე ვერ შეასუსტა. მეტიც, აქ, მთებში ჩვენი ბიჭები უფრო თავგამოდებით იბრძოდნენ, ვიდრე უკრაინის ველებზე.

უკვე კარპატების მწვერვალებზე ვართ. ზემოდან დავცქერით ხეობებში დაფენილ ღრუბლებს, ვხედავთ როგორ დაიკლაკნება ნისლი ტყეების თავზე. აგერ ციცაბო კლდეს შემოუხვევს ბილიკი და მთის მეორე მხარეს გადავხედავთ. პარტიზანებს მოთმინება არ ჰყოფნით, ჩქარობენ მოსახვევიდან გასვლას და მთის მეორე მხარის დანახვას; „ნეტავი რა იქნება მთის მეორე მხარეზე“, — ფიქრობდა ყველა. მოსახვევს გავცდით და ახალი, უცხო სურათის წინაშე დავდექით: მთის კალთებზე ცხვრის ფარები და მსხვილფეხა საქონლის ჯოგი იყო მოფენილი. ალპიურ ზონას წავაწყდით. უზარმაზარ ხალიჩასა ჰგავდა ჯაგებით, ბალახითა და ყვავილებით დაფარული მთის კალთა.

შევდექით და ცქერა დავიწყეთ. დაბლა, ტაფობზე, რძისფერი ნისლის ბინდში მკრთალად მოსჩანდნენ მწყემსები. ეს გუცულები იყვნენ. უკანა ფეხებზე ჩამჯდარი ბომბორა ძაღლები ჩვენს დანახვაზე წამოიშალნენ და მგლური ძუნძულით გამოეშურნენ. მწყემსებმა ძაღლები საჩქაროდ შეაბრუნეს, გონიერი ცხოველები ერთად შეჯგუფდნენ და შორიდან იყეფებოდნენ. ჩვენსკენ კი აღარ იწევდნენ. მწყემსებს ვანიშნეთ ახლოს მოსულიყვნენ. ორი გუცული წამოვიდა, მოგვესალმნენ, მივესალმეთ...

— ეს ჯოგი ვისია?

— ჩვენი გახლავთ.

— ეს საძოვრებიც თქვენია?

— წინათ ჩვენი იყო, მაგრამ ახლა საძოვარში ღალას ვიხდით. გერმანელებმა ისე დაგვბეგრეს, რომ აღარ ვიცით, რა წყალში გადავცვივდეთ... გაგვათავეს, ლამის ცოცხლად შეგვჭამონ... იმდენ ცხვარსა და მსხვილფეხა რქოსან საქონელს ვაძლევთ ღალაში,

ერთი წელიც რომ ასე გაგრძელდეს, ამ ფარებიდან აღარა დარჩება-რა.

— ომის თუ გესმით რამე?

— როგორ არა, — წამოიძახა ერთმა, — ამბობენ თითქოს მალე დამთავრდებაო!

— მაშ ეგრე! ვისგან გაიგონეთ ეგ ამბავი?

— გერმანელებისაგან. ისინი ამბობენ სულ მალე გამარჯვება ჩვენი იქნებაო.

— გატყუილებენ გერმანელები!

— მეც ეგრე ვფიქრობ, რაღაც ვერ მიდის მაგათი საქმე ისე კარგად, რომ გამარჯვების პირი უჩანდეს. ყველაფერზე ეტყობათ, რომ დამარცხებისაკენ მიდიან.

— გერმანელები მალე აიკრავენ აქედან ბარგი-ბარხანას და გაიპარებიან.

— ხშირად მოდიან გერმანელები ჩვენთან. პოლიანიცა არც ისე შორს არის აქედან, ამ დილითაც აქ იყვნენ.

— რაო, რა გითხრეს?

— ასე გვითხრეს, ჩვენს მთაში ბანდა გაჩნდა. განადგურებული რუსის ჯარიდან გამოქცეულებმა კარპატების მთებს შეაფარეს თავიო.

სიცილი ვეღარ შევიკავეთ. გუცულებმა თვალები სჭყიტეს, ეუცხოვათ ჩვენი საქციელი.

— მაშ სტყუიან, არა?

— სტყუიან და როგორ. რისთვის იყვნენ თქვენთან? დაგავალეს რამე?

— დიახ, დაგვავალეს. გამოქცეულ რუსებს ხელი არ გაუწოდოთ, არც რძე, არც ხორცი არ მისცეთ. ვინც მათთან საქმეს დაიჭერს, არც ერთს ცოცხალს არ გავუშვებთ, სახრჩობელაზე ჩამოკიდებთო.

— დაუშინებიხართ. მალე უბატონოთ ხმას ვერ გაგცემენ. იცოდეთ, რომ ახლა კარპატებში დამარცხებული კი არა, გამარჯვებული საბჭოთა ჯარის ნაწილი დგას.

გუცულებმა გაოცებული თვალებით დაგვიწყეს ცქერა.

— თქვენ ვინა ხართ? — ამოიღო ხმა ბოლოს ერთმა.

— საბჭოთა მებრძოლები ვართ, ამ ორი-სამი დღის წინ პოლიანიცასთან რომ გერმანელები დავიფრინეთ, ისინი ჩვენ ვიყავით.

მწყემსებმა ყურები სცქვიტეს. ერთმა მათგანმა წამოიძახა:

— თუ ეს ასეა, მოხარული ვარ თქვენთან შეხვედრისა.

— დიახ, ეს ასეა.

— მაშ გერმანელები მართლა მარცხდებიან?

— უკვე დამარცხდნენ, სტოვებენ აღებულ ქალაქებს, სოფლებს და შინ გარბიან.

— მაშ, როგორც ჩანს, ომი მალე უნდა დამთავრდეს?

— დიდხანს აღად გასტანს, ჯერჯერობით ისევ ბრძოლები მიდის, მაგრამ გერმანელების საქმე წასულია.

— ამ მთებში თუ შოულობთ საჭმელს? — კითხულობს მწყემსი.

— რა იშოვება აქ, მოსახლეობა არ არის.

— ჩვენ ბლომად გვაქვს რძე და ხორცი, შეგვიძლია მოგაწოდოთ.

— მადლობელი ვიქნებით, მხოლოდ საფასურით.

გუცულებთან საუბრის დროს ტაფობზე დარჩენილი მწყემსები ჩვენსაკენ გამოეშურნენ. ისინი რძით და ხორცით უხვად გაგვიმასპინძლდნენ, კარგად დავნაყრდით და გზას ხალისით გავყევით.

კლდიანმა ბილიკებმა ფეხსაცმელი გაგვიჩანაგა, სანახევროდ ფეხშიშველნი დარჩნენ პარტიზანები. ჩემს წაღებს ლანჩა მთლიანად გავარდა, იძულებული გავხდი ფეხებზე ცხვრის ტყავი ამომეკრა და ისე მევლო. ღორღმა ფეხები დამისერა და დამისივა.

ცვალებადია კარპატების ამინდი. ამ

წუთში ცა რომ მოქუშულია, მეორე წუთში თავს მცხუნვარე მზე დაგანათებს.

კვლავ ციცაბო ალმართები დაიწყო, ყოველ ათ მეტრზე ვისვენებთ. დასავლეთით ჰორიზონტზე შავი ღრუბლები წამოიშალნენ, ცა საშინლად მოიკუპრა, ორ მთას შუა გარბოდა ნისლის ქარავანი და მთის ვრცელ კალთებზე იფანტებოდა. აცივდა.

უეცრად მაგარმა სეტყვამ წამოუშინა, თანდათან მოუმატა. ვერაფერს შევეფარენით და ამ ტიალმა პირდაპირ ზურგზე ბოლი აგვადინა, მოგვბეგვა.

შემდეგში დიდხანს ვგრძნობდი კუნთების ტკივილს.

XV

ვინ მოსთვლის ვის არ შეეხვდი ამ ბრძოლების დროს, რა ჯურის ხალხს არ გადავეყარე! ზოგის სახე უკვე დამავიწყდა, ზოგი კი ისევ ცოცხლად მიდგას თვალწინ.

მახსოვს ერთი მშვიდი და კეთილი მოხუცი. მას სწორედ კარპატებში გავეცანი, რასულნის ბრძოლების წარჩატებით დამთავრების შემდეგ. ქუჩაზე იდგა, თავისი სახლის წინ. ჩავუარე, მივესალმე, სალამზე მიპასუხა და ჩემსკენ წამოვიდა. შევატყე გამოსაუბრება სწადდა. მეც ხათრი არ გავუტეხე ლაპარაკის საღერღელაშლილ ბერიკაცს და მასთან ერთად ჩამოვჯექ ჭიშკრის წინ, პატარა სკამზე.

— ხომ არ შეგეშინდათ, ბაბუა წუხელის? — ვეკითხები მოხუცს.

— უჰ, რა მაგარი ბრძოლა იყო, — გაიძახის ის და თან იღიმება, — ოთხმოცი წლის კაცი ვარ და ჯერ არ მახსოვს, რომ ჩვენს სოფელზე ასეთს ქარიშხალს გადაევლოს. დიდი და პატარა მთელ ღამეს იატაკზე ვიყავით გაშხლართულები. ჩვენს თვალს ძილი არ მიჰკარებია. კიდევ კარგი, რომ ასე გადავრჩით... დახე, ეს საბეგოთა ტყვიაც ჭკვიანი ყოფილა, — ისინის მოხუცი, — იმასაც სცოდნია, რომ ფრიცი უნდა მოჰკლას და სოფელს ახლოს არ გაეკაროს... ძალზე მიკვირს, ამ გერმანელებს ასე მოულოდნელად როგორ დაატყდათ თავს?! სულ არ მოგელოდნენ. სულ ჩვენ ჩაგვცივებოდნენ — გვითხარით სად არიან პარტიზანებიო. გუნებაში ვფიქრობდით: — გიჟები ხომ არ არიან ეს მამაოხრები, მე საიდან მეცოდინებამეთქი, აგვაწრიალეს, სიკვდილს ვნატრობდი ყოველ წამს, წესიერად ვერ გაგვევლო ქუჩებში. წამოელანდებოდათ რაღაცა, მოგვიყრიდნენ თავს სოფლის მოედანზე და ფეხების ბრახუნით მოჰყვებოდნენ მუქარას: „სათითოულოდ დიდს და პატარას ჩამოგახრჩობთ, დაუყოვნებლივ მოგვეცით პარტიზანებიო“, ამბობენ, ღმერთი რომ კაცს დასჯის, მას პირველად გონებას წაართმევსო. ისე გველაპარაკებოდნენ, თითქოს ჩვენ პარტიზანები ანგარიშს გვაბარებდნენ, იმაზე თუ სად წავლენ და წამოვლენ ისინი.

მოხუცმა უეცრად ლაპარაკი შესწყვიტა, წამოხტა და მიწაზე მიმოფანტული ვაზნების მოკრეფა დაიწყო, შეაგროვა და როგორც უძვირფასესი სამხედრო ნადავლი, ისე გადმომცა. თან ლაპარაკი განაგრძო:

— იმ ცინგლიანებმა თოფის გასროლა ვერ მოასწრეს! დახე როგორ მიმოუფანტავთ ვაზნები! ჩემს სახლში ოთხი გერმანელი ცხოვრობდა, გავარდა თუ არა წუხელის თოფი, საცვლებისამარა გამოცვივდნენ ქუჩაში. არც ერთი მათგანი უკან არ დაბრუნებულა, ალბათ აგერა წვანან... — და მოხუცმა თითით მიჩვენა დახოცილ გერმანელებზე, — აღარც კი ვიცი რომლები იყვნენ, სულ ერთიმეორის მსგავსები არიან. ოო, ისე დაიბნენ წუხელ, აღარ იცოდნენ რასა სჩადიოდნენ. ერთს

თოფი სახლში დარჩა, ახლავე გამოგიტან, შვილო!

მოხუცი ჭაბუკის სიმკვირცხლით წამოხტა და თოფი გამოიტანა, თან დაუმატა:

— იცოცხლეთ და იდღეგრძელეთ შვილებო, თქვენს დანახვაზე მხნეობა მემატება, თითქოს ჩემი ბიჭი მენახოს. მეც მყავს შვილიშვილი ფრონტზე, მესამე წელია მისი არა ვიცირა, ნეტავი ცოცხალი იქნებოდეს... — მოხუცს თვალები ცრემლებით აევსო.

— ნუ სწუხარ, ბაბუა, — ვუთხარი მას, — ჩქარა მოესწრები შენი შვილიშვილის დაბრუნებას.

— თავი ხომ არ შეგაწყინე, შვილო! — მეკითხება მოხუცებული, ერთი ამბავი მინდა მოგიყვე.

— ბრძანეთ-მეთქი, — ვუთხარი.

— წელან რომ ჯარისკაცებზე გელაპარაკებოდი, ისინი კარგა ხანია ჩემს სახლში ცხოვრობენ. ერთი მათგანი უკრაინულად გამართულად ლაპარაკობდა. გული გააწყალა იმ ძალლიშვილმა: ახლა მალე რუსებს მთლიანად ამოვწყვეტავთ, იმათ მიწებზე მამულებს დაგვირიგებენ და არხეინათ ვიცხოვრებთო... არა მჯეროდა იმისი ბაქიაობა. ერთხელა ვკითხე — „შენ უკვე შეიგულე სადმე შამული თუ არა მეთქი, ეცადე, ბიჭო, ბლომად მიიზომე მეთქი.", გამიგო რომ დავცინოდი, გამიწყრა: აი შე გადაყრუებულო ბერიკაცო, ცალი ფეხი სამარეში გიდგას და ენა მაინც ვერ გაგიჩერებიაო. გუნებაში გავიფიქრე: „ვნახოთ თუ საიქიოს შენ ჩემზე ადრე არ აიკიდო გუდა-ნაბადი მეთქი". აკი აგრეც მოხდა. ჰოდა, მიყვირა იმ ჯარისკაცმა. მეუბნება: ახლა შენთვის არა მცალია, უნდა დავიძინო, შენ გვიყარაულეო. ლოგინი წამართვა, თვითონ შიგ გამოიჭიმა, მეც თივაზე მივწექ და მივიძინე. შუა ღამისას ძალლმა ვიღაცას შეჰყეფა, ჯარისკაცი ცოფიანივით წამოხტა, კარებისაკენ გაექანა, სიბნელეში სკამს დაეჯახა და იატაკზე ბრახვანი მოადინა. კატა გვყვანდა სახლში, თაროზე მჯდარიყო, ხმაურობაზე ისიც დაფრთხა, ისკუპა თაროდან და წაქცეულ ფრიცს ზედ მუცელზე დაახტა. ჯარისკაცი ზეზე წამოიჭრა და ღრიალი მორთო: „თავს დაგვესხენ, პარტიზანები შემოგვესივნენ, არიქა, გვიშველეთო". ატყდა ჩოჩქოლი და თოფის სროლა. მალე გამოირკვა, რომ კატამ დაარღვია მათი მყუდროება. დაიჭირეს საბრალო ფისუნია და ცემით სული ამოართვეს. შემდეგ გახურებულ ღუმელში შეაგდეს და ფერფლად აქციეს. არა, ამ საცოდავ კატას რას ერჩოდნენ, ნეტავ გამაგებინა!

მოხუცს ვუთხარი — ჩვენში არის ასეთი ანდაზა: ცხენს ვერ მოერიენ და უნაგირს დაუწყეს მტვრევაო. ამ ჩემს სიტყვებზე მოხუცს ჩაეცინა. ერთხელ კიდევ ვუსურვე ბაბუას შვილიშვილის მშვიდობით სახლში დაბრუნება, გამოვეთხოვე და ჩემს გზაზე გავწიე.

XVI

მტერმა კვლავ გააფთრებული იერიშები მოიტანა ჩვენზე. ერთს ალყას რომ გავარღვევდით, მეორეში მოვექცევოდით. ვძლევდით მეორეს და მესამე უკვე გარს გვერტყა. თვითმფრინავები ხომ ყოველ დღე თავს დაგვტრიალებდნენ, მაინც ვერ დაგვძლიეს, მაინც ჩვენი სახელის გაგონებაზე ელეთ-მელეთი მოსდიოდათ. საკმაო იყო თვალი მოეკრათ სადმე ხის ან ბუჩქის ძირში მდგარი პარტიზანისათვის და იმ წუთშივე დაყრიდნენ იარაღს, სტოვებდნენ რაც რამ ებადათ და გარბოდნენ. ჩვენზე გაცილებით მრავალრიცხოვანნი იყვნენ, კარპატების კალთებზე მდებარე ყოველ სოფელსა და ქალაქში გაძლიერებული გარნიზონები ჰყავდათ და მაინც ეშინოდათ. მრწინააღმდეგემ ალპინისტი მეომრებით გაავსო კარპატების მთე-

ბი. სამთო ქვემეხებით იცავდნენ მთებში შესასვლელ-გამოსასვლელ გზებს და ბილიკებს. მთების კალთები და მწვერვალებიც კი ესეს-ელი დაგეშილი ძაღლებით იყო სავსე.

შენაერთის შტაბს მზვერავებმა უტყუარი ცნობა მოუტანეს: შევკას მთის ირგვლივ მდებარე სოფლები და ქალაქები—ნადვორნი, პასეჩნოი, იარემჩა, ზელიონი და დელიატინი — მტერმა ციხე-სიმაგრეებად გადააქციაო... ეს უკვე იმას ნიშნავდა, რომ ჩვენ კვლავ ალყაში ვიყავით მომწყვდეულნი. ახლაც, როგორც ყოველთვის, ჩვენ რწმენა არ დაგვიკარგავს, მთელ შენაერთში წუწუნი არავის დაუწყია, პირიქით ასეთ დროს ყოველი მებრძოლი დაიძაგრებოდა ხოლმე, როგორც ვეფხვი ნახტომის წინ.

კვლავ ციცაბო აღმართებს შევუდექით. თითქმის სამოც გრადუსიან დაქანების ბილიკებზე გვიხდება სიარული, ისედაც გაძვალტყავებული ცხენები საბოლოოდ გაჩერდნენ. ზურგზე აკიდებული არ დაგვყავდა ისინი, თორემ სხვა არაფერი აკლდა. ერთი პარტიზანი ლაგამს წინ რომ ექაჩებოდა, ამ დროს ორი მეომარი პირუტყვს ორივე გვერდიდან შეუდგებოდა და ერთიც უკანიდან მხრით აწვებოდა. ეს წყეული სეტყვაც თითქოს შემოგვეჩვია, არ გასულა ორი დღე და მეორედ „დაგვბომბა". მეორედ უფრო მაგარი სეტყვა იყო, ქათმის ყვერცხზე ოდნავ მორჩილი ყინვის მარცვლები ცვიოდა. მტრის ავიაციას მოუხერხებს რამეს კაცი, მაგრამ ამ სეტყვამ კინაღამ სული ამოგვართვა. სად უნდა შევფარებოდით ამ ალპიურ საძოვრებზე — ირგვლივ ძეძვისა, ბალახისა და მიწაზე გატმასნული ბუჩქნარის მეტი არა იყო-რა. ტყიანი ფერდოები დაბლა ხეობებში მოსჩანდა. კოვპაკის ბრძანებით დაბლა ჩამოვეშვით და გზა ტყეზე განვაგრძეთ.

ტყის გზას ორი უპირატესობა ჰქონდა: მტრის მფრინავებისათვისაც შეუმჩნეველი ვრჩებოდით და ყველარაც მწვერვალებზე გამაგრებული მოწინააღმდეგე გვხედავდა. ამ ხანებში მთის მწვერვალები გერმანელების და უნგრელების სამთო ნაწილებმა უფრო მეტად გაამაგრეს და თხრილებით აავსეს.

ხუთი დღე გავიდა მას შემდეგ, რაც მწყემსებს შევხვდით. მას შემდეგ ჩვენი საზრდო მარტო მოცვი იყო. სიმშილმა ისე დაგვრია ხელი, რომ ძლივს დავლასლასებდით. წარმოიდგინეთ, თუ როგორ უჭირდა მებრძოლს, როდესაც მას ორი ფუთი ტვირთი უნდა ეტარებინა. ბიჭებმა ტვირთის შემსუბუქების მიზნით მაზარები და თითქმის ყველა პირადი ნივთები, უაღრესად აუცილებელის გარდა, გადაყარეს. უმეტესობა მარტო საცვლებში-ღა დარჩა. გასაოცარი ის იყო, რომ ასე შილიფად ჩაცმული მეომრები ავად არ ხდებოდნენ. მთაში ღამით ციოდა; სადაც შეღამება მოგვისწრებდა, იქვე მთების კალთებზე წამოვწვებოდით და ღამეს გავათევდით ხოლმე. ავადმყოფობა და გაცივება რას ერქვა, აღარც კი ვიცოდით. პირიქით, გავკაჟდით და გავფოლადდით. კარგად მყოფებს კი არა, დაჭრილ-დაავადებულებს გამომრთელება დაეტყოთ. მთის ჰავა უებარი მალამო აღმოჩნდა: წყლულები შეუხორცდათ და ტკივილებმა უკლოთ.

მთელი ლაშქრობის დროს კარპატებში თან გვახლდნენ კანატოპის საკონცენტრაციო ბანაკიდან გამოქცეული ქირურგები — შევჩენკო და ულანოვსკი. დიდი ამაგი დასდო პარტიზანების შენაერთს ამ ორმა პატრიოტმა ექიმმა. დღე და ღამე თავს დასტრიალებდნენ ავადმყოფებს. ვინ მოსთვლის რამდენი დაჭრილი მებრძოლი გამოჰგლიჯეს სიკვდილს ბრჭყალებიდან ამ კეთილშობილმა მკურნალებმა.

ჰოდა, იმას ვამბობდი: ხუთი დღე იყო გასული, რაც აღარაფერი გვეჭამა. სიმშილისაგან თვალთ გვიბნელდებოდა, ძლივსღა დავდიოდით. მთის ბილიკთან კოვპაკი, რუდნევი, ვერშიგორა და ბაზიმა დავინახე. ქვებზე ჩამომსხდარიყვნენ, ხმელი პურის პატარა ნაჭრები ეშოვნათ სადღაც და ზედ კბილებს იმტვრევდნენ. კოვპაკი, როგორც უკბილო, წყალში ალბობდა პურს და ისე სჭამდა.

მოსაუზმეებს თვალი ავარიდე. გამოვცილდი იმ ადგილს, თურმე რუდნევს შეუმჩნევივარ. ეტყობა მას ხუმრობის ხალისი კიდევ შერჩენია. მისი ძახილი შემომესმა.

— დავით, საით გაბრუნდი, კაცო? მობრძანდი, სტუმარი ღვთისაა! დაგვეწვიე ამ სუფრაზე!

მეც მივუახლოვდი. კომისარმა თავისი ულუფა, — გაქვავებული პურის ნაჭერი ძლივსძლივობით შუაზე გატეხა და მომაწოდა. მერე პატარა ჭიქაში ორმოცდაათი გრამი სპირტი დამისხა.

ჭიქა გამოვართვი, დავილოცე და გადავკარი. უეცრად ასე მეგონა ეს სასმელი პირდაპირ ფეხებში დამეძგერა მეთქი, ისედაც მოკვეთილი მუხლები სულ მომეკვეთა და ჩავიკეცე. გაბრუებული ვიყავი. ბილიკზე ორი ქალი გამოჩნდა, ჩვენსკენ მოდიოდნენ. ესენი ორივენი ჩვენი შენაერთის პარტიზანები იყვნენ, დედა და შვილი. ბელორუსიიდან წამოგვყვნენ. დედა ომამდე მასწავლებლად ყოფილა. ქალიშვილი კი თურმე სწავლობდა, თექვსმეტი წლისა იყო. ახლა დედა შენაერთში მზარეულად მუშაობდა, ქალიშვილი იბრძოდა, როგორც რიგითი პარტიზანი. ის იყო ეს ქალები მოვიდნენ, რომ თვითმფრინავის გუგუნი მოისმა. „აბა, ყველანი გაიფანტენითო“ — წამოიძახა კოვპაკმა. ჩვენ წამოვცვივდით, აქეთ-იქით გავიქეცით. იმ ადგილზე მარტო ქალები დარჩნენ. ახლაც არ ვიცი რატომ არ შეეფარნენ; არ გასულა ორი წუთი და იმ ქვებს სადაც ჩვენ ვისხედით — ყუმბარა დაეცა. ქალიშვილის ცხედარი ვიპოვნეთ, დედა კი აღარსადა სჩანდა. მოგვიანებით ხის ტოტზე შევნიშნეთ დაკიდებული ტანსაცმელის ნაფლეთები. ესღა დარჩენილიყო მოხუცი ქალისაგან. ბეწვზე გადავრჩით ყველა დანარჩენები.

დედა-შვილის ცხედარი მიწას მივაბარეთ. ნიჩაბი და ბარი არ გაგვაჩნდა, წვეტიანი ქვით და ხელით ამოკაწრეს მესაფლავეებად გამოყოფილმა პარტიზანებმა მიწა. ასე ძლივს-ძლივობით გათხრილ საფლავში დავკრძალეთ ძვირფასი თანამებრძოლების ცხედრები. საფლავებს ზევიდან ბრტყელი ლოდები დავაწყვეთ.

იმ ხანებში კარპატების მთებში მდებარე კურორტ ერემჩას მივუახლოვდით. როგორც გუცულებმა გვიამბეს, ბარიდან ერემჩაში ყოველ ზაფხულობით დიდძალი ხალხი ამოდიოდა დასასვენებლად.

ეს მართლაც მშვენიერი კურორტი იყო. ის მოეწყოთ თვალწარმტაცი სილამაზის მთის კალთაზე. ირგვლივ მიდამო ფიჭვითა და ნაძვით იყო მოფენილი. ყოველ ოც მეტრზე ბროლივით თეთრი, ცივი წყაროები ამოჩუხჩუხებდა. ომის წლებში ეს კურორტიც გერმანელებმა იგდეს ხელში. დაჭრილ-დაავადებული გერმანელებით ავსებული იყო კურორტი. ჰიტლერის არმიის ოფიცრებიც იყვნენ დასასვენებლად ამოსულნი, მათ ცოლშვილიც კი წამოეყვანათ. მოაგარაკენი ისე უდარდელად და არხეინად გრძნობდნენ თავს, თითქოს მშვიდობიანი დრო იყოს, ომი არსად ჰაჰანებდეს. იმის იმედი ჰქონდათ, რომ აგარაკს იცავდა ძლიერი გარნიზონი.

როცა აგარაკს მივუახლოვდით, წამოიჭრა საკითხი იმაზე, თუ როგორ მოვქცეულიყავით. შტაბმა გადასწყვი-

ტა, რომ ერემჩას აღებას ჩვენთვის არავითარი მნიშვნელობა არ ექნებოდა. აბა რა საქმე გვქონდა კურორტთან! აუარეთ გვერდი ამ აგარაკს და დავადექით ორ მთის შუა მდებარე ხეობას, რათა სინიჩკას მთაზე გავსულიყავით. მზვერავებს დაევალათ მოკლე და მოხერხებული ბილიკები შეერჩიათ, რომ შენაერთის ლაშქრობა არ დაბრკოლებულიყო. კოვპაკმა გორლანოვს უბრძანა თავის ასეულით გზა კარგად შეესწავლა, მთის მწვერვალზე ასულიყო და ის მტრისაგან გაეწმინდა. გორლანოვის ასეული შეუყვა კიბესავით დაყუდებულ აღმართს, მას უკან შენაერთი მიჰყვა.

გორლანოვის გასტუმრების შემდეგ ორი საათი არ იყო გასული, როცა მთის მწვერვალიდან ავტომატების ხშირი კაკანი მოისმა. როგორც სჩანდა, გორლანოვი ჩასაფრებულ მტერს თავზედ წაადგა და ბრძოლაში ჩაება.

— მეცხრე ასეულო წინ, ბაქრაძე წინ! — გადმომცეს კოვპაკის ბრძანება. უბედურობა ის იყო, რომ სწორედ იმ წუთში ჩემი ასეული ერთი კილომეტრის მანძილზე იყო გაფანტული. ზოგი პარტიზანი დავარდნილ ცხენს მოათრევდა, ზოგს საკაცეებით დაჭრილები მოჰყავდა და ვინ მოსთვლის ვინ რით იყო კიდევ დაკავებული. დიდის ვაი-ვაგლახით შევკრიბე სამოცამდე მეომარი და კოვპაკთან გავჩნდი.

რუდნევმა დაინახა თუ არა ჩემი ასეულის ქანცგამოლეული და სიმშილისაგან ლანდებად ქცეული პარტიზანები, განზედ გაიხედა და უნებურად თვალებიდან ცრემლები გადმოსცვივდა.

— დავით, — მომმართა კომისარმა, — უნდა მიეშველო შენს ძმას, გორლანოვს!

კომისარის სიტყვებში ბრძანების კილო არ ისმოდა, ის მე გორლანოვისათვის დახმარების აღმოჩენას მთხოვდა. რუდნევმა იცოდა, რომ მე და გორლანოვი ახლო მეგობრები ვიყავით.

— მიეშველე და იხსენი მეგობარი! — გაიმეორა რუდნევმა.

კომისრის სიტყვებზე უკან მოვიხედე და დამშვიდებით გადავავლე თვალი ჩემს მებრძოლებს. რუდნევი თვალმოუშორებლად მიცქეროდა, მერე მითხრა:

— ვიცი, ამხანაგო დავით, განა არ ვიცი, რომ ამათი პატრონი შორს ვერ წახვალ, მე ეს კარგად ვიცი, მაგრამ თუ გორლანოვს არ მივეშველეთ, იცოდე გაანადგურებენ. ხომ გესმის, რა ამბავია?!

ტყვიამფრქვევების და ავტომატების ხმა მართლაც გაძლიერდა და ერთხმად გაბმულ ქუხილად იქცა. ამ გრუხუნს ყოველი მხრიდან მთების გამოძახილები აძლიერებდნენ.

— წავალ, ამხანაგო კომისარო, უსათუოდ წავალ და მივეშველები, — მტკიცედ განუცხადე რუდნევს და ბიჭებს მივუბრუნდი:

— კიდევ ერთხელ, ბიჭებო, კიდევ ერთხელ მოვიკრიფოთ ძალ-ღონე და მტერს კისერი მოვტეხოთ. ფრიცებს ჩვენი ზურგი არასდროს არ უნახავთ და ვერც ახლა იხილავენ, მომყევით!

მებრძოლებმა გაჭირვება დაივიწყეს, ძალღონე მოიკრიბეს და ციცაბო აღმართებზე სირბილით მომყვნენ. გორლანოვს მეკავშირეები გავუგზავნე, დავუბარე — მაგრად იყავი, საშველად მოვდივარ, ფლანგიდან დავარტყამ-მეთქი. გამხნევებულმა გორლანოვმა შეტევა გააცხოველა. მალე გორლანოვის ასეულის დაჭრილი მებრძოლებიც გამოჩნდნენ, საკაცეებით მოჰყავდათ ისინი სანიტრებს.

წუთით და ბრძოლაში უნდა ჩავებით. აღზნებული ვარ, ველარც ჩემი მებრძოლები მიცვნია: წელში გასწორდნენ, სახე 'გამოეცვალათ, თვალებში სიცოცხლე დაეტყოთ, ბრძო-

ლაში ჩაბმას იჩქარიან. გაოცებული ვფიქრობ: ნუთუ ესენი ის მეომრებია ერთი საათის წინათ სიმშილისაგან ილაჯგაწყვეტილები ძლივს-ღა რომ ლაპარაკობდნენ?!

— აბა, მომყევით, მედგრად!—მივმართავ პარტიზანებს.

— ვაშაა!—დასძახეს ერთხმად მეომრებმა და კილომეტრის სივრცეზე ჯაშლილი ფრონტით, ავტომატების გასროლის შემდეგ, სანგრებში გადავეშვით. ხელჩართული ბრძოლა გაჩაღდა, ვამჩნევთ როგორი წარმატებით იბრძვის მეზობლად მდებარე სანგრებში გორლანოვის ასეული.

მტერმა ხელჩართულ ბრძოლას თავი აარიდა და გაქცევა ამჯობინა; უმეტესობამ მოჰქუსლა, ნაწილი კი სამუდამოდ ჩარჩა სანგრებში. ამ ბრძოლაში არცერთ ჩემს მებრძოლს ფრჩხილიც არ გაკაწრია. შიშს ფართო თვალები აქვსო იტყვიან. გაქცეულები სტოვებდნენ ყველაფერს, რაც რამ გააჩნდათ: გადაყრილი ავტომატებით დაიფარა მინდორი.

როგორც კი ბრძოლა დამთავრდა, ასეულის მნეს ამხ. ბოგოლიუბოვს ნადავლის შეგროვება ვუბრძანე. ბლომად ჩაგვივარდა ხელში პური, შაქარი, ძეხვი, კარაქი, კონიაკი და ლიქიორი. ბრძანება გავეცი, რომ მებრძოლებს ნადავლი სურსათ-სანოვაგით უხვად გამასპინძლებოდნენ. მალე პარტიზანები ნოყიერ საჭმელს ღიმგადაკრული სახით შესცქეროდნენ.

თხრილებიდან ამოვედით და გამარჯვება მივულოცეთ ერთმანეთს მე და გორლანოვმა.

— ვშიშობდი, — ვეუბნები გორლანოვს, — ვაი თუ ჟორამ მტრად მიგულვოს და ტყვია დაგვიშინოს-მეთქი.

— რატომ გეგონა, აკი გაფრთხილებული ვიყავი... — მიპასუხა მან.

მთის მწვერვალი ძველისძველი, სანახევროდ დანგრეული სანგრებით იყო დასერილი. ეს სანგრები პირველი მსოფლიო ომის დროიდან დარჩენილიყვნენ.

ამასობაში კოვპაკი, რუდნევი და ბაზიმა გამოჩნდნენ. მომიახლოვდა თუ არა რუდნევი, ორივე ხელი გამომიწოდა ჩამოსართმევად, მე და გორლანოვს გამარჯვება მოგვილოცა.

— მე მეგონა ბრძოლა უფრო მეტხანს გაგრძელდებოდა, — თქვა კოვპაკმა.

ახლა დაღამებამდე საჭირო იყო გეპოვნა გზა სინიჩკას მთამდე. ვერშიგორასა და შტაბის უფროსის მოადგილის ვოიცეხოვიჩის თაოსნობის წყალობით ეს ამოცანა სასწრაფოდ იქნა გადაწყვეტილი.

კოვპაკი, რუდნევი და ბაზიმა ნადავლ სუფრაზე მივიპატიჟეთ. კარგად გავუმასპინძლდი.

ერემჩას გარნიზონს და იქ მყოფ მოაგარაკეებს შეუმჩნეველი არ დარჩენოდათ, თუ რა ბრძოლები გაიმართა მთის მწვერვალზე: ისინი ხომ სულ ახლოს იყვნენ. შეშფოთებულ გერმანელებს გამოეყოთ ძლიერი რაზმი და ჩვენს სადევნებლად გამოეგზავნათ. ჩვენ ამ რაზმთან შეხვედრას ავერიდენით, არ იყო აუცილებელი. მწვერვალიდან წასვლა დავაჩქარეთ და სინიჩკასაკენ გავეშურენით.

ღამის ორი საათი იქნებოდა, როდესაც მწვერვალიდან დავეშვით. წინ მზვერავები მიგვიძღოდნენ. ტყეში შევდივართ, მზვერავები უეცრად შედგნენ. სჩანდა რაღაც შეამჩნიეს. თურმე, ტყის სიღრმეში მოძრავი ლანდებისათვის მოეკრათ თვალი. ავტომატების ერთდროულმა რიგებმა შეარყიეს ჰაერი. ბნელი ლანდები მოკლე და ძლიერი ქშენით დაეცნენ მიწაზე. მალე გამოირკვა, რომ მზვერავებს ხარები დაეხოცნათ. უხერხულ მდგომარეობაში ჩაცვივდნენ

მზვერავები, შერცხვათ. პარტიზანებმა სიცილი დააყარეს ხარებზე მონადირეებს. კოვპაკმა ხუმრობის კილოთი მიმართა მზვერავებს:

— ეხ, ვაქკაცებო! შეგეშინდათ ხარების? იფ, დამიხედეთ ყმაწვილებს, როგორი სიფხიზლე გამოიჩინეს. თუმცა მაინც ყოჩაღ! პირუტყვის დაკვლაზე წვალება არ დაგვჭირდება.

ხარების ხორცით მეორე დღეს კარგი სადილი დავამზადეთ.

საიდან გაჩნდნენ აქ ეს ხარები? გერმანელებმა გუცულებს უბრძანეს პირუტყვი მთიდან ბარში ჩამორეკეთო. ეს ხარები მწყემსებს ამ ვაივაგლახის დროს დაჰკარგოდათ, ან იქნებ განგებაც მიატოვეს, ვინ იცის?!

ვერშიგორამ ყველაზე ადრე მიაღწია სინიჩკას მთას. ეს დაუცხრომელი და დაუდეგარი კაცი ყველგან და ყველაფერს ასწრებდა. როგორც მთაზე ასულიყო, მაშინვე გუცულებს დამეგობრებოდა. ამ უკანასკნელთ მისთვის ცხვრები ეჩუქებინათ. ვერშიგორას უკვე დაეკლა ცხვრები და ისეთი ნადიმი გაგვიმართა, ბარშიც იშვიათად თუ შეგვხვედრია ასეთი გულუხვი პურმარილი.

საუზმის დასასრულს კოვპაკმა სთქვა:

— ორ დღეღამეს გაგვაძლებინებს ეს საუზმე, ახლა მებრძოლებს შეუძლიათ ათეული კილომეტრების დაუნაყრებლად გავლაო.

ამ დროს დაზვერვამ ახალი ცნობა მოიტანა: ერემჩადან დაძრული მტერი პარტიზანების ნაკვალევის ძებნას განაგრძობს, მოწინააღმდეგეს მოსვლა აქაც მოსალოდნელიაო.

კოვპაკმა ეს რომ მოისმინა — გახაცხადა:

— მტერი მოვა, თუ არ მოვა, სულ ერთია. სინიჩკაზე ჩვენ მაინც ორ-სამ დღეს დავრჩებითო.

მართლაც ძალზე საჭირო და მიზანშეწონილი იყო ასე ხანგრძლივად ჩვენი დასვენება. ჯერ ერთი, ეს მიდამოები თავდაცვისათვის პირდაპირ მისწრება იყო, აქაც ბლომად გვხვდებოდა პირველი ომის დროინდელი სანგრები. ისინი ისე ზოხერხებულად იყო გაჭრილი და განლაგებული, რომ აქ ერთ ათეულს შეეძლო მარჯვე ცეცხლით ასეული შეეჩერებინა. ამოვირჩიეთ სინიჩკაზე პატარა მინდორი და დავბანაკდით.

ამ მინდორზე, ქოხში, მწყემსებს ვეებერთელა ქვაბები ჰქონდათ, დიდი სამსახური გაგვიწიეს ამ ქვაბებმა. ყოველდღე ხორცს ვხარშავდით ამ ჭურჭლებში.

მტრის თვითმფრინავებმა მალე აღმოაჩინეს ჩვენი შენაერთი. ყორნებივით დაიწყეს საჰაერო მანქანებმა ჩვენს თავზე სრიალი. მათს გამოჩენაზე გავიფანტებოდით და ტყეებს შევეფარებოდით ხოლმე. ერთხელ ისეთ დროს დააყარეს ჩვენს ქოხს ყუმბარები, როდესაც სადილისათვის ხორცი იხარშებოდა. ქოხის ადგილზე ნაქოხარი დაგვხვდა, მაგრამ სად გაჰქრა ხორცით სავსე ქვაბები — ეს დღესაც ვერ მომისაზრებია. დავრჩით იმ დღეს ხახა-მშრალნი.

თვითმფრინავები საგრძნობ ზარალს გვაყენებდნენ, მაგრამ საჰაერო მანქანების თავდასხმის შიშით პარტიზანებს არასდროს მარშრუტი არ შეგვიცვლია, არც ყოფილა შემთხვევა ადრე გააზრებული ოპერაცია თვითმფრინავების დადევნების შედეგად ჩაშლილიყოს.

ასე რომ მტრის ავიაციის მოქმედება არც თუ ისე ეფექტური იყო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სოლომონ თავაძე

მაისის განთიადი

★

რომანი *

XIV

გაზაფხულის დილა

მეორე დღეს ღამის თერთმეტ საათზე გააცილეს ბაქანზე ეგნატე ეთერმა და მისმა მეგობრებმა. ძალიან ეცადა ეთერი, რომ გულიდან ჯავრი გადაეყარა და მამა დამშვიდებული გაეშვა, მაგრამ ვერ შესძლო. პირიქით, რამდენადაც თავს ძალა დაატანა, მით უფრო ღრმად ჩაიხედა თავის გულში და უარესი ზაფრა მოერია. მამას რომ გვერდით მიჰყვებოდა, ეგონა, ეგნატე კი არ იყო ხანდაზმული, არა ეთერს გაევლო უკვე თავისი ცხოვრების გზა, იმდენი ტანჯვა განეცადა, რომ ახლა უდრტვინველად უახლოვდებოდა სამარის კარს.

— აბა, შენ იცი, ჩემო კარგო!—ამის თქმა-ღა მოახერხა ეგნატემ გამოთხოვებისას. დაძრულ მატარებელზე ავიდა და მალე მოსახვევს მიეფარა.

დიდხანს არ დაეძინა ეთერს, თბილისისაკენ მიმავალ მამაზე ფიქრობდა; თავისთავზე გული მოსდიოდა. „რა მომივიდა, ასე როგორ დავეცი, ფიქრობდა გუნებაში. — უძლურება აი ესაა, როცა კაცი თავის თავს ველარ ერევი... საწყალი მამა, არც იმას სძინავს ახლა, ჩემზე დარდობს... მიდის და გული აქ რჩება... რა ვუყო, განა არ ვიცი, რომ ცუდად ვიქცევი?.. კი, მაგრამ სამსონი რომ მოსულიყო, მაშინ...“

გულში ისეთი ტკივილი იგრძნო, რომ ლოგინში ვერ გაძლო, ადგა, ხალათი მოისხა, ფანჯრის რაფას დაეყრდნო და მთვარის შუქით განათებულ ხეებს დააცქერდა.

„მაშინ, — განაგრძო ფიქრი, — იქნება დამთავრებულიყო ეს საშინელი მოლოდინი... არ მინდა, არა, ხომ გესმის, არ მინდა, რომ მის თვალებში მხოლოდ სიბრალული ამოვიკითხო!“

ამის იქით ფიქრიც აღარ უნდოდა ეთერს, ყველაფერს ბოლო ეღებოდა. ეს მშვენიერი მიდამოც არაფერს ეუბნებოდა მის გარინდულ სულს.

ასე მიიწურა ეს ღამე. შემდეგ კი — ყოველ დღეს ეთერისათვის რაღაც ახალი სადარდელი მოჰქონდა. მამისაგან ვრცელი წერილი მიიღო, რამდენიმე სიტყვით უპასუხა, მეტი ვერ შესძლო. გრძნობდა, რომ თანდათან აკლდებოდა ძალა სულისა, აღარ ყოფნიდა ის ცხოველუნარიანობა, რომელიც უკიდურეს გაჭირვებაშიაც ამხნევებს ადამიანს.

* * *

ის იყო გაზაფხულის ეუეუნა წვიმამ გადაიარა. აპრილის ბოლო რიცხვები იყო და საკვსებით გაფურჩქვნილ ხეებ-

* გაგრძელება „მნათობი“ № 9

ზე შერჩენილი წვიმის წვეთები ბროლივით კამკამებდნენ.

ფანჯრიდან ეთერმა ეზოში შემოსული ხნიერი ქალი დაინახა. მხრებზე თალხი თავშალი ეხურა, ნაოჭებიანი გრძელი კაბა ეცვა; მას გვერდით ქალაქურად გამოწყობილი ახალგაზრდა ქალი მოყვებოდა.

ეთერი ჯერ კიდევ გარკვეული არ იყო, თუ რისთვის მიაქცია განსაკუთრებული ყურადღება ამ უცხო ადამიანებს, რომ მასთან მთისჩიტამ აირბინა და თავისი სიდინჯის მიუხედავად მეტის-მეტი აღტაცებით უთხრა:

— იცი, ეთერ, ვინ მოვიდა შენთან? სამსონის დედა და დაი!

— რას ამბობ? — წამოიძახა ეთერმა, სახე გაუნათდა, თვალები გაუბრწყინდა, მაგრამ წამსვე რაღაცა მოაგონდა, შუბლი შეიკრა.

— რამ ჩაგაფიქრა?.. წამო, გელოდებიან.

— ჰო... ახლავე. — აჩქარდა ეთერი. — იქნება სამსონისაგან წერილი მიიღეს.

ამ მოსაზრებამ კვლავ ფერი მოჰგვარა ეთერს; ეზოში სწრაფად ჩავიდა; მაგრამ სალომესა და ნინას რომ მიუახლოვდა, უცნობი ადამიანების წინაშე უხერხულობა იგრძნო, თვალები დაჰხარა და მკერდზე, მარჯვენა მხარეს, უნებლიედ ხელი მიიფარა.

სამსონის მიერ შინ დატოვებულ სურათში ეთერი მხედრულად იყო გამოწყობილი, ახლა კი თეთრი ხალათი ეცვა და მეტის-მეტად ფერმკრთალი იყო, მაგრამ სალომემ მაინც იცნო, ხელები გაშალა:

— შენი ჭირიმე, შვილო, რავა გამხდარხარ!

მოეხვია, მხურვალედ აკოცა. მერე ნინას მიჰხედა:

— ა, გო, აგისრულდა ნატვრა! ნეტაი ასე ჩემი ბიჭის ნახვა მოგვესწრებოდეს... ვაი შენს დედას, შვილო, ვაი შენს დედას, ვინ იცის, სად ხარ ახლა!..

ნინას იმ თავითვე შეუყვარდა ეთერი; იტაცებდა მისი გმირული თავგადასავალი. სულ მის ნახვას ნატრობდა. მაგრამ ახლა ეთერში რატომღაც სუსტი ქალი დაინახა და განცვიფრდა, უხერხულად მოეხვია.

სალომემ ეთერს ხელი გამოსდო, კონცხზე გადადგმულ ტალავარისაკენ გაიყოლია.

— რავა ხარ, შენი ჭირიმე, შვილო, რაფერ გადარჩი?

არ გაკვირვებია, ეთერმა რომ პასუხი დაუგვიანა, მისი ხელი აიღო და მიეფერა თავისი კოჟრებიანი თითებით. გულმა უაზრა, რომ ეთერი მეტისმეტად დანაღვლიანებული იყო და, მიუხედავად იმისა, რომ ნუგეშს თვითონ საჭიროებდა, იმედიანი ხმით უთხრა:

— აწი ნურაფრის გეშინია, შვილო!.. თუ ბედმა არ გაგვწირა და სამსონი მშვიდობით დაგვიბრუნდა...

ღრუბლებიდან მზემ გამოანათა. ნიავმა დაუბერა და ფოთლებზე დარჩენილი წვიმის წვეთები ციმციმით მოწყდნენ. პირდაბანილ, მოხასხასე ფერდოებს, მანდარინის ბაღებსა და დეკორაციულ მცენარეებს დაშვენდათ ნაწვიმარზე უხვად გადმოფენილი შუქი.

ეთერი ანგარიშმიუცემლად მოუყვა მათ, როგორ დასტოვა სამსონი, გზაში როგორ ატარეს, ბოლოს მაინც წამოცდა:

— თუმცა რაღად ღირს ახლა ჩემი სიცოცხლე!...

— რას ამბობ, შვილო! — წამოიძახა სალომემ, — ამდენი ტანჯვა გამოიარე, სწორედ აწი გინდა სიცოცხლე და ბედნიერება! სუ! არ თქვა! ჯვარი გწერია, შვილო!.... ამ სამიწე გულს კიდევ სჯერა, რომ ჩემი საწყალი ბიჭი არ დაგვოუპავს, ხმას მოგვაწვდის...

ნინას პირველი შთაბეჭდილება გაუქარწყლდა. ეთერი ახლა მის თვალში კვლავ გმირი იყო. სად არ უვლია, რა

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ უნახავს, რა ცეცხლში ყოფილა! აი ეს არის ნამდვილი ქალი, უშიშარი, ძლიერი... ეს კი, ახლა რომ სევდიანი იერი მოსავს, მისთვის ბუნებრივია: ისეთი მძიმე ჭრილობა და... რამდენი ხანია სამსონის ამბავი არ იცის...

ცრემლი მოერია ძმის მონატრულს, განზე მიიხედა.

სალომემ მაინც შეასწრო თვალი, ალერსიანი ხმით გაუჯავრდა:

— რა მოგივიდა, გო? სატირლად მოვედით ჩვენ აქ?

ეთერსაც არ ესიამოვნა, ნინას თვალებში რომ ცრემლი დაინახა. იცოდა, რომ წრფელი გრძნობით იყო გამოწვეული ეს ცრემლები, არავითარი მანჭიაობა მასში არ იყო, მაგრამ თავისი გულის სიღრმეში ჩაიხედა და ეუცხოვა ასეთი დიდი განსხვავება მათ შორის.

„რა ადვილად შეუძლიათ მოწყენაც და გამხიარულებაც,—გაიფიქრა ეთერმა. — მე კი... რამდენი ხანია ერთი შვების მომგვრელი ცრემლი მენატრება... შეუნელებელ ცეცხლში ქვაც კი დადნება, არა თუ ადამიანის გული“...

სალომემ რამდენჯერმე ჩაჰხედა თვალებში ეთერს და თავისი გამოცდილებით თუ დედობრივი გულთამხილაობით ამოიკითხა მისი შინაგანი მწუხარება, მიხვდა, რომ ახლა ეთერს ბავშვივით ესაჭიროებოდა მოვლა და დაყვავება. „შინ წავიყვან“, გადაწყვიტა უცებ და ეთერს მოეხვია.

— პირველად გნახე, დედა, ახლა, მარა სამსონმა რომ შენი თავი გაგვაცნო, მერე სულ გულში მიზიხარ. ვიცი, რაც გაწუხებს... ჩემი დარიგება შენ რად გინდა, ნასწავლი ქალი ხარ, მერე კიდევ ამდენი გამოცდილება გაქვს, შვილო, მარა აი ერთი მე დამიჯერე... ხომ იცი, შენი ჭირიმე, დედის გული, რა დღეში ვარ... მეც გამიხარდება... ვიცი, ბედნიერი იქნება, შენ რომ ჩემს ოჯახში ფეხს შემოდგამ. არ გამაწბილო, დედა, აუცილებლად უნდა წამომყვე შინ...

ნინამ ხელი ხელს შემოჰკრა, ალტაცებით წამოიძახა:

— დედა, რა კარგი იქნება!.. თუ გიყვარდე, ეთერ, სამსონს გაფიცებ...

ეთერმა პირველად ეს უბრალო მიპატიჟებად მიიღო, მაგრამ მალე დარწმუნდა, რომ უარის თქმა არ შეიძლებოდა, იმდენად დიდი სიყვარულით ეხვეწებოდნენ დედაცა და შვილიც.

— უხერხულია, სხვა რომ არაფერი იყოს, — სთქვა ბოლოს ეთერმა, მაგრამ სალომემ თანხმობა ხმაში შეატყო და კვლავ მხურვალედ მოეხვია:

— ისე შენ გაიხარე, დედა-შვილო, რავაც ჩემმა ოჯახმა შენი მოსვლით გაიხაროს...

*
* *

აღმართი აიარეს, შესახვევთან დასხდნენ კაკლის ძირში, კუნძებზე.

ეთერმა ავადმყოფობის შემდეგ პირველად გაიარა ფეხით ამდენი მანძილი, ისიც ასეთი აღმართები, მაგრამ არ დაღლილა, მხოლოდ გული ოდნავ აჩქარებულად უცემდა და ხანდახან სუნთქვა უძნელდებოდა. სალომემ რამდენჯერმე მიაქცია ყურადღება, მარჯვენა ხელს რომ მკერდზე მიიდებდა ეთერი და წარბები შეეჭმუხნებოდა. „მოგიკვდეს, შვილო, დედა, ნაჭრილობევი გტკივა ალბათ“.

ეთერი გურიის ამ კუთხეში პირველად იყო და სიამოვნებით აკვირდებოდა გაზაფხულის ბრწყინვალებით დამშვენებულ გარემოს. ჩრდილოეთით ქოჩორა მთა აღმართულიყო და რიონის სანაპიროებს ეფარებოდა, ხოლო ხელმარჯვნივ, აღმოსავლეთით, ნაძვნარით თავმორთული მწვერვალი მოსჩანდა, ცაში დაკიდულ მწვანე კოშკსა ჰგავდა. ხევში კი, გაღმა-გამოღმა ფერდობებზე შეფენილ სოფლებში, იმდენი ხეხილი ჰყვავოდა, იმდენი ფერები სცვლიდნენ ურთიერთს, რომ გულს სიამით ავსებდა განახლებული სიცოც-

ხლის ელვარება.

ბუნების ამ სილამაზემ და იქვე, მის გვერდით მყოფ დედაშვილის გულისხმიერებამ ეთერი თითქოს ღრმა ძილისაგან გამოაფხიზლა. რა პატარა რამაა ამ უსაზღვროებასთან შედარებით პირადი მწუხარება! რა საცოდავია თავის ნაჭუჭში ჩაკეტილი ადამიანი!

ხევს თვალი მოსწყვიტა ეთერმა და გარკვევით დაინახა შორს, ცის დასალიერთან თეთრად მოკამკამე კავკასიონის მწვერვალები. ერთიმეორის მიყოლებით აღეძრნენ მოგონებანი. თოვლიანი აღმართები, ბაქსანის ხეობაში დარჩენილი სამსონის მწუხარე სახე, განუწყვეტელი ტკივილი და კიდევ უარესის მოლოდინი... მალე ყოველივე ამას ფარდა ჩამოეფარა და გასული წლის შემოდგომის ის დღე მოაგონდა, როცა ჩრდილოეთკავკასიის ველზე, ყორღანთან თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტი დამარხეს. ამ ახალგაზრდა პოეტის რვეულში ამოკითხულ ლექსის მხოლოდ ოთხი უკანასკნელი სტრიქონი დაამახსოვრდა ეთერს:

„აქ თუ დავეცი, ამას გავალებ,
არ მოიწამლო სიცოცხლის დღენი,
მანდედან ხშირად გაჰხედე მყინვარს,
მესაიდუმლე ის იყოს ჩვენი“...

თბილმა ქრუანტელმა დაუარა ტანში ეთერს, თვალებში ცრემლები მოადგა; მწუხარება როდი იყო ეს, თავისი ღვაწლის შეგნება იყო, ის ამამაღლებელი გრძნობა იყო, როდესაც იცი, რომ ამაოდ არ ჩაუვლია შენს თავდადებას, შენი ამხანაგების სისხლს. ბევრნი არიან ისინი... მათ შორის ყველაზე ნათლად ხედავს ახლა ეთერი შოთას, არჩილსა და ავთანდილს. თითოეულმა მათგანმა თითქოს თავისი სულის ნაწილი გამოატანა ეთერს... აგერ, იმ თეთრი მწვერვალების გადაღმა არიან ისინი დამარხულნი, და ახლა ეს მშობლიური არე-მარე რომ ჰყვავის, აქ რომ არსად ერთი მცენარეც არ შელახულა, — ამაშია მათი დიდება, მათი უკვდავი ღვაწლი...

კარგა ხანია ეთერს ასეთი შვება არ უგრძვნია; გაოგნებულივით გაჰყურებდა კავკასიონს და მის გულში ჩამდგარი ნათელი თავისთავად მეტყველობდა:

„მშვიდობით განისვენეთ, ძმებო! თქვენ შემუსრეთ მტერი, თქვენ გადაარჩინეთ აოხრებას ეს მშვენიერი ქვეყანა. თქვენი თვალებით გადავყურებ ახლა მე ამ ყვავილოვან ბაღებს, ამ სიცოცხლით სავსე სოფლებს და ვამაყობ თქვენით, დაუვიწყარო მეგობრებო!..“

— ვაი შენს დედას, შვილო, ვაი შენს დედას! — ჩვეულებისამებრ ამოიოხრა სალომემ და ეთერი გამოერკვა, დედას მიჰხედა. მთელი სისავსით იგრძნო ახლა, თუ რა დიდი ნაღველი დუღდა მის გულში და სანუგეშებლად ხელი მოჰხვია, სიტყვის თქმა კი ვერ შესძლო.

სალომეს ძალიან ეამა ეს მიფერება, თავის მხრივაც ეთერს თავზე ხელი დაუსვა; ამ დროს იგრძნო, რომ ცრემლები ერეოდა და შუბლი შეიკრა, მაგრამ ვიდრე წასასვლელად წამოდგებოდა, უნებლიედ ჩაილაპარაკა:

— შენი ლამაზი თვალების ჭირიმე, შვილო! ღმერთი ისე რავა გამწირავს, რომ შენს ნახვას ვერ მოვესწრო!.. აბა, გავყვეთ ახლა. ორი დღეა, ოჯახი მიტოვებული მაქვს.

*
* *

შუადღისას, ჭიშკარი რომ შეაღეს, ოდის აივნიდან სამსონის დის-შვილმა ჩაირბინა, ნაზიკომ:

— ბებია-ა! — გაშალა ხელები გოგონამ, მაგრამ ამ დროს ეთერს მოჰკრა თვალი და შესდგა, დაირცხვინა.

— მოდი, ბებიკო, მოდი... გაიცანი, ეს ეთერია, სამსონის დანიშნული.

გაოცებით მიაპყრო ნაზიკომ თავისი

ფართო თვალები ეთერს; მასზე იმდენი დიდებული რამ სმენოდა, რომ ახლა ვეღარ გაერკვია, თუ როგორ შესძლო ამ ჩვეულებრივმა ქალმა იმდენი საგმირო საქმის გაკეთება.

ნინამ თავის ოთახში შეიყვანა ეთერი, სალომემ კი ტანისამოსი გამოიცვალა და სამზარეულოს მიაშურა.

ყველაფერმა იგრძნო სალომეს შინმისვლა; ქათმები, ინდოურები, ნორჩი წიწილები, გოჭები, ღორი და ხბო, ყველაფერი გამოცოცხლდა, ახმაურდა.

— აქში, თქვე გასაწყვეტებო! — წყევლიდა ზღურბლზე შეფრენილ ქათმებს სალომე, მაგრამ მათ არა სწყინდათ ეს წყევლა, იცოდნენ, თუ როგორ ზრუნავდა მათთვის სალომე და ხან ერთ მხარეს გადასწევდნენ თავს, ხან მეორე მხარეს, რათა ორივე თვალით შეეხედნათ მარჩენალისათვის.

ერთი წამიც არ შეუსვენია სალომეს. ცეცხლზე კეცი დაადგა, წყაროდან ჩაფით წყალი მოიტანა; გზაზე შეხვედრილ მეზობლებს გაესაუბრა, ლოგინადჩავარდნილი მათეს ამბავი იკითხა.

— რაღა იქნება, შენი ჭირიმე, დეილია, სულ მთლად დეილია საწყოლებელი.—უთხრა აღათიმ და სახლისაკენ გასწია.

„ნამდვილად მოკვდება უბედური, — გაიფიქრა სალომემ და ნაბიჯს აუჩქარა, — ვეღარ მოესწრება შვილების მოსვლას... თქვენი სახელის ჭირიმე, ბიჭებო, სად ხართ ახლა?.. ვაი შენს დედას, შვილო“...

ჩაფი კედელზე მიდგმულ ფართო თაროზე ჩამოდგა, საცერი ჩამოიღო და ფქვილის ცრას შეუდგა.

— ნაზიკო! — ხმამაღლა გასძახა ოდაში მყოფ შვილიშვილს; ხელი არ შეუჩერებია, საქმესაც აკეთებდა და ფიქრსაც განაგრძობდა.

— რად მეძახდი, ბებია?

— პატარა შაქარი მოვიტანე. მიდი, ნინა მოგცემს და მათეს ჩაორბინე, ეგება ჩაიმ გაუხსნას პირი საწყალს.

— ახლავე, ბებიკო!—წამოიძახა გოგონამ და ადგილიდან მოწყდა.

ნინა მეტისმეტად შეეთვისა ეთერს. შეატყო, რომ სამსონის ბავშვობის ამბები ახალისებდა და დაწვრილებით უყვებოდა, განსაკუთრებით სასაცილო შემთხვევებს არჩევდა, რომ ეთერი გაერთო.

საღამოს ახლო მეზობლებმა ინახულეს ეთერი. თითოეული მათგანი, განსაკუთრებით ფრონტზე მყოფთა დედები, გულწრფელად ეფერებოდნენ ეთერს, დიდ სიამეს გრძნობდნენ, ნაომარ ქალს რომ ესაუბრებოდნენ. მხოლოდ ერთი შავით მოსილი შუახნის ქალი არ იღებდა მონაწილეობას საუბარში, იშვიათად თუ იტყოდა ორიოდე სიტყვას და მაშინვე უსასოო ოხვრა აღმოხდებოდა. მეტის-მეტად ლამაზი სახე ჰქონდა, ფერმკრთალი, მწუხარების იერით მოსილი. ეთერს თითქო სადღაც ენახა ეს სახე, ეს მშვენიერი თვალები. იმდენად ჩარჩა იგი გუნებაში, რომ ნავახშმევს, როცა ყველანი წავიდნენ, სალომეს ჰკითხა:

— ვინ იყო, დედა, ის შავიანი ლამაზი ქალი?

— რომელი?.. ჰო, ასმათი, ჩვენი გოგი ძელაძის ცოლი... მაგან, დედა, ერთი თვის წინათ მიიღო ცნობა, ოქროსავით ვაჟი დაეღუპა, ავთანდილი.

— ავთანდილ ძელაძე? — იკითხა ეთერმა და თვალები გაუფართოვდა.

— ჰო, დედა... შენ ხომ არ გინახავს სადმე?

— ჩემს ხელში დალია სული. — უპასუხა ეთერმა და თვალწინ დაუდგა ის მრისხანე დღე.

— რას ამბობ? — წამოიძახა სალომემ, ხოლო ნინა ისე გააოცა ამ ამბავმა, რომ ხმა ვერ ამოიღო.

— სად იყო, დედა? თუ დამარხეთ მაინც ის საცოდავის შვილი?

ეთერმა მოკლედ უამბო მათ ავთანდილის დაღუპვის ამბავი, სამსონის დაშავება და ზურგში გაყვანა.

— ვაი შენს დედას, შვილო!.. რა დღეში ყოფილხარ! მე კი არაფერი არ ვიცოდი...

ეთერს უნდოდა რითიმე ენუგეშებინა შეწუხებული დედა და შვილი, მაგრამ სიტყვა ვერ იპოვნა, ბოლოს ესღა მოახერხა:

— ნუ გეშინია, დედა, სამსონი არ დაიღუპება...

— შენი თავი მიცოცხლოს, შვილო, ღმერთმა, თქვენს ბედნიერებას მომასწროს! — ლოცვასავით ჩაილაპარაკა სალომემ, შემდეგ ნინას მიმართა: — ლოგინი გაშალე, გო, მოისვენოს, დაღლილია.. ასე რომ ხარ, შვილო, ისიც საკვირველია. — მიუბრუნდა კვლავ ეთერს: — რა ცეცხლში ყოფილხარ, რა წამება გამოგივლია... თუ რამე სამართალია ქვეყანაზე, ცუდად არ ჩაგივლის, შენი ჭირიმე.

ადგა, კედელზე ჩამოკიდებულ პალტოს შეავლო ხელი, სამსონის პალტოს, მიეფერა: — შენი ლამაზი თვალების ჭირიმე, დედა, შენ იცი, თუ არ დამინგრევ ამ სიმწრით აშენებულ ოჯახს... შენ გელის, შვილო, აქ ყველაფერი, შენით საზრდოობს..

ეთერმა ტანთ გაიხადა; დაწოლის დროს მკერდზე ხელი მიიფარა.

სალომემ თვალი შეასწრო, მოფერებით უთხრა:

— აბა, მიჩვენე, შვილო, შენი ნაჭრილობევი.

ეთერი შეკრთა.

— არა, დედა, არა!

— რისი გრცხვენია, შვილო? მე ხომ დედა ვარ შენი. — ეს ისეთი სიყვარულით უთხრა, რომ ეთერმა მკერდიდან ხელი აიღო.

— გაიწი, სინათლეს ნუ ეფარები.— გადულაპარაკა სალომემ ნინას და ფრთხილად გადასწია ეთერის პერანგი:—შვილო!—მწუხარებით წამოიძახა, როცა მარჯვენა ძუძუს ნაცვლად მოხარშული ვაშლისფერი ნაჭრილობევი დაინახა. მერე ეთერის გაფითრებულ სახეს შეავლო თვალი და მყისვე მიხვდა, თუ რა ნაღველი იყო ჩადუღებული მის გულში. ნაზად შეახო ხელი ნაჭრილობევს, შუბლზე აკოცა.

უცნაური შვება მოჰგვარა ეთერს ამ ალერსმა, სახე წამოეფაკლა, ცრემლი მოერია.

— ჯავრს არ დააჩაგვრინო, შვილო, თავი. — დაუყვავა სალომემ. — ოქროსავით ქალი ხარ, შენს შვილებს მომასწრებს ღმერთი. ცალი ძუძუ რომ არ გაქვს, ამაზე არ იდარდო, შვილო... აგერ ჩემს ძმისწულს პირველ შვილოსნობაზე ძუძუ დაუჩირქდა, სწორედ ასე აქვს მოჭრილი, მარა ისე შენ იბედნიერე, როგორც მან ის ბავშვი გაზარდა და მერე კიდევ ორი შვილი შეეძინა, ახლა ერთმანეთის უკეთესები არიან... ასე, დედა, ასე, დიდი გამოცდილება გაქვს მიღებული, მარა ჯერ მაინც ბავშვივით ცოდვა ხარ... მე დამიჯერე, შვილო...

ნელინელ გადაეყარა ეთერს დარდი გულიდან, ტკბილად ჩაეძინა.

დილას, თვალი რომ გაახილა და ამომავალი მზის შუქით განათებულ ფანჯარას მიაცქერდა, თავი სიზმარში ეგონა, იმდენად მომხიბლავი იყო ეს ოჯახი, ძილში ნანასავით ჩაყოლილი სალომეს ტკბილი სიტყვები.

ოთახში არავინ იყო. სალომე სამზარეულოში საქმიანობდა, ხოლო ნინა სკოლაში წასასვლელად ემზადებოდა.

და ამ საამურ მყუდროებაში ეთერს გაზაფხულის დილის საგალობელი მოესმა. ხმაშეწყობილად ჭიკჭიკობდნენ ფრინველები. ხეების ნორჩი ფოთლები ახალამოსული მზის სხივებში ბრწყინავდნენ; ყველაფერი სიცოცხლის განახლებას შეჰხაროდა.

XV

„მზე უშენოდ ვერ იჭნების...“

ნინამ გაკვეთილების გადაცემა გაათავა, ერთის წამით სამასწავლებლოში შევიდა და უმალვე შინისაკენ გაეშურა. საკმაო მანძილი ჰქონდა გასავლელი, მაგრამ ახლა გზა კიდევ უფრო გაუგრძელდა. ისწრაფოდა, უნდოდა მალე ენახა ეთერი. თვითონაც არ იცოდა, რამ შეაყვარა ასე. ეს არ იყო მარტოოდენ პატივისცემა ახალგაზრდა ქალისადმი, რომელიც ფრონტზე იყო და ბრძოლაში მონაწილეობას იღებდა; ამას თან ერთვოდა სულიერი ნათესაობა და წრფელი სურვილი, რომ ეთერისათვის სევდა შეემსუბუქებინა, ის სევდა, რომლის სათავე სალომესთან ერთად ნინამაც კარგად დაინახა.

„საწყალი, გული აქვს გატეხილი. — ფიქრობდა სწრაფად მიმავალი ნინა. — ინვალიდი ვარ და სამსონს აღარ მოვეწონებიო... აუცილებლად უნდა დავარწმუნო, რომ ცდება... ჯერ კიდევ არ ცოდნია, თუ რა გულის პატრონია სამსონი... მაინც რა ძნელია, ასეთი ფიქრი რომ ქალს დაიმორჩილებს...“

ჭიშკარი შეაღო. ეთერმა აივნიდან ჩაირბინა. ნინას გული გაუნათდა, მეგობრის სახეზე რომ მხიარული ღიმილი დაინახა. აღტაცებით მოეხვია.

ნასადილევს ნინა და ეთერი საუბარში გაერთნენ. სალომემ სუფრა აალაგა, ბოსტანში ჩავიდა, ერთხანს იმუშავა, მერე ოდაში აბრუნდა და ქალიშვილებს უთხრა:

— ჩადით, შვილებო, მათე ინახულეთ... დიდი ხნის სიცოცხლე აღარ უწერია უბედურს.

კრამიტით გადახურულ ორსართულიან ოდას, გაუწყობელს, მაღლა ასასვლელად კიბის ნაცვლად სქელი ფიცარი ჰქონდა მიყუდებული, ფიცარზე საფეხურები იყო დაჭედებული. მათე კედელთან მიდგმულ ლოგინზე იწვა. დარბაზს ფანჯრები არა ჰქონდა, იატაკად დროებით ფიცრები იყო ჩაწყობილი.

ავადმყოფს აღათი უვლიდა, ქალიშვილები სამუშაოდ იყვნენ წასული.

— მობრძანდით, თქვენი ჭირიმე, მობრძანდით! — მიეგება ნინასა და ეთერს აღათი. — შვილო, აი უცხო სტუმარი...

მთლად გამოეფიტა აღათი ქმრის ავადმყოფობასა და შვილებისათვის დარდს. თვალები ჩაღრმავებოდა, სახე გაყვითლებოდა, ტანადაც დაპატარავებულიყო. თავი მაინც მხნედ ეჭირა.

ეთერს მრავალი მწუხარე ავადმყოფი ენახა, მაგრამ მათეს დიდრონ, ძვალტყავა ხელს რომ დახედა, სავსებით უსიცოცხლოს, გაოცდა, თითქოს მიცვალებულის ჩონჩხს დაჰყურებსო. საშინლად გამხდარ სახეზედაც მკვდრის ფერი ედო მათეს, მხოლოდ მისი დიდრონი თვალები არ ჩამქრალიყვნენ. შავი, მეჩხერი ულვაშები, სქელი წარბები და ანთებული თვალები ცხადყოფდნენ, რომ მოხუცებული არ იყო, მხოლოდ ავადმყოფობას დაედნო ასე.

—ა, ბიძია, ეს არის ეთერი, სამსონის დანიშნული. — უთხრა მათეს ნინამ და შუბლზე დადებული ტილო გაუსწორა.

— კაი დაგემართოს, კაი ადამიანი ბრძანებულა. — გაუბზარავი ხმით სთქვა მათემ და ეთერს მამაშვილური სიყვარულით მიაცქერდა; ერთხანს იყუჩა, მერე მოიბოდიშა:

— რაღაი, ბიძია, რა! ვეღარ დაგხვდი კაი მასპინძელი... შარშანწინ ჭალაში ციებცხელება ამყვა, აღარ გამახარა. შარშან ერთი ორასი შრომა-დღე მაინც ქე გამოვიმუშავე. ამ ზამთარში ისევ ჩამაგდო. მერე ფილტვების ანთება დამემართა და ახლა ქე ხედავ აგერ, რას ვგავარ... ვინ ჩივა, ყველე სიკვდილის შვილი ვართ, ოღონდა ერთი ჩემი სიმწრით გამოზრდილი ბიჭების ნახვას

მოვსწრებოდი, მეტი არაფერი მინდოდა.

— ნუ გეშინია, ბიძია, გულს ნუ გაიტეხ. — ანუგეშა ნინამ.

მათეს იჭვნეულად გაეღიმა ულვაშებში, მერე თავს ძალა დაატანა, კარგად ყოფნის დროს რომ იცოდა, ისეთი ხმით სთქვა:

— ჩემი ჯავრი ნუ გაქვთ! თქვენ იყავით კარგად... ქალო, ამ უცხო სტუმარს მოართვი რამე!

— ღმერთო მომკალი, მთლად გამომალენჩა ამდენმა მწუხარებამ, — ჩაილაპარაკა ალათიმ, მრგვალი მაგიდა გამოსწია, ზედ არყიანი სურა დადგა, ჩურჩხელა და ვაშლი მოიტანა.

— ჰაი, ჰაი, ბიძია!—წამოიწყო სტუმრების შესაქცევად მათემ. — ასეთი იყო ის მუდამ, ყოველგვარ გაჭირვებას აიტანდა, ოღონდ სხვა არ შეეწუხებინა, შრომაშიაც თავდაუზოგავი იყო; ერჩია მთელი დღე მშიერი დაეღამებინა, ვიდრე შვილებს რაიმე მოკლებოდათ. ახლა სიცხისაგან თავს შეზარხოშებულივით გრძნობდა და ძალიან უნდოდა, ეთერისათვის რაიმე ისეთი ეამბნა, რომ იგი გაერთო.

— ჰაი, ჰაი, ბიძია, ერთი ფეხზე ვიდგე ახლა! ისეთ წვეულებას გაგიმართავდი, რომ აქანე ყველაფერი კრიმანჭულს დეიწყებდა. მაშინ ქე იტყოდი — ვარგებული (ბიძა) ყოლია სამსონსო, ახლა კი... მომაწოდე, ქალო, მაი სასმისი! ორი სიტყვით მაინც დავლოცავ ამ ჩემს რძალს.

— რას ამბობ?..

— ვიცი, ვიცი, რომ არ მესმება. — შეაწყვეტინა (ალათის) მათემ. — ისე, შნოისთვის მოვკიდებ ხელს.

ნინა მიეშველა, თავთან დაუჯდა. მაგრა შემოაჭდო მათემ თითები სასმისს, მოსიყვარულე თვალებით შეაცქერდა ეთერს:

— ბედნიერი ქნას, ბიძია, ბუნების ძალამ შენი ჩვენს ოჯახში მოსვლა. ერთი უსწავლელი კაცი ვარ, მარა ცხოვრება რომ წინ მიდის, ამას ქე ვხედავ. ჩემს ბავშვობაში აქ, ბიძია, პატარა ქოხი გვედგა და ნარმის პერანგი გვენატრებოდა. ახლა ქე ხედავ, რაც არის. თქვენ უკეთესს მოესწრებით, ოღონდ ჩვენი ბიჭები...

ღონე აღარ ეყო, ხველა აუტყდა. კარგა ხნის შემდეგ მოსულიერდა. ნინამ წამოფაკლული სახე მოწმინდა.

უხერხული დუმილი ჩამოვარდა; ამ წამს თითქოს სახლში სიკვდილმა შემოიხედა ცივი თვალებით...

— (ჰო, რას ვამბობდი? — იკითხა სულმოთქმულმა მათემ.

— ჩვენს ბიჭებს ახსენებდი. — მოაგონა ნინამ.

— ჰო, ბიძია, ჰო... მართლა,—მიმართა ეთერს, — იქნებ თქვენ გაიგეთ სადმე რაიმე ამბავი?

— მე ხუთი თვის წინათ დავიჭერი, ავად ვიყავი... ისე კი ცნობის მიუღებლობა ნუ შეგაშინებთ...

— ჰო, ბიძია, ჰო, — შეაწყვეტინა მათემ, რადგან ამგვარი ნუგეში ბევრჯერ მოუსმენია. — კაი დაგემართოს, ესეც იმედია.

ეთერს მძიმე ავადმყოფობის შემდეგ ბევრი ლაპარაკი, მეტადრე რაიმე ამბის მოყოლა ძალიან ეზარებოდა, მაგრამ ახლა გულმა მოსთხოვა მათესთვის ეამბნა, თუ როგორ შეუპოვრად იბრძოდნენ ფრონტზე ჩვენი მეომრები.

მათე თვალს არ აშორებდა ეთერს, ნინა და ალათიც სულგანაბული უსმენდნენ.

ბოლოს მათემ თვალები დახუჭა, შინაგანი მზერით გაჰხედა ბრძოლის ველს, თავისი სამი ვაჟი დაინახა... როგორ დავაჟკაცებულან, როგორ იბრძვიან!.. განა აგერ ახლა არ იყო, სულ პატარები რომ იყვნენ და ეზოში ფეხშიშველა დარბოდნენ?!

„სწრაფად მიდის წინ ცხოვრება, —

უთხრა მათემ თავის თავს. — იარონ, იბრძოლონ... ოღონდ ფუძე არ დაინგრეს... ერთი მაინც დაბრუნდეს ცოცხალი.“

თვალი გაახილა, ეთერს მიაშტერდა. საოცარია, ამ ახალგაზრდა ქალმა როგორ გამოიარა იმ ქარცეცხლში!

ეთერი ამ დროს შალვა ყიფშიძის, სამსონის, დავით ჯანაიას, კოლია ბარბაქაძისა და ირაკლი ყარაშვილის ბრძოლის ამბებს ყვებოდა. შემდეგ მოიგონა, თუ როგორ შეხვდა პირისპირ ტანკს ლადიმე გიორგაძე...

— ჰო, ბიძია, ჰო, მაგენი ჩვენი დევგმირები არიან, ჩვენი სისხლი და ხორცი. — სთქვა მათემ, როცა ეთერმა თხრობა დაამთავრა. — მე ჩვენი ბიჭების ვაჟკაცობა არ მაკვირვებს, მე შენ მაკვირვებ, ბიძია, ეს ახალგაზრდა ქალი! რა გული გქონია, ბიძია, რა ალმასივით გული!

დიდი სიამოვნებით შეიფერა ეთერმა ეს ქება, რადგან იცოდა, რომ იგი წრფელი იყო. თანაც არასოდეს არ ყოფილა ასე კმაყოფილი. ასე ეგონა, ამ ამბების მოყოლით თავის თავშიც აღმოაჩინა ისეთი კარგი რამ, რასაც წინათ ვერა ხედავდა.

— მომაწოდე, ბიძია, ეგ ღვინო, პირს გავისოლებ. მეც მოგიყობით პატარას, თავს შეგაქცევიებთ.

საოცარია, ამ ჩონჩხადქცეულ კაცს, თუ ხველა არ აუტყდებოდა, ლაპარაკში ვერ შეამჩნევდით, რომ სავსებით დავრდომილი იყო და სიკვდილის პირად იდგა.

— ჰო, ბიძია, — დაიწყო მათემ: — მეც ვიყავი ჯარში პირველი ომის დროს, მარა ამაზე თავს არ მოგაწყენთ. მე აგერ ამ ომის დროს კოლექტივში მუშაობის ამბავს მოგიყვები...

ერთ წამს იყუჩა, მერე თითქოს რაღაც მოაგონდა და მწარედ გაეღიმა.

— ჰო, ბიძია, ჩემი სიყმაწვილე მოჯამაგირეობაში გავატარე და რა გასაკვირია, რომ შრომას მადლი არ გაჩნდა. სხვის საქმეს ვაკეთებდი და გული დაბეჩავებული მქონდა... მერე კი ამ ახალმა დრომ მომისწრო, ნელნელა გავიმართე წელში... ამ დიდ სახლს რომ ხედავ, ომის წინ დავხურეთ კრამიტით... ჩემს ბიჭებს რომ ომში წასვლა არ მოწეოდათ, ახლა გაწყობილი მექნებოდა... არაფერია, მოესწრებიან, ოღონდ გაიმარჯვონ და ცოცხალი დაბრუნდენ... ჩვენც ომში ვართ აქ. ძართალია, ზარბაზნების სროლა არაა, მარა ქვეყნის წინაშე ნაკლები მოვალეობა არ გვაკისრია... ამ წყეულმა ავადმყოფობამ ჩამიგდო ხელში, თორემ... აგერ ჩემი მეზობლებისას რომ შეიხედო, კაცს შინ ვერ ნახავ, ყველა სამუშაოზეა წასული... ჩემი გოგოებიც იქ არიან... მე კი...

— კმარა ახლა, დაისვენე, — მზრუნველი ხმით მიმართა ალათიმ, — გაწყენს ამდენი ლაპარაკი, ხველა აგიტყდება.

— კაი, შე ქალო, დასვენება მერეც შეყოფა... ამ ჩვენს სტუმარს პატარას თავს შევაქცევიებ... ჰო-და, იმას ვამბობდი... ომია, შინ უმთავრესად ბერი-კაცები და ქალები დავრჩით, მოსავალი კი უფრო მეტი უნდა მოვიყვანოთ... კაცი სიკვდილამდე სწავლობს, მარა იმას როგორ ვიფიქრებდი, თუ სიმინდის მოყვანაშიაც რაიმეს ახალს შევიძენდით. ბაღნობიდან მეტს რას ვაკეთებდი, ვთოხნიდი და ჭადი და ლობიო მომყავდა. ახლა კი ქვეყანა რომ განსაცდელში დავინახეთ, ჩვენი შვილები რომ სამკვდრო-სასიცოცხლო ომში ჩაებენ, ძალონე დავჭიმეთ და წინათ თუ ას ქცევას ვხნავდით, ახლა ას ოცი დავხანით, წინათ თუ ქცევაზე ასი ფუთი მოგვყავდა, ახლა ას ორმოცი მოვიყვანეთ. მერე ვინ? აკი ვთქვი, უმთავრესად ხნიერმა კაცებმა და ქალებმა-მეთქი... შარშან ამინდიც გადაგვემტერა, მარა ვერაფერი დაგვაკლო. თუ მოინდომა, კაცს თურმე

ამინდის დაძლევაც შეუძლია, ყველაფერი შეუძლია, ოღონდ საქმეს სულით და გულით მოეკიდოს...

შეისვენა. ეთერს თვალი მიაპყრო, თავი ხომ არ ‘ოვაბეზრეო.

ალათიმ დრო შეურჩია და თავისი ჩვეულებისამებრ ეთერს შესჩივლა:

— რა ვქნა, შენი ჭირი მე, ეს კაცი ქე ჩამადნა ხელში, ჩემი მოსწრებული ‘ვილები კი სად მყავს მე უბედურს...

— თავს ნუ ისაწყლებ, ქალო! — ‘შეაწყვეტინა მათემ. — დრომ ასე მოიტანა. კაცი ჭირში უნდა გამაგრდეს, თვარა... ჰო, ბიძია, იმას გიყვებოდი, ‘ბარშან გვარიანი მოსავალი მევიყვანეთ... ღამე კალოზე ორი კაცი დავრჩით. მეორე დღეს სიმინდი ნალიაში უხდა შ‘გვეზიდა. ჩემი ამხანაგი კაი ‘ოსული კაცია, აგერ ჩემი მეზობელია, გერასიმე ჰქვია. ჩემზე ერთი ხუთი წლით უფროსი ქეა, მარა საქმეში ძალ-ღონით სავსე ‘ვაჟკაცს არ ‘ჩამოუვარდება... იმ ღამეს მაინც დევგმირს დაემსგავსა... გ‘ვიხედეთ და მეიღრუბლა, მარა რაფერ მეიღრუბლა! ზღვის მხრიდან ქარმა დოუბერა, გაწვიმდა... შუაღამე არ იქნებოდა, რომ კოკისპირულად დოუშვა... გეგონებოდა, ცაი ფეხად მოდისო. ირგვლივ არაფერი არ ჩანს, არც ჭალა, არც ნარიონალი, მდინარის ხმასაც ვერ გაარჩევ, ყველაფერს გაბმული შხუილი ნთქავს... კალოს წყალი შემოადგა, ჩვენ გალუმპული ვართ, მარა ეს არაფერია, მთავარი აგერაა, გვერდზე: მდინარემ ადიდება იწყო, ჯ‘ებირი თუ გადმოხეთქა, ჩვენი კალოდან ერთი ტაროც არ დარჩება...

— აბა, მათე, — მიყვირა გერასიმემ, — კალო რომ დაგვეღუპოს, თავი ცოცხალი რაღად გვინდა, რამენაირად ჯ‘ებირი უნდა გავამაგროთ, თორემ გაზაფხულზე რომ გადმოხეთქა, ახლაც ისე იზამსო...

დამავიწყდა მეთქვა, გერასიმეს ორი ‘ვაჟი ყავს ომში. ერთს უმაღლესი აქვს დამთავრებული. ჰო-და, ‘ბიძია, ეს მისი სასახელო შვილი რომ დაღუპულია, ჩვენ ყველამ ‘ვიცით, მ‘ნოლოდ გერასიმეს და მის საცოდავ ცოლს არ შეატყობინეს ჯერ... კაიც ‘ჰქნეს, ‘ბიძია, კაი... მირჩევნია სამარეში ისე ‘ჩავიდე, რომ ‘ჩემ ‘ბიჭებზე ცუდი არაფერი გეიგო... სანამ სული მიდგას, ‘ჩემთვის ისინი ‘ცოცხალი იქნებიან...

— ვაი ! ‘თქვენს უბედურ დედას, ‘შვილებო!... — აღმოხდა ‘ალათის.

— მაცალე, ქალო! — წარბშერჭმით ‘ჩაილაპარაკა მათემ, მერე კვლავ ეთერს მიაპყრო თვალი.

— ჰო, ‘ჩემო კეთილო, ‘ჩემო ‘ბიძია, იმას გიყვებოდი. შეუწყვეტლად ასხამს. ‘გერასიმეს ლანდივით ‘ვხედავ... რაცხა ‘ოღბლად ‘ბარი და თოხი ‘ქე ‘ამოგვაჩნდა... ‘ვთხრით მიწას, ‘ვაყრით ‘ჯ‘ებირს... შედგება ‘ზედ ეს ‘ამოდენა ‘კაცი და ‘გლისავს... გაჭირვებაში თუ ‘კაცი არ ‘დეიბნევა და ‘იმოქმედებს, ‘იმას ‘ყერაფერი ‘ვერ ‘დაძლევს... ‘ასე ‘ბგონია, ‘თბილ ‘მდინარეში ‘ვცურავთ... ‘მოაწია ‘ალიონი, ‘გამოჩნდა ‘ციცერი... ‘ჩვენ ‘ისევ ‘ვებრძვით ‘მდინარეს. ‘ხანდახან ‘ტალღა ‘იფეთქებს ‘და ‘სახეზე ‘შემოგვეშხეფება, ‘მარა ‘ეს ‘არაფერია, ‘რაკი ‘დილა ‘მოახლოვდა, ‘აწი ‘გავუძლებთ. ‘მართლაც, ‘რაღა ‘ბევრი ‘გავაგრძელო, ‘გათენდა ‘და ‘წვიმამაც ‘იკლო. ‘გამოჩნდა ‘პირამდე ‘გაპიპინებული ‘ნარიონალი... ‘გრილმა ‘ქარმა ‘დოუბერა... ‘გერასიმემ ‘ამხედ-‘დამხედა, ‘მომიახლოვდა.

— ‘არ ‘მეგონა, ‘თუ ‘ამდენს ‘შევძ‘ლებდითო, ‘მითხრა. ‘შენ ‘ხომ ‘ნაავადმყოფარი ‘ხარ, ‘დასუსტებული, ‘ადი ‘ახლა ‘ნალიაში, ‘გაიხადე, ‘ჩემი ‘ნაბადია ‘იქ, ‘ისიც ‘მოიხვიე ‘და ‘მოისვენე.

‘იცი, ‘ბიძია, ‘ხანდახან ‘ადამიანი ‘ისე ‘შეგიყვარდება, ‘რომ ‘გინდა ‘სულში ‘ჩაიძვრინო... ‘გერასიმეს ‘ხალათი ‘და ‘შარვალი ‘ტანზე ‘შემოწებებული ‘ჰქონდა, ‘სახე ‘გალურჯებოდა, ‘მე, ‘რაღა ‘თქმა ‘უნდა, ‘მასზე ‘უარესი ‘სანახავი

ვიქნებოდი, მარა მისმა მზრუნველობამ გამათბო. თან ისიც მომაგონდა, მისი სასახელო ვაჟკაცი რომ ბრძოლაში დაღუპული იყო, მან კი არაფერი იცოდა... ცრემლები მომერია და მოვეხვიე...

ეტყობოდა, კიდევ უნდოდა გაეგრძელებია საუბარი, მაგრამ დაიღალა, თვალები დახუჭა, ლაპარაკის დროს ოდნავ შეფაკლული ლოყის დამჭკნარი კანი მყისვე გაეტეტკა, მიცვალებულს დაემსგავსა...

— რას ! გაჩუმდით? — გაახილა მათემ თვალი, — ასეა ბიძია, ასე... ახლა ქე ვარ მიჯაჭვული ლოგინზე, მარა მაგიზა თქვენ ნუ შეწუხდებით. ბრძენს უთქვამს: „ჩვენ წავალთ და სხვა დარჩებაო“... აგერ ეს საწყალი ქალი და გოგოები გავამწარე, ამას ვწუხვარ, თვარა ისე თქვენი ჭირი წამიღია...

* * *

ეთერს სასთუმალი ფანჯრის გასწვრივ ჰქონდა, ვარსკვლავებით მოჭედილ ცის ნაჭერს გაჰყურებდა. მეტად მაამებელი სიჩუმე სუფევდა ოთახშიაც და გარედაც, რადგან მხოლოდ ბულბულის ჰანგმრავალი სტვენა ისმოდა.

ერთხანს მათეს სახე ედგა თვალწინ, უკვირდა: ამ ჩონჩხში რამოდენა სული ენთო, რა დიდი სიყვარული, რა ცეცხლოვანი მოლოდინი ომში მყოფ შვილებისა!..

„ადამიანი უფრო დიდია, ვიდრე ჩვენ ხანდახან გვგონია, — ფიქრობდა ეთერი. — იმდენ დაჭრილებში, იმდენ მომაკვდავებში რამდენჯერ მომჩვენებია კაცის სიცოცხლის არარაობა, მაგრამ ეს, ალბათ, დაღლილობის ბრალი იყო... აბა დაუკვირდი: აი მე თითქმის ინვალიდი ვარ... მართალია სალომემ მანუგეშა, მაგრამ... ჰო-და, განა მოაკლდა რამე ჩემ სიყვარულს?.. ვაი, დედა, მე აგერ ვწევარ, ის კი, ვინ იცის, სადარის! ეგება დაჭრილია, ეგებაო“

შეშფოთდა, ლოგინში ვერ მოისვენა. ფრთხილად ადგა, ხალათი მოისხა.

კარის ჭრიალზე სალომემ თავი წამოსწია, დააყურა.

აივნის სვეტს მიეყრდნო ეთერი. უნდოდა მთლად მზერად ქცეულიყო, რომ წარმოედგინა, თუ ახლა რა დღეში იყო სამსონი. არ იცოდა ნატვრით შეპყრობილმა, რომ ამ წამს მისი სულის ჭრილობა რჩებოდა, ის ფესვები იკურნებოდნენ, როძელნიც ოპერაციისა და მძიმე ავადმყოფობის დროს დაზიანდნენ.

იდგა სვეტთან, გაჰყურებდა გაზაფხულის მშვიდ ღამეს, ესმოდა ბულბულის სტვენა, მაგრამ ყოველივე ამის ძალმა იცქირებოდა, სამსონს უხმობდა ტრფობით ანთებული გული...

არ გაუგია, სალომე რომ მიუახლოვდა.

— დედა-შვილო! რას აკეთებ, დედა, აქანე? გაცივდები, დედა შემოგევლოს...

სალომეს მოეხვია ეთერი, თბილმა ერუანტელმა დაუარა და უხმოდ გადმოღვარა შვების მომგვრელი ცრემლები...

* * *

— გადვიაროთ, დედა, საწყალი ასმათი ვნახოთ. — უთხრა ერთ დღეს სალომემ ეთერს. — ახლა აგერ მისი ბალანე იყო, შემოუთვლია — მობრძანდესო. გუშინ გულმა არ მომითმინა და შენი ნაამბობი ვუთხარი. გაგიჟდა უბედური...

ჭიშკარი დახურული იყო. ალაგეზე გადააბიჯეს. აივნიდან შვიდი თუ რვა წლის გოგონამ გადმოიხედა და წამსვე შებრუნდა.

— ვაიმე, შვილო, ავთანდილ... შენს დედას უბედურს. — მოისმა უცებ და

ასმათიც გამოჩნდა, ხელები გაშალა, მოთქმით ჩაჰყვა კიბეს.

— ძობრძანდი, შენი ჭირიმე, ჩემო კეთილო, ჩემი უბედური შვილის ჭირისუფალო...

ეთერს მოეხვია, მხარზე ცრემლები დააწვეთა, მერე შინ შეუძღვა.

ფართო მაგიდაზე შავ ჩარჩოში ჩასმული გადიდებული პორტრეტი იდგა. ძაშინვე იცნო ეთერმა ავთანდილი, ძხოლოდ ამ სურათში უფრო ახალგაზრდა იყო, ნაზი გამომეტყველება ჰქონდა და თხელ ტუჩებზე ღიმილის ნასახი აჩნდა. იქ კი, სიკვდილის წინ, ძისი ნაწამები სახე მეტად მკაცრად გამოიყურებოდა, თუმცა ეს რაღაც თავისებური ნაზი იერი იქაც ემჩნეოდა.

ასმათმა თავს ძალა დაატანა, ცრემლებს მოერია, მეორე ოთახში გავიდა და ტკბილი სასმელი, ხილი და ჩურჩხელა გამოიტანა.

— პირველად ბრძანდებით ჩემს ოჯახში, — ძიმართა ეთერს, — ნუ დამძრახავთ.

ძერე გვერდით მიუჯდა, ეთერის ხელი აიღო, გულზე მიიხუტა.

— შენი ხელების ჭირიმე, ჩემო კეთილო, ამ ხელებმა შეუხვიეს ჩემ ბალანას ჭრილობა...

ისევ აუთრთოლდა ტუჩები, მაგრამ ამ დროს სალომე მიეშველა:

— კარგი ახლა. აგერ ამ ბალნებს გულს ნუ წაუხდენ, უფროს ქალ-ვაჟს მოუარე. მიცვალებულს კი არ უნდა გადაყვე, ცოცხლებისათვის უნდა იფიქრო... ადამიანს, სანამ პირში სული უდგას, სიცოცხლისათვის ზრუნვა ძართებს...

* * *

ეთერი ხშირად შინ მარტო რჩებოდა. ნინას სკოლაში აგვიანდებოდა, მალე გამოცდები უნდა დაწყებულიყო და მოწაფეებთან მეტი მეცადინეობა სჭირდებოდა. სალომე ეზოში მუშაობდა, ბარავდა, თესავდა. ხანდახან ეთერიც წაეხმარებოდა, მაგრამ სალომე ძალე შინ ისტუმრებდა:

— არა, დედა, შენ ამისთვის საჭირო ძალ-ღონე ჯერე არა გაქვს. — ძოფერებით ეტყოდა ხოლმე. — შენი ჭრილობა ჯერ კიდევ კარგად შეზრდილი არაა, თავს გაუფრთხილდი, შვილო... წადი, დედა, წადი. წიგნებთან შენ არ მოგწყინდება.

ნინას, ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს, სოფლის პირობაზე საკმაო მხატვრული ლიტერატურა ჰქონდა. ეთერი ჰკითხულობდა წიგნებს და უდიდეს კმაყოფილებას ჰგვრიდა თავისი თავისადმი რწმენის გაძლიერება.

ყველაზე მეტად ის წიგნები იტაცებდნენ, რომლებშიაც დაახლოვებით მაინც ისეთი რამ იყო აღწერილი, რაც ეთერს განეცადა, ან არა და, მის ახლანდელ განწყობილებას ემთხვევოდნენ. ხელახლა წაიკითხა ყაზბეგის მოთხრობები, ილიას „გლახის ნაამბობი“, აკაკის „ბაში-აჩუკი“, ბევრს პირველად გაეცნო, მაგრამ გრძნობდა, რომ თანამედროვე ქალი, აი ის, ვინაც ეროვნივით ომის ცეცხლში გამოიარა, ან თუნდა აქ ზურგში შრომობს მამაკაცივით, ეს ქალი სულ სხვაა...

„ეჰ, ნეტავი ახლაც იქ ვიყო, — ინატრა ეთერმა: — სანამდი უნდა ვეწვალო ასე?.. რამდენი ხანი გავიდა და სამსონისაგან არავითარი ცნობა არაა“...

შექსპირის ტრაგედიები ედო ამ დროს წინ, გული ვერ დაუდო, ადგა და სალომესთან ჩავიდა.

სალომე ზურგშექცევით იდგა, თოხს დაყრდნობოდა ფიქრში გართული. ეთერის მოახლოვება არ გაუგია. უცებ თავი ასწია და, ვიდრე თოხს მოიქნევდა, თავისებური ამოოხვრით სთქვა ხმამაღლა:

— ვაი შენს დედას, შვილო, ვაი შენს დედას...

ეთერი შედგა, მიხვდა, რა ცეცხლიც ტრიალებდა დედის გულში. მივა, ანუგეშებს, მაგრამ ძალა რომ არ ყოფნის, თითონაც რომ იმ დღეშია?

ამ დროს სალომემ მიიხედა.

— რავა ხარ, დედა, მოგწყინდა მარტოკას? — ჰკითხა ალერსით, მერე დასავლეთით გადახრილ მზეს გახედა და დასძინა: — აწი სადაცაა ი ი გოგოც მოვა...

* * *

მაისის მზე ფანჯარას მოადგა; ეზოში მაღალი ხეების ნორჩი ფოთლები ისე ხასხასებდნენ, თითქო ცას უღიმიანო.

ეთერმა დიდხანს უთია ღამე შეწუხებულ მათეს და ამ დილით გვიან გამოეღვიძა. ნინა უკვე წასული იყო სკოლაში, ხოლო სალომეს საუზმე გაემზადებია, მაგიდაზე დაელაგებია და ყანაში სამუშაოდ წასულიყო.

ამ დილით ეთერმა განსაკუთრებულად იგრძნო, რომ ფიზიკურად სავსებით გაჯანსაღდა, ხოლო სულში ნისლად ჩაფენილი მელანქოლიაც თანდათან ჰქრებოდა. მესამე დღეა „ვეფხის-ტყაოსანს“ ჰკითხულობს და ჰგონია, თითქო ახალი სამყარო აღმოაჩინა. „ვეფხის-ტყაოსანს“ სკოლაში სწავლობდა, შემდეგაც წაიკითხა, მამა ხომ მუდამ ამ დიდებული თხზულების ქებაში იყო, მაგრამ ახლა სულ სხვანაირად აღიერდნენ ეს უკვდავი სტრიქონები, უფრო ახლობელნი, უფრო საყვარელნი აღმოჩნდნენ შორეული გმირები.

ერთხანს კიდევ იკითხა, მერე ადგა და აივნიდან ქედს გაჰხედა; გუნებაში კი იმეორებდა:

„მზე უშენოდ ვერ იქნების, რადგან შენ ხარ მისი წილი“...

იმეორებდა და გრძნობდა, რომ უსაზღვროდ იზრდებოდა მთელი ქვეყნიერება, თვითონაც იზრდებოდა, ძლიერდებოდა; რაღაც ისეთი სულიერი ცხოველმყოფელობა ენიჭებოდა, რომელიც თავის თავში შეიცავდა მთელ ამ მშობლიურ გარემოს, ამ მაამებელი გაზაფხულის ღიმილს...

მკერდზე მოისვა ხელი, წარბები შეიჭმუხნა. „ეს არაფერია... მორჩა, საქმეს უნდა ვეწიო!“ — უთხრა თავისთავს და აივნიდან ჩაირბინა, სალომესთან გაეშურა.

— დედა, მე ხვალ ციხისძირში მივდივარ, იქიდან ქაღალდს წავიღებ, თბილისში გავივლი, მამას გამოვეთხოვები... ვეცდები, რამენაირად იმ ნაწილში მოვხვდე, სადაც სამსონი იმყოფება.

სალომემ ხანგრძლივად მიაშტერა თვალები ეთერს, ისე ხანგრძლივად, რომ შიგ მოძალებულმა ცრემლმა გამოჟონა, მერე ალერსით შეახო ხელი ნიკაპზე და მღელვარე ხმით უთხრა:

— შენ იცი, დედა...

XVI

ალმასივით მკვეთრი

კალაბატკაში უთანასწორო ბრძოლის შემდეგ 25 თებერვლის დილა გათენდა. ცაზე ტყვიისფერი ღრუბლები იგრაგნებოდნენ. ცივი ნიავი უბერავდა; გარემოს რაღაც თალხი ელფერი გადაჰკრავდა.

ლელის კონებისაგან შეკრულ პატარა კარავში იჯდა ნაბადმოხურული შიო ბეროშვილი და ახალი იერიშის გეგმას ადგენდა.

მტერმა უკანასკნელი შემოტეევის დროს დივიზიას საგრძნობი ზარალი მიაყენა, მაგრამ მიზანს მაინც ვერ მიაღწია, ვერ მოსპო. შიო ახლა ცდილობდა ძალები ისე გადაეჯგუფებინა, ისე დაერაზმა, რომ გერმანელებისათვის თავისი ბრძოლის უნარიანობა ეჩვენებინა. ამასობაში დამხმარე ძალებიც მოუსწრებდნენ.

შუადღისას კარავს პოდპოლკოვნიკი ქანთარელი და რამდენიმე რუსი მეზღვაური მიუახლოვდნენ. ქანთარელი ამ ქართული დივიზიის საფუძვლის ჩამყრელთაგანი იყო, მაგრამ შემდეგ სხვა ნაწილში გადაიყვანეს; ამჟამად კი მეზღვაურთა განსაკუთრებულ ბრიგადას მეთაურობდა და მძიმე პირობებში ჩავარდნილ ქართველ მეომრებს სულზე მოუსწრო.

ქანთარელი ბუნებას თითქოს მხედრად გაეჩინა. დინჯი, შეუპოვარი. მაყვალივით შავი თმა, მაღალი შუბლი, სქელი შავი წარბები; შუბლის ქვემოდან გამომზირალი, ალმასივით ბასრი, შავი თვალები; მოკლედ შეკრეჭილი შავი ულვაშები. იშვიათად, როცა გულიანად გაიღიმებდა, მისი შავგვრემანი, პირქუში სახის ყოველი ნაკვთი საოცრად განათდებოდა. სწავლისა და ბრძოლის მეტად რთული გზა ჰქონდა გამოვლილი ჯავშნიანი მატარებლის რიგითი წითელარმიელობიდან დღევანდლამდის. ორმოც წელს გადაცილებული იყო, მაგრამ მის ჭაბუკურ გამომეტყველებას ჩრდილი სრულიად არ მოჰფენოდა.

შიოს ქანთარელის მოსვლა მოახსენეს. სიხარულით წამოიმართა, მიეგება; გრძნობდა, რომ განწირული მდგომარეობიდან გამოდიოდა. ამ დროს უცებ თვალწინ გაუელვეს განვლილმა დღეებმა და შეკრთა, რადგან მხოლოდ ახლა წარმოიდგინა მთელი სისავსით აქ წარმოებული საბედისწერო ბრძოლის სიმძიმე.

მეგობრები ურთიერთს მოეხვივნენ. ქანთარელმა თავი ასწია, შიოს თვალებში ჩაჰხედა და შინაურულად ჰკითხა:

— რავა ხარ, ბიჭო?

შიოს მწარედ გაეღიმა, ლოყები ჩაეკეცა, მარცნენა წარბი ჩამოეხარა.

— რავა ვიქნები, — უპასუხა, — ძმა ძმისთვის, შავი დღისთვის, ოღონდ ისე მომისწარი.

— აბა აწი ჯავრი ნუ გაქვს. — უთხრა ქანთარელმა. — ჩემ ბრიგადასთან ერთად სამას ორმოცდამეთერთმეტე დივიზიაც ბრძოლაში ებმება... წარმოდგენილი მაქვს, რა დღეში იქნებიან შენი ბიჭები.

— ნუღარ მკითხავ!

ამის შემდეგ სამხედრო საქმეზე გადავიდნენ...

ხოლო მეორე დღეს, როცა შემომატებული დამკვრელი ძალების მეოხებით მტერი ორი კილომეტრით უკუაქციეს, ბრძოლის ველს ერთად ათვალიერებდნენ.

* * *

მძიმე ნაბიჯით მიიმართებოდა ლაქაშებში წელშიმოხრილი მეომარი. ზურგზე ხალთა ჰქონდა მოდებული, ცალ მხარზე და ყელზე ღვედით ჩამოკიდებულ ავტომატზე ხელები ჩამოეწყო. თავიც დახრილი ჰქონდა; იშვიათად, თითქოს რაღაცამ შეაკრთოო, ირგვლივ მიმოიხედავდა, შუბლს შეიკრავდა, კვლავ თავს დახრიდა და გზას განაგრძობდა. ხანდახან, მაღალ ლელში რომ შევიდოდა და სვლა გაუჭირდებოდა, ჩაიმუხლებდა, ლელს ზურგით მიაწვებოდა, სულს მოითქვამდა და წამოიმართებოდა.

წვერმოშვებულ სახეზე თითქოს შემჭკნარი ბალახისფერი ხავსი მოდებოდა. თუ ცისფერ თვალებში არ ჩახედავდით, ისე ვერ წარმოიდგენდით, რომ იგი კოლია ბარბაქაძე იყო. ქურქი დახეოდა, თავიდან ფეხამდე ტალახში იყო გასვრილი, ფეხსაცმელებში წყალი უჭაჭყუნებდა.

არაფერზე არ ფიქრობდა ახლა კოლია.

ხანდახან მეტის-მეტად დაღლილი ადამიანი თითქოს გარემოს შეეზრდება, მასში გაითქვიფება, თითქო მიწა, მცენარე და ჰაერი, თუ მის მაგივრად არა, მასთან ერთად აზროვნობს ქვეშეცნეულად; მიდის ძალმილეული კაცი, გული შესვენებას სთხოვს, მაგრამ იცის, რომ შეჩერება არ შეიძლება და საკუთარ გულთან ჭიდილში ავიწყდება ყველაფერი. ასეთ დროს სიკვდილი რომ შეეფეთოს, შესაძლოა სრულიად უმტკივნეულოდ გადაეშვას ბუნების უსაზღვრო წიაღში.

ენით არ გამოითქმის, რაც ამ ორ დღეში გადახდა კოლიას. სამსონი და დავითი დაღუპული ეგონა. მხოლოდ დღეს გაიგო მათი გადარჩენის ამბავი და ეს არის მიდის მათთან, მაგრამ ვაი თუ ტყვილა ანუგეშეს... განა სასწაული არ იქნება თუ მართლა თავი დააღწიეს?!

არხთან ნაკვალევს გაჰყვა, გზაზე გავიდა. იცნო ეს არე-მარე. სადღაც ამ ახლო-მახლო იყო, გუშინწინ სამსონმა რომ ზურგში გაისტუმრა კოლია და თვითონ დავითთან ერთად მტრის პირისპირ დარჩა.

უცებ საუბარი მოესმა, თავი ასწია, მისკენ მიმავალი შიო ბეროშვილი და ქანთარელი დაინახა. რამდენიმე ნაბიჯი გადადგა, გზის პირად შეჩერდა, ავტომატი გაისწორა და წელში გაიმართა.

მიახლოვებულმა ბეროშვილმა დაკვირვებით შეათვალიერა კოლია, ძლივს იცნო.

— აა, ბარბაქაძე, შენა ხარ, ბიჭო?

— მე გახლავარ, ბატონო!

— მოგცეს ღმერთმა ასეთი ვაჟკაცი ჭირშიაც და ლხინშიაც, — უთხრა შიომ ქანთარელს. მერე კვლავ კოლიას მიუბრუნდა: — რავა ხარ, ბიჭო, ხომ არ დაიღალე?

— რა მიშავს, ქე ვარ ჯერჯერობით... — უპასუხა კოლიამ, თან ისე გაეღიმა, რომ ცხადი იყო თავისთავს დასცინოდა უმალვე შუბლი შეიკრა, შიოს მოკრძალებით ეკითხა: — მე აგერ სამსონ ლომთაძესთან მივდივარ, თუ...

— ჰო, სამსონი, — შეაწყვეტინა შიომ. — ცეცხლივით ბიჭია! მაგან გუშინ საქმე გააკეთა... არა, ძმაო, პირდაპირ მასახელეს... აბა გასწი, ბარბაქაძე! ცოტა კიდევ გავუძლოთ, ძმაო... სამსონს სოფლის პირად ნახავ, ერთი კარჩამტვრეული სახლია იმაში ისვენებს. შენი ძმობილი ჯანაიაც იქ არის.

— თქვენი თავი მიცოცხლოს ღმერთმა, თქვენ მე გამახარეთ! — ჩაილაპარაკა კოლიამ და ნაბიჯი შეუმსუბუქდა, აზროვნების უნარიც მიეცა.

„რა კარგია ახლა, — გაიტაცა ოცნებამ, — ცოტა კაი სასმელი რომ მიმატანია!.. კაი პური, მოხარშული ღორის ხორცი“...

მიუახლოვდა თუ არა სოფელს, მაშინვე იცნო ის სახლი, რომელზედაც შიომ მიუთითა. გუშაგებისთვის აღარ უკითხავს, ისე მიადგა კარს და მორიდებით შეიხედა.

რამდენიმე კაცი იწვა შიგ, მათ შორის სამსონი და დავითი. ეძინათ. კოლია ფრთხილად შევიდა, ამხანაგებს სათითაოდ დააცქერდა, მერე კუთხეში ჩაჯდა. ფეხსაცმელები გაიხადა. ფეხსახვევი გაწურა ხალთაში მშრალი ფეხსახვევი მონახა, ფეხზე დაიხვია. ერთხანს იჯდა ფეხმორთხმული, მერე უცებ მოერია ძილი, მიწვა, მოიკრუნჩხა, დახეული ქურქი ირგვლივ შემოიკეცა და წამსვე ჩაეძინა.

* * *

საღამო მოახლოვდა. სროლა მხოლოდ აქა-იქ ისმოდა. მტერი აქტიურ მოქმედებას ვერ ბედავდა. ბრძოლაში დაღლილი მეომრები ისვენებდნენ.

დავითს გამოეღვიძა, სიცივე იგრძნო, ფეხები გაყინვებოდა. წამოჯდა და ხელებით დაიზილა. სადგომში მიმოი-

ხედა. მოიცა, ეს ვინ წევს კუთხეში?.. კოლია ბარბაქაძე!

საამო სითბო იგრძნო დავითმა, კოლიას სახეზე დააცქერდა.

„გადარჩენილა, — გაიფიქრა სიხარულით — აწი არაფერი გვიჭირს... ახლა შალვა ყიფშიძემ თუ გაუძლო“...

ფრთხილად ადგა, გარეთ გავიდა, სწრაფად გაიარ-გამოიარა, რომ გამთბარიყო. შემდეგ კარის ნამსხვრევი წვრილად დაჭრა, ლელის ნატეხები შეაგროვა, სადგომში შეიტანა და კედელჩამონგრეულ ფილაქურაში ცეცხლის გაჩაღებას შეუდგა.

კოლია საძაგელმა სიზმარმა გამოაღვიძა. ამ რამდენიმე დღის წინათ ტანკით გასრესილი კაცის სხეული ნახა, ტალახში შეზელილი. მაშინ თითქოს ყურადღება არ მიუქცევია, მაგრამ შემდეგ, როგორც კი დაეძინება, უთუოდ უნდა ეზმანოს. ათასნაირ სახეს იღებს. ხანდახან ეჩვენება, თითქო გარს გველები ეხვევიან, თოფის კონდახითა და ტერფებით სრესავს მათ, მაგრამ არ ილევიან და ყელამდე ნაფლეთებში ეფლობა...

ძლივს ამოიოხრა, სული მოითქვა, თვალში ცეცხლის შუქი მოხვდა, ესეც სიზმარი ეგონა და თვალი ისევ დახუჭა. ბოლოს მოაგონდა, სადაც იყო, თავი ასწია და დავითს მიაშტერდა.

ბავშვობაში აღძვრია კოლიას ასეთი გრძნობა: დილას ყველაზე ადრე მამა ადგებოდა, ბუხარში ცეცხლს დაანთებდა. კოლია წამოხტებოდა, ფეხშიშველა მიირბენდა მამასთან, მოეხვევოდა.

საკვირველია, არც ისე დიდი დრო გასულა თითქოს მას შემდეგ, რადგან ეს განცდა საოცრად წააგავს მაშინდელს!

ცოცხლად წამოხტა კოლია, დავითს მიაშურა. დიდხნის უნახავივით მოეხვივნენ ურთიერთს.

— ცოცხალი ვართ, ბიჭო, ცოცხალი! — ჩუმი ხმით სთქვა კოლიამ.

— შენ საიდან გაჩნდი, კაცო, აქ? — შეეკითხა დავითი, თავზე ხელი დაადო, თვალებში ჩააცქერდა.

— კი გამწირეთ, მარა, ხომ ხედავ, ისევ თქვენთან ვარ...

სამსონს ჩვეულებად ჰქონდა, გაეღვიძებოდა თუ არა, უმალვე უნდა წამომხტარიყო. მაგრამ ახლა თვალის გახელა დაეზარა. მართლა და, რკინა ხომ არ არის, ისიც ადამიანია. რაც გუშინწინ და გუშინ თავს გადახდა... განსაკუთრებით მაშინ, დავითთან ერთად რომ მიიკვლევდნენ ლელიანებში გზას, ვაზნები არა ჰქონდათ... ყოველ ნაბიჯზე კი მტერთან შეხვედრა იყო მოსალოდნელი... ბოლოს ისეთ ადგილას მოხვდნენ, რომ დღისით გასვლა არ შეიძლებოდა, ღამემდის უნდა ეცადათ. ამ დროს კვნესა მოესმათ. მიხოხდნენ. დაჭრილი გერმანელი იყო. სამსონი და დავითი რომ დაინახა, ავტომატის გამართვა მოინდომა მაგრამ ძალა არ ეყო. ვეფხვივით გადახტა სამსონი, დავითიც მიჰყვა. გერმანელი განაიარაღეს, ცოტაოდენი ვაზნები იშოვნეს. ამის შემდეგ უფრო გაბედულად გასწიეს წინ, ჩვენებთან ადრე მივიდნენ...

სამსონმა კოლიას ხმა იცნო. ხომ არ ელანდება? არა, ნამდვილად ისაა. წამოიმართა.

— კოლია ხარ?

— გენაცვალე სულში, მე ვარ, სამსონ, მე! — წამოიძახა კოლიამ, სამსონთან მიიჭრა და მოეხვია.

— რომ იცოდე, რამდენი გაგინე გუნებაში, გუშინწინ რომ გამაგდე...

— კი არ გაგაგდე, საქმე მოითხოვდა.

— ვიცი, სამსონ, ვიცი, მარა... რა ჯანდაბა ვუყო ამ ოხერ თავს, სხვაგან სიცოცხლეს თქვენთან სიკვდილი მირჩევნია.

— უსვინდისო ვიყო, მაგას თუ ჭკუა ეკითხებოდეს. — ჩვეულებრივად გაე-

ხუმრა დავითი. — კაცო, სამშვიდობოში გაგიშვეს და კიდევ ბუზღუნებ?

კოლიას ეწყინა.

— იცი, დავით, რას გეტყვი?.. — სიტყვა არ მოჰყვა, დადუმდა. უნებლიედ ღიმილი მოერია. — რა უნდა გითხრა, რა? შენთვის სულ ერთია, სიკვდილშიაც სიცოცხლეს ხედავ.

— აბა, აბა, აურიე ახლა შენებურად...

დანარჩენებსაც გამოეღვიძა. დავითი ცეცხლს მიუბრუნდა, შეუკეთა. მერე ორიოდე თავი თევზი ჩადო კარდალში და ფილაქურაზე შემოდგა.

კოლია მივიდა, კარდალს ჩაჰხედა, მერე თვალი სადგომში მიმოატარა.

— ეს არის, დავით, თქვენი ვახშამი? — იკითხა დამცინავი ხმით.

— ესეც ძლივს შემოვინახე...

— რა გეშველებათ, მე რომ არ გყავდეთ?—ჩაილაპარაკა კოლიამ, თავის ხალთას თავი მოხსნა, აუჩქარებლად ამოალაგა ათიოდე ცალი ჭარხალი და გოგრის ნაჭრები. — ა, ძმებო, დღეს ეს იყოს და მერე მე მკითხეთ...

თანაბრად გაინაწილეს.

— ჰო, მართლა! — წამოიძახა კოლიამ. — მთავარი ქე დამავიწყდა!.. ამ დილას ჩვენი დაჭრილები ვნახე. ვალიკო და ნესტორიც იქ არიან.

— შალვა? — იკითხა სამსონმა.

— აგერ გეტყვი. მისვლისთანავე შალვა ვიკითხე... კუთხეში იწვა, თვალის გახელა დაეზარა... ეჰ, რა ცოდვაა ვაჟკაცი, როცა მოძრაობა აღარ შეუძლია! მერე სად? ვინ იცის, როდის მოხერხდება გაყვანა, ან სასმელ-საჭმელის მიტანა...

— რა გითხრეს? ჭრილობა საშიში ხომ არაა? — შეაწყვეტინა სამსონმა.

— რას გეიგებ? ჯერ მაგრადაა. ჩვენი ქეთო უვლის. ლანდივითაა საწყალი გოგო, დაჭრილზე უფრო იგი შემეცოდა. უნდა გენახათ, როგორ გეახარდა, შალვამ რომ თვალი გაახილა და გამოძელაპარაკა. კაი ჭირისუფალი რომ მიუვა კაცს, ისე მომეხვია ქეთო.

*
* *

თებერვლის მიწურულში არმიის სარდლობის ბრძანებით დივიზიამ, ათი დღის უმაგალითო ბრძოლის შემდეგ, თავისი საბრძოლო ზღუდეები გადასცა სხვა დივიზიას, ხოლო თვითონ დასასვენებლად და ძალების შესავსებად ბრძოლით უნდა გაეკაფა გზა აზოვის ზღვის სანაპიროებისაკენ.

აგერ პოდპოლკოვნიკ შიო ბეროშვილის გვერდით დგას პოლკის მეთაური მაიორი ანაგაძე, ჩასკვნილი, ძვრეგვახიერი ლეჩხუმელი, რომელსაც განსაკუთრებით თავისი ქართველური იერი უხდება. აქვეა ახალმოსული პოლკოვნიკი ომარ სერიძე, არმიის სარდლობის მიერ დივიზიის მეთაურად დანიშნული. ომარს მეტად მიმზიდველი სახე აქვს; იგი სიყვარულით ათვალიერებს სასტიკი ბრძოლის ცეცხლში გამოვლილ თანამოძმეებს, რომელნიც არავითარი განსაცდელის წინაშე არ შედრკნენ..

— აი, ესა ვართ ახლა. — ნაღვლიანი ხმით უთხრა შიომ პოლკოვნიკ სერიძეს და თავის წრთობილ ვაჟკაცებს ამაყად თვალი მოავლო. — მართალია, დიდი დანაკლისი გვაქვს, — დასძინა შემდეგ, — მაგრამ ჩვენ მუდამ გვახსოვდა ქართველი ხალხის დევიზი: „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი“...

პოლკოვნიკი ნელა მიდიოდა ჩამწკრივებული მებრძოლების წინ, აკვირდებოდა თვითეულ მათგანს და გულში ამამაღლებელი სიამაყის გრძნობას ეღვივებდა მათი გამომეტყველება. ყველას ემჩნეოდა, რომ უკიდურესად დაღლილნი იყვნენ, მაგრამ მათ თვა-

ლებში ალმასივით მკვეთრი სიმტკიცე გამოსჭვივოდა.

„ჰო, ეს ის არის, — გაივლო გუნებაში პოლკოვნიკმა სერიძემ: — ქართველი ხალხის ,,ტეხი სული“...

დაიძრნენ.

სამსონი წინ მიუძღოდა თავის რაზმს.

დავით ჯანაიას უნდოდა კოლია ბარბაქაძისათვის ,,თქვა“ რალაცა, მაგრამ ძნიდა, რომ უცებ მოზღვავებულ გრძნობას სიტყვებით ვერ გამოთქვამდა.

მიდიოდნენ.

ხოლო კალაბატკის მიდამოებში საშუდამოდ რჩებოდნენ თავდადებული გმირები: აკაკი კაჭარავა და ავთანდილ კვარაცხელია, ლეიტენანტი დუმბაძე და პოეტი სანდრო ,,ღენტი, კოტე ტაბიძე და არჩილ მაჩხანელი, სახელოვანი ,,ესანგრე პლეშკოვი და ნატალია გრიგორევნა; კიდევ სხვანი მრავალნი...

„გტოვებთ, ძმებო, — მოუნახა დავითმა გამოსავალი თავის გრძნობებს, — გტოვებთ, მაგრამ თან მიგვყვება თქვენი ,,ნათ,ლი“...

XVII

წმინდა გრძნობა

ომგადახდილი ქალაქი გაზაფხულის ,,ელფერით დამშვენებულიყო. გარეუბ,ნებში ბოსტნები გაფურჩქვნილიყო, სიმინდს, მზისუმზირას, ვაზებს, — ,,ყველაფერს შრომის მადლი ემჩნეოდა. ,,ალაგ-ალაგ სახლებიც შეეთეთრებინათ.

ქალაქის ცენტრში კი ომის ნაკვალევი დიდხანს არ წაიშლებოდა; საუკეთესო შენობების სახურავები ჩანგრეული იყო, კედლები — გაბზარული, კორპუსები — ჩახერგილი; აფეთქებათა საშინელ ძალას რელსებიც კი დაეგრიხა.

ლარივით სწორი ქუჩების ნაპირებში ,,ჩაწკრივებულ ხეებს აქა-იქ ,,ტოტები ტყვიებისა და ,,უმბარების ნამსხვრევებისაგან დაცხრილული ჰქონდათ, მაგრამ მაინც შეფოთლილიყვნენ, ,,ჭრილობები თითქმის არ ,,ემჩნეოდათ.

ტრამვაის მოძრაობა ,,ჯერ კიდევ მთლიანად აღდგენილი არ იყო, ,,ეშვიათად ჩაიქროლებდნენ მგზავრებით სავსე ,,ვაგონები, ხოლო ქუჩებსა და ბაღებში უსაქმოდ მიმომავალს ვერავის დაინახავდით. მართალია, გერმანელთა „ცისფერი ხაზი“ უკვე შელეწილი იყო, დიდი საკვანძო სადგური ,,კრიმსკაია წინა დღეებში დაიკავა ჩვენმა არმიამ, მაგრამ მტერი ,,ჯერ კიდევ ებღაუჭებოდა ტამანის ნახევარ კუნძულსა და ,,ნოვოროსიისკის მიდამოებს; ხანდახან ,,იქიდან შემოიჭრებოდნენ მტრის თვითმფრინავები და, თუ მოახერხებდნენ, ,,ქალაქში ,,უმბარას ჩამოჰყრიდნენ.

საველე ,,ჰოსპიტალის ეზოში სუსტი ,,ნაბიჯით მიმოდიოდა შალვა ,,ყიფშიძე. ,,ჯოხს იბიჯებდა. ,,ნაცრისფერი ,,ხალათი ,,ეცვა, ,,ვიწრო ,,წელზე ,,ღვედი ,,ჰქონდა შემოკრული და ,,მეტად მაღალი მოსჩანდა. შალვა ,,ტანსავსე ,,არასოდეს ,,არ ,,ყოფილა, ,,ახლაც მარტოოდენ ,,ძვლებისა და ,,ძარღვებისაგან შემდგარი ,,გეგონებოდათ მისი სხეული. მესამე დღეა ,,ლოგინიდან ,,ადგა და მის ,,შავგვრემან ,,სახეს სრულიად ,,არ ,,უხდებოდა ,,ეს ,,მკრთალი და ,,ნაზი ,,ელერი. ,,გაშლილი ,,მხრები ,,ხალათში ,,ისე ,,ამოწეოდა, ,,გეგონებოდათ, ,,ჩაკეცილი ,,ფრთებიაო; ,,ხოლო მისი ,,შავი ,,თვალები ,,კიდევ ,,უფრო ,,გამახვილებულიყვნენ, ,,თითქოს ,,ველში ,,დარჩენილი ,,დაჭრილი ,,არწივი ,,მთებს ,,ნატვრით ,,გაჰ,,ყურებსო.

,,მაისის ,,მიწურული ,,იყო ,,და ,,მზეს ,,საკმაო ,,მხურვალება ,,ჰქონდა, ,,მაგრამ ,,შალვა ,,ჩრდილში ,,დიდხანს ,,ვერ ,,სძლებდა, ,,მზვარეში ,,ყოფნა ,,ერჩია, ,,მთელი ,,მისი ,,არსება ,,სითბოსა ,,და ,,სინათლეს ,,მოითხოვდა. ,,იმდენად ,,მოაბეზრა ,,თავი ,,ათასნაირმა ,,ფიქრმა ,,ლოგინში ,,წოლის ,,დროს, ,,რომ ,,ახლა ,,ხანგრძლივად ,,არაფერზე ,,ფიქრი ,,არ ,,შეეძლო, ,,არც ,,ძალიან ,,შორს ,,გაფრენა ,,ეწადა ,,მის ,,გონე-

ბას; იქვე ახლო სიცოცხლის ყოველი წვრილმანი აინტერესებდა.

აგერ ამ მაღალ ხეზე როგორ თრთიან ნორჩი ფოთლები, თითქოს ალისფერი იმიტომ გადაჰკრავთ, რომ სასიხარულო ჟრჟოლა უვლით.

ეს ჩიტი კი... ტოტიდან ტოტზე დახტის, თვალებს აცეცებს. ხომ არაფერი დაჰკარგვია?

მავთულზე მერცხალი შემოჯდა, ნისკარტი დააღო და შალვა აკვირდება, თუ როგორ ცახცახებს ჰიკჰიკის დროს მისი პატარა ყელი.

მახლობლად ტბა იყო; საწოლიდან რომ ცის ნაჭერს შეჰყურებდა ხოლმე შალვა, სწორედ იმ ფერისა იყო. ჭავლების ლივლივმა თვალი მოსტაცა, ნელა მიუახლოვდა, კბოდეზე ჩამოჯდა.

ხელმარცხნივ, ტბის პირად, სილაზე მაგნოლიის ყვავილისფერი იხვები გაწოლილიყვნენ, ხანდახან ნებიერად იზმორებოდნენ, ხან ფეხს გასწვდნენ, ხან ფრთებს გაშლიდნენ, ხან ერთი თვალით გაჰხედავდნენ ცისიერს, ხან მეორეთი. სიცოცხლით ტკბებოდნენ ურთიერთს მიხუტებულნი. ერთი ადგა, ყვითელი ნისკარტით დაწვდა წყალს, პირი გაისველა, მერე მკერდის წმენდას შეუდგა.

ამ დროს შალვამ თვალი შეასწრო! ტბის ზედაპირი შეირხა და წყალში თევზი გაილანდა.

„ყველგან სიცოცხლეა, — გაიფიქრა შალვამ და მის გვერდით ნორჩ ბალახს ხელი ალერსით მოუსვა, — ესეც სცოცხლობს... მაშ სადაა ის საზარი სიკვდილი, თავზე მაჯლაჯუნასავით რომ მაწვა და საზიზღრად ხითხითებდა?... აი ეს განთავისუფლებული მიდამო, — იყო აქ მტერი, სთესდა სიკვდილს, მაგრამ სიკვდილი მოიმკა და გაჰქრა, აქ კი კვლავ ყველაფერი ჰყვავის და ხარობს, ჭრილობას იშუშებს... არა, ჩვენ სიკვდილი ვერ მოგვერევა, ვერ გაგვტეხს. რამდენიც არ უნდა იგელაოს, რამდენიც არ უნდა ჰკეროს სუდარა, ბოლოს თვითონ დამიწდება, ჩვენ კი წინ ვივლით, რადგან ჩვენთ საქმეა ჩვენი უკვდავი. სიკვდილი ბარბაროობაა, ჩვენ კი ამ გაფურჩქვნილი ქვეყნის ნაწილი ვართ, მისი სული და გული ვართ, მუდამ მასთან ვიქნებით“...

ემძიმა შალვას ნაავადმყოფარზე ეს დიდი განცდა. დედა-ბუნების უსაზღვროებაში თავისი წილი დაინახა, მაგრამ ბოლომდის თვალი ვერ მიაწვდინა, დაიღალა... ისევ ეს წვრილმანი, ეს ჭავლები, ეს დიდრონი ხეები ტბის მიღმა...

*
* *

ორი თვის წინათ კი შალვა თუ გადარჩებოდა, ძნელი წარმოსადგენი იყო. პირველ დღეებში თითქოს არა უშავდა რა, ქეთო ისე კარგად უვლიდა, რომ არავითარი გართულება არ ეშჩნეოდა.

მარტის პირველ რიცხვებში მოაღწია საბარგო მანქანამ. ხუთმეტამდე დაჭრილი მოათავსეს ზედ. შალვას ჯდომა არ შეეძლო, ნაპირში დააწვინეს.

ქეთო მარიკას გამოეთხოვა, საფეხურზე დადგა შოფერთან და გზას გაუდგნენ.

ოღრო-ჩოღრო გზებზე ტალახი იდგა, შოფერს მანქანა ნელა მიჰყავდა, მაგრამ მაინც ჯაჯგუნობდა. დაჭრილები ხმას არ იღებდნენ: არც ოხვრით, არც ჩივილით არ გამოითქმებოდა მათი ტკივილები.

ქეთოს ფეხზე დგომა ძალიან უჭირდა, ხანდახან მუხლები ეკვეთებოდა, ამ დროს მკლავით მანქანის კარს ჩამოაწვებოდა და წამებს ითვლიდა, რომ მალე კვლავ შალვასთვის მიეხედნა.

ვინ იცის, იქნება სჯობდა, რომ არ წამოეყვანა, მაგრამ იქ დარჩენაც შეუძლებელი იყო.

როდის დაილევა ეს საშინელი გზა? ვაი თუ ვერ მიაღწიოს?

გააჩერებინებდა მანქანას, შალვას

დახედავდა გაფითრებულ სახეზე. ამ დროს ყველა დაჭრილი თავს შეარხევდა, ქეთოს შეხედავდნენ.

და სდუმდნენ.

საოცარი იყო ეს დუმილი. ალბათ, როცა ადამიანის ტანჯვა უმაღლეს მწვერვალს აღწევს, მაშინ შეუძლებელია მისი სიტყვით გამოთქმა, მაშინ მხოლოდ დუმილია მჭევრმეტყველი.

შალვა ხანდახან ცნობიერებას ჰკარგავდა, ხოლო როცა გონს მოვიდოდა, მხოლოდ ერთი მწვავე სურვილი ჰქონდა: უნდოდა მეორე გვერდზე გადაბრუნება, მაგრამ იცოდა, რომ იქ ჭრილობა იყო და არ შეიძლებოდა. ტუჩებზე იკბენდა და ელოდა წამს, როცა რაღაც შავ სიცალიერეში დაეშვებოდა და ქვეყნიერებას ფარდა ჩამოეფარედა.

ქალაქში ღამით შევიდნენ. ერთი საათის წინ მძიმე ღრუბლები ჩამოწვნენ, ახლა უკვე ცრიდა. საშინელი სიბნელე იყო, მცირეოდენი შუქიც არა სჩანდა. შოფერმა არ იცოდა, სად იყო ჰოსპიტალი, მანქანა ფოსტასთან გააჩერა. ქეთომ, როგორც იყო, მორიგე მონახა და გზის მაჩვენებლად გაიყოლია. ამ დროს ისეთი სისუსტე იგრძნო, რომ მანქანის კარზე თავი ძლივს შეიკავა. იცოდა, რომ მთავარი გაჭირვება და საფრთხე გავლილი იყო, რამდენიმე წუთი კიდევ და შალვა უკვე ჰოსპიტალში იქნებოდა, მაგრამ სწორედ ამ რამდენიმე წუთის წინ შემოელია სიმწრით დაგროვილი ძალღონე.

მანქანა ჰოსპიტლის კართან გაჩერდა, ქეთოს თვალში სინათლის მკრთალი შუქი მოხვდა, ხელი ამოისვა და ვესტიბულში ლასლასით შევიდა. აქ თითქოს თბილ ზღვაში შესცურა და ჩაიძირა; ძლივს ხედავდა მისკენ მიმავალ თეთრხალათიან ქალს; ხელი უცნაურად გაიშვირა, მიხედეთო, წარსთქვა, რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და იატაკზე მოწყვეტით დაეცა.

ქალები მისცვივდნენ, აიტაცეს, საოპერაციო ოთახში დაასვენეს.

მეტის-მეტად გამხდარმა, ტანმორჩილმა ექიმმა ქალმა მაჯა გაუშინჯა, სახეზე დააკვირდა თავისი ნუშის მსგავსი, ცისფერი თვალებით.

— წვეთები მიაღებინეთ, მერე რძე დაალევინეთ, სამოსი გამოუცვალეთ და თბილად დააწვინეთ. — გასცა განკარგულება ექიმმა და სწრაფად გავიდა, რომ ახალმოყვანილი დაჭრილებისათვის მიეხედნა.

* * *

ფართო ფანჯარაში მზის შუქი შემოეფინა. შალვას არ ეძინა, გული სუსტად უცემდა და თვალის გახელა ეზარებოდა, მაგრამ როცა მზის სხივების სითბო იგრძნო, ნელა ასწია დამძიმებული ქუთუთოები, უმალვე დახუჭა, მერე ისევ რამდენჯერმე სცადა, და ბოლოს, თითქოს მეტად დიდი ტვირთი აეწიოს, მცირე ხნით სინათლეს თვალი გაუშტერა.

წინათაც იყო შალვა დაჭრილი, მაგრამ მაშინ ჰოსპიტალში ადრე მიიყვანეს, ამდენი გაჭირვება არ შეხვედრია, ახლა კი თავი უსუსურ ბავშვზე უფრო უძლური ჰგონია, მერე კიდევ ეს მძიმე ოპერაცია, რომელიც ამ დღეებში მოელის...

არასოდეს არ შემკრთალა შალვა სიკვდილის წინაშე, პირიქით, მუდამ თითქოს ხმალში იწვევდა ამ არარაობას, ახლა კი... არა, სიკვდილის კი არ ეშინია შალვას, უცნაურ მარტოობას გრძნობს. ლანდივით ხედავს მოხუც მამას, დებს, მეგობრებს, მაგრამ ამ წამს ისინი ისე შორს არიან, რომ ხმას ვერ მიაწვდენს. ვინ იცის, ვიდრე ისინი რამეს გაიგებენ, იქნება შალვა ამ ქვეყნად აღარ იქნეს. ასეა... რა გაეწყობა, შალვა ხომ გამონაკლისი არაა... მაგრამ მისი სული მაინც ელის მას, ვისაც ამ განსაცდელის ჟამს შეეზარდა, ელის და უმძიმს ეს მოლოდინი...

კარი გაიღო, წინ ექიმი ქალი შემოვიდა, ალვისხის ნერგივით პატარა და ტანადი, ისეთი სიფრიფანა და ნაზი, თითქო ჰაეროვანიაო. მის უკან გაუბედავად შემოდგა ფეხი ქეთომ. მის გამხდარ ტანზე თეთრი ხალათი რაღაც განსაკუთრებით სუფთა მოსჩანდა, ახალდაბანილი თმა, მუქი წაბლისფერი, თავზე გაბარდნოდა, ხოლო ფერმკრთალი სახე თითქო დაპატარავებოდა.

ექიმმა შალვას ჩვეულებისამებრ მაჯაზე შეახო ხელი, ამ დროს შალვას თვალთა ისარს გააყოლა მზერა, მიხვდა, თუ როგორ ელოდა იგი ქეთოს.

შუბლზე ხელი მოუსვა ექიმმა, ორიოდე სიტყვა უთხრა და განზე გადგა.

ფეხაკრებით მიუახლოვდა ქეთო, დაიხარა.

ოდნავ შეერხა შალვას ტუჩები; თვალები შინაგანი ღიმილის შუქით გაუნათდა. წამსვე გაჰქრა გრძნობა მარტოობისა, გული ნაზ-ტკბილი სიხარულით გაუთბა. აი ეს არის ყველაზე მახლობელი, მოვიდა და აღარ არის სიცარიელე, მარტოოდენ მზეა და სიცოცხლე...

მსუბუქად ასწია შალვამ მარცხენა ხელი, ქეთოს ხელი ტუჩთან მიიტანა, აკოცა.

ექიმი ფანჯრიდან სივრცეს გაჰყურებდა, თავის ფიქრში იყო გართული, მაგრამ უცებ თითქოს ვიღაცამ მიახედა, რომ ქეთოს წამწამებზე დაკიდებული ცრემლები დაენახა.

კეთილად გაეღიმა ექიმს, კვლავ სივრცის გაჰხედა; იცის მან, თუ როგორ სწრაფად იელვებს ხოლმე მეომარ ქალ-ვაჟის გულში ურთიერთისადმი ლტოლვა, იელვებს და ხშირად, ძალიან ხშირად მალე გაივლის. დღეები დღეებს შესცვლიან, მეომარი ბრძოლის ახალ ასპარეზზე მოხვდება და შეიძლება იქაც გადაეყაროს ვინმეს. ხშირია ასეთი შემთხვევა მეომართა შორის. მაგრამ ექიმმა ისიც იცის, თავისი გამოცდილებით იცის, თუ როგორ კრისტალდება ზოგი მეომრის სულში წმინდა სიყვარული, ეს მაღალი, ყოვლად უანგარო გრძნობა.

* * *

ნელი რონინით მიირხეოდა საბარგო მატარებელი. სასტიკი ბრძოლის მემდეგ ეს ფრონტისპირა ლიანდაგი ახალი შეკეთებული იყო და რელსები ალაგ-ალაგ ზამბარასავით იზნიქებოდნენ.

მეტად გრძელი ვაგონის შუა კარი ღია იყო, ქეთო კართან ახლოს იჯდა მერხზე და სივრცეს გაჰყურებდა. ზრგან ყუბანის სოფლები, ბაღები და ველები ისე მოსჩანდა, თითქოს გაზაფხულს ომგადახდილი ნაავადმყოფარი ახალი სამოსით მოურთავსო, ჭრილობები და იარები მხოლოდ აქა-იქ გამოკრთოდა. მაგრამ აგერ ეს ადგილები, რომელიც ბრძოლის დროს რაოდენჯერმე გადავიდა ხელიდან ხელში, აქ არა მარტო შენობებია მიწასთან გასწორებული, ხეებიც კი სავსებით დაცხრილულია ყუმბარების ნამსხვრევ-ბისა და ტყვიებისაგან. გორაკების შეფენებებზე ვაზნარი გადათხრილია, ალაგ-ალაგ ყუმბარებს ისეთი ორმოები ამ იუღრმავებიათ, რომ შიგ საბარგო მანქანა ჩაიმალება.

აგერ რა შესანიშნავი ბაღი ყოფილა, ახლა ვაშლის ხეები დაგლეჯილია, გადამხმარი, მხოლოდ აქა-იქ თუ გამოღიათ ტყვიებით დაცხრილულ ტოტებს მცირეოდენი ფოთოლი.

გზადაგზა უამრავი ნამსხვრევები სამხედრო იარაღებისა, დალეწილი ტანკები, ქვემეხები. ეს გერმანული თვითმფრინავი მიწას დანარცხებია, ახლა ისე მოსჩანს, როგორც გახრწნილი ლეში სვავისა.

რა გულსაკლავად გამოიყურებიან ეს გაპარტახებული სოფლები! ნასახლარების მახლობლად ქალები მუშაობენ. ესენი მოწინავენი არიან. ამათ თავიანთი მხრებით ამოაქვთ ნანგრევებიდან ახალი ცხოვრების საძირკველი.

გაჰყურებდა ქეთო ამ ნაომარ სანახებს, მაგრამ მხოლოდ ზოგი რამ იქცევდა მის ყურადღებას, — ეს მაშინ, როცა ფიქრისაგან გამოერკვევოდა.

ეჩქარებოდა ქეთოს, მატარებელი კი ნელა მიზოზინობდა.

ჯერ კიდევ ღამე იყო, მარიკამ რომ გამოაცილა. მას შემდეგ მეათასეჯერ დაუბრუნდა ერთსა და იმავე კითხვას: როგორ დახვდება შალვა?

ხანდახან თავს ისე ბედნიერად გრძნობდა, თითქოს არავითარი სიმწარე არ განეცადოს, მთელი ეს გარემოც მის სიხარულს იზიარებდეს; ხან კი საშინელი ეჭვი შეიპყრობდა. ვინ იცის, იქნება შალვა მხოლოდ მადლიერია მისი, სიყვარული კი... რამდენი ქალი ჰყვარებია. რაა ქეთო იმათთან შედარებით?...

თვალებს მოჭუტავდა ამ დროს ქეთო, ვაგონში მიმოიხედავდა. კუთხეში მეზღვაურები ისხდნენ, ერთი ბაიანს უკრავდა. ქეთო თითქო ვერც კი ამჩნევდა მათ, კვლავ სივრცეს მიაპყრობდა მზერას და თანდათან განათდებოდა შინაგანი სიხარულის შუქით მისი ცისფერი თვალები.

მატარებელი ჯერ სემაფორთან გაჩერდა, მერე, როგორც იქნა, შეაღწია სადგურში.

ქეთო ფრთხილად ჩამოხტა, რომ სამოსი არ გასვროდა; მოლისფერი კაბა და თეთრი ბლუზა ეცვა, თავზე ცისფერი ბერეტი ეხურა. სწრაფი ნაბიჯით ავიდა ბაქანზე, სადგურის დანგრეულ შენობას შეუარა და ფართო გზით გაემართა ჰოსპიტლისაკენ.

შალვა უკვე მოღონიერდა. ხანდახან საფეხურებზე ასვლისას გულის გახშირებულ ცემას გრძნობდა, მგრამ სიარულის დროს თავისებური მხრებგაშლილობა მაინც შვენოდა. ამ დილით საკმაოდ ისეირნა. ივნისის მშვენიერი დღე იყო. ამწვანებულმა ველებმა და შორეულმა ქედებმა საქართველო მოანატრა, რაღაც ბუნდოვანი სევდა აღეძრა. გარედ ვერ გასძლო, არც ამხანაგებთან საუბარი იზიდავდა; საკითხველოში შევიდა და გაზეთებს ათვალიერებდა.

ამ დროს უთხრეს, ვესტიბიულში ქალი გხმობილობსო. გაზეთს თვალი მოაშორა, ჩაფიქრდა, ფერმა გადაჰკრა, მყისვე წამოხტა და კარისაკენ გაეშურა. გულმა უაზრა — ვინც იქნებოდა, მაგრამ მაინც არა სჯეროდა და ღელავდა.

მაღლიდან დაინახა, სირბილით დაეშვა.

ქეთომ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა, საფეხურთან შედგა, ღაწვები შეეფაკლა და ანთებული თვალები დაჰხარა; ცხოველმყოფელმა გრძნობამ შეიპყრო. მაინც ოდნავ შეკრთა, შალვამ რომ ძხარზე ხელი შეახო და სახეზე დაჰხედა. მერე ნელა ასწია თავი, ჯერ მკრთოლვარედ შეაცქერდა შალვას, მერე თვალები გაუბრწყინდა და ღიმილი მოერია.

შალვამ თავისი გრძელი მკლავი მოხვია ქეთოს, ნაჭრილობევ გვერზე მიიხუტა და კარისაკენ გაიყოლია.

ნელა მიდიოდნენ ჰოსპიტლის ეზოში და სიტყვის თქმას ზედმეტად სთვლიდნენ.

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კლიმენტი გოგიაია

სოციალისტური შრომის გმირები

★

I

ნინო ხელაია და ამერიკის კლერბოურნის ოლქის ფერმერები

საბჭოეთის ყველა კუთხიდან მოდიან გაგრაში სოციალისტური შრომის ოსტატები, ღებულობენ მზისა და ზღვის აბაზანებს, ისუნთქავენ ტროპიკულ მცენარეთა სურნელებით გაჟღენთილ ჰაერს, ეძლევიან დასვენებას და შემდეგ ახალი ძალღონით ბრუნდებიან თავიანთ სამუშაოებზე.

როცა ათვალიერებ გაგრას, მწვანეში ჩამჯდარ თეთრ სანატორიუმებს, უნებლიედ გაგონდება შორეული წარსული, რომლის მწარე ამბები მხოლოდდამხოლოდ საქართველოს ისტორიის ფურცლებზე ცოცხლობენ.

აქ ყველაფერი ახალია. საბჭოთა ადამიანების მიერ შექმნილი და გაკეთებული.

ძველია მხოლოდ ზღვა, რომლის მოთქარუნე ტალღებს თუ ახსოვთ, როცა ბიზანტიელები დამნაშავეებს აქ ასახლებდნენ სასჯელის მოსახდელად.

თურქ დამპყრობლებს იზიდავდა ეს ადგილი. გაგრას ისინი ბალა-დახს ეძახდნენ. ხშირად გადმოსხდებოდნენ ხოლმე ნავებიდან და ძარცვავდნენ აფხაზებს.

მტერთან გამუდმებულმა ომებმა აფხაზებს იარაღი და ცხენი შეაყვარა. იშვიათად შეხვდებით აფხაზის სახლს, რომლის კედელს არ ამშვენებდეს ძველებურ თოფ-დამბაჩებთან ერთად გაცვეთილი უნაგირი. შეიძლება ოჯახი უმამა-კაცოდ იყოს, მაგრამ იარაღი მაინც ბრწყინავდეს კედელზე, მას დედაკაცი უვლის. აფხაზს თოფ-იარაღისადმი სიყვარული მამაპაპასაგან მოსდგამს.

და სრულიადაც არ გამკვირვებია, როცა ვნახე სამოცდათვრამეტი წლის მებაღე ფილთა თოფით ხელში. ჩემი ყურადღება მიიპყრო თოფმა, რომელიც ისე ბრწყინავდა, გეგონებოდათ ამ დილით ჩამოუსხამთ და არა ამ ასი წლის წინათო. ამ ბერიკაცს კოლმეურნეობის ბაღი აბარია. როცა მუშაობით გაძღება, მერე ფილთას აიღებს და ჩიტებს დასდევს...

— ეს ცოცხალი ისტორიაა! — მეუბნება აგრონომი დოლბაია. ხელს ვართმევ მოხუცს. იგი მიღიმის. ჭილობის ქუდი ფარავს მის დანაოჭებულ შუბლს და შავ მოციმციმე თვალებს. მან ქუდი მოიხადა. მის თავზე დროს არცერთი ღერი თმა არ დაუტოვებია. წვერი წმიდად აქვს მოპარსული, ხოლო თეთრი ულვაში ძველებურად გადაუგრეხია.

გაგრის მსუბუქი ჰაერი დახმარებია მას სიბერესთან ბრძოლაში და აკი ამიტომაა, ასე მხნედ გამოიყურება. ვინ იტყვის, რომ სამოცდათვრამეტი წლისაა. ბევრი ახალგაზრდა ინატრებს მის ჯბილებს. ლაპარაკი რიხიანი სცოდნია.

შუა საუბარში ვიყავით, როცა მებაღემ თავისი დაბუხული თითი გაიშვირა ალპური ზონისაკენ და სთქვა:

— ეს მიწები კანჯ-ოღლებს ეკუთვნოდა..

ახლა იგი კოლმეურნეობა „ბოლშევიკს“ ეკუთვნის.

თურქი პლანტატორები, ძმები კანჯ-ოღლები, ფლობდნენ გაგრის ალპიური ზონის საუცხოო მიწებს. მათ დიდძალი თურქი და აფხაზი მოჯამაგირეები ყავდათ, ჩეხდნენ ფიჭვის ხეებს, აკეთებდნენ ყავარს და მამასისხლად ყიდდნენ აფხაზეთსა და სამეგრელოში.

კანჯ-ოღლი უფროსი ყველაზე მრისხანე იყო. სულ ერთთავად წინ ედგა ჩაი, ეწეოდა ჩიბუხს. საუბარს გაურბოდა. სამაგიეროდ მისი წვრილი ბოროტი თვალები მრისხანებით გესლავდნენ მოჯამაგირეებს. წითური წვერი უცანცარებდა, როცა ხელქვეითს სცემდა. გიჟდებოდა სამსუნის ჯიშის თამბაქოზე. ჩალის ფასად იძენდა მიწას და ყოველწლიურად აფართოებდა მამულს. გამშრალ-გატკიცულ თამბაქოს ფოთლებს თურქეთში ეზიდებოდა. მთელი გაგრა ხელში ჰქონდა ჩაგდებული. ის არც მევახშეობას ერიდებოდა.

— ერთხელ მამაჩემი, — ამბობს მებაღე, — კანჯ-ოღლ უფროსს ას მანეთს დაესესხა. მახსოვს რა ვაი-ვაგლახით გადაიხადა თავნი და სარგებელში ნიშა ხარი მისცა. გული ჩაგვწყვიტა ხარის დაკარგვამ... კანჯ-ოღლები ხუთი ძმები იყვნენ, ხუთივე ერთიმეორეზე უარესები, მაგრამ უფროსი ძმა ყველაზე გულზვიადი იყო. ის განაგებდა თამბაქოს პლანტაციებს. მიუხედავად იმისა, რომ თითქმის დღედაღამ ოფლად ვიღვრებოდით, თამბაქო, ხვავიანად მაინც არ მოდიოდა. ჰექტარი სამ ცენტნერსაც არ იძლეოდა. ეს ჩვენი მიწა ეურჩებოდა უცხო მემამულეს! — აქ ბერიკაცმა გაიღიმა და მიწას დახედა — არა, მიწა ვერ იგუებდა კანჯ-ოღლების ბატონობას და ამ ქისას ბარაქას არ აძლევდა.

— ბურნუთზე სთქვი ერთი, ბურნუთზე! — შეაწყვეტია ლაპარაკი დოლბაიამ.

— ბურნუთი? უფროს ძმას ერთი ქისა ბურნუთი არ ჰყოფნიდა დღეში. ცხვირს დააცემინებდა თუ არა, ყველას უნდა ეთქვა: ხეირი, აღა, ხეირი! მე მუშაობა ახალი დაწყებული მქონდა. მისი წყეული წესებისა, არა ვიცოდი რა. იმ დილით თამბაქოს ფოთლებს დასტადასტა ვაწყობდი. აღამ ორჯერ დააცემინა ცხვირი, მაგრამ მე ხმა არ გამიცია. ამით გაგულისებულმა გადამიშხუილა მათრახი და შემაგინა. შეგინება ასე უნდა მეთქი და დავწვდი მის ინით შეღებილ წვერს. მაშინვე ქვეშ მოვიგდე. სანამ მიეშველებოდნენ, უკვე ცხენი მიმაქროლებდა სოხუმისაკენ.

მაგრამ კანჯ-ოღლების მრისხანებას ის არსად არ გაქცევია. თავის მშობლიურ მიწაზე დამკვიდრდა და ამრავლა ხე-ხილი, რომელიც ხარობს და ნაყოფით იხუნძება, რათა კოლმეურნეობა „ბოლშევიკის“ წევრებს შემოსავლის ახალი წყარო შეჰმატოს.

როცა გაქცევაზე მიდგა საქმე — ეს იყო საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველსავე დღეს — უკანმოუხედავად გააქცნენ თვითონ კანჯ-ოღლები. დარჩა მათზე მწარე მოგონება და თქმულება ბურნუთის ქისაზე. უადგილო როდი იქნება ეს თქმულებაც მოვიყვანოთ.

კანჯ-ოღლ უფროსს ზღვის პირას ბურნუთის ქისა დარჩენია, რომელიც ახალგაზრდა მეთევზეს უპოვნია. ეს რანაირი თამბაქოაო. შეუყნოსია და ისეთი ცხვირის ცემინება ასტეხია, რომ გულიც წასვლია, ძლივს მოუბრუნებიათ. ეს ამბავი თაობიდან თაობაზე გადავიდა. ახლა ვინმემ ცხვირი ერთი-

ორჯერ თუ დააცემინა, მაშინვე ეტ-ყვიან.

— კანჯის ქისა ხომ არ გიპოვნია, რა მოგივიდა?!

*

* *

თეთრი, სამსართულიანი სახლი ფიჭვისა და დაფნის ხეებით დაფარული, მთაზეა მიდგმული. მისი ყველა ფანჯარა გადაჰყურებს ქალაქის ბაღს, **რომელშიც ასწლოვანი პალმები, ნაძვები, ჭადრები იმის შიშით არ დავიჩრდილოო, ერთმანეთს გასჯიბრებიან სიმაღლეში, წვერები ცისთვის მიუბჯენიათ და მშვენიერი საჩრდილოებელი ხეივნები შეუქმნიათ.**

ამ ბრძოლას კიდევაც შებერებულან ეს ბუმბერაზი ხეები, მარაოსავით ფოთლებს შლიან პალმები, ხოლო ალვები იფოთლებიან.

ამ ბაღში ათასი ჯურისა და ჯიშის მცენარე ხარობს.

საქართველოს არცერთ კუთხეში ასეთი მაღალი პალმა და ამდენი სუროიანი ალვის ხე არ მინახავს, როგორც აქ. ბაღი უფრო სიგრძეზე იზრდება, იგი მისდევს ზღვის ნაპირს და მალე შეუერთდება ახალი გაგრის ევკალიპტის ხეივანს.

სამსართულიანი სახლის მარცხნივ სწარმოებს ამ ახალი ბაღის მშენებლობა. აქ მიწისმთხრელი მანქანები გუგუნებენ. ზვინავენ ზღვის ნაპირს, მოაქვთ ყამირი მიწა და ყველა ჯიშის მცენარის ნერგები.

ეს სამსართულიანი სახლი საქართველოს კ. პ. (ბ) აფხაზეთის ორგანიზაციის გაგრის რაიონული კომიტეტის შენობაა. მის მიხვეულ-მოხვეულ კიბეზე შემხვდა საშუალო ტანის ქერა ქალი. მას მაღალქუსლიანი ჩექმა და ლურჯი კოსტუმი ეცვა. თავი ჭრელი „ცახოცით“ ჰქონდა წაკრული. კიბის საფეხურზე ამორბოდა, გამისწრო და პირველმა შეაღო რაიკომის მდივნის კაბინეტის კარი. მას მეც მივყევ და შოთა გეთია მისთვის ჩვეულებრივ ღიმილით მოგვესალმა. მაგიდაზე ქალაქის ახალი ბაღის გეგმა ჰქონდა გაშლილი და ათვალიერებდა.

— ნინო ხელაია, იცნობდეთ!—მითხრა ამხ. გეთიამ და ლურჯი ფანქარი, რომლითაც ბაღის პროექტში თავის შენიშვნებს სწერდა, მაგიდაზე დასდო. მერე უჯრა გამოსწია, ქაღალდებში რაღაცის ძებნა დაიწყო.

ნინო ხელაია სკამის საზურგეზე ხელებით დაყრდნობილი იყო და ხმას არ იღებდა.

შოთამ უჯრიდან ამოიღო ლამაზი ჟურნალი, რომლის ყდაზე, მკერდზე მამალ მიხუტებული ჭილობის ქუდიანი ბიჭი ეხატა.

— აჰა წაიკითხე, არც კი გჯერათ, რომ ამერიკელებს აჯობეთ! — უთხრა შოთამ ნინოს და ჟურნალი მიაწოდა.

ეს იყო ჟურნალი „ამერიკა“ № 16. ამან მეც დამაინტერესა.

აი, ჩემს წინ გაშლილია ჟურნალი, რომლის 61-ე გვერდზე წითელი რეკლამური ასოებით სწერია: „ფერმერი ახალგაზრდების კლუბი“. ეს წერილი, მაღალი, საზეიმო ტონითაა დაწერილი, ხოლო ფოტორეპორტიორი სინამდვილეს ვერ გაქცევია და გასუქებულ ხბორებთან ერთად გამხდარი, დაღვრემილი და უსიხარულო სახის ახალგაზრდები გამოუხატავს: საქმეს არ შველის, რომ ისინი იღიმებიან. რა ფასი აქვს ნაძალადევ ღიმილს... ეს ჯიშების რეკლამა მართლაც ოსტატურად არის მოფიქრებული. სიმსუქნისაგან ცომივით გაფუებული ძროხები, ცხვრები, ხბორები | ლაღად გამოიყურებიან. ერთერთ სურათში გამოსახულია სამი ძროხა, რომელსაც წველიან და რძეს ჭურჭელში კი არ ასხამენ, არამედ იქვე შექუჩებულია კატები და მწველავი რძეს მათ დაფჩენილ პირში აწველის.

— აბა ნახეთ, დარწმუნდით, რა ლა-

ღად და ბედნიერად ვცხოვრობთ ჩვენ ამერიკელები!

აი რას გვეუბნება საბჭოთა ადამიანებს ეს ჟურნალი.

ჩვენც დავიჯერებდით ამას, რომ იქ ამერიკულ „სამოთხეში“ მილიონობით უმუშევრები შიმშილის წინაშე არ ძრწოდნენ.

ერთერთ სურათში გამოსახულია წელზევით შიშველი, მოღიმარე მამაკაცი, რომელიც ავტომობილიდან ცლის ხორბალს. ეტყობა გასართობად მუშაობს. იგი თავის საქმეს კი არ უყურებს, არამედ მკითხველისაკენ იცქირება და მოციმციმე თვალებით ამბობს: აი მეც ვმუშაობ!

ეს ფერმერის ვაჟი გახლავთ. იგი 112 ჰექტარ მიწიდან იმდენ მოსავალს იღებს, რომ ოქროთი სკივრი გაივსო... მხიარულია, მაგრამ ერთი მის მოჯამაგირეებს ჰკითხეთ!

ნინო ხელაიამ ჯერ სურათები გადაათვალიერა. ძალიან მოეწონა სიმსუქნისაგან ბურთივით მრგვალი ბატკანი.

— კარგი ჯიშის ცხვარი ჰყოლიათო — წაიდუდუნა მან და შეუდგა წერილის კითხვას.

წერილი უხმოდ ჩაიკითხა და გეთიას შეხედა.

— ჰა, რას სწერენ ამერიკელები, რამდენი თამბაქო მოუწევიათ? — ჰკითხა შოთამ და ჟურნალი გამომართვა.

იგი ამერიკის რუქას დააცქერდა, იქვე კედელზე, რომ ეკიდა, და სთქვა:

— არა სჩანს ეს შტატი. ალბათ ისეთი უმნიშვნელოა, რომ რუქაზე არც კი აღუნიშნავთ.

მაგრამ უცებ, ვნახეო წამოიძახა და მისმა ფანქარმა შემოხაზა ტენესის სამხრეთი შტატი. იქვე კლერბორნის ოლქიც აღმოჩნდა.

„ამერიკა“ ამ ოლქის სასოფლო-სამეურნეო კლუბის მუშაობით აღფრთოვანებულია. ფერმერებს აქ თამბაქოს მოსავალი საკმაოდ გაუდიდებიათ!! 0,4 ჰექტარ მიწაზე 760 კილოგრამი თამბაქო მოუწევიათ.

— ამერიკელები ხედავთ თავიანთ წარმატებებზე რა ვრცლად სწერენ, — შეუბნება ამხ. გეთია, — არ დაუშურებიათ არც საღებავები და არც სიტყვები, რათა ჩვენთვის გაეგებინებიათ ფერმერი ახალგაზრდების კლუბების მიღწევები.

ამხ. გეთია შეჩერდა. „ამერიკა“ დახურა და განაგრძო.

— კლერბორნის ოლქის ფერმერები ერთ ჰექტარ მიწიდან 19 ცენტნერ თამბაქოს ღებულობენ, ხოლო ნინო ხელაიამ უბრალო კოლმეურნე ქალიშვილმა ოცდაჩვიდმეტი ცენტნერი თამბაქო მოიწია.

ნინო ხელაიამ გაიფიქრა; მე მაქებენო, და სახეზე სიწითლე მოეკიდა. კრებაზე, როცა მის წარმატებებს აღნიშნავდნენ, სირცხვილისაგან სკამზე დნებოდა.

ნინო ხელაიამ მითხრა:

— ჰო, რა კარგია გაშლილი პლანტაცია. თავს დასტრიალებ თამბაქოს ნარგავებს. ხანდახან კიდევაც წაუმღერებ. არავინ არ გიყურებს, ხარ შენთვის, შენი რგოლის ქალებთან... კრებაზე კი თავს უხერხულად ვგრძნობ. კლუბი გაჭედილია და ამ ზღვა ხალხში ლაპარაკობენ თითქოს გაზეპირებულ სიტყვებს. მივბაძოთ ნინო ხელაიას! ფართოდ დავნერგოთ მისი მეთოდი!

დიახ, მე ეს მაინტერესებს. როგორ მოიპოვეთ ეს წარმატებანი? — ვეკითხები და მე ვაკვირდები მის მარჯვენას, რომელიც „ამერიკაზე“ დაუდვია და მოგრძო თითებს ათამაშებს.

ამ მარჯვენამ მოიწია ამდენი თამბაქო!?

მარჯვენამ აქ შაესრულა ის, რაც ბონებამ უკარნახა.

ნინო ხელაიას დიდი ფიზიკური ჯაფით არ მიუღია ის უხვი მოსავალი, რომლისათვისაც მას სოციალისტური

შრომის გმირობა მიანიჭეს. მან საქმის ღრმა ცოდნით, თამბაქოს მოვლის კულტურით აღჭურვილმა შესძლო აეძულებინა ნიადაგი, რაც შეიძლება მეტი მოსავალი მიეცა.

მას აგრონომიულ სასწავლებელში არ უსწავლია, მაგრამ ის არის დიდი პრაქტიკოსი, გამოცდილი და გაწაფული მეთამბაქოე.

აი რა გვითხრა მან, როცა შევეკითხე, თუ როგორ მიაღწია ასეთ წარმატებას.

— სულ უბრალოდ, თქვენ გგონიათ ამაში არის რაიმე საიდუმლოება? არა, წესიერი, დისციპლინირებული შრომა. აი რა არის მთავარი. მე უმთავრესად სამსუნის ჯიშის თამბაქო მომყავს. ერთ ჰექტარზე ვრგავ ოთხმოცდათხუთმეტ ათას ცალ ჩითილს. მთავარ ყურადღებას ვაქცევ მიწის წესიერად დამუშავებასა და მის განოყიერებას, როგორც მინერალური, ისე ბუნებრივი სასუქით. თავის დროზე ვთოხნი და თუ ცამ პირი შეიკრა და არ იწვიმა, მაშინ ვრწყავ კიდევაც.

ნინო ხელაია საერთოდ მორიდებული ქალია. მას არ ეხერხება შეკრებებზე სიტყვის წარმოთქმა, მაგრამ ამასწინათ კოლმეურნეობის საერთო კრებაზე, როცა დიდი სტალინისადმი გასაგზავნ წერილს იხილავდნენ, ნინო ხელაიას გულმა ვერ მოუთმინა და სიტყვა ითხოვა.

მორცხვად წამოდგა იგი, თავდახრილი ერთხანს დუმდა. ყველას აინტერესებდა მისი სიტყვა. დარბაზში ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა, რომ მახვილი ყური გარედან ფოთლების შრიალს გაიგონებდა.

— ამხანაგებო!

წაიბუტბუტა ნინო ხელაიამ, მაგრამ რაკი ერთი სიტყვა წამოსცდა, მერე სიხარულის ნიაღვარივით წამოვიდნენ მისი მგზნებარე სიტყვები.

— მე შვიდი წელიწადია გაგრის ამ მშვენიერ სოფელში ვცხოვრობ. როგორც იცით დაბადებული და გაზრდილი ვარ გეგეჭკორის რაიონის სოფელ ენჩხირში. იქ ვმუშაობდი კოლმეურნეობაში, მაგრამ ძალიან მწირი მიწები გვქონდა და უმნიშვნელო მოსავალს ვღებულობდით. თქვენთან ერთად მოვედი აქ, — მიმართა მან მეზობლებს, — და აი მიწაც კარგია, ჰაერი კიდევ უკეთესი. რა გვაკლია? არაფერი. ახლა სიტყვა ჩვენს მარჯვენას ეკუთვნის. შარშან ჩემმა რგოლმა ბელადისადმი გაგზავნილ წერილში ჰექტარიდან ცხრამეტი ცენტნერი თამბაქოს მიღება იკისრა, ფაქტიურად მივიღეთ ოცდაშვიდი ცენტნერი.

წელს ჩემი რგოლის სახელით ბელადს უნდა მივწერო ოცდაათ ცენტნერ თამბაქოს მოვიწევთ მეთქი, ხოლო ჩემზე გაპირობებულ ნაკვეთზე ძოვიყვან ორმოც ცენტნერს.

ამით დაამთავრა ნინო ხელაიამ თავისი სიტყვა.

ნინო ხელაია ახლახან გათხოვდა. ქმრის ოჯახში მან პირველად წიგნების ორი შეკვრა გადაიტანა. ეს იყო ლიტერატურა თამბაქოს მოვლისა და მოშენების შესახებ.

— ეს არის ჩემი მზითევი! — გაეხუმრა იგი ქმარს ვარლამ კალანდიას.

ქორწილი შუაგულ ზამთარში იყო.

სოფელ განთიადს ტყვილად კი არ შეარქვეს ეს სახელი. განთიადის პირველი სხივი ამ სოფლის გორაკებს ეცემა ხოლმე და მანდარინისა და ფორთოხლის ხეებს ლურჯად ალივლივებს.

განთიადის კოლმეურნეობას, რომელიც დიდი სტალინის სახელს ატარებს, იმ დღეს ზეიმი ჰქონდა, იგი თავის საუკეთესო შვილს ნინო ხელაიას ქორწილს უხდიდა.

საერთო სიხარულში გუგუნებდა სოფელ ლესელიძის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრების მაყრული. მათ ორგვარი ზეიმი ჰქონდათ. ერთი ქორწილის უხვ სუფრას უსხდნენ და მეორე ის, რომ მათ ოჯახს

მიემატა თამბაქოს მოყვანის საუკეთესო ოსტატი.

ვარლამ კალანდიას უხვ სუფრაზე სიხარული ზეიმობდა.

II.

რაიონულ პარტკონფერენციაზე

სხდომათა დარბაზში იანვრის სუსხი ვერ ატანდა, თბილოდა. გაგრის რაიონის აქტივს აქ მოეყარა თავი. ყველა სკამი დაკავებული იყო. დაძაბული ყურადღებით ისმენდნენ რაიკომის მდივნის მოხსენებას, რომელიც აჯამებდა განვლილ სამი წლის მუშაობას.

მომხსენებელმა, როცა დაიწყო სოფლის მეურნეობის საკითხების გაშუქება, დარბაზის ზოგიერთ რიგში ადამიანები ამოძრავდნენ, სკამები აკვხესდნენ... ესენი იყვნენ ისინი, რომელთა მუშაობა ახლა აისახებოდა ციფრებში. აქ გამოჩნდებოდა მათი ნაკლოვანებანი და მიღწევები.

მომხსენებელი მიღწევებს გაკვრით შეეხო და მთავარი ყურადღება გაამახვილა ჯერ კიდევ მთელ რიგ კოლმეურნეობებში არსებულ ნაკლოვანებებზე.

ამ სამი წლის წინათ, რაიონში არ იყო არცერთი მილიონერი კოლმეურნეობა, მაგრამ გასული წლების ნაყოფიერი მუშაობით მილიონერთა რიცხვმა ოცს მიაღწია. გაიზარდა ცალკეულების, სიმინდისა და თამბაქოს მოსავალი. ახლა შრომადღეზე გაცილებით უფრო მეტს ღებულობს კოლმეურნე, ვიდრე წინათ. ისეთმა მოწინავე კოლმეურნეობებმა, როგორიცაა სოფელ სიხარულის ბერიას სახელობის, სოფელ ლესელიძის სტალინის სახელობის, სოფელ კოლხიდის ბერიას სახელობის, სოფელ ლიძავას კომინტერნის სახელობის და სხვ. ერთ შრომადღეზე გაახაწილეს სამიდან ოთხ კილოგრამამდე მარცვლეული და ფულად ოციდან ორმოც მანეთამდე.

მომხსენებელმა ცოცხალი ფაქტებითა და ციფრებით დახატა ეს წარმატებანი, რომელიც რაიონის კოლმეურნეობებმა უხვი მოსავლისათვის თავდადებული შრომით მოიპოვეს.

— მაგრამ არ იქნება სწორი, — განაგრძო მომხსენებელმა, — თუ ამ მიღწევებთან ერთად ფართოდ არ შევეხოთ იმ დიდ ნაკლოვანებებს, რომლებიც ჯერ კიდევ, სამწუხაროდ, ჩვენი რაიონის მთელ რიგ კოლმეურნეობების მუშაობას ახლავს. აი, მაგალითისათვის, ავიღოთ სოფელ ხაშუპის კოლმეურნეობები, რომელმაც სიმინდისა და თამბაქოს ძალიან დაბალი მოსავალი მიიღეს. სოფელ განთიადის კოლმეურნეობაშიც არ არის კარგად საქმე.

— იქ ყველაფერს გვალვას აბრალებენ!

წამოიძახა გრიგოლ დოლბაიამ და გადახედა სოფელ განთიადის ხელმძღვანელებს, რომლებიც ყველაზე უკან, კუთხეში დამჯდარიყვნენ. დოლბაიამ მათ ცალი თვალი წერტილივით დაასო. მათ სახეები წამოუწითლდათ და „ორიან“ მიღებულ მოწაფეებივით მოიკაკვნენ.

— სამთვენახევარს არ იყო წვიმა და...

წაიბუტბუტა ერთმა, რაც დოლბაიას მახვილ ყურს ნემსივით მოხვდა.

წვიმა არც სხვებისათვის იყო, მაგრამ მაინც კარგი მოსავალი მიიღეს. გვალვას კი არ უნდა დანებდე, არამედ უნდა ებრძოლო!

დოლბაია თავმჯდომარის ზარმა გააჩუმა.

ვუყურებ ამხანაგ დოლბაიას და ვგრძნობ, თუ როგორ ღელავს იგი. მან ანიშნა პავლე კვეკვეციას, სიტყვაში უნდა გამოვიდე, მოკამათეთა სიაში ჩამწერეო.

პავლე კვეკვეცია მშრომელთა დეპუტატების გაგრის რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეა. ამხანაგი გრიგოლ დოლბაია კი რაიაღმასკომის

სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგე. მათ, თითქმის ყოველთვის ნახავთ კოლმეურნეობათა კანტორაში, სიმინდის ყანებში, ან ციტრუსების ბაღებში.

გრიგოლ დოლბაიამ უბის წიგნაკი გაშალა, მუხლზე დაიდო და რაღაც ჩასწერა, ხოლო გაგულისებულმა ჩურჩულით განთიადელებს უთხრა: „როცა ბუნება გვებრძვის, ჩვენ მაგრად უნდა დავუდგეთ მას, მოვემზადოთ წინასწარ, შევებრძოლოთ და გვალვა ვერაფერს დაგვაკლებს“.

შესვენების დროს აივანზე გამოვიდა. მიდამო ახალი თოვლით იყო დაფარული.

სათბურშემოხვეული პალმები, ლიმონისა და მანდარინის ხეები შენიღბულ ჯარისკაცებივით იდგნენ.

ზღვა ლურჯად ლივლივებდა. ზღვაში გაჭიმული ბადეების მაღლა თოლიები ირეოდნენ და ერთმანეთს აქეზებდნენ, აბა რომელი მოიტაცებდა პირველად ბადეში მოხვედრილ თევზს.

შორს მსხლის ბებერ ხეზე მოფუყულმა ყვავმა უშნოდ დაიყრანტალა. დოლბაიას ყურადღება მიიპყრო ამ ხემ და ყმაწვილკაცობის მოგონებები გულზე მწარედ მოხვდა. იგი აგრონომი კაცია, ხე-ხილის ტრფიალს რომ იტყვიან, ის არის, მაგრამ ამ მსხლის ხეებს მაინც ვერ იტანს. იგი მისი რომანტიული ახალგაზრდობის ერთერთ საბედისწერო ეპიზოდის მოწმეა.

ეს მსხლის ხეები ვიღაც ევგენევის აგარაკის მშვენება იყო. აქ იმართებოდა ჯირითი. დოლბაიას ხომ ჯირითში ვერავინ სჯობდა. მთელს გაგრაში მის სახელს სიხარულით წარმოსთქვამდნენ. ზოგიერთები ამასაც კი ამბობდნენ: მფრინავი ცხენი ჰყავსო.

ვიღაც თავადის ქალიშვილს, რომელიც ევგენევის აგარაკში ისვენებდა, ყურში ჩაეწვეთა დოლბაიას ქება და სთხოვა, ჭაბუკს, ერთი შენი ჯირითის ხელოვნება მაჩვენეო.

დოლბაია ცეცხლი იყო, ქალიშვილის სიტყვები ნავთის წვეთებივით ეცხვდა და აბრიალდა კიდეკაც. შერაზს შემოახტა, „აჰაი მარჯაო“ — დასჭყივლა და გაფრინდა.

ყველა აღტაცებაში მოიყვანა მისმა ჯირითმა. ზოგი თაიგულს ესროდა და ზოგიც შეძახილით ამხნევებდა. ერთერთმა ბედოვლათმა ამხანაგმა, სიხარული სხვა ვერაფრით რომ ვერ გამოხატა, ქუდი ესროლა მხედარს და, ის იყო, სწორედ ამ მსხლის ხეებთან დოლბაიას თვალთ დაუბნელდა.

— აქ გამიფუჭდა მარჯვენა თვალი! მაგრამ გული არ გამფუჭებია — დარდნარევი ღიმილით მითხრა მან.

გრიგოლ დოლბაიამ ნახევარი საუკუნე განვლო, მაგრამ გული მაინც ახალგაზრდულად უძგერს. კაბინეტში დიდხანს ვერ გააჩერებთ. სულ კოლმეურნეობებში ტრიალებს. კაბინეტში მას ქოთნით ერთი რომელიღაც ყვავილი უდგას. ამ ყვავილს ფოთლები გაჭყვითლებია და ბუტკოები ისე გამხმარა, პირი ვერ გამოუტანია.

— მეც ამ ყვავილივით მომივა, აქ რომ დავჯდე. აქ, აპარატში კარგი ადამიანები მყვანან. ისინი დაამზადებენ ქაღალდს, მე გავსინჯავ, თუ ჭკვაში მომივიდა, ხელს მოვაწერ. მეტი რა გავაკეთო კაბინეტში აგრონომმა. მე ყანაში მაქვს სამუშაო. მოსავლის ბედი იქა წყდება!

დასვენების შემდეგ კამათი გაცხოველდა. ამხანაგები მკვეთრად აკრიტიკებდნენ ჩამორჩენილ წარმოებებსა და კოლმეურნეობებს. მათ თავიანთ გამოსვლებში ამხილეს მუშაობაში ხელის შემშლელი ნაკლოვანებანი და იმავე დროს ჩამორჩენილთა დასახმარებლად დასახეს მთელი რიგი ღონისძიებანი.

კონფერენცია გვიან დამთავრდა. დარბაზში ბუღი იდგა. პავლე და გრიგოლი კარისკენ მიდიოდნენ. მათ გზა

გადაულობა რომელიღაც ჩამორჩენილი სოფლის საბჭოს თავმჯდომარემ.

— გრიგოლ ანდრეევიჩ, ძალიან კი დაგვარტყი.

— რას ჰქვია „დაგვარტყი“. დაუმსახურებლად თუ...

დოლბაიას მაგივრად კვეკვეციამ უპასუხა და მხარზე ხელი დაჰკრა საბჭოს თავმჯდომარეს.

— იმუშავე, ძმაო, იმუშავე.

— აკი ვმუშაობ!

— თუ მუშაობ, რას იმკი მერე!

— რა ვქნა, თუ...

— თუ არ იწვიმა, თუ ამინდმა ხელი არ შეგიწყო, არა?! თავი დაანებე ამას, თუ ძმა ხარ, უთხრა დოლბაიამ და გზა განაგრძო.

საბჭოს თავმჯდომარემ თავი უხერხულად იგრძნო.

— გრიგოლ ანდრეევიჩ, უნდა დაგვეხმარო.

— დახმარება გინდა? სიამოვნებით. მიზეზები კი არ გამაგონო.

პავლე კვეკვეციამ ისევ დაჰკრა მხარზე ხელი და მისთვის ჩვეული სიდარბაისლით უთხრა:

— ათასცხრას ორმოცდარვა წელს თქვენი სოფლის კოლმეურნეებმა კარგი მოსავალი უნდა მიიღონ. მაგ, ხელმძღვანელობა უნდა და იმუშავებენ. აბა იფიქრე, შენ თვითონ, რატომ უნდა მიიღოს სოფელ ლიძავას კოლმეურნეებზე სამჯერ ნაკლები მოსავალი თქვენი სოფლის კოლმეურნეებმა? როგორ გგონია, ისინი უარესი მუშაკები არიან თუ რა!?

— პავლე, ამას ეყოფა, რაც მოხვდა. ახლა წავიდეს და იმუშაოს — სთქვა დოლბაიამ და შეჩერდა:

— ახლა გვიანაა. განთიადში რა წაგიყვანს, წამობრძანდი ჩემთან, დაისვენე.

საბჭოს თავმჯდომარე უარზე იყო, მაგრამ დოლბაიამ ხვეწნა-პატიჟით ამოსუნთქვის საშუალება არ მისცა, სანამ არ დაითანხმა.

ისინი წავიდნენ.

შინისკენ მარტომიმავალ პავლეს შესცივდა. საყელო აიწია, ხელები ჯიბეში ჩაიწყო და პალტოში მოიკაკვა. მის ფეხქვეშ თოვლი ხმაურობდა. მას თავში ჯერ კიდევ კონფერენციაზე წარმოთქმული სიტყვები უტრიალებდა. მაგრამ, სიცივემ რომ მოუჭირა, თავისთავზე გაიღიმა. გაიღიმა იმისათვის, რომ მას ფრონტზე ამაზე ათჯერ უფრო სუსხიანი ღამე გაეტარებია, მაგრამ სიცივე არ უგრძვნია. სიცივე კი არა, ომის ცეცხლით ისე იყო აგზნებული, რომ სულ მოწინავე ხაზზე უნდოდა ყოფილიყო.

ერთხელ სარატოვის სამხედრო ოლქის პოლიტსამმართველოში გამოიძახეს და უბრძანეს, ჰოსპიტალში წასულიყო უფროსის მოადგილედ პოლიტნაწილში.

ეს ჩუმი და დინჯი კაცი, უცებ წამოენთო, გაწიწმატდა.

— ავად კი არა ვარ, ჰოსპიტალში რომ მგზავნით.

— მიიღე ბრძანება, განიმეორე და შეასრულე! — უთხრეს მას.

ომის ქარიშხალმა სად არ გადაისროლა იგი. ჩეხოსლოვაკია, ავსტრია, ჰუნგრეთი, იუგოსლავია და რუმინეთი.

რუმინეთში გაცილებით დიდხანს დაჰყო. იქ დაათვალიერა მეფე მიხაის სასახლეები, და ბოლოს გლეხის ქორწილშიც მოხვდა.

— ქორწილში მიმიპატიჟეს, მაგრამ რომ ვნახე იქ დამსწრე ადამიანები, ლუკმა არ გადავიდა ყელში. ქორწილში, სადაც სიხარული და სიმდიდრე უნდა ზეიმობდეს, ნამდვილი სიღარიბე მეფობდა. სტუმართა უმრავლესობა ფეხშიშველი იყო და დაძონძილი შარვარ-ხალათი ეცვათ. აი სანამდე მიუყვანია რუმინელი გლეხი ანტონესკუს ბატონობას.

პავლეს ძალიან უყვარს ფრონტზე გატარებული დღეების მოგონება. იგი 1946 წლის სექტემბერში დაბრუნდა

მაშინვე ჩაება უხვი მოსავლისათვის ბრძოლაში.

ამ ბრძოლამ თავისი ნაყოფი გამოიღო. პავლე კვეკვეციამ და გრიგოლ დოლბაიამ თავიანთი მუშაობით უზრუნველჰყვეს მთლიანად გაგრის რაიონში სიმინდის მოსავლის გეგმიანად აღების 23,4 პროცენტით გადაჭარბებით შესრულება. მთავრობამ ამისათვის მათ სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიანიჭა.

III.

წელიწადში 541 დღეა

მარგარიტა კამა პირველი კოლმეურნე ესტონელია, რომელმაც სოციალისტური შრომის გმირის მაღალი წოდება მიიღო.

მისი მუშაობისა და ცხოვრების შესახებ მინდა ორიოდე სიტყვა გითხრათ.

სოფელი ლესელიძე მდინარე ფსუს მარცხენა ნაპირზეა შეფენილი. მისი მთა-გორიანი, აქოჩრილ ბორცვიანი მიდამო მანდარინის, ლიმონის, ფორთოხლის, ქლიავის და ვაშლის ბაღებითაა დამშვენებული.

სიმინდის ყანები და თამბაქოს პლანტაციები იწყებიან ფსუს ჭალიდან და მიემართებიან მთების კალთებამდე. აქ ალაგალაგ „ცოლიკაურის", „ჩხავერის" და „იზაბელას" ზვრები მზის გულზე ზიმზიმებენ.

ამ სოფელში ღამე დღესავით ნათელია. საკუთარი ელსადგური იმდენ სინათლეს იძლევა, რომ კოლმეურნეთა სახლებში თითქოს ელექტრო მერცხლები შეფენილან და მავთულზე დასკუპებულნი ოთახებს აშუქებენ.

ლესელიძეში უმთავრესად ესტონელები ბინადრობენ. მეფის შავბნელ დროში ბედის ქარიშხალმა მათი ნავი გაგრაში გამორიყა და კიდევაც დასახლდნენ აქ, ამ მშვენიერ მიდამოში.

მარგარიტა კამას მამა — იულიუს ჩერნიანგინი მაშინ თერთმეტი წლისა იყო. ოცდაჩვიდმეტი წელიწადი იცხოვრა მან აქ, საქართველოს მზის შუქით გამთბარ მიდამოში.

მან შეიყვარა ეს მიწა, რომლის ბარაქამ მის ოჯახს ალალი ლუკმა-პური გაუჩინა და ბედნიერი ცხოვრება დაუმკვიდრა.

იულიუსს ენაწყლიან კაცს ეძახდნენ. ძველი ამბავი ბევრი იცოდა და ახალიც უფრო მეტი. როცა მარგარიტას მამა აგონდება, სახე უფერმკრთალდება. ნაღველი შუბლს შეუჭირხლავს და ატირებულის ხმით ამბობს:

— მაშინ შავი ზღვის სანაპიროზე სვასტიკიანი თვითმფრინავები დაბზუოდნენ. მე და მამა ვაზს ვწამლავდით. საზენიტო ქვემეხების გრიალმა სამუშაოზე ხელი აგვაღებინა. დავსხედით ხის ძირას. მამა კანკალებდა. მის თვალებში პირველად შევნიშნე ცრემლი და შიშისაგან კრიჭა შემეკრა. უსიტყვოდ, მდუმარედ იჯდა მამა, ცრემლი დიოდა. თვალს ვერ მისწორებდა. ჩასჩერებოდა მიწას და თავისთვის რაღაცას ბუტბუტებდა.

— რა იყო, მამა? — შევეკითხე და პასუხის მოლოდინში ერთხელ კიდევ დავაცქერდი მის სევდიან, ცრემლით დასველებულ სახეს.

— ამაზე მეტი რა უნდა იყოს. მტერი თავს დაგვბზუის. — ნაწყვეტ-ნაწყვეტ მიპასუხა მან და მის ერთგულ მონადირე ძაღლს, პირატს, მიუალერსა. დუმილის შემდეგ განაგრძო:

— ესტონეთი ალბათ სულ მიწასთან გაასწორეს მაგ ურჯულოებმა.

— მერე ცრემლით რას გახდები, მამა?!

— არაფერს. სიბერეს დაუდგეს თვალი.

— აქ მამა შეჩერდა. წუთით თვალები მოხუჭა და მერე რომ გაახილა, შემომიტია — მე როდის ვტირი, ვის უნახავს ჩემი ცრემლი?

— არავის! — შევაგებე მე.

— ჰო-და წამოდექი. ჩავათავოთ ბარემ.

ამ სიტყვებზე მოხუცი ვაზისაკენ გაეშურა. დალამებამდე შეუსვენებლივ, ხალისიანად მუშაობდა... ომის წლებში მამას ველარ ვცნობდი. თითქოს გაახალგაზრდავდაო, ! სიმკვირცხლე მოემატა, მოუსვენრობა დაეტყო. მთელ დღეს ყანაში და ზვრებში ატარებდა. გვიან მოდიოდა შინ. მის წიგნაკში იმატა შრომადღეებმა და წლის ბოლოს მე მაჯობა კიდეც.

იულიუსი პირველი ესტონელი იყო, რომელმაც გაგრაში ფაცხა დასდგა და კერა გააჩაღა. აქ სულ ტყე ყოფილა, გაუვალი ტყე. იულიუსის მიერ მოკლული დათვის ტყავი იატაკზე ახლაც უგია მარგარიტას.

— ეს მზითევში გამომატანა მამამ, — ღიმილით მითხრა მან. ესტონელები ერთხანს ნადირის ხორცით იკვებებოდნენ თურმე. მთავრობის მიერ შეპირებული დახმარება აღარსად სჩანდა. მათ შიმშილით სიკვდილი მოელოდათ, მაგრამ ადგილობრივმა მცხოვრებლებმა, მეგრელებმა და აფხაზებმა, მათ კეთილმეგობრული ხელი გაუწოდეს და სიკვდილს გადაარჩინეს.

ეს პურმარილით დამკვიდრებული და სისხლით შედუღებული მეგობრობა ახლა უფრო განმტკიცებულია.

სოფლის შუა, წიწვიანი ხეებით დაფარულ მოედანზე ორსართულიანი სახლი დგას.

ეს სტალინის სახელობის კოლმეურნეობის კანტორაა. იქვე კლუბია, რომლის მსგავსი სოფელს კი არა, ზოგიერთ რაიონსაც კი არ გააჩნია. კლუბი არქიტექტურულად კარგად არის გაფორმებული. მის ქართულ ორნამენტით მოჩუქურთმებულ დარბაზს ამშვენებს ოქროს ასოებით აკინძული სიტყვები შოთა რუსთაველისა:

„...სჯობს სახელისა მოხვეჭა ყოველსა მოსახვეჭელსა“.

კლუბის დიდ დარბაზში სამასამდე სავარძელი დგას, ხოლო სცენას წითელი ხავერდის ფარდები ამშვენებენ.

შარშან ამ კლუბში, კოლმეურნეთა საერთო კრებაზე მისთვის ჩვეული მოკრძალებით გამოვიდა მარგარიტა კამა და მოზღვავებული გრძნობით აღტაცებულმა სთქვა:

— „ჩემი რგოლის სახელით სიტყვას ვაძლევ ბელადს, რომ ჰექტარზე მოვიყვან სამოცდათვრამეტ ცენტნერ სიმინდს.“

სთქვა ეს და ბელადისადმი გასაგზავნ წერილს ხელიც მოაწერა.

მერე დადგა სიტყვის შესრულებისათვის ბრძოლის მშფოთვარე დღეები.

ნიადაგს იმდენი ძალა არ აღმოაჩნდა, რომ სიმინდი გამოეკვება. კამამ მინერალური და ბუნებრივი სასუქით მიწა გაალაღა, სიმინდებს ძირები დაუწითლდად, გაიხარეს. არანაკლებ გაიხარა კამამ. უფრო დაუტრიალდა საქმეს. გამარგლილი ყანა, მეორედ გასთოხნა. არც ერთი ძირი ბალახი არ დასტოვა. სიმინდმა ახლა ტანი აიყარა, ფოთლები ჩაუმუქდა.

მაგრამ ნიადაგს წყალი მოწყურდა. გვალვა გამძვინვარდა.

— ჰანს ცუდად არის საქმე, ჰანს! — შესჩივლა კამამ კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ამხ. სევერინს.

ჰანს სევერინისათვის ბუნებას არაფერი არ დაუზოგავს. არც სიმაღლე, არც მონდომება და გამჭრიახობა. იგი ყოველმხრივ შემკულია. თითქოს შრომის ცეცხლი უკიდიაო, ისე აქვს სახე შებრაწულ-შეწითლებული. ხმა ბოხი აქვს და მოგუგუნე.

— ჰე, ამხანაგებო, სიტყვა ეკუთვნის მარგარიტა კამას, სმენა იყოს და გაგონება! — დაიქუხა მან და კოლმეურნეობის საერთო კრება სმენად გადაიქცა.

მაშინ იგი წამოდგა კუთხეში მჯდარი, სკამებს შორის მოხერხებულად გაძვრა და მაგიდასთან მივიდა.

— ნუ გეშინია, დაიწყე, დაიწყე! — უჩურჩულა თავმჯდომარემ.

თვენახევარია წვიმა არ მოსულა. სიმინდის ყანებს ცეცხლს უკიდებს თაკარა მზე. სოფლის რუები და ნაკადულები დაშრა. დაიწრიტა. ხავერდოვან სიმინდებს სიყვითლე შეეპარა, კიდევ რამდენიმე დღე და მერე ფოთლებსაც ჩამოყრიან და არაფერი ეშველება!

ამდენი ნაამაგდარი ყანები ნუთუ უნდა გადახმეს? — წუხდნენ სოფელში.

— არა, არასოდას არ იწვიმებს! — სთქვა ერთმა მოხუცმა კრების დაწყების წინ და უიმედოდ ჩაიქნია ხელი. მას მეორე გამოეხმაურა.

— ძველი დრო იყოს, ფსუში ხატს ვაბანავებდით, ახლა ეგ რომ ჩავიდინოთ, მერე სირცხვილით სად გამოვყოთ თავი?

— მერე ხატის ბანაობით იწვიმებდა? — ღიმილით იკითხა ახალგაზრდამ.

— როგორ ფიქრობთ იწვიმებდა? — კითხვა შეუბრუნა მოხუცმა.

ახალგაზრდას გაეცინა. მისი სიცილი სხვებსაც გადაედო, მაგრამ ის იყო ზარმა დაიწკარუნა და ჰანს სევერინის მოგუგუნე ხმა გაისმა:

— სიჩუმე.

— გაგრა წყალში ილრჩობა, — გაისმა კამას წვრილი ხმა, — და დიდი სირცხვილი კია, რომ ჩვენს სიმინდებს უწყლობა ახმობდეს. რას იტყვით, ამხანაგებო!

— მართალია, მართალი! — გაისმა აქა-იქ.

— ჰო-და ჩვენ ამის შესახებ ვიმსჯელეთ. კოლმეურნეობის აგრონომი დამეხმარა, თავმჯდომარემ მხარი დამიჭირა. რაიკომის მდივანმა მითხრა: რასაც კარგს გააკეთებ, ჩვენ ყველაფერში დაგეხმარებითო. მან დაავალა ამხანაგ დოლბაიას რომ ამ საქმეში გვიხელმძღვანელოს. ასე რომ არხი უნდა გავჭრათ. ფსუ მივუშვათ ჩვენს ყანებში, მაშინ თუ სიმინდი არ შოვა, ჩვენი ბრალი არ იქნება.

— კი მარა ფსუ კალაპოტიდან რომ გადმოვუშვათ, ხომ წაგვიღებს! — წამოიძახა ვიღაცამ.

— თუ მის ჭკუაზე მივუშვით, წაგვიღებს, მაგრამ სწორედ ჩვენს ჭკუაზე უნდა ვატაროთ.

ეს ამბავი ყველასათვის მოულოდნელი იყო. განსაკუთრებით მოხუცები ვერ ისვენებდნენ. „ეს როგორ, რაც არასოდეს არ გაკეთებულა, ის გავაკეთოთ... მორწყვა ჩვენს მხარეში ვის ვაუგონია“.

კამას სიტყვებმა ისინი ჩააჩუმა. მან მოკლედ მოსჭრა.

— ჩემი წინადადებაა, ხვალ დილადანვე შევუდგეთ არხის გაჭრას.

— ჩინებულია! — წამოიძახა ვიღაცამ და ტაშიც შემოჰკრა. ტაშმა ტაში აიტაცა და კამას სიტყვები ტაშის გრიალმა წალეკა.

მეორე დღეს ჭილობისქუდიანმა ადამიანებმა ფსუს ნაპირი დაფარეს. მთელი სოფელი გამოვიდა არხის გასაჭრელად. ერთი კვირის განმავლობაში რამდენიმე კილომეტრზე გასჭრეს არხი და სიცხით დაბინდულ ივლისის ერთ საღამოს ფსუმ ითქრიალა საგანგებოდ გაჭრილ კალაპოტში.

მარგარიტას ყანა მაღლობზე იყო. დედასა და შვილს — თვრამეტი წლის ფელიქს, კიდევ დასჭირდათ ერთი დღის მუშაობა, რომ წყალი კამას ნაკვეთზე სიმინდს მოხვედროდა. აქ იყვნენ რგოლის წევრებიც და მათი სიმღერა მიდამოს ავსებდა.

ხმელი, დამსკდარი ნიადაგი დაილამა. მიწა გაიჟღინთა. სიმინდი გამოცოცხლდა, დასაჭკნობად განწირული ფოთლები გაიშალა, გახალისდა და ყანაში ბარაქის თვალი დატრიალდა.

*
* *

მარგარიტა კამა გამრჯე და ინიციატივიანია. კოლმეურნეობაში შესვლამდე საკუთარი სახლიც კი არა ჰქონდა, მაგრამ ახლა მაღალ ბორცვზე ამართული მისი ოდასახლი მთელ სოფელს გადაჰყურებს. სახლის წინ მშვენიერი ყვავილნარია. მერე იწყება მანდარინის ხეთა მწკრივები, ვაზიანი და ხილნარიც.

ათვალიერებ კამას კარმიდამოს და გახარებს ის წესრიგი, რომელიც ამ ქალის მახვილ გონებას და მარჯვენას დაუმკვიდრებია. აქ ყოველი ხე თავის ადგილზე დგას, ქალის სიფაქიზით მოვლილი და გახარებული.

სასტუმრო ოთახის კუთხეში მაგიდაზე აგრონომიული ხასიათის ბროშურები და მელნით ნაწერი ფურცლები ელაგა. ჩემი ყურადღება მიიპყრო ამ წერილმა. როცა მას ვუცქეროდი, კამამ თვალი შემასწრო და ღიმილით მითხრა:

— კედლის გაზეთისათვის წერილი დავწერე. არ ვიცი — რედაქტორს მოეწონება თუ არა!

— თუ არ მოაკლებ მცენარეს მოვლას, ის ნაყოფს არ დაიშურებს, — ასე დაესათაურებია კამას თავისი წერილი. რომელშიაც მოთხრობილი იყო თუ როგორ დაამტვერიანა მან სიმინდი ხელოვნურად, როგორ მიიღო ყველა სავსე ტარო. წერილში მოთხრობილი იყო ამბავი რვა ტაროიანი სიმინდისა, რომელიც არც ისე ინტერესს მოკლებულია, ამიტომ ვბედავ თქვენც გაგაცნოთ იგი. მოუსმინეთ თვითონ კამას.

— ერთ პატარა ნაკვეთზე საცდელად სიმინდი დავთესე. კარგად გაპოხიერებულ ნიადაგზე ჯეჯილმა ამოიყარა. გამარგვლის შემდეგ კიდევ რამდენჯერმე გავთოხნე, მიწა გავაფხვიერე. გადირია სიმინდი აიყარა, გაფრინდა. როცა დატაროება დაიწყო, მე დავეხმარე მას (დამტვერიანებაში. სიმინდის ყვავილი(მეგრულად „ტოპორს“ ეძახიან) დავბერტყე [illegible] ბამბა შემოხვეულ ჯოხით იგი დავაფრქვიე ტაროების წვეროს.

ცნობილია, რომ სიმინდს შეუძლია რვა ტარომდე გამოიტანოს, მაგრამ ყველას განაყოფიერებას ვერ ასწრებს. ამიტომაა, ერთი ორი ტაროს მეტს მარცვალი ვერ გამოაქვს. მაგრამ თუ მას ჩვენ ხელოვნურად დავამტვერიანებთ, ყველა სავსე ტაროს მივიღებთ.

ამ სიტყვებზე კამა შეევიდა მეორე ოთახში და გამოიტანა რვა სავსე ტაროიანი სიმინდის ღერო.

— ეს ჩემი ნაკვეთის სიმინდია. კლუბში მთხოვენ, უნდა მივცე.

კამა მთელ სოფელში დამტვერიანების ოსტატია. მან კოლმეურნეობაში თავისი რგოლის ნაკვეთი, რომელიც მწკრივად ჰქონდა დათესილი დაამტვერიანა და არც ერთი უგულო ტარო არ მიუღია.

მარგარიტა, როგორც ყოველთვის, იმ დღესაც ახალ გათენებულზე თოხით ხელში სახლიდან გამოვიდა, თუმცა გრილოდა, მაგრამ თავზე მაინც ჭილის ქუდი ეხურა, იგი ყანისკენ მიიჩქაროდა და ამიტომ ოლაგეზე ფეხი არც კი დაუკარებია, ისე მსუბუქად გადახტა.

— ტერვის!

გამარჯობაო, ესტონურად მიესალმა მეურმე შამშე ძაძამია, რომელიც თავის ლომა კამეჩს მისდევდა.

— ილუს ტერვის — მიუგო კამამ.

— ალბათ, თქვენს საკარმიდამო მამულში მიგეჩქარებათ. სიმინდს ბალახი აქვს მორეული.

— არა, იმის გათოხნას მოვასწრებ. მე რგოლის ნაკვეთში მივდივარ. სიმინდი უნდა გამოვჭრა, ცხელა და სქელი ყანა ამოიწვება.

— მართალია, სქელი ყანა ამოიწვება! — დაუმატა ძაძამიამ და გზა განაგრძო.

ჯერ მზე არც კი ამოსულიყო. ცვარში ამოლუმპული მარგარიტა შუა ყანა-

ში იდგა, შეჯარებულ სიმინდს სჭრიდა. მიუხედავად სიხშირისა ზოგიერთი ძირი, ისე იყო ტანაყრილი, რომ ქალს კიდევაც ენანებოდა მოსაჭრელად. მან ჰექტარზე ორმოცდაათი ათასი ძირი სიმინდი დასტოვა, რაც ნორმაზე გაცილებით მეტი იყო, მაგრამ კარგი მოვლით შეიძლებოდა მოსალოდნელზე მეტი მოსავლის მიღება.

შუადღისას, როცა თაკარა მზე გასწორდა, უფრო დასცხა და მუშაობა შეუძლებელი გახდა. მარგარიტამ მიაშურა მუხას. უზარმაზარი დაკოჟრილ ტანიანი მუხა ფსუს პირად თითქმის ნახევარ ჰექტარ მიწას ფარავს. მის გაშლილ ტოტებს ქვეშ რაც უნდა ცხელოდეს, მაინც გრილა.

სწორედ ასეთი ვეება მუხებით იყო ეს მიდამო დაფარული, როცა პირველად მარგარიტას მამამ ბარი დაჰკრა მიწას.

ახლა მხოლოდ ერთი მუხა დარჩენილა, რომელიც ამაყად დგას და შორიდან რომ შეხედოთ, ისე შავად გამოიყურება, ციხე-კოშკის ნანგრევი გეგონებათ.

მუხის საჩრდილობელში მარგარიტას თავისი თანასოფლელი მეგრელები დაუხვდნენ. ქალს ეამა მათთან შეხვედრა. მარგარიტა თბილად მიესალმა მათ და ჩრდილისაგან ფერდაკარგულ ბალახზე მოიკეცა.

„მეგრელები ხომ სიმინდის ოსტატები არიანო, გაიფიქრა ქალმა, მოდი ვაჩვენო ჩემი ყანა, იქნებ რამე აკლიაო“. ამ ფიქრით მან ერთ-ერთ კოლმეურნეს, ჰკითხა:

— ჩემს ყანაზე ხომ არ გამოგივლიათ?

— როგორ არა!

— მოგწონთ სიმინდი? როგორი პირი უჩანს?!

— კარგი, მაგრამ ერთი უნდა გითხრათ. სიმინდის ძირებისათვის მიწა უფრო ბლომად უნდა შემოგეყარათ. აქ ქარი იცის და სიმინდი რომ ატაროვდება, წაიქცევა.

მეორე დღეს მარგარიტამ ეს რჩევა თავის რგოლის წევრებს გადასცა. ყველამ მოიწონა იგი, და ის იყო ახალ მორწყულზე სიმინდის ძირებს ფხვიერი მიწა შემოაყარეს.

* * *

მარგარიტას შვილს ფელიქსს წელს შეუსრულდა თვრამეტი წელი. იგი დედასავით შრომისმოყვარე და დაუზარელია. გაზაფხულზე შინ ვერ გააჩერებს კაცი დღე ნიადაგ სათიბშია. მუშაობის შემდეგ კავკასიონის ალპიურ ზონაში პაპისეული თოფით ხელში ფრინველებს და ნადირებს დასდევს.

მისი ცელი ნიკელში გავლებულივით პრიალებს, რადგან მის პატრონს შრომა დაუსახავს დიდებისა და სახელის საქმედ.

შარშან შემოდგომაზე დედა სიმინდს ტეხდა და ნახევარ ადლიან ტაროების კალოები ედგა, ფელიქსი თოფით ხელში ზღვის პირად მწყერებს დასდევდა. საღამოთი ასოცი მწყერი მოიტანა შინ და დედას გული სიხარულმა გაუხსნა.

— ვალენტინას გავახარებ, ნეტავ აქ მყავდეს იგი!

მარგარიტამ რამდენიმე მწყერი მაშინვე სახელდახელოდ მოხრაკა, ხოლო დანარჩენი ჩააყაურმა და ტალინს გაგზავნა, სადაც მისი ქალიშვილი ვალენტინა სამედიცინო ტექნიკუმში სწავლობს.

ცნობილია, რომ წელიწადში სამას სამოცდახუთი დღეა. ყოველ შემთხვევაში სამასსამოცდაექვს დღეზე მეტი მაინც არ არის, მაგრამ მარგარიტა კამასათვის შარშან იყო ხუთასორმოცდაერთი დღე.

რა მიიღო მან ამ დღეების შრომისათვის? რადგან შემოსავალზე მიდგა საქმე, ურიგო როდი იქნება სიტყვა

მივცეთ ციფრებს. ამხ. კამამ ფულად მიიღო 13417 მანეთი, ხოლო პრემია დანამატის სახით 2429 მანეთი, ერთი ტონა სიმინდი და პრემია-დანამატის სახით კიდევ 229 კილოგრამი. 13 კილოგრამი თაფლი. ამას უნდა მიემატოს მისი შვილის ფელიქსის ნამუშევარი 6683 მანეთი და 625 კილოგრამი სიმინდი: გარდა ამისა კამამ სიმინდი, ყველი, კარაქი, ღვინო, ციტრუსები, თაფლი, ხილი და ბოსტნეული მიიღო თავის საკარმიდამო ნაკვეთიდანაც.

შემოსავლის ციფრები რომ უფრო ზუსტი ყოფილიყო, ვთხოვეთ კამას ეთქვა, თავისი საკარმიდამო ნაკვეთიდან მაინც რამდენი მოსავალი მიიღო.

— არ ამიწონია, — გვიპასუხა მან და განაგრძო, — არც თუ ცოტა ღვინო და ბოსტნეული, წლიდანწლამდე გვწვდება. თავის ქებად ნუ ჩამომართმევთ და საცაა ღვინის ახალი მოსავალი იქნება, და მე კი ჯერ ორი ქვევრი ისევ მოუხდელი მაქვს.

— ბარაქა თქვენს მარჯვენას!

კამას ოჯახი შესდგება ოთხი სულისაგან, მისი დედა მარია, თუმცა სამოცდათვრამეტი წლისაა, მაგრამ მაინც ყოჩაღად გრძნობს თავს და ოჯახში დედაფუტკარივით დაფუსფუსებს. შვილი ფელიქსი კოლმეურნეობაში განთქმული მთიბავია, ქალიშვილი ვალენტინა ფრიადოსანია.

აი ასეთი დაწყობილი და შრომისმოყვარე ოჯახი აქვს ამხანაგ კამას.

საღამოვდებოდა, როცა კამას გამოვემშვიდობეთ. ზღვის პირად რაღაც თავისებური ბურუსიანი საღამო იცის. ნელა აშრიალებს ზღვაური ფოთლებს და შუბის ტარამდე დასული მზე დასავლეთის ცას ხალიჩის ოდენაზე აწითლებს.

ვეწვევეთ სოფელ ლესელიძეს. ამ სოფლიდან რამდენიმე კილომეტრს იქით ქუხდა გენერალ ლესელიძის არტილერია—მისი მქუხარება სასიკვდილოდ ზაფრავდა მტერს, რომელსაც სწადდა დაენგრია საბჭოთა ადამიანების საამური ცხოვრება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი სტალინის მზედართმთავროობით მტერი განადგურებული იქნა. სამშობლოს კეთილდღეობისათვის ბრძოლაში გენერალი ლესელიძე გმირულად დაეცა, მაგრამ მისი ნათელი სახელი საბჭოთა ადამიანების გულში სიცოცხლის შუქად ანათებს.

თუ ლესელიძე აქ, ამ სოფელში ღებულობდა საომარ მასალებით დატვირთულ ეშელონებს, ახლა მისი სახელობის სოფლის კოლმეურნეები ჭირნახულით დატვირთულ ეშელონებს უგზავნიან დედა-სამშობლოს.

IV

გუბაზის ფიქრები

ჩვენ ლიძავაში მივდივართ სოციალისტური შრომის გმირის ოჯახში. ლიძავა გაგრიდან არც ისე შორსაა.

შავ ზღვასა და სოფელ ლიძავას შორის ფიჭვის შესანიშნავი ტყეა. ასწლოვან ფიჭვებს მხოლოდ კენწეროზე შერჩენიათ თითოოროლა ტოტი. უზარმაზარი ხეები ისე გადმოხრილან აღმოსავლეთისაკენ, თითქოს ზღვის გოროზი ტალღები მათ სადღაც მიერეკებაო.

ტყესთან მისვლისთანავე ისეთი შთაბეჭდილება შეგექმნებათ, ზღვამ ერთხელ კიდევ რომ დაიქუხოს, ფიჭვები ფეხს აიდგამენ და გაიქცევიანო. ზღვაური აქ ძლიერი იცის, მაგრამ სოფლამდე მაინც ვერ აღწევს. ფიჭვნარი მას გზას უღობავს და ლიძავას ფორთოხლისა და მანდარინის ბაღებს ნიავსაც არ აკარებს.

ჩვენ შუაგულ ტყეში ვართ. ნიადაგი ხმელი წიწვითაა დაფარული. ისმის მხოლოდ ჩვენი მოძრაობის ხმა. რაც უნდა ჩუმად ვილაპარაკოთ, სიტყვები მაინც ომახიანად გაისმის.

დღეს ზღვა მშვიდია. ტყეც ხმას არ იღებს, დასვენებას მისცემია. მხოლოდ ჩვენ დავარღვიეთ მათი მდუმარება.

მივდივართ თავქვე, ზღვისაკენ. შოთა გეთია დაწინაურდა. პირველი მივიდა ზღვასთან, ჩაჰყო ხელი წყალში და სინანულით სთქვა:

— ცივია, მაგრამ ბანაობა მაინც შეიძლება.

მეთევზეთა ბადეებთან თოხის ტარივით წვრილ და მაღალი ტანის კაცს ებანავა, შარვალ-ხალათი უკვე ჩაეცვა, ახლა წელზე ქამარს იჭერდა და ტაატით ჩვენსკენ მოდიოდა.

იგი მორიდებით მოგვესალმა და მოშორებით გაჩერდა.

— როგორაა საქმე? — ჰკითხა შოთამ.

— ამას შემოდგომაზე გეტყვით, — მიუგო მან და მოგვიახლოვდა.

— გაიცანით, მწერალია!

— მწერალი?! — ჩემს გაწვდილ ხელს ორივე ხელი მორიდებით მოუჭირა.

— გამარჯობათ თქვენი!

თავი ძირს დახარა, სახეზე ცეცხლი წაეკიდა, მაგრამ მაინც ნაძალადევად იღიმებოდა. წვერ-ულვაში წმინდად მოეპარსა, ტყავის ქუდი სახეზე ჩამოფხატული ჰქონდა. მცირე დუმილის შემდეგ, მან ხელების გაშლით რაიკომის მდივანს უთხრა:

— ამხანაგო შოთა, თესვა უკვე დავამთავრე! — შოთას მოეწონა მისი სიტყვები. ალერსით მხარზე ხელი დაუთათუნა და ჰკითხა:

— დახმარება ხომ არ გინდათ?!

— არა, გმადლობთ, — წაილულლულა მან და გამოგვემშვიდობა. ჩქარი ნაბიჯით თითქოს მისდევენო, ბილიკს გაჰყვა. ტყეში რომ გაუჩინარდა მერე ვიკითხე. ვინ არის ეს კაცი მეთქი.

— ეს არ არის ურიგო კაცი, მაგრამ შრომას ერიდება. სოფელში ირაოდ დადიოდა. კოლმეურნეობაში თითი თითზე არ შემოუკრავს. გარიცხეს, არაფრად ჩააგდო. შემოდგომაზე მისმა მეზობლებმა ნალიები გაავსეს. მერე უხვი მოსავლის ოსტატები დაუჯილდოვეს. მის კარის მეზობელს სოციალისტური შრომის გმირის წოდება ძიანიჭეს. მან საკარმიდამო ნაკვეთიდან იმის მეოთხედიც ვერ მიიღო. რაც სხვებმა მოიწიეს. ცოლ-შვილი შიმშილით რომ არ დახოცოდა, თხები გაჰყიდა, სიმინდი შეიძინა და კოლმეურნეობაში აღდგენა ითხოვა. ახლა რგოლში კარგად მუშაობს. „ერთ ჰექტარ მიწაზე ოთხმოცდახუთ ცენტნერ სიმინდს მოვიწევო“, — ეს მისი სიტყვებია, აბა ვნახოთ!

ფიჭვნარი ორას ჰექტარზეა გადაჭიმული. ახჯარას მთიდან რომ გახედავ, იგი ზღვასავით ლივლივებს.

მთის დავაკებაზე შეგვხვდა ისევ ის კაცი. ჭილობის ქუდი ეხურა და თოხის ყუათი ბელტებს ამტვრევდა. მიწას აფხვიერებდა, რომ მოსწორებულ ხიადაგზე სიმინდს ერთნაირად გაეხარა.

მდინარე სმირხა მატრონა გუბაზის სახლის წინ მიედინება. ძველად ბზიბი ბიჭვინთის მონასტრისა და ამ ფიჭვნარის შუა უერთდებოდა ზღვას. ეს პატარა სმირხაც ბზიბის ტალღებში იკარგებოდა. ბზიბმა შეიცვალა გეზი. ახლა ეს წყალუხვი მდინარე რამდენიმე ათეულ კილომეტრის მოშორებით მიედინება.

მაისის მზე მცხუნვარებდა. ცივი სმირხის ტალღებში ბავშვები ჭყუმპალაობდნენ.

აფხაზი ბიჭი, რომელსაც ახალუხზე პიონერის ყელსახვევი გაუკეთებია, ერთ აცმა ღორჯოს მიარბენინებდა შინ.

— გამარჯვება, ბიჭიკო! — შევაჩერე პიონერი. იმას ეგონა თევზს ვთხოვდი.

— გაგიმარჯოს! დაიჟღურტულა მან და წნელზე მოფართხალე ღორჯოები მომაწოდა.

ბავშვების ლაშქარმა მდინარეს თავი დაანება და ჩვენ შემოგვეხვია: რა ენაზე არ ლაპარაკობენ ისინი, რუსულად, ქართულად, სომხურად, აფხაზურად.

ლიძავა ინტერნაციონალური სოფელია.

ქართული აივნიანი ოდების გვერდით ცარცით შელესილი სახლები ქათქათებდნენ. ისინი რუსი კოლმეურნეებისაა, რომლებიც ქართველებთან, აფხაზებთან და სომხებთან სტალინური მეგობრობით შემტკიცებულნი თავდადებით იბრძვიან კომინტერნის სახელობის კოლმეურნეობაში. მათ ერთნაირად ახარებთ მატრონა გუბაზის დიდი წარმატება.

მატრონა გუბაზის სახელი ყველამ იცის. წელს ამ სოფელში მხოლოდ ერთია სოციალისტური შრომის გმირი, ხოლო ათეული და ასეული რიგში დგანან და მთელი მონდომებით იბრძვიან უხვი მოსავლისათვის.

მატრონა გუბაზის სახლი ზედ ახჯარას ძირშია. ოდას წინ მწვანე ეზო აქვს, ხოლო მარცხნივ მანდარინისა და ლიმონის ბაღი აკრავს.

ეზოში შესვლისთანავე შემოგვეგება წვრილი რკინისფერი სახის და თაფლისფერთვალებიანი ქალი. მას თმა შუაზე ჰქონდა გაყოფილი, სახეზე ჩუმი ღიმილი უკრთოდა. მისალმებისას ხელზე ორივე ხელი მოგვეჭირა და, გამარჯობაო, აფხაზურად გვითხრა.

ეს იყო მატრონა გუბაზი.

მზემ ახჯარას გადაუარა. ჩვენ აივანზე ვისხედით. აქ იყვნენ კოლმეურნეობის თავმჯდომარე, ბრიგადირი, ძერგოლური და რიგითი კოლმეურნენი. გასული წლის უხვი მოსავლის აღსაშნავად მათ მკერდებს ორდენები და მედლები ამშვენებდა. ისინი ახლა მსჯელობდნენ იმაზე, თუ როგორ დაეხვავებინათ მიმდინარე წელს შემოდგომაზე სიმინდის, თამბაქოს და მანდარინის მოსავალი.

პირველი მაისისათვის კოლმეურნეობას თითმქის დამთავრებული ჰქონდა სიმინდის თესვა.

— ახლა კარგია წვიმა — ქრთს წამოუშენდეს. სიმინდი მაშინვე ამოვა და გაიხარებს! — სთქვა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ.

— აუცილებლად იწვიმებს. — უპასუხა ამპარმა და გრძელტარიან ჩიბუხში თამბაქო ჩასტენა.

— რა იცი, რომ იწვიმებს! — იკითხა ბრიგადირმა.

— ჩემი თვალით ვნახე ამ დილით დელფინები, თუ როგორ ხტოდნენ ზღვის ზედაპირზე, ეს ხომ ნიშნავს უამიდობას. ჰა!

— არ ვიცი! — მიუგო ბრიგადირმა.

— არ იცი, ახალგაზრდა ხარ, გაკლია გამოცდილება. აბა იმ მერცხალს შეხედე, როგორ ეკვრება მიწას. ახლაც არ დაიჯერებ?

— იწვიმებს, იწვიმებს!

წამოიძახა მოხუცმა. ეს ხაზარ ქორანჯიანი იყო. ამპარივით მოხუცი და ნაამაგდარი კაცი!

მზე ჩადიოდა უკვე. დასავლეთის ცას ცეცხლი წაჰკიდებოდა. სოფლის შარა თხისა და ცხვრის ფარით გაიჭედა. აქაფებულ მდინარესავით მოედინებოდა კოლმეურნეობის ცხვარი ფარეხისაკენ. რქებგადაგრეხილი ვერძები დინჯად მიუძღოდნენ ფარას, ხოლო გაალმასებული ქოფაკები თავიანთ ჩრდილსაც კი ულრენდნენ.

ბრიგადირი დიმიტრი ჯაკონია სამხედრო შარვალ-ხალათს მხოლოდ უქმ დღეებში ატარებს. მის ფართო, ზორბა მკერდს ორდენები და მედლები ამშვენებენ.

მატრონა გუბაზის რგოლი მის ბრიგადაში შედის. სიმინდის უხვი მოსავლის მიღებისათვის ჯაკონიამ უმაღლესი ჯილდო—ლენინის ორდენი მიიღო. იგი ახლა გუბაზის სტუმარია. მისი ყურადღება ცხვრის ფარამ მიიპყრო. ოლაგეს მიუახლოვდა და მწყემსებს მიესალმა.

— უბზა ჰეიტ!

რაც ნიშნავს: კეთილადგემწყესოს შენი ფარა! ეს მისალმება აფხაზისათვის დამახასიათებელია. აფხაზი იმ საქმის კეთილად შესრულებას უსურვებს ხოლმე ადამიანს, რა საქმისათვისაც მას ხელი მოუკიდნია. როცა მეჯოგე ნახირს მთაში მიერეკება, მას თუ აფხაზი შეხვდა, უეჭველად შესძახებს; ბზახოუცალტ! რაც ნიშნავს: უკლებლივ აგარეკიოს ნახირი მთაშიო. მხედარს ის უსურვებს ადგილზე მშვიდობით მისვლას...

დიმიტრი ჯაკონია ვაჟკაცურად შეხვდა მტერს. თავის ლიძავას იცავდა სტალინგრადისა და მოსკოვისათვის ბრძოლაში. დემობილიზაციის შემდეგ დაბრუნდა სოფელში. მაშინვე აირჩიეს ბრიგადირად და ამ განთქმულმა სნაიპერმა აქაც მოიხვეჭა სახელი.

როცა ამ სტრიქონებს ვწერ, უნებლიედ მაგონდება ჯონ ბრენდი. ეს იმიტომ, რომ სწორედ ამ დილით აგიტატორს წაეკითხა მსმენელთათვის გაზეთ „პრავდის“ რედაქტორისადმი ნინო მაკუშინას წერილი. ეს წერილი ჯონ ბრენდის უიმედო ცხოვრებას გვიხატავს. ლიძაველი კოლმეურნენი, რომლებმაც რუსული შესანიშნავად იციან, მსჯელობდნენ ამ წერილზე. ნუ იტყვით, სად დიმიტრი ჯაკონია და სად ჯონ ბრენდიო. ეს შედარება ნუ გაგაკვირვებთ. მე მათ ერთმანეთს არ ვადარებ. მხოლოდ ვლაპარაკობ ჩვენი საუკუნის ახალგაზრდა ადამიანების ბედზე.

თქვენ დიმიტრი ჯაკონიას იცნობთ. იგი უბრალო საბჭოთა ადამიანია, რომელიც ომის დამთავრების შემდეგ დაუბრუნდა მშვიდობიან ცხოვრებას. გასულ წელს ექვსი ჰექტარი მიწის თვითეულ ჰექტარზე 75,62 ცენტნერი სიმინდი მოიწია, გასამრჯელოდ კოლმეურნეობიდან სამ ტონამდე სიმინდი მიიღო. რამდენიმე ათასი მანეთი და ამას მიემატა მისი საკარმიდამო ნაკვეთის მოსავალიც. მან მშვენიერი ოდა სახლი გამართა და ახლა მშვიდ-არის დაქორწილდეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1942 წელს ჯონ ბრენდი იყო ინგლისის სამხედრო მისიის თანამშრომელი მოსკოვში. აქ მან შეირთო 18 წლის გოგონა, მოაწყო ოჯახი. გაჭირვების დღისათვის დედისეულ ქისაში აგროვებდა შილინგებს. სამი წლის შემდეგ დაბრუნდა ლონდონს. ომის დამთავრებისთანავე გაიხადა ჯარისკაცის ტანისამოსი და სცადა — დაბრუნებოდა მშვიდობიან ცხოვრებას, მაგრამ სამშობლომ მას სიმშილისადმი შიში და მომავლისადმი უიმედობის გრძნობა გაუღვივა.

ჯონ ბრენდი დიდხანს დაეძებდა მისთვის შესაფერ სამუშაოს. რამდენიმე თვის ამაო ძებნის შემდეგ იგი შიმშილმა აიძულა ცარცის დამამზადებელ სახელოსნოში დაეწყო მუშაობა. აქ ბრენდი თავისი ენერგიის დაუზოგავად მუშაობდა და კვირაში ას შილინგს ღებულობდა. ამ ნაოფლარის ნახევარს იგი სამუშაოზე მისვლა-მოსვლასა და თამბაქოში ხარჯავდა. ოცდაათ შილინგს ბინაში ახდევინებდნენ, ხუთი შილინგს სადაზღვევო გადასახადში უბრიდნენ და კვებისათვის თხუთმეტი შილინგი-ღა რჩებოდა.

ჯონ ბრუნდს მალე ეს „ბედნიერებაც“ გამოეცალა ხელიდან. იგი სამუშაოდან დაითხოვეს. უმუშევართა ბირჟებში სიარულით დაქანცულმა, ბოლოს ძლივს დაიწყო მუშაობა საჰაერო თავდასხმის დროს დანგრეულ სახლების აღმდგენელთა ჯგუფში. აქაც არ გაუღიმა ბედმა. ეს დაწესებულება გააუქმეს და ბრენდი ქუჩაში გაისტუმრეს. ამ დროს მას შვილი შეეძინა, მაგრამ ამ სიხარულს ის ანელებდა, რომ საშობიარო სახლისათვის მისაცემი ფული აღარ ჰქონდა.

სამშობლომ, რომლისთვისაც ის ოფით ხელში იბრძოდა, დემობილიზაციის შემდეგ, მის ოჯახს შიმშილით

სიკვდილი გაუმზადა. ოჯახი დაიშალა. ჯონ ბრენდი დარჩა ისე მარტოდ თავისი მარჯვენის ამარა. სამუშაოს ძებნაში მას ალბად ღონეც გამოელევა და მერე სამათხოვროდ გაიშვერს ხელებს.

აი ეს მოუთხრო აგიტატორმა თავის მსმენელებს და მისმა საუბარმა მეც დამაინტერესა.

დიმიტრი ჯაკონია!

რა ამაყად დგას ეს მაღალი, ფერხორცით სავსე ვაჟკაცი და როგორი გამოჩნდება სიღარიბით წელმოწყვეტილი ჯონ ბრენდი, მის გვერდით რომ დავაყენოთ!

*
* *

ინკიტას ტბის ლაქაშს მცირე ქარიც კი შეაშრიალებს. ტბა მდიდარია თევზით და მის ნაპირზე ჩამწკრივებულ ნავებში ცოცხალი ღლავები მუდამ ფართქალებენ.

ტბასთან ახლოს გაშლილია ტორფის ნინდორი. კომინტერნის სახელობის კოლმეურნეებმა ეს ტორფი გამოიყენეს სიმინდის მოსავლის გასადიდებლად.

მარტო გუბაზმა თავის 3,85 ჰექტარ მიწაზე რამდენიმე ათეული ურემი ტორფი შეიტანა და მოაღონიერა.

სიმინდმა მაშინვე ტანი აიყარა, მაგრამ უწყლობამ დაჩაგრა.

— მატრონა, თქვენს სიმინდს ფრთები აქვს ჩამოყრილი, წყურვილი ახრჩობს, რას იტყვით?!

ჰკითხა ერთხელ კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ბენო ხუხუნმა.

— მეც ფიქრი მაღრჩობს, რა ვქნა, ნეტავი შემეძლოს კოკით მივზიდავდი წყალს.

— კოკით! — და გაიღიმა თავმჯდომარემ.

— მესამეჯერ გავთოხნე, მიწა გავაფხვიერე, ყანაში არც ერთი ძირი ბალახი არ არის. ახლა წუნწუხი რომ მოვასხა, ნეტავი თუ არგებს?

— მეც ეგ უნდა მეთქვა, არგებს რომელია, გამოაცოცხლებს და შენთანა მოსავალი ამ სოფელში არავის ექნება.

მატრონა სიხარულმა წამოანთო. კოლმეურნეობის თავმჯდომარეს მადლობა გადაუხადა და ბოსლისკენ წავიდა.

მეორე დღეს წუნწუხი აჟიებდა სიმინდის დაწითლებულ ძირებზე მიყრილ მიწას. მატრონა ჩალის ფართო ქუდით პეპელასავით დასტრიალებდა ყანას და შეძახილებით ახალისებდა თავის რგოლის წევრებს.

საღამოთი, როცა მზე ჩავა და ბინდი მოეფინება ლიძავას გორაკებს, მატრონა სტოვებს ყანას და შინ მიდის. ის გზაზე მოიფიქრებს ხოლმე, თუ რა უნდა გააკეთოს ხვალ, რომელ ნაკვეთს რა სჭირდება, გათოხნა თუ სიმინდის შეთხელება და მერე გათენებისთანავე დაეცემა ყანას. სანამ ცვარი გაშრებოდეს, მას უკვე დღიური საქმე წინ აქვს წაგდებული და ამიტომაა გეგმას ყოველთვის გადაჭარბებით ასრულებს.

შუა დღისას, როცა პაპანაქებაა, მატრონა ჩრდილში ისვენებს და ალერსით გაჰყურებს ყანას, რომელსაც სხივები აზიმზიმებს. იგი უცქერის ღამით გაზრდილი ფოთლები, თუ როგორ მაგრდებიან მზეზე და ემატებათ სიცოცხლის ძალა.

საღამოთი სკოლის ეზო ახალგაზრდებით გაივსება ხოლმე. მათი ტაშფანდურის ხმა შორს მიაქვს ზღვაურს და სიხარულად ფენს მთელ სოფელს. მგრგვინავი აფხაზური „აურა“ საზეიმოდ მოუხმობს ყველას. მაგრამ მასწავლებელ ტატიანა ატირბას, გიტარის წკარუნი და მომჯადოვებელი ხმა სულ სხვაა. მისი სახუმარო სიმღერები სიხარულის მომგვრელია.

მატრონა გუბაზი დასევდიანებულია. მისი ძმა ფრონტზე ვაჟკაცურად დაეცა. მატრონა ახლა კედლის ხალიჩაზე დაკიდებულ ძმისეულ ქამარ-ხანჯალს რომ შეხედავს, თვალები ცრემლით

ევსება. სოფლის გასართობებზე სიარულს ის საერთოდ ერიდებოდა, მაგრამ ატირბას სიმღერები მას სევდას უნელებს. ამიტომაა ისიც აქ მოსულა, მოლზე მოუკეცია და კოლმეურნეობის ზარმაც წევრზე სიმღერისას ეღიმება, იცინის.

ატირბა აფხაზურად მღეროდა. მე მითარგმნეს მისი ლექსი და უადგილო არ იქნება აქაც მოვიყვანოთ მისი ნაწყვეტი, როგორც ნიმუში ხალხური სატირისა. კოლმეურნეობის ზარმაც წევრს საერთო კრებაზე კიცხავენ. მას ეკითხებიან რატომ არ გამოხველ ამ კვირას სამუშაოთო. ის თავს იმართლებს, აი მისი პასუხიც.

ორშაბათს ავად ვიყავი, სამუშაოდ ვერ
გამოველ.
სამშაბათს, გულის გადასაყოლებლად,
ბაზარში წაველ.
იქ ღვინო დავლიე და ცოტა მეტი მომივიდა
ოთხშაბათს ნამთვრალევი ლოგინში
ვშუშდებოდი, —
ხუთშაბათს სიძემ დამპატიჟა და უარს
როგორ ვეტყოდი,
პარასკევსაც იქ დავრჩი, რადგან აღარ
გამომიშვეს.
შაბათი ხომ შაბათია, ბანვა გინდა და
დარეცხვა.
რომ კვირა დღეს სუფთად კაცმა დაისვენო,
მოილხინო.

ასეთი თითო-ოროლა წევრი ბევრ კოლმეურნეობაშია და ეს ხალხური იუმორიც მათ წინააღმდეგაა მიმართული.

თუ სადმე გართობა და ტაშ-ფანდურია, ზარმაცები პირველნი მოვლენ იქ, მაგრამ ლიძავაში ატირბას სიმღერას ვერ უძლებენ. გუბაზი ერთ ახალგაზრდა კაცს, რომელიც ნელა მიიპარებოდა ღიმილით მისჩერებოდა, მე დამაინტერესა, ზარმაცი ხომ არ არის მეთქი, და ვკითხე:

— სად წავიდა ის კაცი, ზარმაცი ხომ არ არის.

— არა, მაგრამ ცოტა აქვს შრომა

დღეები, მოიზარმაცებს და გულზე მოხვდა.

ლიძავას გორაკებზე შეფენილ სახლებში უკვე ლამპები აენთო. სკოლის ეზოც დაცარიელდა, გართობის შემდეგ ყველამ სახლებს მიაშურა.

მახლობელ ყანებიდან და ბუჩქებიდან ატყდა მწიფობლების მოძახილები. ისინი მოუხმობდნენ: მალე დამწიფდეს სიმინდი, ყურძენი, რომ გლეხის კალთაში ხვავი და ბარაქა დატრიალდეს.

შემოდგომაზე, გუბაზის კალო სამ ოთხ ალაგას იდგა და როგორც მზით ჯასხივოსნებული ბორცვები, ყვითლად ზიმზიმებდა. მან თავის ნაკვეთს თვითეულ ჰექტარზე 76,55 ცენტნერი სიმინდი მოიწია.

მაგრამ ეს ცოტაა. მატრონა გუბაზის ფიქრები უფრო შორს მიდის. მან იცის, რომ მიწას შეუძლია უფრო მეტის მოცემა. თუ ამერიკის შეერთებულ შტატებში ფერმერმა პაულ პიპედიმ 120,2 ცენტნერი სიმინდი მიიღო ოთხი ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე, რატომ მას არ შეუძლია ამაზე გაცილებით მეტი მოსავალი მიიღოს?!

შეუძლია, როგორ არა!

აი გალის რაიონიდან სოციალისტური შრომის გმირმა დ. როგვავამ გაცილებით მეტი სიმინდი მიიღო ვიდრე პაულ პიპედიმ. როგვავამ ექვსი ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 136,3 ცენტნერი სიმინდი მოიწია.

კოლმეურნე როგვავამ ამერიკელ ფერმერ პიპედის აჯობა.

და მატრონა გუბაზის ფიქრიც იმას უტრიალებს, რომ ორივეს აჯობოს.

შეჯიბრებაა, ნამდვილი შეჯიბრება!

V

დიდების საქმე

როცა სოციალისტური შრომის გმირი პროკოფი სვანიძე გავიცანი თვალწინ წარმომიდგა ბრაზილიის გამოჩენი-

ლი მწერლის ჟორჟ ამადუს რომანის „ოქროს ნაყოფიანი მიწის“ გმირები, რომლებსაც კაკაოს პლანტაციებში არაადამიანური ჯაფით სული ხდებათ.

მათ არავითარი მისწრაფება არა აქვთ მუშაობისადმი, სრულებით არ აინტერესებთ, მოსავალს ბევრს მოიწევენ თუ არა, რადგან მათ ამ ჭირნახულს არავინ არ აძლევს. ეს მოსავალი ახარებთ მათ, რომელთაც პლანტაციები თვალითაც არ უნახავთ. Rომანის ერთ-ერთი გმირი სევდიანად მღერის ფართოდ გავრცელებულ სიმღერას:

მზის ამოსვლიდან ჩასვლამდე
პლანტაციაში ვმუშაობ.
დე უხვი მოსავალი მოვიდეს,
მერე რაა! იგი არც გამახარებს
და არც მაცხოვრებს.

პროკოფი სვანიძეც პლანტაციაში მომუშავეა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ სვანიძე არის საბჭოთა ადამიანი და საბჭოთა „... მშრომელი ადამიანი პატივისცემითაა გარემოსილი. აქ იგი მუშაობს არა ექსპლოატატორებისათვის. აქ მშრომელი ადამიანი თავს მიგიწყებულად და განმარტოებულად ვერ იგრძნობს. პირიქით, მშრომელი ადამიანი ჩვენში თავს გრძნობს თავისი ქვეყნის თავისუფალ მოქალაქედ, თავისი დარგის საზოგადო მოღვაწედ. და თუ იგი კარგად მუშაობს და საზოგადოებას აძლევს იმას, რის მიცემაც შეუძლია, ის შრომის გმირია, იგი დიდებითაა მოსილი“ (ი. ბ. სტალინი).

ამიტომაა საბჭოთა ადამიანი გატაცებით მუშაობს. იგი დაუღალავად იბრძვის უხვი მოსავლისათვის, რადგან მან იცის, რომ ეს მოსავალი, როგორც მისთვის ისე მისი სამშობლოსათვის ბედნიერების მომტანია.

მშრომელი ადამიანი!

რა ამაყად ჟღერს ეს ორი სიტყვა.

ამადუს გმირები, რომლებიც გამყვლეფელთა უღელში გმინავენ, რაც უნდა დიდი მოსავალი მოიყვანონ, მაინც სიმშილის წინაშე ძრწიან, ასეთი ულმობელია ადამიანის მმართველ-კაპიტალისტური წყობილება.

ბიბლიოთეკა

პროკოფი სვანიძე, სწორედ იმ წელს დაიბადა, როცა კაპიტალისტური სამყარო პირველ მსოფლიო ომმა შეაზანზარა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისას იგი ბავშვი იყო, ძაგრამ ახსოვს თუ რა ბევრს მუშაობდა მამა და ხშირად ლუკმა პური არ ჰქონდათ. ახლა კი პროკოფი წელიწადში მარტო კოლმეურნეობიდან ორ ტონა სიმინდს ღებულობს. ეს მაშინ, როცა მის ოჯახს საზრდოდ ერთი ტონაც ჰყოფნის.

ცაგერის ხრიოკი მიწა მოსავალს არ იძლეოდა. პროკოფმა ფუძე გადაინაცვლა. იგი საქართველოს უმშვენიერეს კუთხეში გაგრის რაიონის სოფელ განთიადში დასახლდა. ეს იყო ამ რვა წლის წინათ. ახლა რომ შეხვიდეთ პროკოფის ეზოში ძველი მოსახლე გეგონებათ, ისე აუყრიათ ტანი მანდარინის და ლიმონის ხეებს, ხოლო ევკალიპტებს კენწეროები ცისთვის მიუბჯენიათ.

პროკოფი სვანიძე თავისებური კაცია, დინჯი, საქმეში ჩახედული, გამრჯე და ინიციატივიანი. კოლმეურნეობის კრებაზე ისე არ გამოვა, რაიმე სასარგებლო წინადადება არ წამოაყენოს. ის სოფელში გამომგონებელიცაა და გასაკვირველიც არ არის, რომ ყველა პატივისცემით და სიყვარულით ეპყრობა.

— ხვალ უნდა დაიწყო ჩითილების გადარგვა! — ეუბნება კოლმეურნეობის თავმჯდომარე მერგოლურს.

— არა, ჯერ ადრეა! — მერგოლური ყოყმანობს, უარზეა. მაშინ თავმჯდომარე პირდაპირ ეუბნება:

— პროკოფიმ გუშინ უკვე ნახევარზე მეტი გადარგო.

— მაშ დრო ყოფილა! — უცებ რწმუნდება მერგოლური.

— პროკოფის თამბაქოს ოცდათვრამეტი ფოთოლი აქვს.

— ის ისე უვლის, რატომ ორმოცდაათი არ ექნება.

პროკოფი ბრიგადირია. მისი თამბაქოს პლანტაცია თერთმეტ ჰექტარზეა გადაჭიმული. პროკოფს შესწავლილი აქვს თვითეული ნაკვეთი, მან იცის რომელი მხარის ნიადაგს როგორი დამუშავება უნდა და ამის მიხედვით ანაწილებს შრომას. ნიადაგში სასუქი თავის დროზე შეაქვს, სწრაფად, საჭიროებისთანავე თოხნის, ამიტომაა მის თამბაქოს მტკაველნახევარი ფოთოლი აქვს და ისიც ყველა პირველი ხარისხის.

მას ჰექტარზე ექვსცენტნერნახევარი თამბაქო უნდა მიეღო. ასეთი ჰქონდა გეგმა, მაგრამ იგი ამით როდი დაკმაყოფილდა. როგორც მებრძოლი, ინიციატივიანი ადამიანი, დაუღალავად შეუდგა გეგმის გადაჭარბების შესრულებისათვის შრომას.

და აი პირველად გაგრის მიწაზე მან მოიყვანა 22 ცენტნერი თამბაქო. გეგმა და მისი ნორმები მოიტოვა შორს, იგი გახდა „თავისი დარგის საზოგადო მოღვაწე“.

ამ მიღწევებზე პროკოფი არ ჩერდება. მას გააჩნია წინსვლის ურყევი რწმენა. მისი მარჯვენა და გონება იპყრობს ნიადაგს და აიძულებს მას, რაც შეიძლება მეტი მოსავალი მისცეს.

პროკოფი სვანიძე საამურად ცხოვრობს, მაგრამ მაინც იბრძვის იმისათვის, რათა ბევრი თამბაქო, სიმინდი და ციტრუსები მოიწიოს.

ამადუს გმირებს შიათ, ისინი ძრწიან შიმშილით სიკვდილის წინაშე, მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც არავითარი სურვილი არა აქვთ იმისა, ბევრი ჭირნახული მიიღონ, რადგან იციან, რომ ჰექტარზე ხუთ ცენტნერ კაკაოს მოიწევენ თუ ხუთჯერ ხუთს, სულ ერთია მათთვის, ისინი მაინც დაშაქრული კაკაოს მონატრული იქნებიან.

მაგრამ მათ წამებულ გულში იმედიანად ანათებს თავისუფლებისათვის ბრძოლის ნაპერწკალი, ისინი იბრძვიან და შორს არ არის ის დრო, როცა პროკოფი სვანიძეს მსგავსად იტყვიან:

„ბევრს ვიმუშავებ, ბევრს მივიღებ“.

VI

სიტყვა საქმედ იქცევა

ქალაქის უზარმაზარი საათის ისარი ექვსის ნახევარზე მივიდა. მუშა-მოსამსახურენი გამოეფინენ ქუჩებში. ყველა შინისაკენ მიიჩქარის. დაიცალა რაიკომის შენობაც. ამხ. გეთიას ჯერ არ ეჩქარება. იგი ფრონტელ ამხანაგს ბარათსა სწერს.

როცა კაბინეტში შევედი, ის იყო ტელეფონმაც გაიწკარუნა. შოთამ მილაკი აიღო. მას რომელიღაც კოლმეურნეობიდან ეძახდნენ...

— მიწა თოხს არ იკარებს? ხმელია? ეს მიზეზი არ არის. მიუშვი წყალი და ის შენი ხმელი მიწაც გალხვება. ამ დროს შარშანაც გვალვა იყო, მაგრამ მოსავალი ხომ მოვიყვანეთ. ცას ნუ ელოდები. აამუშავე თავი, ხელი და რაც არ არის, ის იქნება. ჰო, დიახ, ასე, ნახვამდის, ბოდიში!

მილაკი დასდო, ფანჯრიდან გაიხედა და სინანულით სთქვა:

— ცას ისეთი პირი უჩანს, რომ წვიმას არც კი აპირებს. ყანები უნდა მოირწყას. ჩვენთან მიწა არასოდეს არ მოურწყავთ. შარშან ვცადეთ, კარგი შედეგი გამოიღო. წელს წესად უნდა შემოვიღოთ. ბევრი არ მეთანხმება, მაგრამ... ცა რომ წვიმას არ გამოუგზავნის, მერე რას იტყვის.

შოთამ ბარათი კონვერტში ჩადო და წუთით შეცბა მას ფრონტის დღეების მოგონებები წამოეშალა.

— ეს ბარათი დიმიტრი ჭეიშვილს ეკუთვნის. ახ, რომ იცოდეთ, რა ოქრო კაცია — და მოჰყვა შოთა ფრონტზე განცდილი დღეების ამბებს.

— ჭეიშვილივით მამაცი კაცი ჯერ არ შემხვედრია. ფრონტზე ის ანსახიერებდა ნამდვილ გურულ სიმკვირცხლეს და მტრისადმი შეუპოვრობას. ის პოლკის პარტორგი იყო. საჭიროებისამებრ კრებას ყველგან ატარებდა, სანგრებში იქნებოდა ის თუ სახლის ნანგრევებში, სულ ერთი იყო. მის რიხიან, ვაქკაცურ ლაპარაკს ყველა სულგანაბული უსმენდა. ახლაც თვალწინ მიდგას ერთერთი პარტიული კრება, რომელიც დანგრეულ სადგურის დარბაზში ჩატარდა. დიმიტრი აკეთებდა მოხსენებას თემაზე „არც ერთი ნაბიჯი უკან“. ლაპარაკში ეტყობოდა გურული სიფიცხე, ზარის გუგუნივით გაისმოდა მისი სიტყვები... როგორც პოლიტგანყოფილების ინსტრუქტორი, მეც ვესწრებოდი ამ კრებას, შუა ლაპარაკში იყო დიმიტრი, როცა „მესერშმიტმა“ გაიზუზუნა და ყუმბარები დააყარა სწორედ იმ შენობას, რომელშიც ჩვენ ვისხედით. ჰაერის ტალღამ კარები შემოლეწა. ის ორიოდე მინაც, რომელიც ფანჯარას შერჩენოდა, ნამსხვრევად აქცია, ხოლო ყუმბარების ნამტვრევებმა კედელი დაცხრილა. ერთს მეორე ყუმბარა მოჰყვა. შეგვამჩნიეს. ნიშანში გვიღებენ, მაგრამ ჭეიშვილს წარბიც არ შეუხრია. მან მხოლოდ ხმას აუწია. მისი სიტყვები ყუმბარის გუგუნზე უფრო მტკიცედ გაისმოდა. ყველანი ამ კაცს შევყურებდით. იგი შეტევისაკენ მოგვიწოდებდა. მან მოხსენება დაამთავრა, ოფლი მოიწმინდა. კომუნისტებს მშვიდად გადახედა, თითქოს კიდევაც გაიღიმა და ომახიანად დაიძახა: ვისა გსურთ სიტყვა. ამ დროს ატყდა ისევ სროლა. რამდენიმე კომუნისტმა ასწია ხელი და სიტყვა ითხოვა. ამ მოუსვენარ დროსა და ადგილში კრება მშვიდად, საქმიანად ჩატარდა. მეორე დღეს კიდეც დაიწყო შეტევა, — მითხრა ამხ. გეთიამ და კონვერტს მისამართი დააწერა.

— კიდევ ერთი ეპიზოდი, — დაიწყო მან, — გერმანელების შეტევის დროს ყუმბარამ გემი დაამსხვრია. ჭეიშვილმა პოლკის დროშა თავზე ყაბალახივით შემოიხვია, შიგ თავისი პარტიული ბილეთი ჩასდო და მტრის კლანჭებში ჩავარდნას ზღვაში გადავარდნა არჩია. ტალღებს მიენდო. ერთი საათის ცურვის შემდეგ ნაპირზე გამოვიდა, სადაც ჩვენები იდგნენ და პოლკის ღირსება — აბრეშუმის მეწამული დროშა გასაშრობად გაფინა. ასეთი იყო ჭეიშვილი. მე მას ხშირად მოვიგონებ ხოლმე და ბარათებით ვესაუბრებით ერთმანეთს.

საღამოს ბინდი ეშვებოდა ზღვაზე, როცა ქალაქის ბაღში გამოვედით. იქ მაღალ პალმის ქვეშ ერთი მოხუცი კაცი იჯდა და გაჰყურებდა მოშარიშური ზღვას. თეთრად ანათებდა მისი მკერდამდე დაფენილი წვერი, მე მის გვერდით სკამზე დავჯექი. მოხუცმა გეთიას მაგრად ჩამოართვა ხელი და სთხოვა დამჯდარიყო. მოხუცი დარბაისელი კაცი აღმოჩნდა, ძველი რევოლუციონერი. გეთიას მამის სიყრმის ამხანაგი. იგი აღტაცებული იყო ზღვით, გვახარა გულის ტკივილი დამიამდაო და ჭამის მადაც მომემატაო.

როგორც საერთოდ მოხუცებს სჩვევიათ, ლაპარაკში იმანაც მოიგონა წარსული, შეაქო მისი რევოლუციური გამბედაობა, მოწიწებით გაიხსენა შოთას მამა, დიმიტრი გეთია, რომელიც გლეხთა აჯანყების მოწყობისათვის 1905 წელს ჟანდარმებმა მოკლეს, ხოლო მისი კარმიდამო ცეცხლს მისცეს.

— შენ მაშინ ერთი წლისა იყავი და აბა რა გემახსოვრება, — უთხრა მოხუცმა შოთას, — ნაბადში შეგახვიე და სამშვიდობოს გაგიყვანე. იმ ჟანდარმებს ჩვენმა რაზმმა დედა უტირა, მაგრამ გვიან იყო, აღარ გვყავდა დიმიტრი. კაცი მართალი, გამრჯე და პურმარილიანი. აკი სამართლისათვის ბრძოლას შეეწირა კიდევაც. გაუხარელი ჩა-

ვიდა მიწაში. ახლა რომ იყოს, ხომ გაიხარებდა ის უბედური!

დიდხანს ლაპარაკობდა მოხუცი. მისმა სიტყვებმა გააცოცხლა წარსული. ისტორიის სახელმძღვანელოს ფურცლებივით მის მადლიან სიტყვებს შრიალი გაუდიოდა.

ღამით გეთიას ისევ რაიკომში შევხვდი. უკვე გვიან იყო. იგი მაგიდას უჯდა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ბრძანებულებებს კითხულობდა მიმდინარე წლის უხვი მოსავლის მიღებისათვის ჯილდოების მინიჭების შესახებ.

— ჩვენმა რაიონმა წელს გაცილებით მეტი თამბაქო და სიმინდი უნდა მიიღოს, — შემაგება მან. — ამის სტიმულს ეს ბრძანებულება იძლევა. ჩვენ ათასორმოცდაათი ჰექტარი სამსუნის ჯიშის თამბაქოს ნარგავის თვითეულ ჰექტარზე ცხრანახევარი ცენტნერი მოსავალი უნდა მივიღოთ. ასეთი პირობა მისცეს საყვარელ ბელადს ჩვენი რაიონის კოლმეურნეებმა. როგორც შარშან ისე წელსაც ისინი თავიანთ სიტყვას საქმედ აქცევენ.

— წელს სულ სხვანაირადაა საქმე. — განაგრძო მან, — თუ შარშან ჩვენმა სოციალისტურმა შრომის გმირებმა ჰექტარზე 73-75 ცენტნერი სიმინდი მიიღეს, წელს მათ პირობა დასდეს ჰექტარზე ოთხმოცი ცენტნერზე მეტი მოიწიონ. ამისათვის შეჯიბრების ცეცხლი ყველგან დაენთო. კოლმეურნეობები, ბრიგადები და რგოლები ურთიერთს ეჯიბრებიან და ხომ მოგეხსენებათ შეჯიბრების ძალა.

გრიგოლ დოლბაია მისთვის ჩვეული რიხით მოგვესალმა: ხელში ეკავა ქაღალდების მთელი შეკვრა, რომელიც მაგიდაზე დასდო თუ არა, ფურცლები მაშინვე გაიშალა.

ეს ნახევრადდაჭმუჭნული ფურცლები ლაპარაკობენ კოლმეურნეობათა ვალდებულებებზე. აი რას წერდნენ: სოფელ განთიადის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრები: „ჩვენ თერთმეტ ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე ოცდაათ ცენტნერ თამბაქოს მოვიწევთო. ხოლო კოლმეურნეობა „ლენინის ხსოვნიდან“ სწერდნენ თექვსმეტ ცენტნერ თამბაქოს მოვიწევთ ორმოცდაათ ჰექტარ ფართობის თვითეულ ჰექტარზეო.“

გეთიამ ყველა ეს ვალდებულებანი გადაათვალიერა. იგი დარწმუნებული იყო, რომ კოლმეურნეები სიტყვას საქმედ აქცევდნენ.

ამ ქაღალდებში იყო ბოლშევიკური სიტყვა, რწმენა და საქმე.

1948 წ. აპრილი—მაისი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბესარიონ ჭლენგი

ლეო ქიაჩელი

★

საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობა შეუდგა ლეო ქიაჩელის თხზულებათა სრული კრებულის გამოცემას. უკვე ჩვენს ხელთ არის პირველი ორი ტომი. დანარჩენი ტომების გამოცემაც უახლოესი დროის საქმეა. ჩვენს თვალწინ მთელი სისავსით გადაიშლება ერთერთი საუკეთესო ქართველი ბელეტრისტის ვრცელი და უაღრესად ნაყოფიერი შემოქმედებითი გზა, მრავალი რთული წინააღმდეგობით აღბეჭდილი და ამ წინააღმდეგობათა დაძლევით თანმიმდევრულად აღმავალი სოციალისტური რეალიზმის მაღალი შემოქმედებითი პრინციპებისაკენ.

ლეო ქიაჩელმა განსაკუთრებული სისრულითა და მრავალმხრივობით ასახა ქართველი ხალხის ისტორიული ცხოვრების უმნიშვნელოვანესი მოვლენები მეოცე საუკუნის მანძილზე. მის კალამს ეკუთვნის ქართული ლიტერატურის საუკეთესო ნაწარმოებები ჩვენი საუკუნის დამდეგის უდიდესი ისტორიული მოვლენის — 1905 წლის რევოლუციის თემაზე. ქართველი ხალხის თავდადებულმა განმათავისუფლებელმა ბრძოლამ რუსეთის პირველი რევოლუციის წლებში ყველაზე მკაფიო მხატვრული განსახიერება ლეო ქიაჩელის „ტარიელ გოლუაში“ ჰპოვა.

1905 წლის რევოლუციის დამარცხებით ფრთაშესხმული შავი რეაქციის ძძვინვარების წლებში ჩვენი ხალხის ცხოვრებისა და ბრძოლის ასახვას მიუძღვნა ლეო ქიაჩელმა თავისი მრავალმხრივად საყურადღებო რომანი „სისხლი“. ჩვენს ქვეყანაში, საბჭოთა წყობილების გამარჯვება და ამ ნიადაგზე რეაქციული კლასების სასიკვდილო განწირულება ასახულია ლეო ქიაჩელის მთელ რიგ ნოველებსა და მოთხრობებში; ლენინ-სტალინის დიადი ეპოქის გარდამქმნელი და ხალხის ცხოვრების ამაღორძინებელი ძალა უღრმესი სიმართლით გამოხატა მწერალმა თავის უმნიშვნელოვანეს ნაწარმოებში „გვადი ბიგვაში“. ეს რომანი მთელი მრავალეროვანი საბჭოთა ლიტერატურის ერთერთი საუკეთესო შენაძენია სოფლად სოციალისტური ცხოვრების დამკვიდრების, საკოლმეურნეო წყობილების საბოლოოდ გამარჯვების ასახვის საქმეში.

ცხოველი გამოძახილი ჰპოვა ლეო ქიაჩელის შემოქმედებაში საბჭოთა ხალხის დიადი სამამულო ომის ეპოპეამ. ამ თემაზე დაწერილ მაღალმხატვრულ ნოველების შემდეგ მწერალმა თავის ახალ რომანში „ჯოტოს მამა“ შთაგონებულად აღბეჭდა სამამულო ომისა და კერძოდ კავკასიის დაცვის მგზნებარე დღეებში ჩვენი ხალხის მიერ გამოჩენილი სწორუპოვარი გმირობა და ვაჟკაცობა, სოციალისტური სამშობლოსადმი საბჭოთა ადამია-

ნის თავდადებული ერთგულება, მისი მაღალი შეგნება, მორალური სისპეტაკე და კეთილშობილება.

თემატიური დიაპაზონის ასეთი სიფართოვე, შემოქმედებითი ინტერესების ასეთი დაკავშირება თანამედროვეობასთან, სოციალური სინამდვილის უმნიშვნელოვანეს მოვლენებთან, განსაზღვრავენ, პირველ ყოვლისა, ლეო ქიაჩელის შემოქმედების ღირსებასა და ძალას. ამასთანავე ლეო ქიაჩელი მხატვრული თხრობის პირველხარისხოვანი ოსტატთაგანია უახლოეს ქართულ ლიტერატურაში. მისი ყოველი ნაწარმოები მძაფრად დრამატიზირებულია, ძკვეთრს კომპოზიციურ ყალიბში მოქცეულ სუჟეტს შეიცავს. მწერალი ფლობს ყოფა-ცხოვრებითი სურათების იშვიათი ცხოველმყოფელობით ხატვის ოსტატობას. მაგრამ ლეო ქიაჩელის, როგორც ჩვენი დროის გამოჩენილი რეალისტი მხატვარის ნიჭიერება ყველაზე მკაფიოდ ღრმად ინდივიდუალურ ადამიანურ ხასიათთა გამოხატვაში, დიდი განზოგადოებითი ძალის ტიპიურ სახეთა ცოცხლად გამოძერწვაში ვლინდება.

ლეო ქიაჩელის რომანებისა და ნოველების გმირებს „უბრალო ადამიანები" წარმოადგენენ. ხალხის წიაღში წარმოშობილი და აღზრდილი ჩვეულებრივი, რიგითი ადამიანების სახეთა მეშვეობით გამოხატავს მწერალი ეპოქის დამახასიათებელ სოციალურ პროცესებს, თანამედროვეობის დიად ძვრებს.

მწერალი ფლობს თავისი გმირის სულიერ სამყაროში ღრმად ჩაწვდომის, მისი ყოველი კუნჭულის დანახვისა და მზის სინათლეზე გამოტანის იშვიათ ძალას. ლეო ქიაჩელის თხზულებათა პერსონაჟები წარუშლელი სიმკვეთრით აღიბეჭდებიან და დაუვიწყარი ძალით ცოცხლობენ მკითხველის მეხსიერებაში; ეს იმიტომ, რომ მის მიერ შექმნილი სახეები ერთსადაიმავე დროს სისხლხორცით სავსე ნამდვილად ადამიანურ ხასიათებსაც წარმოადგენენ და გარკვეული სოციალური ფენების ბუნების გამომხატველ ტიპებსაც.

მწერალს ღრმად შეუსისხლხორცებია მშობლიური კლასიკური ლიტერატურის საუკეთესო ტრადიციები: ხალხურობა, მაღალი იდეურობა და შემოქმედებითი აზრის აქტუალობა, შეგნებული მისწრაფება ბუნებრივობისა, სისადავისა და მხატვრული სიმართლისაკენ. ლეო ქიაჩელის შემოქმედებაში არაფერია ნაძალადევი, ხელოვნური განზრახ გართულებული. მის საუკეთესო ქმნილებათა ფურცლებზე აღდგენილია ცოცხალი სინამდვილე, ცხოვრების მართალი სურათები, გაშუქებულნი ეპოქის მოწინავე ადამიანის მისწრაფებათა და ინტერესების თვალსაზრისით. „ორიგინალმანიისა" და მანერულობის შეურიგებელი მტერი, იგი ასეთივე თავგამოდებით უკუაგდებს ყოველგვარ შტამპსა და ტრაფარეტს. ცხოვრების ღრმა ცოდნა, დაკვირვების იშვიათი უნარი, სინამდვილის სიმართლით ხატვისაკენ შეუნელებელი სწრაფვა აძლევს ქიაჩელის ნაწარმოებს, მის მიერ შექმნილ სახეებს ჭეშმარიტ ორიგინალობის, განუმეორებელად ინდივიდუალურ ელფერს.

ლეო ქიაჩელის შემოქმედებითი ბიოგრაფია, რომელიც თითქმის ორმოცი წლის მანძილზეა გადაშლილი, განუყოფელად არის დაკავშირებული რევოლუციური მოძრაობის აღმავლობასთან, ჩვენს სამშობლოში სოციალისტური წყობილების, ახალი ცხოვრების დამკვიდრების ეპოპეასთან.

როგორც ქართული რევოლუციამდელი მწერლობის სხვა საუკეთესო წარმომადგენლებმა, ლეო ქიაჩელმაც თავისი შემოქმედებითი ინდივიდუალობის სრული გამოვლინება მხო-

ლოდ საბჭოთა ეპოქაში, კერძოდ ჩვენი საუკუნის ოცდაათიანსა და ორმოციან წლებში შესძლო.

ჩვენი თანამედროვეობის დიადი იდეების, საბჭოთა ხალხის მსოფლმხედველობის ღრმად ათვისებამ, სოციალისტური სინამდვილის თემატიკის დაუფლებამ შეაქმნევია ლეო ქიაჩელს ფართო საზოგადოებრივი რეზონანსის სრულფასოვანი ნაწარმოებნი, რომლებიც ღირსეულად აგვირგვინებენ მის ვრცელსა და მდიდარ შემოქმედებით გზას.

2

ლეო ქიაჩელი (ლეონ მიხეილის-ძე შენგელაია) დაიბადა 1884 წლის 7 (20) თებერვალს ზუგდიდის მაზრის სოფელ ობუჯში. მისი ბავშვობისა და სიჭაბუკის წლებმა ჩვენი ქვეყნის ცხოვრების უაღრესად მნიშვნელოვან მოვლენათა გარემოცვაში განვლეს. ეს ის ხანა იყო, როცა ქართველი მშრომელი ხალხი დღითი-დღე მზარდი მასშტაბით ებმებოდა რევოლუციურ მოძრაობაში და თავგამოდებით ირაზმებოდა თვითმპყრობელობაზე, კაპიტალისტურ-მემამულურ წყობილებაზე იერიშის მისატანად. რუსეთის გმირული პროლეტარიატის მიერ დაწყებული დიადი კლასობრივი ბრძოლები ცხოველ გამოძახილს პოულობდნენ საქართველოში. ყალიბდებოდა მუშათა კლასის რევოლუციური ავანგარდი, იქმნებოდა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები, ხანგრძლივი სოციალური და ეროვნული ჩაგვრისაგან თავდაღწევის იმედით აღფრთოვანებული ქართველი ხალხის გამანთავისუფლებელი მოძრაობა ლენინურ პოზიციებზე გადაყავდა საქართველოსა და ამიერ-კავკასიის ხალხთა ახალგაზრდა ბელადს ამხანაგ სტალინს.

გასული საუკუნის მიწურულისა და ჩვენი საუკუნის დამდეგის იმ დიად ისტორიულ მოვლენათა ზემოქმედებით ყალიბდებოდა ლეო ქიაჩელის ჭაბუკური შეგნება, ისახებოდა მომავალი მწერლის მსოფლმხედველობა, მისი საზოგადოებრივი იდეალები.

ჯერ კიდევ ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის მოწაფე იგი გაიტაცა რევოლუციურმა იდეებმა, მარქსისტულმა მოძღვრებამ. სხვა მოწინავე მოსწავლეებთან ერთად ლ. ქიაჩელი გატაცებით ჩაება არალეგალური წრეების მუშაობაში. იგი იყო 1904 წელს ქუთაისის მოწაფეთა პოლიტიკური გაფიცვის ერთერთი ხელმძღვანელი.

გიმნაზიის დამთავრების შემდეგ ლეო ქიაჩელი ხარკოვის უნივერსიტეტში შევიდა იურიდიულ ფაკულტეტზე, მაგრამ მისი სტუდენტობა ხანმოკლე გამოდგა. 1905 წლის რევოლუციურ ბრძოლებში სტუდენტობის მასობრივი ჩაბმით დამფრთხალმა, თვითმპყრობელურმა მთავრობამ სხვა უმაღლეს სასწავლებლებთან ერთად ხარკოვის უნივერსიტეტიც დახურა. ლეო ქიაჩელი სამშობლოში დაბრუნდა. საქართველო ამ დროს რევოლუციურ ბრძოლის ქარცეცხლში იყო გახვეული. ლეო ქიაჩელი ჭაბუკური აღფრთოვანებით ჩაება ამ ბრძოლაში და დასავლეთ საქართველოში რევოლუციური მოძრაობის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე გახდა.

1906 წელს იგი დააპატიმრეს რევოლუციური მოღვაწეობისათვის და ქუთაისის საგუბერნიო ციხეში მოათავსეს. 1907 წელს სოციალ-დემოკრატიულმა ორგანიზაციამ ქუთაისის ციხეში გვირაბი გაიყვანა პოლიტიკურ პატიმართა განთავისუფლების მიზნით, რომელთაც განსაკუთრებით მძიმე სასჯელი მოელოდათ. ამ გზით ციხიდან გაქცეულთა შორის იყო ლეო ქიაჩელიც. მალე იგი მოსკოვს გაემგზავრა, სადაც არალეგალურად ცხოვრობდა 1912 წლამდე. შემდეგ საზღვარგარეთ წავიდა და ჟენევის უნივერსიტეტში ჩაირიცხა უმაღ-

ლესი განათლების დასამთავრებლად. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ საბოლოოდ დაბრუნდა საქართველოში და შეუდგა ნაყოფიერ შემოქმედებით მუშაობასა და მრავალმხრივ ლიტერატურულ-საზოგადოებრივს მოღვაწეობას, რომელსაც წარმატებით ეწევა დღემდე.

ლეო ქიაჩელის შემოქმედებითი ცხოვრების დასაწყისი მოსკოვში მისი არალეგალურად ცხოვრების პერიოდს მიეკუთვნება. 1909 — 1910 წლებში თბილისის ქართულ პრესაში გამოქვეყნდა ლეო ქიაჩელის პირველი ნოველები, რომელთაც იმდროინდელი საალიტერატურო კრიტიკისა და მკითხველი საზოგადოების განსაკუთრებული ყურადღება და ინტერესი გამოიწვიეს. ამ დროისათვის ახალგაზრდა მწერალს გავლილი ჰქონდა რევოლუციური მუშაობის, პოლიტიკური პატიმრობის, ციხიდან გაქცევისა და არალეგალური ცხოვრების სკოლა, დაგროვილი ჰქონდა ცხოვრების მდიდარი გამოცდილება და მოსალოდნელი იყო, რომ ყოველივე ეს გამოხატულებას ჰპოვებდა მის პირველსავე ნაწარმოებებში. სამწუხაროდ ეს ასე არ მომხდარა.

საქმე ის არის, რომ ლიტერატურული მოღვაწეობის დასაწყისისათვის იგი უკვე ჩამოშორებული იყო პოლიტიკურ-რევოლუციურ საქმიანობას. სჩანს, ახალგაზრდა მწერალი ვერ გადაურჩა გულგატეხილობისა და დაცემულობის იმ განწყობილებათა ზეგავლენას, რომელმაც რეაქციის წლებში მოიცვა საერთოდ ინტელიგენციისა და კერძოდ მწერლობის გარკვეული ნაწილი. როგორც ცნობილია, დაცემულობისა და უიმედობის ტალღა შეეხო არა მარტო რევოლუციის თანამგზავრთა გარკვეულ ფენებს, არამედ ზოგიერთ პარტიულ ინტელიგენტსაც. ლეო ქიაჩელი ასეთ ინტელიგენტთა რიცხვში აღმოჩნდა. ამიტომაც მის პირველ ნოველებსა და მოთხრობებში სრულიადაც აღარ იგრძნობა ის საბრძოლო აღფრთოვანება, განმათავისუფლებელ იდეალების ცხოველმყოფელობა და მწვავე სოციალური პრობლემებისადმი ინტერესი, რაც დამახასიათებელი იყო ლეო ქიაჩელისათვის 1905 წლის რევოლუციის წინა წლებში და ამ რევოლუციის აღმავლობის პერიოდში.

ახალგაზრდა მწერალი, სოციალური სინამდვილის მწვავე საკითხებისაგან განდგომილი, რწმენადაკარგული და საზოგადოებრივი ინდიფერენტიზმით შეპყრობილი კაცის თვალით შეჰყურებს და ხატავს ცხოვრებას. ამ ნიადაგზე იგი უახლოვდება და ენათესავება რუსულ და ქართულ ლიტერატურაში რეაქციის წლებში დასავლეთი ევროპის დეკადენტური მწერლობის გავლენით აღმოცენებულ ანტირეალისტურ მიმდინარეობებს.

ლეო ქიაჩელის ამ პერიოდის შემოქმედებისათვის დამახასიათებელია მწერლობის საზოგადოებრივ-აღმზრდელობითი ფუნქციის, მისი იდეურობისა და ხალხურობის პრინციპების უგულებელყოფა. მწერლის ყურადღებას ამ წლებში იპყრობს ცხოვრების არა ტიპიური და დამახასიათებელი მოვლენები, არამედ უცნაური გამონაკლისები. მისი პირველი ნოველების პერსონაჟებს ავადმყოფი, ფიზიკურად და სულიერად დაძაბუნებული ადამიანები წარმოადგენენ. ბედნიერების მიუღწევლობის, იდეალის განუხორციელებლობის აზრით, სევდიანი, მელანქოლიური განწყობილებით არის აღბეჭდილი ამ პერიოდში ლეო ქიაჩელის მიერ დაწერილი ნოველებისა და მოთხრობების უმრავლესობა.

აი, ნოველა „სტეფანე“, რომლითაც იხსნება ლეო ქიაჩელის თხზულებათა კრებულის პირველი ტომი. ამ ნაწარმოების გმირი — მებადური სტეფანე სოფლად განთქმულია მატყუარობით,

რაღაც უცნაური, თავისებურად გონებამახვილური სიტყვა-პასუხით. მას ჰყავს ერთადერთი მეგობარი—სოფლის გლახა-მუნჯი ძოკო. სტეფანესა და ძოკოს შეუძლიათ ხანგრძლივად ესაუბრონ ერთმანეთს უსიტყვოდ, ხმაამოუღებლივ.

ავიზნით შეპყრობილი და სულით ავადმყოფი ჯვებე და მისი მეგობარი, გაბოროტებული მაწყევარი, მეწისქვილე ბეკო წარმოადგენენ ნოველა „ცოდვისშვილების“ პერსონაჟებს. ამ ორი გაუბედურებული, სულიერად და ფიზიკურად დაძაბუნებული ადამიანის უცნაურ ცხოვრებას და ასევე უცნაურ დაღუპვას მოგვითხრობს მწერალი თავის ამ ერთერთ ადრინდელ ნაწარმოებში.

ნოველაში „ჯადოსანი“ დახატულია კიდევ უფრო უცნაური სახე მენახირე ტაგუსი. იგი მარტოხელა ადამიანია: „მარტოობაც ისე უყვარს, როგორც მენახირეობა. იცის, რომ როცა მარტოა, მეფეა დიდებული, ხოლო ხალხში გარეული—საწყალზე უსაწყლესია“. ტაგუ უბეში გველს დაატარებს, თვალებში მას ჯადო აქვს, რომლის მეოხებითაც არამარტო ადამიანი და სულიერი არსებანი, არამედ უსულო საგნებიც კი მის ნებას ემორჩილებიან. ნოველაში მოთხრობილია, თუ როგორ მოაჯადოვა და დაიმორჩილა ტაგუმ სიცოცხლითა და მშვენებით აღსავსე გოგონა გაიანე.

როგორც ვხედავთ, მწერლის შემოქმედებითი ყურადღება ცხოვრების იშვიათად მახინჯი მოვლენებისადმი არის მიპყრობილი. ამასთანავე მის მიერ დახატული სახეები მოკლებული არიან რაიმე განზოგადოებითს მნიშვნელობას. ეს ნოველები არ შეიცავენ რაიმე მორალს, რაიმე საზოგადოებრივად აქტუალურ იდეას, ისე, როგორც ყოველგვარი სოციალური აზრისაგან განტვირთულია თავისთავად ცხოველი რეალისტური ფერადებით დახატული ის ყოფაცხოვრებითი სურათები, რომლებიც მოცემულია ნოველებში „წუთისოფელი“ და „ერთი თავგადასავალი“.

სოციალური ინდიფერენტიზმის გრძნობით აღბეჭდილი ასეთი ნოველების გვერდით ამ პერიოდში ლეო ქიაჩელი სწერს უიმედობისა და სასოწარკვეთილების გამომხატველ ნაწარმოებებს. ნოველაში „პატარა ისტორია“ მწერალი მოგვითხრობს ახალგაზრდა რევოლუციონერის ბესიკის უბედურ თავგადასავალს. ბესიკი ღარიბი აზნაურის შვილი იყო. იგი რევოლუციურმა იდეებმა გაიტაცეს და ერთგულად ემსახურებოდა ხალხის თავისუფლებისა და კეთილდღეობის საქმეს. მაგრამ რა გამოვიდა აქედან? არა მარტო მთავრობის მხრივ სასტიკი დევნა და შურისძიება დაიმსახურა ბესიკმა თავისი რევოლუციური მოღვაწეობით, არამედ სოფელმაც, ხალხმაც ზურგი შეაქცია მას. სოფელმა იგი „ეშმაკის მოციქულად“ ჩასთვალა და მოკვლითაც კი დაემუქრნენ ბესიკს, თუ ის კვლავ გაბედავდა სიტყვის დაძვრას ცხოვრების გარდაქმნისა და განახლებისათვის ბრძოლაზე. ხალხმა მუქარითა და დაჟინებით მოთხოვა ბესიკს თაყვანი ეცა ხატისათვის და შეესრულებია უმეცარი გლეხობის მიერ დადგენილი ცრუმორწმუნეობრივი ადათ-წესები. ბესიკმა ვერ აიტანა ყოველივე ეს. იგი ჭკუაზე შეიშალა. ხალხი კი გულგრილად შესცქეროდა მისი კეთილდღეობისათვის თავდადებულ ადამიანის ასეთ ხვედრს. როდესაც გონებადაკარგული ბესიკი ვირზე შემჯდარი აუვლიდა და ჩაუვლიდა ხოლმე სოფლის ეკლესიის გალავანს, წირვაზე შეკრებილი მეზობლები არამც თუ სიბრალულსა და თანაგრძნობას არ გამოსთქვამდნენ მისდამი, არამედ ბოროტად დასცინოდნენ კიდეც მას.

ალეგორიულ-სიმბოლიური ხერხით

დაწერილ ნოველებში „მუხა და ტირიფი“, „ზღაპარი ბედნიერებაზე“ და სხვ., მწერალი იმ აზრს განასახიერებს და ასაბუთებს, რომ ბედნიერება მიუღწეველია, იდეალი მიუწვდომელია, სიყვარულისა და ბედნიერების მაძიებელი აუცილებლად განწირულია დასაღუპავად და იგი სწორედ მაშინ იგემებს გამანადგურებელ დარტყმას, როდესაც თავის ოცნების განხორციელებას თითქოს მიუახლოვდა.

პროგრესისათვის, ცხოვრების გარდაქმნისა და გაუმჯობესებისათვის კაცობრიობის ბრძოლის უაზრობისა და უშედეგობის იდეა მწერალმა ყველაზე მკაფიოდ გამოხატა ნოველაში „Escalade“. აქ აღწერილია ფანტასმაგორიული სანახაობა ნიღბოსანი კარნავალისა, რომლითაც მთავრდებოდა ხოლმე ჟენევის კანტონში შემოღებული ყოველწლიური სამდღეღამიანი ეროვნული დღესასწაული.

მწერალი ხატავს ამ კარნავალის სურათს, სადაც ყოველივე ფანტასტიური და მოჩვენებითია, ხოლო თავისი თანამესაუბრე ქალის სიტყვებით მრავალმნიშვნელოვნად ადარებს ამ უაზრო ვაკხანალიას კაცობრიობის ბრძოლას უკეთესი მომავლისათვის.

„არ მაგონებს განა ეს სურათი თვით კაცობრიობას, მის ბრძოლას, მის ცხოვრებას? რა კარგია! განა ასე ტყუილა არ იბრძვის თვით კაცობრიობა? განა ასე თავდავიწყებით არ ეპოტინება რაღაც იდეალს, რომელიც ბოლოს და ბოლოს ისეთივე სისულელეა, როგორც ხეზე ჩამოკიდებული ჩემი ნიღაბი და წითელ-ყვითელი მოსასხამი!“

ნოველის გმირი ქალის ამ სიტყვებშია განსახიერებული ნაწარმოების მთელი კონცეფცია და ამგვარ შთაბეჭდილებას სრულიადაც ვერ ანელებს ნოველის უკანასკნელ სტრიქონში მოცემული რეპლიკა: „ჰო, ეს ბებერი ევროპა! რომ არ ცხრება!“

ასეთი აზრებითა და განწყობილებებით არის გამსჭვალული ლეო ქიაჩელის ადრინდელი ნოველების უმრავლესობა. მაინც ამ ნოველებში უკვე საკმაო სიცხადით გამოჩნდა მწერლის მხატვრული ინდივიდუალობის ზოგიერთი დამახასიათებელი თვისება: ყოფაცხოვრებითი სურათების ნათელი და ცხადი გამოხატვის, ადამიანური ხასიათის მკვეთრად გამოკვეთის უნარი, მიმზიდველი და დამაინტერესებელი თხრობის ნიჭიერება. თავისი შემოქმედებითი ბიოგრაფიის ამ პირველსავე საფეხურზე გამოიმუშავა ლეო ქიაჩელმა სისადავითა და ბუნებრივობით აღბეჭდილი საკუთარი სტილი მხატვრული მეტყველებისა.

ლეო ქიაჩელის ადრინდელ ნაწარმოებთა პოეტიკის ეს თვისებანი საფუძველს გვაძლევენ დავასკვნათ, რომ ლიტერატურულ დეკადანსის ზეგავლენაში მძლავრად მოქცეულ ახალგაზრდა მწერალს სავსებით როდი ჰქონია გაწყვეტილი კავშირი რეალისტური ხელოვნების ტრადიციებთან. ამასთანავე, მიუხედავად დაცემულობისა და უიმედობის განწყობილებათა რკალში მოხვედრისა, ლეო ქიაჩელის სულიერ სამყაროში როდი ჩამქრალა ცოცხალი განცდა იმ დიდი საბრძოლო აღფრთოვანებისა, რომლითაც მოცული იყო ჩვენი ხალხი პირველი რევოლუციის წლებში და რომლის უშუალო მონაწილეც თვითონ მწერალი იყო.

1914—15 წლებში საზღვარგარეთ ყოფნის დროს დასწერა ლეო ქიაჩელმა თავისი შესანიშნავი რომანი „ტარიელ გოლუა“, რომელიც არამარტო მისი რევოლუციამდელი შემოქმედების საუკეთესო მიღწევას წარმოადგენს, არამედ რევოლუციის წინა პერიოდის მთელი ქართული ლიტერატურის უმნიშვნელოვანეს ნაწარმოებად უნდა იქნას მიჩნეული.

3

„ტარიელ გოლუაში“ ჭეშმარიტი რეალისტური ხელოვნებით არის წარმოსახული ქართველი ხალხის თავდადებული ბრძოლა რუსეთის პირველი რევოლუციის ბარიკადებზე. რომანი საშეგრელოს ერთი პატარა სოფლის ცხოვრებას, ამ სოფლის მოსახლე ერთი გლეხური ოჯახის თავგადასავალს მოგვითხრობს, მაგრამ მოქმედების სარბიელის ასეთი სივიწროვე სრულიადაც ხელს არ უშლის მწერალს კონდენსირებულად თვალწინ გადაგვიშალოს მთელი ჩვენი ხალხის, ქართული სოფლის, მშრომელი გლეხკაცობის ცხოვრება და ბრძოლა 1905 წლის რევოლუციის პერიოდში.

ღრმა პოეტური განცდით გვიხატავს მწერალი სოფლის გამოფხიზლებასა და რევოლუციური ამოძრავების სურათებს,ხალხის თავდადებულ ამხედრებას თავისი დიდიხნით ნანატრი და ნაოცნებარი სოციალური და ეროვნული თავისუფლების მოსაპოებლად. მკითხველის თვალწინ გაივლის შემზარავი ეპიზოდი იმ სასტიკი შურისძიებისა, რომლითაც თვითმპყრობელურმა რეაქციამ უპასუხა ხალხის საბრძოლო აღფრთოვანებას: ადამიანის ღირსებისა და უფლებათა ტლანქად ფეხქვეშ გათელვის, ეგზეკუციების, სოფლების დარბევა-აწიოკების, სახლების გადაწვის, ხალხის საუკეთესო შვილთა საპყრობილეებში დამწყვდევის ტიპიური სურათები იშლება ჩვენ წინ... ამასთანავე მწერალი გვიჩვენებს, როგორი ვერაგული ხერხებით აგზავნიდა რეაქციის სამყარო თავის შენიღბულ აგენტურას რევოლუციონერთა ბანაკში „ციხის შიგნიდან ასაფეთქებლად“. რომანში ძხილებულია მთელი სისტემა ამ ჯოჯოხეთური ღონისძიებებისა, რომლებითაც სასიკვდილოდ განწირული მოხობისა და ტირანიის სამყარო გააფთრებულად წინააღუდგებოდა ახალ, თავისუფალი ცხოვრების მზის ამობრწყინებას.

მრავალი მსხვერპლი გაიღო ხალხმა ამ ბრძოლაში. მრავალი ტანჯვა და უბედურება დატრიალდა რევოლუციის ჯარისკაცთა თავზე, მაგრამ ამან ვერ გასტეხა ხალხის მებრძოლი სული, ვერ ჩაჰკლა გამარჯვების რწმენა და ნებისყოფა. რომანი გამსჭვალულია ხალხის საბრძოლო საქმის ძლევამოსილების რწმენით. ეს ოპტიმისტური სული ჰქრის ნაწარმოების ყოველი სტრიქონიდან, თვით ისეთი ეპიზოდებიდანაც კი, სადაც ხალხის საუკეთესო შვილთა მძიმე ხვედრის შემზარავი სურათებია გადმოცემული.

საქართველოში, სადაც 1905 წლის რევოლუციამ, როგორც ამას უკვდავი ლენინი აღნიშნავს, განსაკუთრებულად ფართო და მძლავრი ხასიათი მიიღო, არ შეიძლებოდა არ შექმნილიყო მაღალმხატვრული ნაწარმოები, რომელიც თაობებს უამბობდა ამ იშვიათად გმირული ბრძოლის შესახებ, უჩვენებდა რევოლუციის მამოძრავებელ ძალთა მიზნებისა და მისწრაფებათა სიმართლესა და სიდიადეს, მათი სულიერი სამყაროს სიმდიდრესა და კეთილშობილებას, და, რაც მთავარია, გაჰფანტავდა რეაქციის მოციქულთა მიერ შეთხზულ ცილისწამებას ხალხზე — თითქოს ხალხს უარი ეთქვას თავის საბრძოლო იდეებზე და ქედი მოეხაროს დროებით გამარჯვებული ტირანიის წინაშე.

ასეთი წიგნის დაწერა წილად ხვდა ლეო ქიაჩელს. „ტარიელ გოლუა“ შთაგონებული ჰიმნია 1905 წლის რევოლუციის დიადი საქმეებისა, ამ სახელოვანი ბრძოლის მესვეურებისა და მონაწილეების კეთილშობილურ სახეთა უკვდავსაყოფად. შეიძლება ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე ითქვას, რომ მაქსიმ გორკის „დედას“ შემდეგ

მხატვრულ მწერლობაში ასე მკვეთრად, შთაგონებულად და გამამხნევებლად არავის გამოუხატავს 1905 წლის ეპოპეა.

თხრობის სიწრფელემ და სიმართლემ ღრმა დრამატიზმით გამსჭვალული სუჟეტის შეუნელებელმა განვითარებამ, კომპოზიციის სრულყოფილებამ, ტიპების სიმკვეთრემ, შეჯერებულმა თემის ღრმა საზოგადოებრივი აქტუალობით და ნაწარმოებში განსახიერებულ იდეის ცხოველმყოფელობით მოუპოვეს ამ რომანს ნამდვილი სახალხო აღიარება და იშვიათი პოპულარობა.

რომანის მთავარი გმირი — ტარიელ გოლუა ქართული მხატვრული პროზის მიერ შექმნილ საუკეთესო მხატვრულ სახეთა გალერეას უნდა მიეკუთვნოს. ამ ტიპის როგორც გარეგანი პორტრეტი, ისე მისი სულიერი სამყარო იმგვარადაა დახატული და განათებული რომანში, რომ მის ბუნებაში ჩვენი ხალხის, კერძოდ რევოლუციური გლეხკაცობის საუკეთესო თვისებათა ცოცხალ განსახიერებას ვხედავთ. 65 წლის ტარიელი, ჭაღარამოსილი, მაგრამ ფიზიკურადაც და სულიერადაც ჯერ კიდევ გაუტეხელი, ძალღონით სავსე, ხალხური სიბრძნით აღჭურვილი, დინჯი, გონიერი, უშიშარი და შეუდრეკელი, უაღრესად გულმართალი და პატიოსანი, თავისუფლებისა და სიმართლისათვის თავგანწირულად ამხედრებული, ჭეშმარიტად ხორცშესხმული სახეა — ჩვენი თავისუფლებისმოყვარე გმირი ხალხის ბუნების ღირსეულად გამომხატველი. მწერლის დიდი დამსახურება და მხატვრული გამარჯვება იმაში მდგომარეობს, რომ ასეთი მაღალი თვისებების შემცველი ტიპი მან დახატა ეჭვმიუტანლად ცოცხალი, სისხლხორცით სავსე ადამიანის სახით, ადამიანისა, რომელიც სამუდამოდ ცოცხლობს მკითხველის ცნობიერებაში.

რომანი იწყება გაზაფხულის მზიანი დილის, წყნარი უქმე დღის, თითქოს განზრახ ხაზგასმული მშვიდი სოფლური ცხოვრების იდილიური სურათით. ეს თითქოს ისეთი სიმშვიდეა, რომელიც წინ უსწრებს ხოლმე ქარიშხლის ამოვარდნას, რათა უფრო მძლავრად გვაგრძნობინოს და განგვაცდევინოს მოახლოებული ჭექა-ქუხილის ძალა.

ტარიელ გოლუა, მომხიბლავი თვალტანადობის გლეხი, საგარეოდ გამოწყობილი, თავისი ახლადაგებული ოდის აივნიდან დასცქერის საკუთარ კარმიდამოს, სადაც ყველაფერი შრომისმოყვარეობისა და სიცოცხლის ხალისის ნიშნით არის აღბეჭდილი. თავისი ერთგული ცოლის — ბარბალესა და ობოლ ძმისწულის — პატარა გიოს გარემოცვაში, ოჯახურ ვითარებაში ვეცნობით პირველად რომანის მთავარ გმირს. უკვე ამ პირველი გამოჩენით ნაწარმოების სარბიელზე ვხედავთ ტარიელის მკაფიოდ ინდივიდუალურ სახეს, მის გარეგნობას, მისი ბუნებისა და ხასიათის განმსაზღვრელ თვისებებს. უკვე ეს გარეგნულად წყნარი და უშფოთველი სურათი გამსჭვალულია რაღაც ძვრისა და აფეთქების მოლოდინით. ტარიელი თავის პატარა ძმისწულთან საუბარში ხუმრობანარევი ცნობისმოყვარეობით ცდილობს გაიგოს ყველაფერი, რაც შეეხება სოფლად „ერთობის" შემოსვლას. სჩანს ატმოსფერო აღვსილია ამ „ერთობის" მოლოდინით და იგი მართლაც უკვე მოსულა თურმე სოფლად. ჯერ გიოსაგან, შემდეგ საგანგებოდ მოსული ბეჟანასაგან ტარიელმა შეიტყო, რომ წუხელ „ერთობის" ხალხს და მათ მეთაურს ლევანს — ტარიელის ერთადერთ ვაჟს — გამოსვლა მოუწყვიათ სოფლად, „ერთობის" ერთგულებაზე დაუფიცებიათ აზნაურები, ხოლო მდიდარი მემამუ-

ლის დავითის ოჯახიდან გაუტაცნიათ კიდეც მისი ქალიშვილი თინა.

თინასა და ლევანს დიდი ხანია ფარულად უყვარდათ ერთმანეთი, მაგრამ წოდებრივი განსხვავების უფსკრული თიშავდა და აშორებდა მათ. ახლა, განმათავისუფლებელი მოძრაობის ფერხულში ჩაბმულ ლევანს უკვე აღარაფრად მიუჩნევია ეს დაბრკოლება და ქალი მამის ნების წინააღმდეგ წაუყვანია სახლიდან. დავითი შეიარაღებული მხლებლებით დადევნებია ლევანს და მის მეგობრებს, საფარში მიუმწყვდევია ისინი, კიდევ რამდენიმე წუთი და უნდა გაჩაღდეს ხელჩართული ბრძოლა, რომელიც უეჭველად ლევანის დამარცხებით და დავითის გამარჯვებით უნდა დამთავრდეს, ასეთია ძალთა შეფარდება.

თუ რომანის პირველ სურათში ვხედავდით ტარიელ გოლუას მშვიდი და წყნარი ოჯახური ცხოვრების ვითარებაში, ახლა იგი უკვე სამკვდრო-სასიცოცხლოდ შეჯახებულ ძალთა უაღრესად დაძაბულ დაპირისპირების გარემოცვაში გამოჩნდება, რათა კიდევ უფრო მკვეთრად დავინახოთ მისი მაღალი ადამიანური ბუნება, შინაგანი ძალა, მორალური სისპეტაკე.

შვილის სახიფათო მდგომარეობით უაღრესად შეშფოთებული ტარიელი იმდენს თავდაჭერილობას, გონიერებას, აუჩქარებლობას იჩენს, რომ თავის ნებისყოფას უმორჩილებს ორივე მებრძოლ მხარეს და საქმეს უსისხლოდ ამთავრებს. ტარიელმა აიძულა ლევანი დავითისათვის ქალი დაებრუნებია და ამით მოაგვარა კონფლიქტი, რომელიც ტარიელის რწმენით, მისი შვილის აშკარად შემცდარი ნაბიჯის შედეგს წარმოადგენდა. იმავე ღამით შინდაბრუნებულ ლევანს ტარიელი უწუნებს აჩქარებულ, მოუფიქრებელ საქციელს და ჩააგონებს, რომ „საზოგადო საქმე უანგაროდ და წმინდად უნდა კეთდებოდეს, კერძო ინტერესი, — სიყვარულიც რომ იყოს, — შიგ არ უნდა გარევ!.. სოფელი დაგაფასებს და მსხვერპლს ათასად აგინაზღაურებს... საჭიროა, ლევან, პირადი ბედნიერება საზოგადო თანაგრძნობაზე იყოს დამყარებული, თორემ ბედნიერება — ბედნიერება არ იქნება“.

ლევანი მებუხრე მუშაა, ქალაქთან დაკავშირებული, ამიტომაც მან პირველმა შემოიტანა სოფლად „ერთობის“ აზრი და სწორედ მისგან გაიგო და გაიზიარა ეს აზრი ტარიელმა. მაგრამ თავის მხრივ ტარიელიც შვილია უტუ მიქავას ლაშქარში დაღუპულ მეგრელ გლეხისა, მასაც ძვალ-რბილში აქვს გამჯდარი სახალხო საქმისათვის ბრძოლის ტრადიცია, მას ცხოვრების მდიდარი გამოცდილება აქვს და შეუძლია ბევრი რამ სასარგებლო ურჩიოს და ასწავლოს სოფლად ახლადფეხადგმული მოძრაობის ახალგაზრდა მეთაურს ლევანს. მამა-შვილის საუბრის შემდეგ მათ შორის სრული თანხმობა დამყარდა. ტარიელი ერთგულად შეუერთდა ლევანის მეთაურობით დაწყებულ ბრძოლას. მათს ასეთ ურთიერთობაში მწერალმა თავისი ავანგარდის — მუშათა კლასის საბრძოლო საქმისადმი მშრომელი გლეხკაცობის მოწინავე ნაწილის თავდადებული ერთგულება გამოხატა.

შემდეგ რომანის გმირებს უკვე სოფლად მძლავრად გაშლილი ბრძოლების გარემოცვაში ვხედავთ. აი, მდინარე ბროლიას პირად, ხეივანში, „სამცაცხვის“ ძირში სოფლის პირველი კრებაა გამართული. ტარიელი მეთაურობს კრებას. ლევანი ხალხს განუმარტავს დაწყებულ ბრძოლის აზრსა და მიზნებს. ეს კრება სოფლის ახალი ცხოვრების დასაწყისი იყო. აქ პირველად გაიგონეს და შეიყვარეს გლეხებმა სიტყვა „ამხანაგო“. „აღტაცება დიდი იყო. თქოს დიდი ტვირთი ჩამოეხს-

ნათ, ისე თავისუფლად ამოისუნთქა ხალხმა... ნაკრებევს ხალხი ერთმანეთს ხელს ართმევდა, ულოცავდა. მიუხედავათ იმისა, რომ გვიან იყო, დაღლილობა არავის ეტყობოდა. თუ ჩუმათ, მალულათ დაიწყო კრება, გათავდა დიდი ხმაურობით; მოუთმენელმა ახალგაზრდობამ რევოლვერებიც კი დასცალა და ჯგუფურად, სიმღერით სოფლის შუაგულისაკენ გასწია".

მაგრამ ამ აღფრთოვანებას მალე მოჰყვა მთავრობის რისხვაც. სოფლად მაზრის უფროსი ჩამოვიდა აჯანყებულთა მეთაურების შესაპყრობად. სოფელმა პირი შეჰკრა და კრებაზე არავინ გამოცხადდა. გაბრაზებულმა მაზრის უფროსმა მხოლოდ ტარიელ გოლუას შეპყრობა შესძლო. მაგრამ სოფელმა არ დაანება მთავრობას თავისი საყვარელი მოხუცი. რამდენიმე შეიარაღებული ახალგაზრდა მოხერხებულ ადგილას ჩაუსაფრდა მაზრის უფროსს და მის მხლებლებს და სროლა აუტეხა მათ. ტარიელი გაანთავისუფლეს. ეს იყო აჯანყებული გლეხობის პირველი შეიარაღებული შეჯახება პოლიციასთან, პირველი ნამდვილი საბრძოლო ნათლობა.

ასეთი სისწრაფით ანვითარებს მწერალი მოვლენებს, რომელთა დინამიურ თანმიმდევრობაში აღმავლად იშლება რომანის სუჟეტი და სულ უფრო მკვეთრად ვლინდება მისი მთავარი გმირის — ტარიელ გოლუას იშვიათად რაინდული და კეთილშობილური ბუნება. თანდათანობით გამოდიან რომანის სარბიელზე პერსონაჟები, რომელთა მკაფიოდ ინდივიდუალური სახეები ავსებენ ჩვენს წარმოდგენას აჯანყების ცეცხლში გახვეულ სოფელზე, ხალხზე. აი, ერთი მათგანი — მუნჯი ბაჩუა, რომელიც გარეგნულად უბადრუკ და უმწეო ადამიანად გამოიყურება, მაგრამ რომლის არსებაში თურმე მძლავრი და სპეტაკი სულია დასადგურებული; ბაჩუა ისეთი თავგანწირულებით შეებრძოლა მაზრის უფროსის მხლებლებს, ისეთი მხნეობა და ვაჟკაცობა გამოიჩინა ტარიელის განთავისუფლებისათვის უთანასწორო ბრძოლაში, რომ მტრებიც კი განაცვიფრა. ბაჩუას ყოველი გამოჩენა რომანში და მისი სიკვდილის ოსტატურად აღწერილი სურათი ამ ნაწარმოების უძლიერეს პასაჟების წყებას ეკუთვნის.

ის დიდი ზნეობრივი ზეგავლენა, რომელიც მოახდინა ლევანზე ბაჩუას თავგანწირულმა საქციელმა, გვიჩვენებს, თუ როგორ სწავლობდნენ თავის მხრივ ხალხისაგან უბრალო ადამიანებისაგან, მოძრაობის მესვეურები და მეთაურები.

ძირფესვიანად შეიცვალა სოფლის ცხოვრება. ხალხმა იგემა თავისუფლების სიტკბო. მტერი დროებით მიყუჩდა და მიიმალა, მაგრამ მან ახლა ვერაგულ ხერხს მიმართა. აზნაური დავითის ერთგულმა დამქაშმა, ცნობილმა ყაჩაღმა გაიოზ გადალინდიამ, რომელიც თავს თინას საქმროდ სთვლიდა და ამ მხრივაც მტრულად იყო განწყობილი ლევანისადმი, განიზრახა შეპარულიყო აჯანყებულთა ბანაკში და მოღალატური საქმიანობით დაეჩქარებია გლეხობის დამარცხება. გაიოზმა ოსტატურად გაითამაშა დავითთან ვითომდა გადამტერების ინსკინირება, დაარწმუნა სოფელი, რომ თითქოს მან იგრძნო სინიდისის ქენჯნა, შეიგნო თავისი ყველა შეცდომა და დანაშაული, მოინდომა თავი შეეწირა სახალხო საქმისათვის. გაიოზმა იმდენი უნარი გამოიჩინა თვალთმაქცობასა და ცბიერებაში, ისე მოხერხებულად შეინიღბა, რომ ხალხის სიბრალული და ბოლოს ნდობაც მოიხვეჭა. ასე სახიერდება „ტარიელ გოლუაში" რეაქციული სამყაროს ბრძოლის ვერაგული, მუხანათური საშუალებანი, რომლებიც

დახასიათებულია სასიკვდილოთ განწირულ სოციალურ ფენებისათვის კლასობრივი ბრძოლების ყოველ ეტაპზე.

წარუშლელი შთაბეჭდილების მომხდენ სურათს წარმოადგენს რომანის ის თავი, სადაც აღწერილია სოფლად მთავრობის დამსჯელი ექსპედიციის შემოჭრა. გაცოფებული მაზრის უფროსის და ბოქაულის მათი მხლებელი „პლასტუნების“ რაზმის თარეში დაუვიწყარი ძალით გვიჩვენებს, თუ როგორი დაუნდობლობით და არაადამიანური ვერაგობით უსწორებდნენ ანგარიშს თვითმპყრობელობის სატრაპები თავისი ღირსებისა და თავისუფლებისათვის ამხედრებულ ხალხს.

ცეცხლი და მახვილი დატრიალდა სოფლად. ყველაზე ადრე ცეცხლს მისცეს ტარიელ გოლუას სახლ-კარი. ტარიელი ამ დროს მთიან სოფელში იყო შეხიზნული. თავისი მასპინძლის ეზოდან დაინახა მან კვამლი და ალი, რომელიც მის სახლ-კარს ანადგურებდა. დიდი მხატვრული ტაქტით და ზომიერებით გადმოგვცემს მწერალი იმ ვაჟკაცური მწუხარების განცდას, რომელმაც მოიცვა ტარიელი ამ სურათის დანახვისას. მოხუცს თვალებზე ჩამოფარებული ხელები აუკანკალდა, ჭაღარა წვერზე ცრემლის წვეთები ჩამოეკიდა, მაგრამ მას იმდენი ძალა აღმოაჩნდა, რომ გამწარებული ცოლი დაემშვიდებია და რაც მთავარია — ეფიქრა სოფლად დაბრუნებაზე, მთავრობის წინაშე წარდგომაზე, ვაი თუ მეძებენ და ჩემი გულისათვის აწიოკებენ სოფელსო.

რაც უფრო მძაფრდება ვითარება, რაც უფრო მეტი უბედურება ატყდება თავს ტარიელს, მით უფრო დიადი და მომხიბლავი სჩანს მისი ბუნება, მისი გონებისა და გულის ძალა.

სინამდვილე კი ზედიზედ აგებებს ტარიელს ერთმანეთზე უმძიმეს დარტყმებს. ჯერ არც კი იყო იგი გამორკვეული სახლ-კარის გადაწვის შემზარავი სურათისაგან, რომ ამბავი მოუტანეს კიდევ უფრო საშინელ ხიფათის შესახებ.

გიომ აცნობა ტარიელს თინასაგან გაგებული ამბავი, რომ გაიოზ გადალენდია მოღალატურად ყოფილა შეპარული აჯანყებულთა რიგებში ლევანის მოკვლის მიზნით. ამ ამბით თავზარდაცემული ტარიელი გარბის შვილის მოსანახავად, მის სახსნელად ამ ხიფათისაგან, მაგრამ ამაოდ, მან შვილის კვალს ვერ მიაგნო. სასოწარკვეთილი მამა ეცდრება ცასა და ქვეყანას დაიფარონ იგი შვილის დაღუპვის უბედურებისაგან. ტარიელის შიში და გამწარება კიდევ უფრო მძაფრდება, როცა ბეჟანისაგან გაიგებს რომ სწორედ ახლა, ამ საშინელ ღამეს ლევანი და გაიოზი მარტონი არიან ტყეში, უკაცურ ადგილას, სახიფათო გზაზე.

ასეთი აღმავალი ძალით ამძაფრებს მწერალი თავისი გმირის სულიერ დრამას და დაუცხრომელი ექსპრესიით მიაქანებს რომანის სუჟეტს თავისი კულმინაციური მომენტისაკენ.

აი, ტარიელი და ბეჟანი ღამის წყვდიადში თავგამეტებით მიაჭენებენ ცხენებს უაღრესად სახიფათო ბილიკებზე, რათა დაეწიონ ლევანსა და გაიოზს, ჩაშალონ ავაზაკის ვერაგული განზრახვის განხორციელება. ლევანი და გაიოზი კი ამ დროს აუჩქარებელი ნაბიჯით მიიკვლევენ გზას ბროლიას სანაპიროსაკენ და მათს დიალოგში უკვე მწიფდება და ახლოვდება კატასტროფა.

ადამიანის ფიქრთა და განცდათა მოძრაობის დიდი ცოდნით არის შესრულებული ლევანისა და გაიოზის უკანასკნელი დიალოგის მთელი ქსოვილი. ამ დიალოგის ყოველი ფრაზა აჩქარებს საშინელ დასასრულს. გაიოზზე გულუბრყვილოდ დანდობილი

ლევანი თავის პირად განცდებზე იწყებს საუბარს ვერაგ თანამგზავრთან, გაიოზიც ორჭოფულად და ორაზროვნად პასუხობს. გაიოზის მოულოდნელი გაცხარებით გაკვირვებული ლევანი თავისი ყოველი ახალი რეპლიკით კიდევ უფრო აბრაზებს გაიოზს და აახლოვებს მის ჯოჯოხეთურ დანაშაულს. მთელი ეს ეპიზოდი, რომელიც ლევანის მუხანათური მოკვლით მთავრდება, დიდი შინაგანი დაძაბულობით არის დაწერილი და ნაცადი ხელოვნებით შესრულებული.

იმ წუთებში, როცა ლევანი იღუპებოდა, ტარიელი და ბეჟანი უკვე შორს აღარ იყვნენ მკვლელობის ადგილისაგან. ეს ახალი, უკიდურესი უბედურება კიდევ მეტი მონუმენტალობით მოსავს ტარიელის სახეს: მწერალი ახერხებს უტყვ მოძრაობებში, პლასტიკური სიმკვეთრით გამოხატოს მამის უსაზღვრო მწუხარება, რომლის გამოსათქმელადაც ყოველი სიტყვა უძლური იქნებოდა. ამ ტრაგიკულ წუთებშიც ტარიელს აღმოაჩნდება გონებისა და ნებისყოფის ძალა, რომ ბეჟანას მისი მოვალეობა მოაგონოს, გზა დაულოცოს შემდეგი ვაჟკაცური საქმეებისათვის, ხოლო თვითონ კი თავის შვილთან ერთად შეეგებოს შემთხვევის ადგილისაკენ მიმავალ ჯარს.

განვლო დრომ. გიორ და ბეჟანმა სამაგიერო გადაუხადეს გადალენდიას, დაუნდობლად მოკლეს ბოროტი ავაზაკი.

რომანის ეპილოგში მოცემული სურათი აგვირგვინებს ნაწარმოებში ასახულ მოვლენათა თანმიმდევრობას: ციხიდან თავდაღწეული ტარიელი სოფელს დაბრუნებია. იგი მხნედ შედგომია თავის განადგურებული სახლ-კარის აღდგენას. მთელი სოფელი მხარში ამოდგომია მოხუცს. განცდილ მრავალ უბედურებას კი არ ჩაუქვრია ტარიელის გულში ბრძოლის ჟინი, არამედ კიდევ უფრო გაუღვივებია და აღუგზვნია იგი. და ეს, როცა სოფლად გამოჩნდა სტუდენტის ფორმაში გამოწყობილი ახალგაზრდა და ხალხს ახალ საბრძოლო ამხედრებისაკენ მიუწოდა, ტარიელმა პირველმა გამოთქვა სურვილი წასულიყო რეაქციის ძალთა წინააღმდეგ საბრძოლველად. მთელი სოფელი გაჰყვა ტარიელს.

რომანის ეპილოგი მრავალმეტყველი აპოთეოზით მთავრდება: ტარიელს გარს შემოხვევია მოხუცის მიერ ნაჩვენები მაგალითით საბრძოლოდ აღფრთოვანებული ახალგაზრდობა: „ტარიელ გოლუა ისე იდგა მათ შორის, როგორც დროს ქარიშხალით ტოტებშემსხვრეული, აქა-იქ კანდაკორძებული, მაგრამ ფესვებგამდგარი და ტანძლიერი ძველი მუხა დგას ხოლმე ახალ ავარდნილ მწვანე ნორჩს ტყეში“.

აქ ტარიელ გოლუა მეტყველად განასახიერებს დროთა მრავალი ქარიშხლის გადამტანი, მათს გრიგალურ ქროლვაში გასალკლდევებული, ფესვებმაგარი ჩვენი ხალხის, ჩვენი სამშობლოს უძლეველობას და უკვდავებას.

შავი რეაქციის მძვინვარების სუსხიან ხანაში ლეო ქიაჩელმა თავის ამ შესანიშნავ ნაწარმოებით დამაჯერებლად გამოხატა ჩვენი ხალხის მარად მოუდუნებელი და დაუცხრომელი მებრძოლი სული და შთაგონებულად უმღერა მას.

4.

1917 წელს, თებერვლის რევოლუციის პერიოდში ლეო ქიაჩელი უცხოეთიდან საბოლოოდ დაბრუნდა სამშობლოში. ამ დროისათვის იგი უკვე საკმაოდ სახელმოხვეჭილი მწერალი იყო. მკითხველი საზოგადოება მას იცნობდა, როგორც ერთის მხრივ მოდური დეკადენტური სამწერლო სკოლებით გატაცებულ ნოველისტს, ხოლო მეორეს მხრივ, როგორც რეაქციის

პერიოდის ქართული მწერლობის ყველაზე მკაფიოდ რეალისტური ნაწარმოების—„ტარიელ გოლუას“ ავტორს.

მენშევიკური საქართველოს მთელი ვითარება და კერძოდ ამ წლების ქართული მწერლობის მდგომარეობა, ცხადია ხელს ვერ შეუწყობდა ლეო ქიაჩელის შემოქმედებაში „ტარიელ გოლუათი“ აღნიშნული ჯანსაღი იდეურ-შემოქმედებითი ხაზის განვითარებას. პირიქით, როგორც ვიცით, მენშევიკური დიქტატურის წლებში ქართულ მწერლობაში ბურჟუაზიულ-დეკადენტური სკოლების ჰეგემონია დამკვიდრდა. ასეთ ლიტერატურულ გარემოცვაში ლეო ქიაჩელი კვლავ თავის ადრინდელ ნოველებში გამოხატული ანტირეალისტურ შემოქმედებითი პოზიციას უბრუნდება.

საკმარისია გავეცნოთ მწერლის რჩეული ნაწერების პირველ ტომში მოთავსებულ ზოგიერთ ნოველას, რომლებიც 1918—1819 წლებით არის დათარიღებული, რომ სავსებით ნათელი გახდეს, თუ რა თემებისა და იდეების სამყაროში ტრიალებდა მწერალი თავისი შემოქმედებითი ბიოგრაფიის ამ ეტაპზე.

აი, ნოველა „შეურაცხყოფილი“. ამ ნაწარმოების გმირი, ახალგაზრდა ინტელიგენტი ილიკო უამბობს მის ბინაზე შეკრებილ მეგობრებს ერთ უცნაურ შემთხვევას, რომელსაც ადგილი ჰქონია მის ცხოვრებაში. სტუდენტობის დროს ილიკოს მეზობლად თურმე ვიღაც ახალგაზრდა ქალი ცხოვრობდა. ერთ საღამოს სადღაც წასულ მეზობელ ქალს თავისი ოთახის ფანჯარა ღია დაუტოვებია. სიო არხევდა ფანჯარის ფარდას. ფარდის შრიალი ისეთ ილუზიას ქმნიდა ილიკოს წარმოდგენაში, თითქოს ქალი ოთახში ყოფილიყოს, თითქოს იგი ტანსაცმელს იხდიდეს, თმებს ივარცხნიდეს, დასაწოლად ემზადებოდეს და სხვ. ვნებათა ღელვისაგან აღტაცებულმა ვაჟმა ინსტიქტიურად შეაღო კარი, რომელიც მათ ოთახებს აკავშირებდა, შეიჭრა ქალის ოთახში და დაინახა... რომ თურმე ყველაფერი, რასაც იგი გონების და წარმოდგენის თვალით ხედავდა, მხოლოდ ილუზია იყო.

რა დასკვნა გამომდინარეობს ამ ისტორიიდან? „იქნება ის, რაც ჩვენ ასე გვიზიდავს ცხოვრებაში, რაც ამდენ აღტკინებას იწვევს ჩვენში და ხშირად თავსაც კი გვაწირვინებს, თავისთავად არაფრად ღირდეს და ისეთი სრულიად უმნიშვნელო რამ იყოს, ვთქვათ, როგორც ჩხირის გატეხა, ან ღია ფანჯარაზე ჩამოკიდებული ფარდის შრიალი ნიავის გაქროლებაზე“.

ძნელი არ არის დავინახოთ, რომ ამგვარი ნაწარმოებებით ლეო ქიაჩელი დაუბრუნდა ცხოვრების, ბრძოლისა და პროგრესის აზრის უარმყოფელობის იმ სკეპტიკურ თვალსაზრისს, რომელსაც უფრო ადრე იგი თავის „Escalade-ში და სხვა მზგავს ნოველებში გამოხატავდა. ამავე პერიოდში დაწერილი ნოველა „მკვლელობა კოხტა გორაზე“ გვიჩვენებს, რომ მწერალი თვითმიზნური ესთეტიზმის, მწერლობის უიდეობის პოზიციაზე მკვიდრდებოდა. ამ ნოველაში მოთხრობილი აქბავი იმის შესახებ, თუ როგორ მოჰკლა ნაწარმოების გმირმა, ახალგაზრდა კაცმა, თავისი უსაზღვროდ საყვარელი ქალწული, რაღაც ცრუმორწმუნოებრივი წარმოდგენებისა და უაზრო ეჭვიანობის გამო, ეს ნაწარმოები მოკლებულია ყოველგვარ განზოგადოებითს მნიშვნელობას, რაიმე სოციალურ აზრსა და დანიშნულებას.

ქართველი ხალხის ისტორიული ცხოვრების დიადი განახლების წლებში, საქართველოში საბჭოთა წყობილების დამყარების წლებში, ლეო ქიაჩელი დიდხანს რჩება დეკადენტური ტრადიციების ტყვეობაში. ამ პერიოდ-

ში ლეო ქიაჩელი მემარჯვენე-კონსერვატიული ლიტერატურული ბანაკის ერთერთი აქტიური წარმომადგენელთაგანია. იგი იყო ერთერთი დამაარსებელი და რედაქტორი ჟურნალ და გაზეთ „ლომისისა“, გაზეთი „ქართული სიტყვისა“ და სხვა ისეთი ლიტერატურული ორგანოებისა, რომლებიც თავის გარშემო აერთიანებდნენ რევოლუციის მიერ დამარცხებულ რეაქციული კლასების სულისკვეთების გამომხატველ ლიტერატურულ ძალებს. 1927 — 1928 წლებში ლეო ქიაჩელი იყო ერთერთი ინიციატორთაგანი უაღრესად მემარჯვენე ლიტერატურული კორპორაციის „არიფიონის“ დაარსებისა.

ბუნებრივია, რომ ამ წლებში ლეო ქიაჩელის შემოქმედება არც თუ არ ასახავდა ჩვენი ხალხის ცხოვრებაში მომხდარ დიად სოციალურ ძვრებს, არამედ ხაზგასმულად გამოეთიშებოდა სოციალური სინამდვილის თემებსა და პრობლემატიკას.

ნოველაში „კრიმანჭული“ ავტორი მოგვითხრობს ზღაპარს იმის შესახებ, თუ როგორ მოხერხებულად და ვერაგულად ღალატობდა დაფინო თავის მეუღლეს ჯამლეთს; ნოველაში „მე და ჩემი ორი მე“ მწერალი ხატავს მთლიანობა-დაკარგული, შინაგანად დარღვეული ადამიანის უცნაურ სულიერ სამყაროს, ხოლო „ისკანდერში“ ასახავს რაღაც ფანტასტიურ შემთხვევას, როდესაც ადამიანი კვდება, მაგრამ ისევ მეტყველებს და დამღუპველად შემზარავ გავლენას ავრცელებს ირგვლივ.

ასე შორდებოდა მწერალი საზოგადოებრივი სინამდვილის ხალხის სასიცოცხლო ინტერესებისა და სულიერ მისწრაფებათა სამყაროს. მწერალი გამოუვალი შემოქმედებითი ჩიხისაკენ მიექანებოდა.

ოციანი წლების მეორე ნახევარში, რევოლუციამდელი სამწერლო ინტელიგენციის სხვა საუკეთესო წარმომადგენლებთან ერთად, ლეო ქიაჩელიც იწყებს დეკადენტური ტრადიციებისაგან თავის დაღწევას, წრფელად და თანმიმდევრულად გადმოსვლას რეალისტური ხელოვნების პოზიციებზე. მწერლის ასეთი შემობრუნების პირველ სერიოზულ გამოხატულებას წარმოადგენდა 1926 — 1927 წლებში დაწერილი მისი მრავალმხრივად საყურადღებო რომანი „სისხლი“.

თემატიური თვალსაზრისით „სისხლი“ „ტარიელ გოლუას“ გაგრძელებას წარმოადგენს. რომანი ასახავს 1905 წლის რევოლუციის დამარცხების შედეგად გამძვინვარებული რეაქციის წლების ვითარებას, იმ სასტიკს შურისძიებას, რომლითაც დროებითი გამარჯვებით ფრთაასხმული რეაქციული ძალები ანგარიშს უსწორებდნენ რევოლუციურ ბრძოლას, რომელსაც ამ ბნელსა და სუსხიან წლებში ხალხის საუკეთესო შვილები განაგრძობდნენ.

რომანის მრავალრიცხოვანი პერსონაჟები განასახიერებენ იმ წლების საზოგადოებრივი ცხოვრების სარბიელზე მომქმედ სხვადასხვა სოციალურ ფენებს და პოლიტიკურ მიმდინარეობებს. ბევრი მათგანი ცხოველი საღებავებით არის დახატული და ღრმა განზოგადოებითი ძალის ტიპიურ სახეებად გვევლინებიან. რომანის ფურცლებზე მეტყველად არის აღბეჭდილი აღებული ისტორიული პერიოდისათვის დამახასიათებელი მთელი რიგი ყოფაცხოვრებითი სურათები და საზოგადოებრივი ცხოვრების მნიშვნელოვანი მოვლენები.

რომანის რთული და მრავალსაზროვანი სუჟეტური კომპოზიციის საფუძველს ახალგაზრდა რევოლუციონერი გლეხის ანდრო ქარიგაძის ცხოვრების ისტორია შეადგენს. წიგნის პირველსავე გვერდზე ვხედავთ უზომოდ შეშფოთებულსა და სულიერად აფორია-

ქებულ ანდროს. მისი საცოლე ვარდო ვარაძე, რომელიც ანდროს წრფელი და სპეტაკი გრძნობით უყვარდა, ძალდატანებით ცოლად მიუთხოვებიათ ქუთაისის საგუბერნიო ციხის უფროსის — მელიტონ აბლანდიასათვის. ამავე დროს სოფელს თავს დასხმია პოლიციელთა რაზმი, რომელსაც ანდროს ბინაც გაუჩხრეკიათ და რაკი იქ პოლიტიკური პროკლამაციები აღმოუჩენია, ანდროს შეპყრობა გადაუწყვეტია. ანდროს სოფლად აღარ დაედგომება, იგი იძულებულია ქალაქ ფოთს მიაშუროს, რათა შეუერთდეს რევოლუციონერ მუშათა წრეს, მით უფრო, რომ ფოთში მას ეგულება თავისი სიყრმის მეგობარი, ახალგაზრდა თავადი — ინტელიგენტი არჩილი დადაშიანი, რომელიც ფოთის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის ერთერთ ხელმძღვანელად ითვლება. ფოთის რევოლუციონერ მუშათა წრეში მოხვედრილი ანდრო მოწამე ხდება აზრთა და პოლიტიკურ მისწრაფებათა იმ წინააღმდეგობისა, რომელიც აღმოცენებულა მენშევიკ დადაშიანსა და ბოლშევიკურად განწყობილ მუშებს შორის. მიუხედავად არჩილისადმი ბავშვობიდანვე შთანერგილი სიყვარულისა და ერთგულებისა, ანდროს გული ერთბაშად იხრება ბოლშევიკი მუშის ნიკოსა და მისი თანამებრძოლებისაკენ.

ფოთს ჩასვლის პირველსავე დღეებში მოუხდა ანდროს მიეღო საბრძოლო-რევოლუციური ნათლობა: მან მონაწილეობა მიიღო ფოთისაკენ მომავალ მატარებელზე ნიკოს მეთაურობით მოწყობილ თავდასხმაში, რომლის მიზანსაც პოლიტიკურ პატიმართა განთავისუფლება შეადგენდა. პოლიციის ძალებთან ამ უთანასწორო ბრძოლაში დამარცხებული ნიკო კონსპირატიულად ჩამოვიდა ქუთაისს ანდროს თანხლებით. ამ დროისათვის პარტიულ საქმეებზე ქუთაისს ჩამოსული არჩილ დადაშიანი პოლიციამ დააპატიმრა და ციხეში მოათავსა. არჩილი დაპატიმრებამდე ქუთაისში ცხოვრობდა თავის ახლობელ მეგობართან შალვა რამაძესთან. ეს უკანასკნელი დიდად გავლენიანი თავადის ვაჟი იყო, იგი ერთერთ ნაციონალისტურ პარტიას ეკუთვნოდა და ჟურნალისტურ მოღვაწეობას ეწეოდა. რამაძეების ოჯახში ცხოვრობდა შალვას ბიძაშვილი, ახალგაზრდა ქალი ცაცა რამაძე, რომელთანაც არჩილი რომანიული ურთიერთობით იყო დაკავშირებული.

ამ რიგად რომანის სუჟეტურ განვითარების ყოველი ახალი ეტაპი აფართოებს მოქმედ პირთა წრეს და ნაწარმოების დიაპაზონსაც. ამასთანავე მწერალი საზოგადოებრივ ძალთა ურთიერთობის ასახვას მჭიდრად აკავშირებს თავისი გმირების პირად-ინტიმურ ურთიერთობათა სამყაროსთან.

არჩილის ნათესავებთან და მეგობრებთან ერთად ქუთაისის ციხეში დადაშიანის სანახავად მოსულმა ანდრომ შემთხვევით თვალი მოჰკრა ვარდოს რომელიც ახლა უკვე ამ ციხის უფროსის, მელიტონ აბლანდიას ცოლი იყო, ამ შემთხვევამ ახალი სიმწვავე შემატა ანდროს გულის წყლულს და კიდევ მეტად გაამძაფრა მისი ზიზღი და გულისწყრომა რეაქციულ სამყაროსადმი.

მასალის ღრმა ცოდნით ხატავს მწერალი ციხის ცხოვრებას, კერძოდ პოლიტიკურ პატიმართა ყოველდღიური ყოფის სურათებს. პარალელურად რომანში ასახულია რევოლუციური ორგანიზაციების კონსპირატიული საქმიანობა. განსაკუთრებულის სიმკვეთრით არის აღწერილი ქუთაისის ციხეში გვირაბის გაყვანისა და ამ საშუალებით პოლიტიკურ პატიმართა განთავისუფლების ცნობილი ფაქტი. რომანის ეს თავები რეალისტური თხრობისა და აღწერილობის მაღალი ხელოვნებით არის შესრულებული. ყოველი სურა-

თი აქ ღრმად დამაჯერებელია და მხატვრული სიმართლით აღბეჭდილი. ავტორის შემოქმედებით წარმატებას ამ შემთხვევაში დიდად ხელი შეუწყო იმ გარემოებამ, რომ თითქმის ყველაფერი აქ მოთხრობილი და აღწერილი რამდენადმე ავტობიოგრაფიულ ხასიათს ატარებს. მწერალი პირადად იყო ამ მოვლენების მოწმე და მონაწილე.

წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს რომანის ის ნაწილი, რომელშიაც მოთხრობილია ვარდო ვარაძის ტრაგიკული დაღუპვის ისტორია. მეფის ერთგული მსახური, სასტიკი და დაუნდობელი სატრაპი მელიტონ აბლანდია, არა მარტო ციხის უფროსის სამსახურებრივ პოსტზე იყო ვერაგი და გულქვა, ასეთი იყო იგი ოჯახშიაც, პირად ცხოვრებაშიაც. ძალდატანებით გათხოვილ ვარდოსათვის აუტანელ სატანჯველს წარმოადგენდა საძულველ დესპოტ ქმართან—მელიტონთან ცხოვრება. აბლანდიამ სრულიად შემთხვევითი გარემოების საფუძველზე ეჭვი შეიტანა ვარდოს პატიოსნებაში, ღალატი და გარყვნილება დასწამა მას, დაუნდობლად სცემა უდანაშაულო ქალს. ვარდომ ვერ აიტანა ასეთი დაუმსახურებელი შეურაცხყოფა და რაკი აბლანდიას ბრჭყალებიდან გაქცევა ვერ შესძლო, რიონის ტალღებში დაიხრჩო თავი.

ღრმა დრამატიზმით გამსჭვალულსა და შემზარავი შთაბეჭდილების მომხდენ სურათებშია ასახული ვარდოს დაკრძალვის სცენა, ქალის ნათესავების მოთქმა-გოდება, რომელიც აღწევს ციხის საკანში და უზომო სულიერ ტკივილს აყენებს არჩილ დადაშიანს. იშვიათი ხელოვნებით გვიჩვენებს მწერალი ვარდოს საფლავზე განმარტოებით მისული ანდროს განცდებსა და გრძნობებს.

სწორედ ვარდოს დაკრძალვის დღეს, ანდროს აქტიური მონაწილეობით განხორციელდა გვირაბის საშუალებით ქუთაისის ციხიდან პოლიტიკურ პატიმართა და მათ შორის არჩილ დადაშიანის გაქცევა. ციხის ადმინისტრაცია და მთელი ქალაქის პოლიცია ფეხზე დადგა. განსაკუთრებული მძვინვარებით დათარეშობდა მელიტონ აბლანდია. აუცილებელი, გახდა ამ ვერაგი და დაუცხრომელი რეაქციონერის თავიდან მოცილება. ამ გადაწყვეტილების განხორციელება ანდრომ იკისრა. მან იშვიათი მოხერხებულობით და ვაჟკაცობით ბოლო მოუღო ხალხის საზიზღარი მტრის, ვარდოს დამღუპველი აბლანდიას სიცოცხლეს.

ანდროს ცხოვრების ისტორიის თხრობა რომანში მთავრდება იმ ეპიზოდით, როდესაც იგი, მუშა-ბოლშევიკ ნიკოსთან ერთად ბათუმის სადგურზე დააპატიმრა ჟანდარმერიამ.

რომანის უკანასკნელ თავებში მოთხრობილია არჩილ დადაშიანის გამგზავრება მოსკოვს შალვა რამაძესთან ერთად, არჩილის იდეური კაპიტულაცია და მისი მოქცევა რამაძის ნაციონალისტური იდეების გავლენაში, მოსკოვში ჩასული დადაშიანის შეხვედრა ცაცა რამაძესთან და მათ შორის ურთიერთობის ახალი გამწვავება და ბოლოს ქუთაისის ციხიდან გამოქცეულ ბოლშევიკ გოგიასთან ერთად დადაშიანის გაშზადება ევროპაში, ემიგრაციაში წასასვლელად.

ამ რიგად რომანი ფართოდ და მრავალმხრივად ასახავს რეაქციის წლების საზოგადოებრივ ვითარებას. არა ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა თუ პროცესი რომანში პირუთვნელი ისტორიული სიმართლით და მხატვრული დამაჯერებლობით არის ასახული. მაგალითად, ანდრო ქარიგაძის ცხოვრების ისტორია მკაფიოდ გამოხატავს ქართველი ხალხის მოწინავე ნაწილის იდეურ ზრდას და წრთობას რეაქციის

ძალებთან ბრძოლაში, ხალხის ფართო ფენებში ბოლშევიზმის გავლენის სწრაფ გავრცელებასა და გამტკიცებას, ხალხის საუკეთესო ნაწილის ჩამოშორებას მენშევიკების მოღალატური ოპორტუნისტული პოლიტიკისაგან. არჩილ დადაშიანის სახის დახატვით, ამ სახის შინაგანი ევოლუციის გადმოცემით მწერალმა ნათლად დაგვანახა მენშევიზმის სოციალური ბუნება, მისი სრული იდეური გადაგვარება და კაპიტულაცია თავადაზნაურულ-ბურჟუაზიული ინტელიგენციის ნაციონალისტური იდეოლოგიის წინაშე, მისი ლიკვიდატორული გაქცევა კლასობრივ ბრძოლათა სარბიელიდან, შალვა და ცაცა რამაძეების სახით რომანში სამართლიანად არის მხილებული ინტელიგენციის ის ნაწილი, რომელიც რევოლუციის აღმავლობის პერიოდში თანამგზავრობდა რევოლუციასთან, ხოლო რეაქციის წლებში გადაუდგა რევოლუციის საქმეს და არსებითად რეაქციის ბანაკში გადაბარგდა. რომანში მოსჩანს მკვეთრად დახატული მთელი რიგი სახეები მტკიცე და თავდადებულად მებრძოლ მუშა ბოლშევიკებისა.

დიდ მხატვრულ წარმატებას მიაღწია მწერალმა მელიტონ აბლანდიას სახის შექმნით. ეს მართლაც ხორცშესხმული განსახიერებაა იმ არაადამიანური ვერაგობისა, სიტლანქისა და კაცთმოძულებისა, რაც დამახასიათებელი იყო თვითმპყრობელობის ბიუროკრატული აპარატის მსახურთათვის, განსაკუთრებით რეაქციის წლებში.

მაგრამ ამ უეჭველ ღირსებებთან ერთად „სისხლს“ აქვს მეტად სერიოზული ნაკლოვანება, რომელიც ამცირებს ამ ნაწარმოების შემეცნებითი მნიშვნელობას, მის იდეურ სიღრმეს და აქტუალობას. რეაქციის წლებში ჩვენი ხალხის რევოლუციური ბრძოლის ერთად-ერთი ავანგარდული ძალა — ბოლშევიკური პარტია რომანში მეორე ხარისხოვანი, ეპიზოდური პერსონაჟების მეშვეობით არის წარმოდგენილი. რომანის ისეთი გმირები, როგორიც არიან არჩილ დადაშიანი, შალვა და ცაცა რამაძეები, მელიტონ აბლანდია, ვარდო, ანდრო ქარიგაძე გაცილებით უფრო სრულად და ხორცშესხმულად არიან დახატულნი, ვიდრე ბოლშევიკი მუშების—ნიკოს, გოგიას, დათას სახეები.

ასეთი შეფარდების შედეგად რომანში ვერ პოულობს გამოხატულებას ბოლშევიზმის იდეური და ორგანიზაციული ხელმძღვანელი როლი ჩვენი ხალხის განმათავისუფლებელ ბრძოლაში მე-20 საუკუნის მანძილზე. ამასთანავე ნაწარმოები სწორად და შესაფერი სიღრმით ვერ ასახავს იმ მძაფრ იდეურ ბრძოლას, რომელსაც რეაქციის წლებში აწარმოებდნენ დიდი სტალინის მიერ შექმნილი საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციები ანტიპროლეტარულ პოლიტიკურ მიმდინარეობათა წინააღმდეგ და პირველ რიგში მენშევიკ-ლიკვიდატორებისა და სხვა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ პარტიების წინააღმდეგ.

ამხანაგ ლ. პ. ბერიას ისტორიულ ნაშრომში „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“ სავსებით ნათლად არის ნაჩვენები, რომ სწორედ იმ პერიოდში, რომელსაც ლეო ქიაჩელის ხსენებული რომანი შეეხება, საქართველოს ბოლშევიკების რევოლუციური მოღვაწეობა და, მაშასადამე, ჩვენი ხალხის გამანთავისუფლებელი ბრძოლა მიმდინარეობდა კონტრრევოლუციური მენშევიზმის წინააღმდეგ განმანადგურებელი ბრძოლის ვითარებაში, ქართველი თავადაზნაურული, ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული ინტელიგენციის სხვადასხვა გვარი პოლიტიკური

მიმდინარეობებისადმი შეურიგებელი ურთიერთობის პირობებში.

„სისხლში“ ვერ ვხედავთ ამ ისტორიული სიმართლის მხატვრულ განსახიერებას. შალვა რამაძისა და არჩილ დადაშიანის ის ურთიერთობა ბოლშევიკ მუშებთან, რომელიც ნაჩვენებია ლეო ქიაჩელის რომანში, სიმართლით ვერ გამოხატავს იმ რეალურ ურთიერთობას, რომელიც არსებობდა, ერთის მხრივ, ბოლშევიკურ ორგანიზაციებსა და, მეორეს მხრივ, სხვადასხვა ჯურის ანტიპროლეტარულ მიმდინარეობათა შორის.

ეს ბრძოლა „სისხლში“ ან სრულიად არ იგრძნობა, ან თუ აქა-იქ იჩენს თავს, მეტად შერბილებული და „მშვიდობიანი“ სახითაა წარმოდგენილი. ამაში მდგომარეობს რომანის იდეური ნაკლოვანება, რაც იმის მაჩვენებელია, რომ ამ ნაწარმოებზე მუშაობის დროს ლეო ქიაჩელს ჯერ კიდევ არ ჰქონდა შემუშავებული სწორი თვალსაზრისი ახლობელი რევოლუციური წარსულის პროცესებზე, რევოლუციის მამოძრავებელ ძალთა ურთიერთობაზე.

რომანის ეს ნაკლოვანება განსაკუთრებულის სიცხადით ნათელი გახდა მას შემდეგ, რაც ამხანაგი ლ. ბ. ბერიას შესანიშნავმა შრომამ ღრმა ისტორიული სიმართლით თვალწინ გადაგვიშალა საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციების ბრძოლისა და ჩვენს ქვეყანაში გასული საუკუნის მიწურულიდან აღმოცენებულ პოლიტიკურ მიმდინარეობათა ურთიერთობის სრული სურათი.

როგორადაც არ უნდა შევაფასოთ „სისხლის“ ხარვეზები და ნაკლოვანებანი, — ეს რომანი მაინც უაღრესად მნიშვნელოვან ეტაპს შეადგენდა ლეო ქიაჩელის შემოქმედებითს ევოლუციაში, მწერლის შემობრუნების თვალსაზრისით რეალისტური ხელოვნების პოზიციებისაკენ.

ამ მიმართულებით მწერლის შემდგომი განვითარების მომასწავებელია ლეო ქიაჩელის ნოველები: „თავადის ქალი მაია“, და „ალმაზგირ კიბულან“.

„თავადის ქალი მაია“ ერთერთი საუკეთესო ნოველაა მთელს უახლეს ქართულ ლიტერატურაში. ნოველა მოგვითხრობს საქართველოში საბჭოთა წყობილების გამარჯვების პირველი პერიოდის შესახებ და ღრმა ემოციური ძალის სურათებში ასახავს რეაქციული საშყაროს გარდაუვალ სასიკვდილო განწირულებას აღმავალი ახალი ცხოვრების ძალებთან შეჯახებაში.

ოდესღაც ლამაზი და მომხიბლავი, ურიცხვი თაყვანისმცემლებით გარემოცული, ხოლო ახლა ხანდაზმული, სისხლ-ხორც დამშრალი თავადის ქალის მაიასა და ახალგაზრდა, სიცოცხლით სავსე გლეხის გოგონას დაფინოს კონტრასტულ სახეებში მწერალი მხატვრული სიმბოლიკის ხერხით განასახიერებს ძველი, მომაკვდავი სამყაროსა და ახალი, ძლევამოსილად ამობრწყინებული ცხოვრების ერთერთ ბრძოლის კანონზომიერებას. ყოველმხრივად დამარცხებული და სასოწარკვეთილ მაიას ჩახრჩობა შავი ზღვის ტალღებში ძველი ცხოვრების ნგრევისა და გაცამტვერების მომასწავებელია. ერთმანეთისადმი სამკვდრო-სასიცოცხლოთ დაპირისპირებული ორი სამყაროს შეურიგებელი ჭიდილი კიდევ უფრო მძაფრად არის განსახიერებული ამ ნოველის გმირების, თავად ბონდოს და ახალგაზრდა ბოლშევიკი-გლეხის ამბაკოს ურთიერთობის ისტორიაში. ამბაკოს მიერ გასროლილი ტყვიით თავადი ბონდოს განადგურება — მართალი გამოხატულებაა იმ საძართლიანად მკაცრი განაჩენისა, რომელიც პირუთვნელმა ისტორიამ განუმზადა რეაქციულ კლასებს ჩვენს ქვეყანაში.

პირად-ინტიმურ ურთიერთობათა სფეროში გადატანილი თანამედროვეობის ღრმა სოციალური კონფლიქტები მწერალმა ამ ნაწარმოებში სინამდვილის საღი გაგებით განავითარა და გადაწყვიტა. ნოველის სუჟეტი შეუნელებელი ემოციური დაძაბულობით ვითარდება. მწერალი აღწევს თავის გმირთა სულიერი დრამის გადმოცემას იშვიათ ძალის მხატვრობით, უზადო ოსტატობით. ნოველაში ცხოველი ფერადებით არის წარმოსახული ჩვენი ზღვისპირის ლანდშაფტი: „შავი ზღვის ნელი სუნთქვა ზაფხულის მიწურულში, ლურჯი ქარგები სამეგრელოს ნაპირებისა და მიბნედილი სიმშვიდე შორეული ჰორიზონტების“.

მხატვრული თხრობისა და ადამიანთა სულიერი სამყაროს გამოხატვის ასეთსავე ძალას მიაღწია ლეო ქიაჩელმა ამავე პერიოდის მეორე შესანიშნავ ნოველაში „ალმაზგირ კიბულან“, რომელიც ხე-ტყის დამზადებაზე მომუშავე სვანების ცხოვრებიდან არის დაწერილი. ამ ნაწარმოებში დახატულია მართლაც და ტიტანური ფიზიკური და სულიერი ძალის ადამიანური სახე სვანი გლეხის ალმაზგირისა. შვილის მოულოდნელი დაღუპვით გამწარებული მამის მწუხარება და მღელვარება იშვიათად თუ ვისმე. გადმოუცია ქართულ ლიტერატურაში ისეთი მგზნებარებით, როგორიც ამას „ალმაზგირ კიბულანში“ ვხედავთ.

ეს ნაწარმოებები მოასწავებდნენ ლეო ქიაჩელის საბოლოო დამკვიდრებას რეალისტური ხელოვნების ლიანდაგზე. აქედან მწერლის იდეურ-შემოქმედებითი აღმავლობის ხაზი პირდაპირ მიემართებოდა იმ ნაწარმოებებისაკენ, რომლებმაც ლეო ქიაჩელს დამსახურებულად მოუპოვეს პირველხარისხოვანი საბჭოთა მწერლის, თანამედროვე მხატვრული პროზის გამოჩენილი ოსტატის რეპუტაცია.

ჩვენ მხედველობაში გვაქვს ოცდაათიანი წლების შუა პერიოდში დაწერილი მისი რომანი „გვადი ბიგვა“, რომელიც სტალინური პრემიით იქნა აღნიშნული, როგორც მთელი საბჭოთა ლიტერატურის ერთ-ერთი საუკეთესო ნაწარმოები ჩვენს ქვეყანაში საკოლმეურნეო წყობილების განმტკიცების თემაზე.

(დასასრული იქნება)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გიორგი ჯიბლაძე

ილია ჭავჭავაძის მემკვიდრეობის ზოგიერთი საკითხისათვის

★

ილია ჭავჭავაძის მთელი მემკვიდრეობის კრიტიკული შესწავლის დროს, 1935 წელს, ჩვენ ცალკე გამოვყავით მისი პუბლიცისტიკა, რომ მკითხველისათვის მიგვეწოდებინა სპეციალური ნარკვევი, რომელიც ნათელ წარმოდგენას მოგვცემდა თერგდალეულთა ბელადის აზროვნების სისტემაზე. ნაშრომი არ დაგვიმთავრებია, მოვასწარით მხოლოდ ზოგიერთი პრობლემის გარკვევა, შემდეგ აღარ გვიფიქრია მას დაგბრუნებოდით, მაგრამ უკანასკნელ ხანებში აღძრულმა ინტერესმა სტიმული მოგვცა დაგვებეჭდა წინამდებარე გამოკვლევა, რომელიც ერთგვარი ცდაა გაარკვიოს ილია ჭავჭავაძის მსოფლმხედველობის რამდენიმე სპეციალური საკითხი. ავტორი იმ აზრით არის გამსჭვალული, რომ ეს ნარკვევი ხელს შეუწყობს ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ-პუბლიცისტური მემკვიდრეობის სწორ შეფასებას. ნარკვევი მიზნად არ ისახავს ილია ჭავჭავაძის ფილოსოფიურ-პუბლიცისტური მემკვიდრეობის ყველა არსებითი საკითხის განხილვას: მისი ამოცანა, როგორც უკვე მივუთითეთ, მხოლოდ ის არის, რომ ნათელი წარმოდგენა მოგვცეს ილია ჭავჭავაძის ა ზ რ ო ვ ნ ე ბ ი ს ს ი ს ტ ე მ ა ზ ე. მაგრამ ეს სისტემა ორგანიულ კავშირშია გარკვეულ საზოგადოებრივ ეპოქასთან, ამავე დროს, გამოვლინებულია მთელ რიგ პუბლიცისტურ ნაწერებსა და მხატვრულ ქმნილებებში.

სწორედ ამ მომენტებს ითვალისწინებს ავტორი, როცა ცდილობს გაარკვიოს ილია ჭავჭავაძის მეტად რთული აზროვნების სისტემა.

I

ყოველი მწერალი თავისი ეპოქის პირმშოა, და როგორც სარკე, მისი შემოქმედება ხშირად მთელ ეპოქას გამოხატავს. ახალი იდეებით მოვიდა ის ეპოქა, რომელმაც ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ დებიუტს ხელი შეუწყო და პირობები მოამზადა ბატონყმობის გაუქმებისათვის. პოეტი მთელი არსებით გრძნობდა „განახლებისა გრიგალის ქროლას“, რომელსაც ძველი ქვეყანა ვერ გაუძლებდა, ჭეშმარიტებით აღძრული ბრძოლა მოსპობდა ქვეყნის მძარცველს, დაიმსხვრეოდა კაცთა ცხოვრების შემაფერხებელი ბორკილი და „ახალს ნერგზედ ახლად შობილი“ ქვეყანა კვლავ აყვავდებოდა. ძველი საზოგადოებ-

რივი ცხოვრების მამხილებელმა დიდმა კრიტიკოსმა „აჩრდილში“ ყმა გლეხის პირით მრავალისმეტყველად ამოიგმინა: „ვინა შრომობდა და ვინა ჰქონდა, ღმერთო, სად არის აქ სამართალი?!..“ ილია ჭავჭავაძემ ბრწყინვალედ ასახა სჭვრიტა თავისი საუკუნის ისტორიული მისია და იწინასწარმეტყველა:

„შრომისა ახსნა — ეგ არის ტვირთი
ძლევამოსილის ამ საუკუნისო“.

თუ რა ვრცელი იყო ილია ჭავჭავაძის იდეური ქვეყანა, ნათლად მოწმობს მისი შემოქმედების პრობლემათა მრავალფეროვნება. ამ მრავალფეროვნების რეტროსპექტული მიმოხილვაც კი უხვ მასალას იძლევა მწერლის მსოფლმხედველობის დასახასიათებლად. თავის მრავალრიცხოვან პუბლიცისტურ ნაწერებსა და მხატვრულ შემოქმედებაში ილია ჭავჭავაძე ამბობდა, რომ მეცხრამეტე საუკუნემ ახალ საუკუნეს უანდერძა მორჩენა იმ ტკივილისა, რომელსაც სოციალური უთანასწორობა ჰქვია. ერთი დიდი და სახელოვანი საქმე მეცხრამეტე საუკუნისა, სხვათა შორის, ის არის, რომ მაგარს საფუძველზე დააყენა და ფრთა გააშლევინა კაცთმოყვარულს მოძღვრებას... „მართალია, ამ მოძღვრების დასაბამი დიდი ხნისაგან მოდის, მაგრამ ამ საუკუნემ ეს მოძღვრება განადიდა, გააძლიერა, გააფართოვა და დაუდვა რა მეცნიერული საბუთი, ღარიბთა და უძლურთა სამწეო მოძღვრებად გარდააქცია“. ახლებურად დაისვა ხალხთა საკითხიც. ხალხთა ბედნიერების იდეა ილია ჭავჭავაძემ ორგანიულად დაუკავშირა მშობელი ქვეყნის კეთილდღეობას. სამშობლოსადმი სიყვარული მისი ცხოვრებისა და შემოქმედების ქვაკუთხედია. ოცი წლის ახალგაზრდა „ყვარლის მთებში“ სამშობლოს სიყვარულს ეფიცებოდა. პატრიოტიზმის მხურვალე გრძნობით არის ანთებული მთელი მისი მხატვრული და პუბლიცისტური შემოქმედება. სამშობლო ქვეყნის ნაკლთა მხილება და კრიტიკა მას საფუძველს აძლევდა ეთქვა: „...კარგი გული კი მაშინვე ბცნობს,—ამ სიძულვილში რაოდენიც სიყვარულია“. იგი წინ უბიძგებდა ხალხს, თავის ქვეყანას კარგისა და უკეთესისაკენ. ეს იყო მისი შიზანი, მისი უდიდესი დამსახურება. მთელი თავისი მღელვარე ცხოვრება ილია ჭავჭავაძემ სამშობლო ქვეყნის აყვავებას მოახმარა. იგი მგზნებარედ მოუწოდებდა სიმართლისათვის ხმალი არ დაჩლუნგებულიყო, აღვივებდა შრომისადმი სიყვარულს, ადამიანის „ურგებ კვალს“ ცრემლის ღირსად არ მიიჩნევდა:

„დაე თუნდ მოვკვდე, არ მეშინიან,
მარამ კი ისე, რომ ჩემი კვალი
ნახონ მათ, ვინცა ჩემს უკან ვლიან,
თქვან: აღასრულა მან, თვისი ვალი“.

ეს იდეა წითელი ზოლივით მიჰყვება ილია ჭავჭავაძის პოეზიას, ჩვენ ვიტყოდით, მთელ შემოქმედებას. „ნანაში“ პოეტი ყრმის აკვანთან დედას ათქმევინებს: მას დედის ტკბილი ძუძუ შხამადაც შერგებია, ვისაც მამულისთვის სიკვდილი დაზარებიაო. აღვიძებდა რა ხალხში გმირობას და მამაცობას, თავისუფლების სიყვარულს, იგი „ებრძოდა სიმდაბლეს, მტრობას“, სამარცხვი-

ნო ბოძზე აკრავდა სოციალურ უთანასწორობას. „ოთარაანთ ქვრივში“ ხალხის შემოქმედებით ნიჭთან და შეუპოვარ ძალასთან ერთად, მან დიდი მხატვრული ექსპრესიით დაგვისურათა ხიდჩატეხილი ცხოვრების უკულმართობა. თავისუფლების იდეალი განუმეორებელი სახეებით ასახა „მგზავრის წერილებში“—ამ საოცარი ძალის მხატვრულ ნარკვევში. ექსპლოატაციასა და ძალმომრეობაზე დამყარებული საზოგადოებრივი ცხოვრების პირობებში ადამიანთა გაქელვისა, დაღუპვისა და ტრაგედიის შემაძრწუნებელი სცენები გვიჩვენა პატარა მოთხრობაში „სარჩობელაზე“. ქართველი ხალხის გმირული ბრძოლისა და სამშობლოსათვის თავდადების სურათებია დახატული პოემაში „მეფე დიმიტრი თავდადებული“ და საახალწლო მოთხრობაში „ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილი“. ზოგადკაცობრიული იდეა—რეალური და იდეალური ცხოვრების დაპირისპირება პრაქტიკულის გამარჯვების ფონზე შთამაგონებელი პოეტური ყალმით აისახა პოემაში „განდეგილი“. დიდმა ხელოვანმა და მახვილმა კრიტიკოსმა თავისი დროის სარკეში ღრმად ჩაიხედა, პოეტი „ჩავიდა ცხოვრების მდინარის ძირში“, „იქ მონახა შიგ-მდებარე აზრი თავის ცხოველ სურათებისთვის“. იქ მან იპოვა „ბევრი მარგალიტი და უფრო ბევრი ლექი და ლაფი“. არცერთის გამოხატვას პოეტი არ მორიდებია. მის მიერ დიდი ხელოვანის ოსტატობით გამოკვეთილმა სახეებმა და ტიპებმა ღრმა კვალი გაავლეს ქართულს ლიტერატურაში. ლუარსაბ და დარეჯან თათქარიძეები, ოთარაანთ ქვრივი და გიორგი, არჩილი და კესო, გაბრო და დათიკო, კაკო და ზაქრო, მოხევე ლელთ ღუნია—ამ ლიტერატურულ ტიპებში ილია ჭავჭავაძემ მეცხრამეტე საუკუნის საქართველოს ისტორიული ყოფა გამოხატა. ეს სახეები ჩვენს ლიტერატურაში სამუდამოდ დარჩნენ აგრეთვე როგორც მხატვრული სიტყვის სწორუპოვარი ქმნილებანი. ხალხის მომღერალს გულს უწყლულებდა ხალხის აუტანელი ეკონომიური ყოფა. მშრომელების სიყვარულით ელერდა მისი პოეტური ჩანგი. ლექსში „მუშა“ მან ჯერ კიდევ გასული საუკუნის 60-იან წლებში დაგვიხატა ძალმომრეობასა და ექსპლოატაციაზე დამყარებული ცხოვრების პირობებში მშრომელთა აუტანელი მონური ცხოვრება. ბატონყმობის მძიმე უღლისაგან გლეხთა განთავისუფლების იდეებით აროს გაჟღენთილი საუკეთესო პოემები „კაკო ყაჩაღი“ და „აჩრდილი“. ბატონყმობის, ძალადობის, მონობის წინააღმდეგ, თავისუფლებისათვის ბრძოლისაკენ მოუწოდებდა პოეტი. „კაცია ადამიანში?!“ და „გლახის ნაამბობში“ ილია ჭავჭავაძემ დიდი მხატვრული დამაჯერებლობით ოსტატურად დაგვიხატა ბატონყმური მონური ცხოვრების შემაძრწუნებელი სცენები. აბა ნახეთ რა ცოცხალი და ტრაგიკული სურათებია „აჩრდილში“ დახატული ბატონყმობის უღელქვეშ მოქცეული ყმა გლეხისა:

„შენში კაცისას გრძნობას არ ხედვენ,
დედას ძუძუდგან შვილსა აჰგლეჯენ,
ვინ იცის, სიდამ სად გაჰყიდიან...
უწმინდურისა ხელითა სთხრიან.
დედისა გულში უკეთესს გრძნობას,
ცოდვად უთვლიან შვილისა ტრფობას“.

„აგერ დიდკაცი დარბაისელი
კმაყოფილების განცხრომაშია
მაშინ, როს მისი მოძმე საწყალი
სასოწარკვეთილ მონებაშია“.

აღარ გავაგრძელებთ ანალოგიური პირველხარისხოვანი მხატვრული სურათების ამოწერას „კაცია ადამიანიდან“, „კაკო ყაჩაღიდან“, „გლახის ნაამბობიდან“, „სახრჩობელიდან“, „ოთარაანთ ქვრივიდან“. ეს ნაწარმოებები ქართველი მკითხველისათვის ფართოდ არის ცნობილი. იმ დროს ასეთი სიყვარული ჩაგრულთა და დამცირებულთადმი, ასეთი უზადო მხატვრული ოსტატობით აღწერა ექსპლოატაციის საშინელებისა — გაიხსენეთ თუნდაც კლასიკური ლექსი „მუშა“ — შეეძლო მხოლოდ დიდი ბუნებისა და დიდი გონების ადამიანს, ჰუმანისტს ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით.

ილია ჭავჭავაძე, როგორც მწერალი და შემოქმედი, პირველყოვლისა დიდი ჰუმანისტია და მისი ნაწერებიდან ჰჭრის ჰუმანიზმის სული. ასე წარმოსდგა ეს ბუმბერაზი ადამიანი თავისი დროისა ქართველი ხალხის წინაშე და ასე ესახება იგი დღეს შთამომავლობას.

ხალხთა თავისუფლების დიდი მომღერლის ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობა იწყება გასული საუკუნის 60-იან წლებში, ერთერთ მღელვარე ეპოქაში, როცა ლენინის კლასიკური დახასიათებით, სოციალიზმი და დემოკრატიზმი განუყოფელი იყო.

ილია ჭავჭავაძე მართლაც არის „მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ყველაზე უფრო პოპულარული საზოგადო მოღვაწე და მწერალი“. ისე როგორც მსოფლიო ლიტერატურის დიდმა კლასიკოსებმა გაარღვიეს თავიანთი კლასობრივი განსაზღვრულობა, ილია ჭავჭავაძემ მშრომელთა და ჩაგრულთა დამცველად აღიარა თავისი თავი და პირველხარისხოვან მხატვრულს ნაწარმოებებში უმღერა ხალხთა ბედნიერებას, მშრომელის კეთილდღეობას, ბრძოლა გამოუცხადა თვითმპყრობელობას და ბატონყმობას, აგრესიას და ექსპლოატაციას. მან გადაიტანა „მამათა“ და „შვილთა“ ორი ბრძოლა და ორივე შემთხვევაში პროგრესულ თვალსაზრისზე იდგა 60-იან წლებშიც და 70-იან წლებშიც. ჩვენ დაწვრილებით არ განვიხილავთ ამ ბრძოლის არც ისტორიულ საფუძვლებს და არც შინაარსს, მაგრამ ერთი რამ ცხადია: ამ ბრძოლამ გამოაფხიზლა იმდროინდელი ქართველი ინტელიგენცია და მას უფრო ნათელი პერსპექტივა მისცა. საკვლევით ბუნებრივი იყო ის მაჯისცემა, რასაც ქართველი მკითხველი ყოველთვის გრძნობდა ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში.

ილია ჭავჭავაძემ მთელი ეპოქისა და საუკუნის ფიქრთაღელვა გამოხატა, როცა „ქართვლის დედაში“ მრავლისმეტყველად მიმართა თავის დროს:

„მას ნულარ ვსტირით, რაც დამარხულა,
რაც უწყალოს დროთ ხელით დანთქმულა;
მოვიკლათ წარსულ დროებზედ დარდი...
ჩვენ უნდა ვსდიოთ ეხლა სხვა ვარსკვლავს,
ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი,
ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი ხალხს“.

იწყებოდა ახალი ეპოქა, მისი ვარსკვლავის ბრწყინვა თუმც ჯერ არ ჩანდა, მაგრამ მოწინავე ადამიანები გრძნობდნენ, რომ დროთა სვლაში იგი უნდა გამოჩენილიყო, ადრე თუ გვიან გაენათებია. ის დიდი გზა, რომელიც ილია ჭავჭავაძემ ასე ნათლად წარმოიდგინა. პოეტის სიტყვები მოწოდების ზარად გაისმა და ლოზუნგად წაეწერა თერგდალეულთა დროშას, რომ დაწყებულიყო ბრძოლა მომავლისათვის. ეპოქის მოწინავე იდეებით სუნთქავს ილია ჭავჭავა-

ძის ყველა ნაწარმოები, დიდია თუ პატარა, ლირიკულია თუ ეპიკური, მხატვრულია თუ პუბლიცისტური. ყველგან გრძნობთ დროის ტკივილებს, სიხარულსა თუ ტანჯვას, ცრემლთა დენას თუ ღიმილს. თავისი დროის მეგუნვარეობა და სევდა ილია ჭავჭავაძემ შესანიშნავად გამოხატა ლირიკულ ლექსებსა და პოემებში. რადა ღირს თუნდაც პოეტის მიმართვა ალაზანისადმი:

„შენც გამოცვლილხარ, ალაზანო, მუხაც გამხმარა...
მეც უდროო-დროდ გამერია თმებში ჭაღარა...
სად არს ის ღმერთი, იგი გრძნობა, ის სიყვარული?
ყველა წარსულა, რად არ მიდის ხსოვნა ბედკრული!“.

ამ ბედკრულ ხსოვნას დიდი შინაგანი სულიერი ღელვაც თან ერთვოდა:

„დაბნელდა სული გარშემოც ბნელა,
სიცივე მკვიდრობს ეხლა ჩემ გულში;
აღარ მაქვს საზრდო სულისათვის მე
არც სიძულვილში, არც სიყვარულში“.

ილია ჭავჭავაძემ ბარათაშვილის შემდეგ ქართულ ლექსს მისცა ფილოსოფიური სიღრმე, მან ქართულ პოეზიას ბარათაშვილის შთაგონებით ახალი გზა უჩვენა და ახალი ჰორიზონტები დაანახა. შემთხვევითი არ არის, რომ 60-იან წლებში ბარათაშვილის აღმოჩენა და პირველი დაფასება დაკავშირებულია სწორედ ილია ჭავჭავაძის სახელთან. მისი პირველი წერილი ჟურნალ „ცისკარში“, კოზლოვიდან „შეშლილის“ ერისთავისეული თარგმანის გამო, არა მარტო ახალი ენობრივი ნორმების ქადაგება იყო, არამედ „საქართველოს მოამბეს“ მოწინავე წერილთან ერთად წარმოადგენდა ახალი ლიტერატურის, ახალი საზოგადოებრივი მოძრაობის, ახალი ეთიკის, ესთეტიკისა და პოლიტიკური მრწამსის სისტემატიკურ გადმოცემას. ილია ჭავჭავაძე შეიქნა თავისი დროის ენციკლოპედიური გონება, რომელმაც ერთნაირი ძალით შესძლო პასუხი გაეცა ეპოქის მიერ დაყენებული საჭირბოროტო კითხვებისათვის.

თავისი ყველაზე საუკეთესო ფიქრები და აზრები ილია ჭავჭავაძემ სამშობლოს დიდების საკურთხეველზე მიიტანა. როგორც დიდი პატრიოტი, იგი შეჰხაროდა მშობელი ქვეყნის განახლებასა და აყვავებას:

„აყვავებულა მდელო,
აყვავებულან მთები;
მამულო საყვარელო,
შენ როსღა აყვავდები?“

არასოდეს ილია ჭავჭავაძეს ეშვი არ შეჰპარვია, რომ მშობელი ქვეყანა იხილავდა ბედნიერ მომავალს, დაიმსხვრეოდა ბორკილი და ნათელი მომავალი ხალხს სიხარულს დაუმკვიდრებდა. თავის მოწყენილ სამშობლოს ილია გამამხნევებელი სიტყვებით მიმართავდა:

„ჩემო კარგო ქვეყანავ, რაზედ მოგიწყენია!..
აწმყო თუ არა გვწყალობს, მომავალი ჩვენია,
თუმცა ძველნი დაგშორდნენ, ახალნი ხომ შენია...
მათ ახალთ აღგიდგინონ შენ დიდების დღენია“.

მომავალს რომ უნდა აღედგინა წარსულის დიდების დღენი და შეექმნა უკეთესი აწმყო, ოდნავაც არ იყო საეჭვო იმ ადამიანისათვის, ვისაც თავისი თავი მსხვერპლად მიჰქონდა სიმართლისათვის ბრძოლაში, ვინაც ასე გატაცებით უმღერა თავისუფლებას, როგორც ცხოვრების აუცილებლობას. გაიხსენეთ თავისუფლების შესანიშნავი ოდები „აჩრდილსა“ და „ქართველის დედაში“, „კაკო ყაჩაღში“ და პროზაულ შედევრებში. გაიხსენეთ ქართველი დედის გულში—ჩამწვდომი სიტყვები:

„თავისუფლებავ, შენ ხარ კაცთა ნავთსაყუდარი,
შენ ხარ ჩაგრულის, წვალებულის წმინდა საფარი,
შენ ხარ მშვიდობა და სიმართლე ამა ქვეყნისა,
შენ ხარ აღმზრდელი ღვთაებამდე კაცთ ბუნებისა.
მტარვალთა თქმითა ოდითვე ხარ შენ აკრძალული,
ხე ცნობადისა, ედემს რგული, შენი ხე იყო...
რად შეიღებე კაცის სისხლით საშიშრად ჩვენდა
და რისთვის დახვალ ამა ქვეყნად პირსისხლიანი?
თვით ხარ მშვიდობა, უხვად მადლთა ქვეყნად მომფენი,
ბაგრამ სისხლით კი იკვლევს გზასა მძებნელი შენი!
რად არ შენდება უსისხლოდ მისი ტაძარი,
მისი, რომელიც თვით მშვიდობის ღვთაება არი?“.

ეს სიტყვები საბრალდებო აქტად გაისმის მშვიდობის ყველა მტრისა და ომისგამჩაღებლების წინააღმდეგ; ეს სიტყვები ისე გაისმის, თითქოს დღეს იყოს დაწერილი, თითქოს დღეს ხდიდეს ნიღაბს ომისგამჩაღებლებსა და ბატონ-კაც იმპერიალისტებს, რომლებსაც სურთ ახალი ომის საშინელ უფსკრულში გადასჩეხონ მსოფლიოს თავისუფლებისმოყვარე ხალხები.

აკაკი წერეთელთან, ვაჟა ფშაველასთან და ალექსანდრე ყაზბეგთან ერთად ილია ჭავჭავაძე მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის კრიტიკული რეალიზმის კლასიკური წარმომადგენელია. ეს რეალიზმი უდაოდ წინამორბედია ქართული საბჭოთა ლიტერატურისა, რომლის ყველაზე საუკეთესო მიღწევები მოპოვებულია სოციალისტური რეალიზმისა და რევოლუციური რომანტიზმის შემოქმედებითი მეთოდის გამოყენებით.

კრიტიკულად ვითვისებთ რა წარსულის მხატვრულ მემკვიდრეობას, ჩვენ ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ ბოლშევიკების „პარტიამ,—როგორც ამხანაგი ლ. ბერია გვასწავლის,—უდიდესი მუშაობა ჩაატარა ჩვენი კლასიკოსების ფრიად მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობის ასათვისებლად. წარსულის ყველა კულტურული ღირებულება, რაც წინათ გადამალული იყო, ახლა გამოყენებულია საბჭოების ქვეყნის მშრომელთა სამსახურისათვის“.

კლასიკური ლიტერატურა, საბჭოთა ლიტერატურასთან ერთად, ჩვენს ახალგაზრდობას ზრდის პატრიოტიზმის, სამშობლოსადმი მხურვალე სიყვარულის გრძნობით. ამ დიდ საქმეს ხელს უწყობს ილია ჭავჭავაძის მთელი მემკვიდრეობის კრიტიკული შესწავლაც. შემთხვევითი არ არის, რომ ილია ჭავჭავაძემ შესანიშნავად განსჭვრიტა მომავალი, მის შემოქმედებაში ცნაურდება ჩვენი დიდი ეპოქის მღელვარე აზრები და განცდები. ამიტომ ჩვენ დღესაც უდიდესი გატაცებითა და სიყვარულით ვეწაფებით მის შემოქმედებას, რომელმაც პირველმა აუწყა მსოფლიოს, რომ „ბაზალეთისა ტბის ძირას ოქროს აკვანი არისო, და მის გარშემო წყლის ქვეშე უცხო წალკოტი ჰყვავისო“. დი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დი პოეტი, მოკრძალებით შთაგონებული უმღეროდა ხალხის იმ სიხარულს, რომელიც ამ ლეგენდარულ აკვანთან იყო დაკავშირებული:

„იქნებ, აკვანში ის ყრმა წევს,
ვისიც არ ითქმის სახელი,
ვისაც დღე-და-ღამ ჰნატრულობს
ჩუმის ნატვრითა ქართველი?
თუ ესე არის, ნეტა მას
ვაჟკაცსა სახელოვანსა,
ვისიცა ხელი პირველად
დასწვდება იმა აკვანსა!“

ასე ვრცელია ილია ჭავჭავაძის შემოქმედების იდეური სამყარო, ასე მრავალფეროვანია მისი მხატვრული შთაგონება, მაგრამ ასევე ვრცელი და მრავალფეროვანია მისი პუბლიცისტური მემკვიდრეობა, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული ყოველივე იმასთან, რასაც თვით „აჩრდილის“ ავტორი ხატებსა და სურათებს უწოდებდა.

II

ძნელია ილია ჭავჭავაძის მსოფლმხედველობის მიკუთვნება რომელიმე სკოლისა თუ მიმართულებისათვის. მისი მსოფლმხედველობა შეიცავს მატერიალიზმსაც (უფრო მეტად მატერიალიზმს) და იდეალიზმის ელემენტებსაც; იგი განმანათლებლიც არის და ზოგიერთ ნაროდნიკულ იდეებსაც მხარს უჭერს; აქ შეიძლება იგივე გავიმეოროთ, რასაც ლენინი ამბობდა ნაროდნიკ ენგელგარდტის შეხედულებათა წინააღმდეგობრივ ხასიათზე. „... მის შეხედულებებში ჯერ კიდევ იმდენად ბევრია ისეთი თვისებანი, ყველა განმანათლებელთათვის საერთო რომ არის, იმდენია ისეთი რამ, რაიც უკუგდებულია ან შეცვლილია თანამედროვე ნაროდნიკების მიერ,—რომ გაგიჭირდებათ გადაწყვეტა, თუ ვის მიაკუთვნოთ იგი: ნაროდნიკული შეფერადების არმქონე „მემკვიდრეობის“ წარმომადგენელთ საერთოდ — თუ ნაროდნიკებს“[1]. ეს სირთულე უდაოდ აღიმართება იმის წინაშე, ვინც ცდილობს ილია ჭავჭავაძის მთელი მემკვიდრეობის კრიტიკულად შესწავლას, ვინც მიზნად დაისახავს იგი წარმოადგინოს გარკვეული სისტემის სახით. ილია ჭავჭავაძე აღზრდილი იყო გასული საუკუნის 40—60-იანი წლების განმანათლებელთა ტრადიციებზე და ბუნებრივია მისი მსოფლმხედველობა ყალიბდებოდა რაზნოჩინელების იდეური გარემოცვის პირობებში; მეორეს მხრივ, ილია ჭავჭავაძე მოღვაწეობდა მთელი 50 წლის მანძილზე, როგორც მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის ნაციონალურ-გამანთავისუფლებელი მოძრაობის მედროშე და მეთაური, „ერის წინამძღოლი“, რომელსაც ერთი ძირითადი აზრი ასულდგმულებდა: უზრუნველეყო „ერის მთლიანობა“, გაექარწყლებია, შეენელებია, შეერიგებია შინაგანი წინააღმდეგობანი, არ დაეშვა ძალების გათიშვა. ცხადია ყოველივე ეს გავლენას ახდენდა მის მსოფლმხედველობაზე; ხშირად იგი იძულებული იყო დაეცვა თავისი თავი და ანგარიშიც გაეწია ზოგიერთი ახალი საწინააღმდეგო მომენტებისათვის. ასეთ რთულ ვითარებაში რთული მსოფლ-

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. II, გვ. 447 — 448.

მხედველობა უნდა ჩამოყალიბებულიყო და აკი ჩამოყალიბდა კიდეც ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტური მემკვიდრეობის სახით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც მეთვრამეტე საუკუნის ევროპელი ეკონომისტები და ევროპელი განმანათლებლები, როგორც მეცხრამეტე საუკუნის 40—60-იანი წლების რუსი განმანათლებლები მხურვალედ ებრძვიან ბატონყმობას მისი გამოვლინების ყველა ფორმაში, ილია ჭავჭავაძე იმდროინდელი საქართველოს პირობებში საუკეთესოდ გამოხატავდა განმანათლებელთა ამ პირველ დამახასიათებელ თვისებას. მისთვის არც მეორე დამახასიათებელი თვისება იყო უცხო და მიუღებელი. მხურვალე დაცვა განათლებისა, ცხოვრების ევროპული ფორმებისა და ევროპეიზაციისა საერთოდ, შემდეგ დაცვა თვითმმართველობისა, რასაც ჩვენ ქვევით უფრო დაწვრილებით შევეხებით, მხოლოდ იმას გვიჩვენებს, რომ ლენინის მიერ აღნიშნული სამი დამახასიათებელი თვისება „განმანათლებლისა“, მთლიანად უდგება ილია ჭავჭავაძის მსოფლმხედველობას. მაგრამ რა იყო განმანათლებლის დამახასიათებელი მესამე თვისება? ეს იყო, როგორც ლენინი ამბობს, „ხალხის მასათა, უნთავრესად გლეხთა (რომელნიც ჯერ სვსებით განთავისუფლებულნი არ იყვნენ ანდა თავისუფლდებოდნენ მხოლოდ განმანათლებლების ეპოქაში) მასებისა, გულწრფელი რწმენა იმისა, რომ ბატონყმობისა და მისი ნაშთების მოსპობას თან მოჰყვებოდა საყოველთაო კეთილდღეობა; გულწრფელი სურვილი ამისადმი ხელის შეწყობისა“[1]. თუ მწერლის მსოფლმხედველობაში ეს სამი თვისება სჩანს, მაშინ „მას ყველგან და ყოველთვის სცნობენ „60-იანი წლების ტრადიციათა შემანარჩუნებლადო“,—იქვე შენიშნავს ლენინი. ისიც არ უნდა დავივიწყოთ, რომ „იმ ხანებში, როდესაც მე-18 საუკუნის განმანათლებლები წერდნენ (რომელნიც საყოველთაოდ აღიარებული აზრით — ბურჟუაზიის ბელადებად ითვლებიან), როდესაც წერდნენ ჩვენებური განმანათლებელნი 40-ნისა და 60-ანი წლებისა, ყ ვ ე ლ ა საზოგადოებრივი საკითხი მაშინ ბატონყმობისა და მისი ნაშთების წინააღმდეგ ბრძოლით გამოიხატებოდა. ახალი საზოგადოებრივ-ეკონომიური ურთიერთობანი და მათი წინააღმდეგობანი მაშინ ჯერ კიდევ ჩანასახ მდგომარეობაში იყვნენ. ამიტომ ვერავითარ ანგარებას მაშინ ბურჟუაზიის იდეოლოგები ვერ იჩენდნენ. პირიქით, დასავლეთ ევროპაშიაც, რუსეთშიაც მათ სავსებით გულწრფელად სწამდათ საყოველთაო კეთილდღეობა და გულწრფელადვე სწადდათ იგი, გულწრფელად ვერ ხედავდნენ (ნაწილობრივ ვერც შეეძლოთ ჯერ დაენახათ) წინააღმდეგობანი იმ წყობილებისა, რომელიც ბატონყმური წყობილებიდან იზრდებოდა“.[2] ეს გულწრფელი სურვილი ხალხის მასების საყოველთაო კეთილდღეობისა ილია ჭავჭავაძის მთელ შემოქმედებასა და პუბლიცისტურ მემკვიდრეობაში მკითხველს შეუძლია ადვილად დაინახოს, ასევე იოლად შეამჩნიოს მისწრაფება ყოველივე იმისადმი, რასაც „განმანათლებლობა“ ეწოდება, თუმცა სპეციფიკური პირობებითა და ასევე სპეციფიკური თვალხედვით. თუ „განმანათლებელს სწამს არსებული საზოგადოებრივი განვითარება, ვინაიდან ის ვერ ამჩნევს იმ წინააღმდეგობებს, ამ განვითარებას რომ მოსდგამს“, ილია ჭავჭავაძესაც სწამს არსებული საზოგადოებრივი განვითარება, ვინაიდან ის ხშირად, თუმცა არა ყოველთვის, ვერ ამჩნევს იმ წინააღმდეგობებს, ამ განვითარებას რომ მოსდგამს. თუ „განმა-

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. II, გვ. 445.

[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტომი II, გვ. 446.

ნათლებლები“ სრულიად არ აყენებდნენ რეფორმის მერმინდელი დროის განვითარების საკითხებს; ისინი სჯერდებოდნენ მხოლოდ რეფორმის წინადროის ნაშთების წინააღმდეგ ბრძოლას, კმაყოფილდებოდნენ რუსეთის ევროპულად განვითარებისათვის გზის გაწმენდის უარყოფითი ამოცანით“,[1] ილია ჭავჭავაძეც ხშირად ასე იქცეოდა, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში ის არღვევდა „განმანათლებლის“ ამ თვისებას და სწორედ ამაში მდგომარეობდა მისი ორიგინალური თვალთახედვა. თუ განმანათლებელთა თვალსაზრისის ერთერთ ძირითად თვისებას წარმოადგენს ევროპეიზაციისადმი მისწრაფება, ილია ჭავჭავაძეც აშკარად ამჟღავნებს ანალოგიურ ტენდენციას და ამ მხრივ ის ტიპიური განმანათლებელია. თუ „განმანათლებლები მოსახლეობის არც ერთ კლასს არ გამოყოფდნენ, როგორც განსაკუთრებული ყურადღების საგანს, ისინი ლაპარაკობდნენ არა მარტო ხალხზე საზოგადოდ, არამედ ერზეც კი საზოგადოდ“,[2] ილია ჭავჭავაძე ამ შემთხვევაში ტიპიური განმანათლებელია, ვინაიდან ის მართლაც არცერთ კლასს არ გამოყოფს განსაკუთრებული ზრუნვის საგნად, ლაპარაკობს არა მარტო ხალხის, არამედ თითქმის ყოველთვის ერის დამცველის სახელით.

ამ წინასწარი მონაცემების გაუთვალისწინებლად არა მარტო ძნელია, შეუძლებელიც არის ნათლად დავახასიათოთ ილია ჭავჭავაძის ეგზომ რთული მსოფლმხედველობა და კრიტიკულად შევაფასოთ მისი მთელი მემკვიდრეობა. ეს მსოფლმხედველობა ძალიან კარგად, მთელი თავისი არსებით გამოიხატა 1877 წელს დაწერილ ლექსში „კ. ბ. მ.-სას“. აქ ყველაფერი ისე ნათლად არის გამოთქმული, რომ არავითარ კომენტარს არ საჭიროებს. მოვუსმინოთ ამ ლექსს:

„ნუ, ნუ მაყვედრი, რომ ყოველს ჩვენგანს
ხელსა ვაწვდიდი მეგობრობისას,
რომ უარვყოფდი ჩემთ მოძმეთ შორის
სულის სიმდაბლეს, შხამსა მტრობისას...

მე კაცთ სიკეთის მხურვალე რწმენა
ჭირში თუ ლხინში წინ მიმიძღოდა...
  გული თრობილი მის წმინდა მადლით
ჭკუის ციეს თათბირს ეურჩებოდა.
ნუ მეუბნები, რომ იგი იყო
უგუნურება და ცდომილება, —
ოღონდ კვლავ მომე: ის ცდომა მიჯობს,
ვიდრე უცდომი გამოცდილება!“.

ეს „კაცთ სიკეთე “ილია ჭავჭავაძემ საფუძვლად დაუდო თავის მხატვრულსა და პუბლიცისტურ შემოქმედებას, რომელიც ნამდვილად არის გამსჭვალული იმ მხურვალე რწმენით, რომ ადამიანთა ცხოვრება შეიძლება გონივრულად მოეწყოს, ყველა ბედნიერი იყოს, მაგრამ ამისათვის საჭიროა ადამიანებმა ერთმანეთს მეგობრობის ხელი გაუწოდონ, უარჰყონ „სულის სიმდაბლე“, „შხამი მტრობისა“ და აღიარონ ჰუმანიზმის მაღალი იდეები. მაგრამ პრაქტიკულად თუ როგორ უნდა განხორციელდეს ეს მაღალი იდეები, ძნელია ამ კითხვაზე დასრულებული პასუხი იპოვოთ განმანათლებელი აზროვნების იმ რთულ სისტემაში, რომელსაც ჩვენ ილია ჭავჭავაძის მსოფლ-

[1] ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. II, გვ. 467.
[2] იქვე, გვ. 467.

მხედველობას ვეძახით და რომელიც ერთნაირი ძალით გადაიშალა მის როგორც მხატვრულ, ისე პუბლიცისტურ შემოქმედებაში.

ჩვენ არაერთხელ აღგვინიშნავს პუბლიცისტიკისა და მხატვრული შემოქმედების ურთერთმიმართება, გამოგვირკვევია, რომ ისინი წარმოადგენენ სინამდვილის შემეცნებისა და მსჯავრის დადების სპეციფიკურ საშუალებებს, თუმცა შეუძლებელია მათი გაიგივება, ისევე როგორც წარმოუდგენელია პოლიტიკისა და ფილოსოფიის იდენტიფიკაცია, შეუძლებელია არსებობდეს ხელოვნების ნაწარმოები, რომელიც გარკვეულ იდეას არ ემსახურებოდეს, რომელიც არ იყოს შემოქმედის შეხედულებათა გამოვლენა, მისი იდეების მხატვრული სინთეზი. და თუ თქვენ აღიარებთ საწინააღმდეგო შეხედულებას, მაშინ იძულებული იქნებით ასევე სცნოთ ის ჭეშმარიტება, რომ მსგავსი მხატვრული ნაწარმოებიდან, თუ იგი შეიქმნება, ვერავითარ გავლენას ან შთაბეჭდილებას ვერ მიიღებთ. „უიდეო“ ლექსები ყოველთვის გარკვეული იდეების გამოვლენა იყო და თუ მათ შეეძლოთ რაიმე გავლენა მოეხდინათ მკითხველზე, მხოლოდ იმიტომ, რომ ემსახურებოდნენ რაღაც იდეას, რომელიც მათში თავსდებოდა როგორც არსებული და განსახიერებული იყო როგორც შინაარსი და ფორმა. უკიდურესი მისტიკური ხასიათის ლექსებიც ორგანიულად გამოხატავდნენ საზოგადოების ერთი ნაწილის იდეებსა და შეხედულებებს. რატომ უნდა გავაკეთო ან შევქმნა ისეთი საგანი, რომელიც ჩემს საზოგადოებრივ-პიროვნულ შემეცნებას ინტერესის გარეშე დაუტოვებია? რატომ უნდა ვფიქრობდე მზის, მთვარისა და ვარსკვლავების შესახებ, თუ არ მსურს ჩავსწვდე სამყაროს საიდუმლოებას, განვიცადო ან ავხსნა მისი რაობა? რატომ უნდა ჩავიდე ზღვის ფსკერზე, თუ არ მსურს გავიგო რას წარმოადგენს ეს დაძირული ქვეყანა? რატომ უნდა გავფრინდე სტრატოსფეროში, თუ არ მსურს შევისწავლო და გავიგო ატმოსფეროს იქით მდებარე ქვეყნის თვისებები? რატომ უნდა გაქცეულიყო პლინიუსი ჯერ კიდევ გაუცივებელი ვულკანისაკენ, რომელმაც ის იმსხვერპლა, თუ არ სურდა დაეკმაყოფილებია მეცნიერული ინტერესი — შეესწავლა და განემარტა ვულკანის მოქმედება? ან ინკვიზიტორებით გარშემორტყმულ მიშელ სერვეს რატომ უნდა გაეწირა თავი, თუ არ სურდა ჭეშმარიტება დაემტკიცებია თავდადებული გმირობით? თუ მე რაიმეს ვქმნი, ბუნებრივია, ჩემი ნება, რომელიც დეტერმინებულია გარშემორტყმული სინამდვილით, მაძლევს იმპულსს, რომ მსურს მისი შექმნა; თუ მე განვიზრახე რაიმე დავწერო, არ შეიძლება ეს განზრახვა მოკლებული იყოს მიზეზს, მაგრამ თუ მე ლექსი დავწერე, სადაც აუცილებლად გამოვლინებულია ჩემი იდეა, ურომლისოდ მე მას არ დავწერდი და მეტყვიან: „ეს ლექსი არ არის იდეის გამოვლენა“,—მე ირონიულად უნდა გავიცინო, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლებელია ჩემი იდეა ვერ გამოვხატე ისე, როგორც საჭირო იყო. ხელოვნების პირვანდელი სახეც, მისი სინკრეტული ხასიათი, იდეების სამსახურით გამოირჩეოდა და მას ეს ძირითადი სპეციფიკა-იდეის სამსახური, ამ შემთხვევაში შრომისა და ცხოვრებისათვის ხელშეწყობა, არასოდეს არ დაუკარგავს. უიდეო ხელოვნება არსად და არასოდეს არ არსებულა, ის ვერც იარსებებდა, ვინაიდან საარსებოდ აღარაფერი დარჩებოდა. არცერთი მწერალი კალამს არ მოკიდებდა ხელს, რაიმე იდეა რომ არ ჰქონებოდა. ხელოვნების იდეალისტური თეორია, რომელიც ქებათა ქებას უძღვნიდა „ხელოვნებას-ხელოვნებისათვის“, გარდა იმისა, რომ უაღრესად ყალბი იყო, გამოხატავდა გარკვეული საზოგადოებრივი კლასის იდეას,

ემსახურებოდა მისწრაფებას—მიჩქმალულიყო საქმის არსებითი შინაარსი. მარქსისტულ-ლენინურმა ესთეტიკამ დიდიხანია ცხადჰყო ეს ჭეშმარიტება, ისიც მკაფიოდ გვიჩვენა, რომ მხატვრული შემოქმედება იდეებისა და შეხედულებების სინთეზია, ხოლო იდეები და შეხედულებები შეპირობებულია საზოგადოებრივი კლასის იმ ადგილით, რომელიც მას ისტორიაში უკავია. თუ ასეა, რა საზღვარი შეიძლება არსებობდეს პუბლიცისტიკასა და მხატვრულ შემოქმედებას შორის? თუ ხელოვნება იდეების გამოვლენაა და ემსახურება ცხოვრების შეცვლას, გაუმჯობესებას, ახალის შექმნას, პუბლიცისტიკის მიზანიც ხომ იგივეა? მაშ სადღა ვეძიოთ მათ შორის განსხვავება? პუბლიცისტიკა მხატვრული შემოქმედებისაგან განსხვავდება არა თავისი დანიშნულებით, მიზნითა და შინაარსით, არამედ გამოხატვის, შემეცნებისა და მსჯავრის დადების საშუალებებით. პუბლიცისტიკა ობიექტური რეალობის შემეცნების სილოგისტიკური გზაა, ისე როგორც ფილოსოფია, მაგრამ სილოგისტიკის ადგილითა და ფორმით მისგან განსხვავებული. ის არღვევს მხატვრული სახეების სინთეზს—ხელოვნების ამ პირველ სპეციფიკურ მხარეს—და გზას მიიკვლევს სილოგისტიკით. თუ ხელოვანი სინამდვილეს გადმოგვცემს და მსჯავრმდებელია მხატვრული სახეებით, პუბლიცისტი ასეთივე ფუნქციის შესრულებას სილოგისტიკის გზით აღწევს. შესაძლებელია პუბლიცისტმაც გამოიყენოს მხატვრული სახეები, მაგრამ ეს არ იქნება მისი წამყვანი გზა, ისე როგორც მხატვარი ხშირად მიმართავს სილოგისტიკის არსენალს, მაგრამ ეს მისთვის არ არის არსებითი.

მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის ქართველ მოღვაწეთა შორის ილია ჭავჭავაძე პირველი იყო, რომელმაც ამ თვალსაზრისით შეხედა ხელოვნებას და ეს უკანასკნელი იდეების სპეციფიკურ გამოვლენად მიიჩნია. პუბლიცისტიკისა და მხატვრული შემოქმედების განსხვავებაში მან მსგავსებაც შენიშნა და მთელი მისი მემკვიდრეობა ამ დებულების საუკეთესო ილუსტრაციას წარმოადგენს. ილია ჭავჭავაძე პუბლიცისტიკაში ხშირად მიმართავს ალეგორიებს, შედარებებს, მხატვრულ სახეებსაც, მაგრამ მისი პუბლიცისტური სტატიები განა შეიძლება ჩაითვალოს მხატვრულ ნაწარმოებად? ან კიდევ, პირიქით, კლასიკურ მოთხრობაში — „ოთარაანთ ქვრივი“ ილია ჭავჭავაძე იდეებს ხშირად გადმოგვცემს სილოგისტიკის შიშველი გზით, მაგრამ ეს ნაწარმოები მაინც მხატვრული შემოქმედების არსენალს განეკუთვნება და არა პუბლიცისტურს. მათი ურთიერთშეჭრა არა თუ გამორიცხავს, არამედ განამტკიცებს ორივეს დამოუკიდებელ ბუნებას, ისე როგორც დადებითი და უარყოფითი ელექტროობა წარმოადგენს ერთი მატერიალური არსის ორ განსაზღვრულ სახეს.

როგორია პუბლიცისტიკისა და მხატვრული შემოქმედების გამოვლინების ბუნება? ის, რაც პუბლიცისტიკაში ვლინდება მკაცრი სილოგიზმებით, რომლებიც აშკარად გამოხატავენ იდეას ან წარმოადგენენ იდეის დაუფარავ ცხადყოფას, — ხელოვნებაში შეცვლილია მხატვრული სახეებით, რომლებიც ზოგჯერ ნათლად, ზოგჯერ ბუნდოვნად გამოხატავენ ხელოვანის იდეას. მხატვრული სახე ხშირად გვევლინება როგორც იდეის ბუნდოვანი ცხადყოფა. აქ დიდი განსაცდელი ადგება მკითხველს და კრიტიკოსს, განსაკუთრებით ამ უკანასკნელს, ვინაიდან ის ვეღარ ახერხებს შეუცდომლად ამოიკითხოს მწერლის იდეა და სწორი პასუხი გასცეს ნაწარმოებში გადაწყვეტილ საკითხს. ეს ძალიან კარგად გამოსცადეს თავის თავზე ისეთმა დიდმა კრიტიკოსებმა, რო-

გორიც იყვნენ ბელინსკი და პისარევი. მათ ასევე კარგად ესმოდათ პუბლიცისტიკასა და მხატვრულ შემოქმედებაში იდეების გამოვლინების დიფერენციული ხასიათი. 60-იანი წლების რევოლუციურ-დემოკრატიულ ტრადიციებზე აღზრდილ ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტიკა და მხატვრული შემოქმედება თავის ორგანიულ არსებაში ნათლად ააშკარავებს იდეების ცხადყოფის ფორმათა განსხვავებას. მაგრამ განსხვავებული ფორმები — მხატვრული და პუბლიცისტური გადმოგვცემენ ხშირად ერთსა და იმავე, ხოლო ასევე ხშირად საწინააღმდეგო იდეებს.

ავიღოთ ილია ჭავჭავაძის ფილოსოფიური აზროვნების განვითარების საკითხი. 60-იან წლებში მატერიალიზმით დაინტერესებული ილია ჭავჭავაძე აღიარებს მატერიალისტურ დებულებებს, თუმცა მხატვრულ შემოქმედებაში იხსენიებს ღმერთსაც და ქრისტესაც. მაგრამ ღმერთისა და ქრისტეს სახელის ხსენება რომ მარტოოდენ იდეალისტებისათვის ყოფილიყო დამახასიათებელი, მაშინ ძველი დროის მატერიალისტები, მათ შორის, მეცხრამეტე საუკუნის ის მატერიალისტები, რომლებიც ხშირად იხსენიებდნენ ერთსაც და მეორესაც, იდეალისტებად უნდა გამოგვეცხადებინა. რელიგია სხვა ძალა იყო, სხვა სამოსელი ჰქონდა, ის ჰკვებავდა იდეალიზმს, მაგრამ ბევრი მატერიალისტიც არ შორდებოდა ქრისტიანულ მორალს, თუმცა თავისი მოძღვრებით აშკარად უპირისპირდებოდა დოგმატიზმსა და იდეალიზმს. ეს მომენტი მით უფრო გასათვალისწინებელია ილია ჭავჭავაძის ადრინდელი მსოფლმხედველობის დახასიათების დროს, მით უმეტეს, რომ ჩვენ ვიცით ის დიდი იდეური ჭიდილი, რასაც ახალგაზრდა თერგდალეული განიცდიდა სამწერლო ასპარეზზე გამოსვლამდე და რაც ასე კარგად გადმოგვცა თავის ლექსში — „მარტო მივცურავ ცხოვრების ზღვაში“. პოეტს იმედად არაფერი არა აქვს დარჩენილი საშინელ გრიგალსა და ზღვის ღელვაში, როცა

„ზვირთი ზვირთზედა ჩემკენა სრბიან,
ჯერ ჩემს მცირე ნავს ზედ ასკდებიან,
და ვუპვრეტ რა მე ჩემ ნავის რხევას,
ვუცდი ანუ მის, ანუ ზღვის ძლევას“.

პოეტი თავისთავს ამავე ლექსში „გამოუცდელს“ უწოდებს და ეს სიტყვა სავსებით შეეფერება სინამდვილეს: პოეტი ამ დროს, 1858 წელს, ჯერ კიდევ გამოუცდელი იყო არამარტო პრაქტიკული, არამედ, პირველყოვლისა თეორიული და პოეტური მოღვაწეობისათვის. ის იძიებდა, იკვლევდა, გულსა და გონებას ივარჯიშებდა, როგორც ეს აღნიშნულია „მგზავრის წერილებში“, და რა გასაკვირია, თუ ამ დროს, მატერიალიზმის მიღებასთან ერთად, მის ცნობიერებაში დარჩენილიყო ბავშვობიდანვე ნავარჯიშევი რელიგიური აზრები, ღვთაებისა და ქრისტეს მცნებისადმი მოკრძალება. სამაგიეროდ, მას რომ მატერიალიზმი არ ეცნო ჭეშმარიტ მეცნიერულ მოძღვრებად, რომ არ გამსჭვალულიყო მატერიის ყოვლადობის იდეით, წარმოუდგენელია ბელინსკისა და ჩერნიშევსკის იდეები გაეზიარებინა და სამოციან წლებშივე გამოსულიყო ისეთი წერილებით, როგორიცაა „რამდენიმე სიტყვა“, „პასუხის პასუხი“, განსაკუთრებით „საქართველოს მოამბეზედ“. ცხოვრებასთან ჭიდილში ყალიბდებოდა ილია ჭავჭავაძის მთელი მსოფლმხედველობა, რომელიც სინამდვილის პასიური ჭვრეტიდან თანდათან აქტიურ პოზიციას იკავებდა, რასაც

საუკეთესოდ მოწმობს 1859 წელს დაწერილი ლექსი „გავსწორდეთ ბედო“, რომელშიაც ახალგაზრდა პოეტი ეთხოვება თავის „გამოუცდელობას“, სინანულს გამოსთქვამს, რომ თავის სიცოცხლეში სულ ბედის ნებაზედ უთამაშნია, ამ ბედს მოუკლავს მისი „ბევრი კარგი ნუგეში“, სისხლის ცრემლით დაუწვავს თვალები და გულზედ ატყვია მისი ბრჭყალები. ახლა კი

„გეყო!.. მოვიდა დრო ანგარიშის,
მოდი, გავსწორდეთ, ნუ მემალები,
წარვიდნენ დღენი შენის უფლების,
დროა დავსცვალოთ ჩვენ ადგილები...
შენს დუდუკზედა აქამდის ვხტოდი,
ბევრჯერ და ბევრჯერ შენ მაძრუწუნე,
ეხლა დუდუკი მე მაქვს, აქ მოდი,
მე დავუკრავ და — შენ კი იხტუნე“.

ეს იყო პასიური ჭვრეტიდან გამოფხიზლება, აშკარა ბრძოლის დაწყება ბედთან და მზადყოფნა იმ დიდი მოვალეობის შესრულებისათვის, რაც პოეტმა თავისი ცხოვრების მიზნად დაისახა. მანამდე ის ემზადებოდა საბრძოლველად, იმუშავებდა თავის მრწამსს, რომელიც ფილოსოფიაში მატერიალიზმის აღიარებით გამოიხატა. ადრინდელ ლექსში „სანთელი“ პოეტმა შემთხვევით არ შეადარა ადამიანის სიცოცხლე სანთელს, რომელიც „ხან ჩაქრება და ხან მნათობლადა კვლავ შანდლიდამა წამოიხედავს“... ეგრეა ადამიანის სიცოცხლეც, განუწყვეტელი ბრძოლაა ყოფნისა არყოფნასთან. „აგერ სანთელიც შანდალში ჩაჰქრა...“ რა დარჩა მისგან?. „მწვარი პატრუქი“. ადამიანის სიცოცხლეც ასე ესახება პოეტს:

„ეგრეთაც კაცი ძლიერი ჰქრება,
რა ეწვევა მას სიკვდილი — მტერი;
მშვენიერ არსის მაგიერ გვრჩება
ერთი მუჭა-ღა გამხმარი მტვერი“.

ადამიანის სიკვდილის შემდეგ გვრჩება მისი მტვერი, ისე, როგორც სანთელის დაფერფვლის შემდეგ რჩება „მწვარი პატრუქი“. არ შეიძლებოდა ილია ჭავჭავაძეს რუსული და ევროპული მატერიალიზმის თეორიულ განზოგადოებასთან ერთად უკვე მაშინ არ სცოდნოდა კლასიკური ლიტერატურის აშკარად გამოხატული მატერიალისტური ტენდენცია ან კიდევ შექსპირის ჰამლეტის ფილოსოფიური სენტენცია: „თიხად გარდიქცა კეისარი ყოვლად ძლიერი...“ მაგრამ უკვე ამ დროს ილია ჭავჭავაძეს სავსებით შეგნებული აქვს მოაზროვნე მატერიის განმასხვავებელი ნიშანი უბრალო მტვერისაგან. თუ ერთის მხრივ მას მიცვალებული წარმოდგენილი ჰყავს „სამარეს მტვრადა მდებარედ“, მეორეს მხრივ მოითხოვს შეცნობილ იქნას „სიცოცხლის ფასი“, ადამიანმა გაიგოს, რომ მართალია შექმნილია მტვრისაგან, მაგრამ მარტოოდენ მტვერი კი არ არის, არამედ სრულქმნილია, აქვს „უკვდავი ნიჭი“ სიცოცხლე, რითაც იგი ღმერთს ემსგავსება. მთელი ეს ფილოსოფიური იდეა და ქრისტიანული მორალი გადმოცემულია 1858 წელს დაწერილ ლექსში — „როდემდის“:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„როდემდის უნდა ჩვენ არ ვსცნობდეთ სიცოცხლის ფასსა?
როდემდის არ ვსცემთ ღვთიურს ნიჭსა ღირსსა თაყვანსა?
მის ყოველ წუთსა სიფრთხილითა რატომ არ ვხარჯავთ
და მის აქ ყოფნას ამოებად რისთვისა ვსახავთ?
ძრწოდე, სულელო! ნუთუ ქრისტეს არ სცნობ სიტყვათა,
ნუთუ შენს თავსა მტვრითა შექმნილს ჰხედავ კვლავ მტვრათა,
და შენ სიცოცხლეს, ამ უკვდავ ნიჭს, მტვრის თანამგზავრად?
რომ მარტო მისთვის იგი არ გაქვს, ქრისტემ სთქვა ცხადად...
ნუთუ არ იცი რას გამცნებდა ღმერთი ჯვარცმული,
როს ბრძანა: „ვითა მამა ზეცის, იყავ შენც სრული“.

ადამიანი უნდა ამაღლდეს თავის თავზე, შეიგნოს თავისი დანიშნულება, სრულჰყოს თავისი თავი. ამ სენტენციას, ქრისტიანული მორალიდან გამოყვანილს, ილია ჭავჭავაძის მხატვრულ ქმნილებებში საზოგადოებრივი მნიშვნელობა ეძლეოდა, პერსონიფიცირებული პრობლემა ზოგადდებოდა, რომ მეტი ღირებულების შემცველი ყოფილიყო.

იდეების ერთიანობას მხატვრულსა და პუბლიცისტურ შემოქმედებაში ილია ჭავჭავაძის ბევრი ნაწარმოები გვიჩვენებს. ჩვენ ერთხელ შესაძლებლობა გვქონდა მიგვეთითებია, რომ „ოთარაანთ ქვრივის“ მეხუთე თავი — „დედა შვილობა“ მთლიანად წარმოადგენს ილიას პედაგოგიურ შეხედულებათა მხატვრულ რეზიუმეს. მაგრამ შორს რომ არ წავიდეთ, ჩვენი დებულების ნათელსაყოფად მივმართოთ ისევ მხატვრულ მასალას.

მოთხრობიდან ვიცით, რომ ოთარაანთ ქვრივს ძალიან უყვარდა თავისი შვილი გიორგი, უყვარდა, როგორც ნამდვილ დედას უყვარს თავისი პირმშო. მაგრამ ეს სიყვარული მას არასოდეს გაუმეღავნებია შვილისათვის. „არასოდესო, — ამბობს ილია ოთარაანთ ქვრივზე, — არ გაუჯავრდებოდა, თავის დღეში ავი სიტყვით არ მოიხსენიებდა, თუმცა ხშირად ის ტუქსავდა. შვილი (გიორგი) რომელიც სხვისაგან თავზე ფრინველსაც არ გადიფრენდა და ფეხქვეშ ჭიანჭველასაც არ გაიტარებდა, დედას თავის დღეში სიტყვას არ შეუბრუნებდა, რაც უნდა ძლიერ ეტუქსნა.

მართალია და იმიტომაო, — იტყოდა ხოლმე თავისთავად გიორგი, — ბრალი ჩემია და ტუქსვაც ჩემზე ახიაო“.

ამ პედაგოგიურ კონცეფციაში მეორე მომენტიც საყურადღებოა. გიორგი არამარტო გარეგნულად ამართლებს თავისი დედის მოქმედებას, არამედ, მას გულის სიღრმემდე სწამს და სჯერა, რომ დედა ყოველთვის მართალია მასთან დამოკიდებულებაში, „არც ერთხელ არ ახსოვს გიორგის, რომ დედას უმიზეზოდ, ტყუილ-უბრალოდ დაეტუქსოს. რაკი ჩაუფიქრდებოდა ტუქსვას, მაშინვე გულს დააჯერებდა, რომ დედა მართალია. მართალს შეჩვეულს თვითონაც მართალი უყვარდა. ღალატი და არმობა ისე გააწიწმატებდა ხოლმე, რომ საჭირო იყო, ხელსაც გამოიღებდა, ჩხუბს ასტეხდა, თავს გამოიდებდა. ჯერ კიდევ ბალღობაში მოუხდა ამისთანა საქმე და აქამდე ახსოვდა. ახსოვდა იმიტომ, რომ დედისაგან ტუქსვას, შერისხვას მოელოდა, და ამის მაგიერ დედამ კი მოუწონა“...

ტუქსვას მოელოდა, დედამ კი მოუწონა! ამ პატარა მაგალითით ილია მხატვრულად გვიჩვენებს, თუ რატომ უყურებდა შვილი დედას ასე მორიდებით, რატომ მიაჩნდა გიორგის თავისი დედა მართალ ადამიანად, რატომ დაეაქაცდა იგი ისეთივე შეუპოვარ, პირდაპირ და მორალურად სპეტაკ ადა-

მიანად, როგორიც თვით ოთარაანთ ქვრივი იყო. აქ წამოყენებულია აღსაზრდელზე მორალური ზემოქმედების, აღზრდის ეთიური პრინციპი. როგორ გამოსთქვა ილია ჭავჭავაძემ ეს პედაგოგიური იდეა წერილებში? ავიღოთ „პედაგოგიის საფუძვლები“, რომელიც დაწერილია 1888 წელს. ამ წერილში აღზრდის სწორედ ეს პრინციპია წამოყენებული, განვითარებული და გამოცხადებულია სკოლის ძირითად სახელმძღვანელოდ. ილია ჭავჭავაძე იზიარებს ცნობილი იტალიელი ჰუმანისტი პედაგოგების ვიტორინო დე-ფელტრეს, ვერჟერიოსა და ვეჯიოს პედაგოგიურ შეხედულებებს. ძირითადი პრინციპი, რომელიც იტალიის განმანათლებელმა პედაგოგებმა წამოაყენეს, აღსაზრდელზე მორალურ ზემოქმედებასა და მის ეთიურ სრულყოფაში მდგომარეობდა. ოთარაანთ ქვრივის დამოკიდებულებაშიც თავისი შვილისადმი სწორედ ამ პრინციპს ვხედავთ. ახლა ავიღოთ საკითხის მეორე მხარე. გიორგი დატუქსვას მოელის მშობლისაგან, მაგრამ სრულიად სხვა პასუხს მიიღებს, ვინაიდან სამართლიანობა გამოიჩინა—დაიცვა პატარა ბავშვი უფრო მოზრდილის გალახვისაგან. დედამ მოუწონა საქციელი თავის შვილს. ამან ძალიან იმოქმედა გიორგიზე. მის თვალში კიდევ უფრო ამაღლდა დედის მართალი სახე, კიდევ უფრო გამოჩნდა მისი სპეტაკი მშობლიური გრძნობა.

ეს მორალური პრინციპი პათეთიტიკურად გაშალა ილია ჭავჭავაძემ თავის პედაგოგიურ სტატიაში, როდესაც მოიყვანა შემდეგი მაგალითი: ახალგაზრდა კაცმა დაამთავრა უნივერსიტეტი. დანიშნეს მასწავლებლად. აი ის პირველად შევიდა მოწაფეებთან და დაფაზე წერს გაკვეთილს. ამ დროს რომელიღაც მოწაფემ დაღეჭილი ქაღალდი მოახვედრა დაფას. მასწავლებელი ექსცენტრიულად არ გამოეხმაურა მოწაფის ამ უდიერ საქციელს. როცა მასწავლებელმა დაამთავრა დაფაზე წერა, შემდეგი სიტყვებით მიმართა მოწაფეებს: „მე არ მინდა ვიცოდე, მე არ მინდა შევიტყო ვინ არის დამნაშავე ამ ჩემს გაუპატიურებაში. რა საჭიროა!.. დეე განიკითხოს ის იმისმავე სინიდისმა. მე მით უფრო ვერ გამიგია ჩემის გამაუპატიურებელის საქციელი, რომ მან ჯერ არ იცის, როგორი ოსტატი ვარ და როგორი კაცი.. სამწუხაროა, რომ ჩემი პირველი გამოსვლა საპედაგოგიო სარბიელზე ამისთანა ამბით დაიწყო. ხელმეორედ მოგახსენებთ, რომ მე არ მინდა შევიტყო ვინ არის ამ უკადრისის ცელქობის მომქმედი. დამნაშავის სახელი რომ შევიტყო, — ვინ იცის, მეც კაცი ვარ, — იქნება გულში მისი ჯავრი ჩავიყოლიო და ჯავრმა ცოტათ თუ ბევრად იმაზე გული ამაყრევინოს“. მასწავლებლის ამ სიტყვების შემდეგ მოწაფეებში ჩოჩქოლი ატყდა. ერთი მოწაფე ადგა და თავისი ამხანაგების სახელით მასწავლებელს მიმართა: „ყველა ჩემი ამხანაგები გთხოვენ გვაპატიოთ ეგ მეტად ცუდი საქციელი ერთი ჩვენგანისა“. ამის შემდეგ მასწავლებელი ყველა მოწაფისათვის საყვარელი შეიქნა.

ეს მაგალითი ტიპიურია. „ერთი ასეთი ჭკვიანური, გულთბილი საქციელი ოსტატისა, უფრო ძლიერ მოქმედობს ბავშვის გაადამიანებაზე, ვიდრე სამისა და ოთხი წლის ზეპირება გრამატიკისა“.[1] განმანათლებელი პედაგოგების მსგავსად, ილია ჭავჭავაძის პეადგოგიურ შეხედულებებში ძირითადი ადგილი უკავია მორალური და ეთიური ზემოქმედების პრინციპს. ვიტორინო დეფელტრეს, ვერჟერიოს და ვეჯიოს მსგავსად ილია აღიარებს პლატონის შეხედულებას, რომ თავისუფალი არსება თავისუფლად უნდა იზრდებოდეს.

[1] იხ. ილია ჭავჭავაძე, „ნაწერების სრული კრებული“, ტ. VIII, გვ. 321.

გასული საუკუნის 90-იანი წლების სკოლას ილია ჭავჭავაძე იმას უსაყვედურებს, რომ მან პრაქტიკული საქმიანობიდან განდევნა ბავშვის აღზრდის მორალური და ეთიური პრინციპი იმ დროს, როცა უდიდესი ადგილი დაუთმო მეცნიერებათა ცალკე დარგების შესწავლას. მაგრამ რას წარმოადგენს ეს სკოლა, რა მიზანს ისახავს? იმას, რომ „პატარა ბავშვის თავში რაც შესაძლოა, ბევრი ცოდნა დასტიოს, ყმაწვილს ბევრი რამ ასწავლოს მარტო ცოდნისა და სწავლისათვის და არა კაცის გაადამიანებისათვის. ამიტომაც არც კაცადღა ვარგობენ ეხლანდელი ყმაწვილები და არც იმათი სწავლა-ცოდნიდამ გამოდის რამ. ამიტომაც სკოლაში მიღებული სწავლა-ცოდნა მეტი ბარგია იმათთვის და არც კი ენანებთ, რომ ცხოვრების გზაზედ ეს ბარგი დღედადღე ეკარგებათ, როგორც მეტი რამ".[1] სწავლის თვითმიზნური ხასიათი მანკიერებაა, რომელიც ზედმეტ ბარგს აძლევს ადამიანს და ხელს არ უწყობს მის გაადამიანებას. სკოლას, აღმზრდელს უნდა ახსოვდეს, რომ ბავშვს, ჭკუა-გონებასთან ერთად, აქვს გულიც და ეს უკანასკნელი ისევე მოითხოვს წვრთნას, როგორც გონება, ან კიდევ მისი ტანი და აგებულება მოითხოვს ვარჯიშს. ცალმხრივი მოქმედება აღზრდაში, მარტოოდენ გონების ვარჯიში, ხელს არ უწყობს კაცის გაადამიანებას. უსწავლელმა ოთარაანთ ქვრივმა თავისი შვილი ცხოვრების სკოლაში აღზარდა, მორალური კოდექსების ნაცვლად ცხოვრების მორალი მისცა და ადამიანი გამოიყვანა. ასე ორგანიულად ექსოვება ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტური და მხატვრული შემოქმედება ერთმანეთს, ასე ნათლად წარმოდგენა ამ დიდი ადამიანის აზროვნება სილოგიზმებითა და მხატვრული სახეებით.

(დასასრული იქნება)

---

[1] იხ. იქვე, გვ. 324.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თამარ ჯაოშვილი

ივანე თარხნიშვილის წერილები რეპინისადმი

★

შემდინარე წლის აგვისტოში შესრულდა 40 წელი დიდი მეცნიერის, პირველი ქართველი ფიზიოლოგის ივანე თარხნიშვილის გარდაცვალებიდან.

ივანე რამაზის-ძე თარხნიშვილი სამეცნიერო ასპარეზზე გამოვიდა გასული საუკუნის სამოციანი წლების მიწურულში. იგი, როგორც ცნობილია, სახელგანთქმული რუსი მეცნიერის სეჩენოვის ერთ-ერთი უნიჭიერესი მოწაფე იყო. თარხნიშვილის მსოფლმხედველობა ჩამოყალიბდა დიდი რუსი რევოლუციონერი დემოკრატების გერცენის, ჩერნიშევსკის, დობროლიუბოვის ფილოსოფიურ შეხედულებათა საფუძველზე, რამაც გადამწყვეტი გავლენა მოახდინა მთელ მის მეცნიერულ და საზოგადოებრივ მოღვაწეობაზე.

ივანე თარხნიშვილის მრავალრიცხოვანი, ფიზიოლოგიური მეცნიერების განვითარებისათვის მეტად მნიშვნელოვანი ნაშრომი გამსჭვალულია მოვლენათა მატერიალისტური გაგებით. იგი თავის მეცნიერულ მუშაობაში ძირითადად ემყარებოდა ექსპერიმენტს, სწავლობდა ფიზიოლოგიურ მოვლენებს საცდელ ცხოველებზე არა განცალკევებულად, არამედ გარემო პირობებთან უშუალო და მტკიცე კავშირში. თარხნიშვილი სასტიკად ილაშქრებდა ვიტალიზმის ყოველგვარ გამოვლინებათა წინააღმდეგ და უარყოფდა ცოცხალ ბუნებაში რაიმე ზებუნებრივი ძალის არსებობას. თავისთავად ცხადია, რომ ივანე თარხნიშვილი არ ამაღლებულა დიალექტიკურ მატერიალიზმამდე და მის შეგნებულ გამოყენებამდე საკვლეო-სამეცნიერო მუშაობაში.

ბევრ მის მეცნიერულ დასკვნას, კეთილსინდისიერად და თახმიმდევრულად შესრულებულ ნაშრომს ღდემდე არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა. მრავალი დებულება, რაც ივანე თარხნიშვილმა წამოაყენა და დაასაბუთა, მტკიცედ არის შესული მატერიალისტური ფიზიოლოგიური მეცნიერების ოქროს ფონდში.

აღსანიშნავია, რომ ივანე თარხნიშვილი არ ეკუთვნოდა ვიწრო სპეციალობით შემოფარგლულ მეცნიერთა რიცხვს. იგი თავისი დროის მოწინავე, ფართოდ განათლებული ინტელიგენტი იყო და მხურვალედ ეხმაურებოდა ყოველ მნიშვნელოვან მოვლენას, არა მარტო ფიზიოლოგიის და საერთოდ მეცნიერების დარგში, არამედ ხელოვნებაშიაც, განსაკუთრებით მხატვრობასა და მუსიკაში. საგულისხმოა, რომ თარხნიშვილი ერთ-ერთ თავის შრომაში ვრცლად შეეხო ადამიანის ორგანიზმის მუშაობაზე მუსიკის გავლენის საკითხს.

„მუსიკა, — ამბობს იგი, — ახშირებს რა გულის ძგერას და ავიწროებს

რა ჩვენი სხეულის სისხლძარღვებს, ხელს უწყობს სისხლის მიმოქცევის მოვლენებს და, მაშასადამე, მეტად კარგ საშუალებას წარმოადგენს იმ შემთხვევაში, როდესაც საჭიროა სისხლის მიმოქცევის ორგანოების შენელებული ან რაიმე მიზეზით შესუსტებული ფუნქციების გაძლიერება. ამ თვალსაზრისით მუსიკა წარმოადგენს ერთგვარ სასარგებლო ვარჯიშს ჩვენი სისხლძარღვოვანი სისტემისათვის, რომლის წესიერი ფუნქციონირება აუცილებელია სასიცოცხლო მოვლენების მიმდინარეობისათვის როგორც ჩვენს ტვინში, ისე ჩვენი სხეულის ყველა დანარჩენ ორგანოში".

თარხნიშვილს კარგად ჰქონდა შეგნებული თავისი დროის სიდუხჭირე და ესმოდა მეფის უღელ ქვეშ მგმინავი რუსეთის ხალხთა აუტანელი მდგომარეობა. იგი ოცნებობდა ხალხის განათლებაზე, მის სამეურნეო და კულტურულ წინსვლაზე. ამ საქმეში თარხნიშვილს თავისი წვლილიც შეჰქონდა თუნდაც იმით, რომ ის სისტემატურად კითხულობდა მასობრივ საჯარო ლექციებს ფიზიოლოგიის დარგში და ხელს უწყობდა საბუნებისმეტყველო ცოდნის ფართოდ გავრცელებას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თარხნიშვილი იყო შესანიშნავი ლექტორი, რომლის საჯარო გამოსვლებს მსმენელები აღტაცებაში მოჰყავდა.

თარხნიშვილი კრიტიკული თვალით უყურებდა მეფის წესწყობილებას და ოცნებობდა ხალხის თავისუფლებასა და უკეთეს მომავალზე, მაგრამ ის არ იყო რევოლუციონერი და ვერც ხედავდა რევოლუციური გზის აუცილებლობას.

ივანე თარხნიშვილს არ ეღირსა თავის სამშობლოში—საქართველოში მუშაობა. მაშინდელ დროში თბილისში არ იყო ასეთი დიდი მეცნიერისათვის სამუშაო პირობები. ამიტომ საქართველოში ის იშვიათად ჩამოდიოდა და მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება რუსეთში, მაშინდელ პეტერბურგში გაატარა. სამშობლოსაგან ერთგვარი მოწყვეტილობა იყო იმის მიზეზი, რომ თარხნიშვილი თუმცა კი იცნობდა ქართველი ხალხის მოწინავე მოღვაწეებს, მაგრამ მხოლოდ ზოგიერთ მათგანთან იყო ახლო მეგობრულ ურთიერთობაში.

მიუხედავად ამისა, იგი ზრუნავდა თავისი ქვეყნის საჭირბოროტო საკითხებზე და შეძლებისდაგვარად ცდილობდა სამშობლოსათვის გამოსადეგი ყოფილიყო. თარხნიშვილი პირველი მეცნიერი იყო, რომელმაც მაღალ-კვალიფიციური საჯარო ლექციებით ინტერესი აღძრა ჩვენს ინტელიგენციაში ფიზიოლოგიისადმი და საერთოდ ბუნებისმეტყველებისადმი. 1871 წელს თბილისში ჩამოსვლისას მან წაიკითხა რამდენიმე საჯარო ლექცია ფიზიოლოგიის ახალ მიღწევებზე, რომელთაც დიდძალი ხალხი დაესწრო. ამ ლექციებს ფართოდ გამოეხმაურა თბილისის მაშინდელი პრესა.

ყველასათვის ცნობილია თუ რა დიდი სამეურნეო მნიშვნელობა აქვს საქართველოსათვის ევკალიპტის კულტურას. ამხანაგ სტალინის პირადი მითითების განხორციელების საფუძველზე უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში შავი ზღვის სანაპიროებზე ფართოდ გავრცელდა ეს ძვირფასი ხე. ევკალიპტი საუკეთესო საშუალებაა დაჭაობებული ადგილების ამოსაშრობად და, მაშასადამე, მალარიის წინააღმდეგ საბრძოლველად. ამავე დროს იგი სწრაფად იზრდება და იძლევა კარგ მერქანს, რომელიც მაღალხარისხოვან საღმშენებლო მასალას წარმოადგენს.

საგულისხმოა, რომ ი. თარხნიშვილმა პირველმა მიაქცია ყურადღება ევ-

ალიპტის კულტურის გამოყენებას საქართველოსა და ამიერკავკასიაში მალარიის წინააღმდეგ საბრძოლველად და აღძრა საკითხი მისი შემოტანის და გავრცელების შესახებ. კავკასიის სამედიცინო საზოგადოების 1872 წლის 1 სექტემბრის ოქმში შენახულია ვრცელი ჩანაწერი ივანე თარხნიშვილის სტატიის შესახებ ევკალიპტის გამო.

თარხნიშვილს სამედიცინო საზოგადოებაში დაუყენებია მალარიასთან ბრძოლის საკითხი და ეს საქმე დაუსახავს საზოგადოების მუშაობის ძირითად ამოცანად. მაშინდელი უახლესი ლიტერატურიდან თარხნიშვილისათვის ცნობილი ყოფილა ევკალიპტის გავლენა მალარიაზე და იგი აყენებს საკითხს იმაზე, რომ ფართოდ დაინერგოს ეს კულტურა საქართველოში.

„უკანასკნელ დროს, — აღნიშნავს თარხნიშვილი, — ლიტერატურაში გამოქვეყნდა ბევრი ავტორის დიდად საინტერესო დაკვირვებები ხის — ევკალიპტ გლობულუსის კულტურის გავლენის შესახებ ჭაობის ციების მსვლელობაზე ამა თუ იმ ადგილებში...

სასურველი იქნებოდა ამ საკითხის დაწვრილებით შესწავლა კავკასიისათვის და შავი და კასპიის ზღვების სანაპიროებისათვის. კავკასიაში ჭაობიან და ცხელ ადგილებში ევკალიპტ გლობულუსის წარმატებით გაშენების სასარგებლოდ უკვე ლაპარაკობს ის გარემოება, რომ სამხრეთ ევროპის ადგილებში, იმავე განედში, რომელშიაც ჩვენ ვიმყოფებით, ეს ხე წარმატებით შენდება“.

თარხნიშვილის გამოსვლის შემდეგ ბევრმა დრომ განვლო სანამ ევკალიპტის საკითხი ნამდვილად იქნებოდა შესწავლილი და მის გავრცელებას საქართველოში პრაქტიკულად მოჰკიდებდნენ ხელს. მეფის ხელისუფალთ ამ საქმისათვის „არ ეცალათ“ და არც ამის ძალღონე შესწევდათ. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ შესძლო მთლიანად შეეცვალა შავი ზღვის სანაპიროების სახე, ფართოდ დანერგა და განევითარებია ძვირფასი სუბტროპიკული კულტურები, რომელთა შორის სათანადო ადგილი უჭირავს ევკალიპტის კულტურასაც.

ივანე თარხნიშვილი თავისი სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე გამუდმებით ტრიალებდა რუსეთის ინტელიგენციის — საზოგადოებრივ მოღვაწეების, მეცნიერების, მწერლების, მხატვრების — საუკეთესო წარმომადგენელთა წრეში.

ცნობილია, მაგალითად, რომ თარხნიშვილი ახლო მეგობრულ დამოკიდებულებაში იყო ნ. ჩერნიშევსკის ოჯახთან. ამ საკითხს ეხება დიდი რევოლუციონერის და დემოკრატის ნ. ჩერნიშევსკის შვილიშვილი ნ. ჩერნიშევსკაია. მისი სიტყვით თარხნიშვილი ეკუთვნოდა იმ პირთა რიცხვს, რომლებიც „ულრმესი გულითადი მზრუნველობით ეპყრობოდნენ ნ. გ. ჩერნიშევსკის ოჯახს მისი სამოქალაქო სასჯელით დასჯისა და ციმბირში გადასახლების შემდეგ“. ი. რ. თარხნიშვილი იყო „ჩვენი ოჯახის ერთ-ერთი ყველაზე უფრო ახლობელი და გულისხმიერი მეგობარი, რომლისთვისაც წმიდათა წმიდა იყო ნიკოლოზ გაბრიელის-ძე ჩერნიშევსკის ხსოვნა“-ო წერს იგივე ავტორი.

თარხნიშვილი პირადად იცნობდა ა. მ. გორკის, ვლ. სტასოვს, ბეხტერევს, დიდ რუს ფიზიოლოგ პავლოვს, ცნობილ ექიმს ბოტკინს და სხვებს.

განსაკუთრებული გულთბილი დამოკიდებულება ჰქონდა თარხნიშვილს დიდ რუს მხატვარ ი. ე. რეპინთან. ათეული წლების განმავლობაში გრძელდებოდა ამ შესანიშნავი ადამიანების მეგობრობა, რასაც საფუძვლად ედო ერთმანეთისადმი პატივისცემა და რაც მთავარია, სიყვარული ხელოვნებისა და მეცნიერებისადმი, რომელთაც თვი-

თეული მათგანი ემსახურებოდა. რეპინისა და თარხნიშვილის მეგობრობის განმტკიცებას მნიშვნელოვნად უწყობდა ხელს აგრეთვე ის გარემოება, რომ მათი შეხედულებები ხელოვნებისა და მეცნიერების საკითხებში, თუ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოვლენათა შეფასებაში ხშირად ერთმანეთს ემთხვეოდნენ.

რეპინის მეგობრობა ი. რ. თარხნიშვილთან და მის მეუღლე ე. პ. თარხნიშვილ-ანტოკოლსკაიასთან საკმაოდ არის გაშუქებული ლიტერატურაში. ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ი. ე. რეპინის წერილებს ე. პ. ანტოკოლსკაიასა და ივ. თარხნიშვილისადმი, რომლებიც ცალკე წიგნად გამოსცა 1937 წელს გამომცემლობა „ისკუსტვომ". ეს წერილები საინტერესოა, პირველ რიგში, როგორც დიდი მხატვრის ზოგიერთი შეხედულების, მისი ბიოგრაფიის ცალკეული მომენტების დამახასიათებელი დოკუმენტები. ამავე დროს ისინი ნათელს ჰფენდნენ იმ უახლოეს მეგობრულ დამოკიდებულებას, რომელიც წერილების ავტორსა და ადრესატებს შორის არსებობდა. რეპინი უზიარებს თარხნიშვილებს თავის ღრმა გულის ნადებს, ის რაც მას აღელვებს მხატვრობაში, პირად თუ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. რასაკვირველია, ეს იმით აიხსნება, რომ რეპინი დარწმუნებული იყო თარხნიშვილების თანაგრძნობაში, მათს მხარდაჭერაში. და ის ამ შემთხვევაში არ ცდებოდა.

ლენინგრადის სამხატვრო აკადემიის არქივში დაცულია ივანე თარხნიშვილის რამდენიმე წერილი რეპინისადმი, რომლებიც დღემდე გამოქვეყნებული არ ყოფილა. ეს წერილები საყურადღებოა არა მარტო იმით, რომ ასახავენ ამ ორი გამოჩენილი მოღვაწის მეგობრობას, არამედ უმთავრესად იმით, რომ გვიხასიათებენ თარხნიშვილს, როგორც თავისი დროის მოწინავე ადამიანს, თავისი ხალხისა და ქვეყნის გულშემატკივარ შვილს.

თარხნიშვილი და რეპინი ხშირად მართლაც ერთი აზრით, ერთი გრძნობით ეხმაურებიან საჭირბოროტო ამბებს. ამ მხრივ დამახასიათებელია რეპინისა და თარხნიშვილის გამოხმაურება ისეთ დიდ მოვლენაზე, როგორიც იყო რუსეთ-იაპონიის ომი.

1905 წ. 18 მაისს ივ. თარხნიშვილი, აღშფოთებული რუსეთის ესკადრის დაღუპვით ცუსიმასთან, სწერს რეპინს:

„ღმერთო! რა დღეს განიცდის რუსეთი—საშინელი წარმოსადგენია, რომ დაღუპა მთელი ფლოტი... რისთვის, რა მიზნით, ვისი ფანტაზიის წყალობით? ნუ თუ არ შეიძლებოდა ყველაფერი ეს წინასწარ ყოფილიყო გათვალისწინებული?

მრისხანე იქნება მსჯავრი ერისა იმათ მიმართ, ვინც დამნაშავეა ამ საშინელ უბედურებაში".

რეპინის საპასუხო წერილში კი ვკითხულობთ:

„ოჰ რა დრო დაგვიდგა! თვალთ მიბნელდება და დაუსრულებელად გრძელი მეჩვენება დაუსრულებელი, მომქანცველი ღამეები. შავნელი ფიქრები, უსიხარულო განწყობილებები!.. და ვინ არის დამნაშავე ყველა ამაში?! — უვიცობის თვითგანდიდება, რომელსაც სარჩულად უდევს უხეში ჟანდარმის დაპყრობითი მისწრაფებები. ახლა ამ საზიზღარ ბარბაროსს (იგულისხმება ნიკოლოზ II. ო. ჯ.), სამართლიანად განგმირულს შემოქმედის მრისხანე ხელით, თავი მოაქვს დაჩაგრულ უმანკო არსებად: მას საკმაო ერთსულოვნებით არ დაუჭირეს მხარი მის მიერ მოტყუებულმა ყმა მონებმა. რომ ეს არამზადები მეტი ხალისით მიისწრაფოდენ წინ, სასიკვდილოდ მისი ჟანდარმობითი უდიდებულესობის დიდებისათვის, მაშინ ის ახლა ასე განწბილებული არ იქნებოდა. ის ახლა წამოსკუპებული იქნებო-

და მაღალ ტახტრევანზე, მთელს აღ-
მოსავლეთზე და დასავლეთზე!..“

ამ სტრიქონებში მკაფიოდაა გამოთ-
ქმული ჩვენი დიდი სამშობლოს პატ-
რიოტების გულისტკივილი იმის გამო,
რომ მეფის მთავრობის უნიათობის, მი-
სი მჩაგვრელი პოლიტიკის წყალობით
ჩამორჩენილი რუსეთი სრულიად მო-
უმზადებლად იქნა ჩაბმული იაპონიას-
თან ომში, რომელიც მიუხედავად დი-
დი მსხვერპლისა, მარცხით დამთავრ-
და.

თავისთავად ცხადია რუსეთ-იაპო-
ნიის ომის სამარცხვინოდ დამთავრება
პირველყოვლისა მეფის ძირმომპალი
რეჟიმის მარცხი იყო, მაგრამ მას არ
შეეძლო მძიმე ტკივილი არ მიეყენები-
ნა რუსეთის მოტყუებული ხალხისთვი-
საც, არ შეხებოდა მის პატრიოტულ
გრძნობებს. თუ რამდენად მძიმე იყო
ეს დამარცხება რუსეთის ხალხისათვის,
ეს შესანიშნავად გამოხატა დიდმა
სტალინმა თავის სიტყვაში იაპონიაზე
ისტორიული გამარჯვების დღეს.

„...1904 წელს რუსეთ-იაპონიის
ომის პერიოდში, — სთქვა ამხანაგმა
სტალინმა, — რუსეთის ჯარების და-
მარცხებამ მძიმე მოგონებანი დასტოვა
ხალხის შეგნებაში. ეს დამარცხება შავ
ლაქად დააჩნდა ჩვენს ქვეყანას. ჩვენს
ხალხს სწამდა და ის მოელოდა, რომ
დადგებოდა დღე როცა იაპონია დამარ-
ცხდებოდა და ლაქა წარხოცილი იქნე-
ბოდა. ორმოც წელიწადს ველოდით
ჩვენ, ძველი თაობის ადამიანები, ამ
დღეს და აი, ეს დღე დადგა. დღეს იაპ-
ონიამ დამარცხებულად სცნო თავი და
ხელი მოაწერა უსიტყვო კაპიტულა-
ციის აქტს“.

ამრიგად, ჩვენი გამარჯვებული სამ-
შობლოს დღევანდელი ისტორიული ვი-
თარების სინათლეზე კიდევ უფრო მკა-
ფიოდ სჩანს, თუ რა წრფელი გულით
უყვარდათ ორ დიდ მეგობარს—თარ-
ხნიშვილს და რეპინს — თავისი ქვეყა-
ნა და სძულდათ მეფის საზიზღარი რე-
ჟიმი, რომელიც სულს უხუთავდა
ხალხს შინაურ ცხოვრებაში და თავისი
უმგვანო საგარეო პოლიტიკით გამო-
უსწორებელ ზიანს აყენებდა რუსეთის
საერთაშორისო ინტერესებს.

ი. თარხნიშვილის მიერ ი. რეპინისა-
დმი მიწერილ წერილებში ხშირად გა-
მოსჭვივის ის მძიმე განცდები, რომელ-
საც მასში იწვევდა მისი დროის რუსე-
თის მშრომელი ხალხის უაღრესი სი-
ღატაკე და ამ უკანასკნელის განუყ-
რელი თანამგზავრნი—სხვადასხვა და-
ავადებანი.

„რუსული სოფლის ცხოვრების ეს
მხარე, — სწერს თარხნიშვილი რე-
პინს სოფ. ზარეჩიედან, — მეტად
მოქმედებს ჩემს განწყობილებაზე. და
მართლაც თითონ განსაჯეთ: ყველგან
გესმით მხოლოდ ერთი — ავადმყო-
ფობა და შიმშილი, შიმშილი და
ავადმყოფობა. კაცობრიობის ეს ორი
საშინელი მტერი განუყრელად და-
კავშირებული არიან ერთმანეთთან და
მათი კავშირი გამანადგურებლად მო-
ქმედებს მთელი მოსახლეობის ცხოვ-
რებაზე. პირდაპირ გაკვირვებთ, რო-
გორ ხდება ეს, რომ ამგვარ პირობებ-
ში გარშემო მდებარე სოფლებში მა-
ინც გაისმის ხანდახან საღამოობით
რუსული მხიარული სიმღერა — ალ-
ბათ იმისთვის, რომ ჩამოაშოროს ადა-
მიანების ყურადღება იმ ყოველდღი-
ურ ზრუნვას, რომელიც დილიდან სა-
ღამომდე მათ სულს უხუთავს“.

თარხნიშვილს ესმის, რომ ხალხის
გაჭირვებიდან გამოყვანისათვის საკმა-
რისი არ არის ქველმოქმედება, რომ-
ლითაც ბევრი მისი წრის ინტელიგენ-
ტი იხდიდა თავის „საზოგადოებრივ
მოვალეობას“.

„უბედურებაა, ძვირფასო მეგობა-
რო, — წერს იგი იმავე წერილში, —
იმის მოსმენა გამვლელ-გამომვლელ
გლეხებისაგან, რომ მათ არა აქვთ

პური, ფულიც არა აქვთ რომ იყიდონ და ამიტომ ჰყიდიან ყველაფერს ჩალისფასად. რასაკვირველია, როცა ყველაფერ ამას გაიგებ აძლევ მათ სამჯერ და ოთხჯერ მეტ ფასს. და თან ფიქრობ, რა აზრი აქვს ამას, ყველაფერი ეს ხომ პალიატივია, და საკითხს ძირფესვიანად ვერ გადაწყვეტს“.

„არა არს პირადი ბედნიერება საყოველთაო კეთილდღეობის გარეშეო“, სწერს იგი რეპინს მეორე წერილში.

ივანე თარხნიშვილი მწვავედ განიცდის ხალხის უუფლებო მდგომარეობას, არსებული წყობილების მთელ სიდამპლეს, გრძნობს რომ ქვეყნის ჩამორჩენილობის მიზეზი ეს უკანასკნელია, ოცნებობს უკეთეს მომავალზე, მაგრამ იმდენად მძიმე და დაუძლეველი ეჩვენება უსიხარულო სინამდვილე, რომ მას ზოგჯერ შეიპყრობს იჭვი და უიმედობა. ამ მხრივ დამახასიათებელია რეპინისადმი მიწერილი ერთი წერილის შემდეგი სტრიქონები:

„ჩვენი ცხოვრება აქ (ლაპარაკია ერთ-ერთ სოფელზე პოლონეთში, სადაც თარხნიშვილი ზაფხულს ატარებდა, თ. ჯ.) სავსეა იმით რომ ვტკბებით ბუნების ხილამაზით ! და ვეწევით შრომას, რომელიც მაღალ ინტერესს ემსახურება. გვაწუხებს მხოლოდ ჩვენებური მოუწესრიგებლობა, რაშიდაც მალე ყელამდე უნდა ჩავეფლოთ. უკუნი სიბნელე და ძალღონის უქონლობა იმისათვის, რომ ბოლოს გავიდეთ ნათელ ფართო გზაზე, რაც რუსეთს მიიყვანდა კულტურულ მოქალაქეობრიობამდე, — მიხუთავს სულს და იწვევს ყოველგვარი ენერგიის დაცემას. საქმე იქამდე მიდის, რომ იმედიც კი გეკარგება ნახო ცოტად თუ ბევრად ახლო მომავალში ჩვენი განმათავისუფლებელი მოძრაობის რაიმე კეთილი შედეგი“.

ჩვენ ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ რეპინის პოლიტიკური შეხედულებები ეხმაურებოდა მისი კორესპონდენტის აზრებს. თარხნიშვილებისათვის მიწერილ წერილებში დიდი მხატვარი ხშირად გამოსთქვამს თავის სიძულვილს მაშინდელ წყობილებისადმი და განსაკუთრებით თვითმპყრობელობისადმი, რომელიც ხალხის ჩაგვრის მთავარი დასაყრდენი იყო. 1906 წლის ზაფხულზე როცა უკვე ნათელი გახდა რუსეთის პირველი რევოლუციის დამარცხება, რეპინი სწერს თარხნიშვილებს:

„ჩვენ სულ ვკითხულობთ შილდერის ისტორიას პავლე I-სას, ალექსანდრე I-სას. აი სადა ჩანს აშკარად, თუ რა უაზრობაა თვითმპყრობელობა, თუ ველური ადამიანის რა უვიცური, საშიში და საზიზღარი გამოგონებაა იგი... მუდამ ხედავ, თუ როგორ რყვნის ადამიანს... დესპოტიზმი. რა წყევა და ცოდვა აწევს კისერზე ამ ძველ წესწყობილებას“.

ზედმეტად მიგვაჩნია გავაგრძელოთ სიტყვა თარხნიშვილებისა და რეპინის მაშინდელ პოლიტიკურ განწყობილებებზე. მოყვანილი ამონაწერები საკმარისია ამ განწყობილებათა დასახასიათებლად. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ამ ამონაწერებში იცნობა რეპინი, როცა ის თავის შემოქმედების უმაღლეს წერტილზე იდგა და ქმნიდა უკვდავ ტილოებს, რომელშიდაც ასახავდა მშრომელი ხალხის აუტანილ მდგომარეობას და ამავე დროს მასში მთვლემარე განუზომელ პოტენციურ ძალას.

დავუბრუნდეთ ისევ თარხნიშვილის წერილებს. ივანე თარხნიშვილი ამ წერილებში ეხება ბევრ სხვა საკითხსაც, რომლებიც იქცევდნენ მეცნიერის, როგორც პროფესიონალის, ყურადღებას. ასეთი არის, მაგალითად, თარხნიშვილის შენიშვნები საექიმო ეთიკაზე,

ორგანიზმის შეგუებაზე გარემო ბუნებასთან და სხვა.

თარხნიშვილი დიდ მნიშვნელობას აძლევს იმას, თუ როგორ პირობებში უნდა ისვენებდეს ადამიანი, რომ მისი ორგანიზმი ნამდვილად გამაგრდეს. „მე ვამტკიცებ მხოლოდ ერთს,—სწერს ის რეპინს,—რომ არ არის საჭირო ზაფხულში გაინაზო თავი სამხრეთის ქვეყნების სიცხითა და მზით, რადგან ეს აძლიერებს ორგანიზმის მიდრეკილებას გაციებისადმი ჩვენს მკაცრ ჩრდილოეთში დაბრუნების შემდეგ“.

თარხნიშვილს თავისი აზრი აქვს გამოთქმული აგრეთვე ეგრედწოდებულ საექიმო მორალის ერთ-ერთ საკითხზე, რომელიც დღემდე კიდევ სადისკუსიოდ მიაჩნია ზოგიერთ ექიმს. მხედველობაში გვაქვს საკითხი იმის შესახებ, მოვალეა თუ არა ექიმი ზოგჯერ დაუფაროს ავადმყოფს მისი მძიმე მდგომარეობა და პირდაპირ არ გაუმჟღავნოს ავადმყოფობის მოსალოდნელი ცუდი შედეგი. თარხნიშვილი გულისწყრომით აღნიშნავს ერთ-ერთ წერილში, რომ ექიმებმა პირდაპირ უთხრეს მის ნაცნობ ქალს—მძიმე ავადმყოფს — ძნელი ოპერაცია გესაჭიროებათო.

„წარმოიდგინეთ,—ვკითხულობთ ამ წერილში,—ექიმების უტაქტობა: მათ გამოუცხადეს მძიმე ავადმყოფ ქალს, რომ როცა სულ მორჩება მას უნდა გაუკეთდეს მუცლის გაკვეთის ოპერაცია. კარგია არა? როგორ უნდა გამოკითდე, როცა ასეთი მშვენიერი პერსპექტივა მოგელის და ან რა საჭირო იყო, რომ მათ ასე ნაადრევად შეაშფოთეს ავადმყოფი ქალი. აი რა მცოდნენი არიან ადამიანის სულისა!“

დიდი მეცნიერი აქ ეხება ფსიქოტერაპიის კვანძოვან საკითხს, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ექიმი ვალდებულია ფრთხილად მოეპყრას ავადმყოფის სულიერ მდგომარეობას; ამ უკანასკნელს თარხნიშვილი სამართლიანად მნიშვნელოვან როლს აკუთვნებს დაავადების მიმდინარეობაში. საერთოდ უნდა ითქვას, რომ თარხნიშვილი პირველი ქართველი მეცნიერია, რომელმაც განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ორგანიზმზე სულიერი პროცესების გავლენას და ჩვენი დროის მედიცინისათვისაც ამ უაღრესად აქტუალურ პრობლემის შესახებ დიდად საინტერესო შრომები გამოაქვეყნა.

ივანე თარხნიშვილს ახასიათებდა დიდი შრომისმოყვარეობა. იგი ყველაფერზე მაღლა აყენებდა საქმეს. ერთერთ წერილში თარხნიშვილი ეპატიჟება რეპინს თავის აგარაკზე, მაგრამ იქვე დასძენს: „ხოლო თუ სპეციალური საქმიანობის მდგომარეობა საშუალებას არ გაძლევთ ოდნავ მაინც ხანგრძლივად დასტოვოთ პიტერი, მაშინ ლაპარაკიც ზედმეტია—საქმის ინტერესები ყველაფერზე მაღლა დგას და დაივიწყეთ მომაბეზრებელი მიპატიჟებანი, რომლებიც მუშაობას მოგწყვეტთ“.

თარხნიშვილი აფასებდა რეპინს არა მარტო როგორც დიდ მხატვარს არამედ როგორც მწერალსაც. აი რას სწერს იგი რეპინს მისი „მოგონებების“ შესახებ:

„რა დიდ ბედნიერებას გვანიჭებს თქვენი წიგნის კითხვა! ჩემსა და ლენას აღტაცებას საზღვარი არა აქვს. ხოლო ჩემთვის სამოციანელისათვის, რა ძვირფასია მოგონება ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების აყვავების იმ ნათელი წუთის შესახებ. რა მძლავრი მწერალი ხართ თქვენ! ჩემ და სამარცხვინოდ მე ეს აზრადაც არ მომდიოდა ამ უკანასკნელ წუთამდე. ახლა კი ვსთვლი, რომ თქვენი ზნეობრივი მოვალეობაა გაუზიაროთ საზოგადოებას არა მარტო თქვენი ფუნჯის ნაწარმოებნი, არამედ კალმისაც“.

ივ. თარხნიშვილის და რეპინის მიმოწერაში, ცხადია, დიდი ადგილი

აქვს დათმობილი იმ გულთბილი მეგობრული გრძნობის გამოხატვას რომელიც მათ აკავშირებდათ. ორივე მეგობარს დიდ სიამოვნებად მიაჩნდათ ერთმანეთთან შეხვედრა.

„რა სამწუხაროა, რომ მე თქვენ ვერ გნახეთ თქვენი უკანასკნელი ჩამოსვლის დროს, — სწერს თარხნიშვილი რეპინს, — თქვენთან ყოველთვის მაქვს სალაპარაკო და ამასთანავე ისეთი სალაპარაკო, რაც სასარგებლო და სასიამოვნოა“...

„ჩვენ უკვე მივიღეთ თქვენი თანხმობა, როგორც გახსოვთ, — ვკითხულობთ მეორე წერილში, — და იმედი გვაქვს, არაფერი ხელს არ შეუშლის ამ კეთილი განზრახვის შესრულებას (ლაპარაკია რეპინის. სტუმრობაზე თარხნიშვილთან. თ. ჯ.), თორემ როგორღაც უხერხულია, რომ ვერ გხედავთ თქვენ ასე დიდი ხნის განმავლობაში“.

დამახასიათებელია მზრუნველობა, რომელსაც იჩენს ივანე თარხნიშვილი რეპინისადმი ხოლერის ეპიდემიის დროს. იგი სწერს რეპინს: „ყოველდღე რუსულ გაზეთებს მოაქვს ცუდი ამბები ხოლერის ძლევამოსილი მსვლელობის შესახებ ჩვენს დედარუსეთში... მე უეცრად თავში მომივიდა აზრი — ხომ არ გადაწყვიტეთ თქვენ განახორციელოთ თქვენი გეგმა შავ ზღვაზე მოგზაურობისა მხატვრული მიზნებით? ძალიან შევშინდი და მაშინვე ავიღე ხელში კალამი, რომ გაგაფრთხილოთ, თუ ეს უკვე გვიან არ არის, რომ უფრო კეთილ გონიერი იქნებოდა თქვენთვის უარი გეთქვათ ამ მოგზაურობაზე, ამ ხოლერიანი დროის გამო. თუმცა ყველა რკინიგზებზე მიღებულია ყოველგვარი პროფილაქტიური ზომები, მაგრამ ეს ზომები არ წარმოადგენს ხოლერით დაავადებისაგან დაცვის გარანტიას...

ამიტომაც, ჩემი ნება რომ იყოს, თქვენ და ნატალია ბორისის ასულს არ გაგიშვებდით თქვენი მშვენიერი „პენატიდან“, ხოლო ამ წერილზე რომ თანხმობის პასუხი მოგვივიდოდეს, მე და ლენა მეტს აღარ ვიდარდებდით“.

რეპინიც ასევე სიყვარულით ეპყრობოდა თავის მეგობარს. იგი ასრულებს თარხნიშვილის რამდენიმე შესანიშნავ პორტრეტს, რომელსაც ათავსებს გამოფენაზე. რეპინის წერილებში ჩვენ ვხვდებით ამ პორტრეტების შექმნასთან დაკავშირებულ ადგილებს. 1906 წლის ივლისში ის სწერს თარხნიშვილს:

„სულ ვოცნებობ იმაზე, რომ როგორმე წაგართვათ თქვენ ერთი საღამო — მოვისმინო საინტერესო ახალი ამბები მეცნიერების სფეროდან და ამავე დროს გავაკეთო თქვენი მომხიბლავი თავის ჩანახატი ნახშირით“.

ე. პ. ანტოკოლსკაია — თარხნიშვილისადმი რეპინის მიერ მიწერილ ერთ-ერთ წერილში კი ივანე თარხნიშვილის შესახებ ვკითხულობთ:

„მისი ლექცია კუოკალაში — დაუვიწყარი მოვლენაა. ყველა ამ ლექციის შესახებ ლაპარაკობს, ყველა აფასებს მას და ვინც არ დასწრებია— ძლიერ ნანობს, — საუცხოო ლექტორია! კეთილის მყოფელია, პატივი და დიდება მას“...

ასეთია მოკლედ თარხნიშვილის მიერ რეპინისადმი მიწერილი წერილების საერთო ხასიათი. ეს წერილები ძვირფასი დოკუმენტალური მასალაა თარხნიშვილის ბიოგრაფიისათვის. სწორედ ამიტომ შევაჩერეთ მკითხველის ყურადღება მათ მოკლე მიმოხილვაზე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ს. ფიცხელაური

ბალნეოლოგიური კურორტი თბილისში

მრავალ საუკუნეთა სივრცეში იკარგება ლეგენდა გოგირდოვანი წყაროების შესახებ თბილისში, რომელთა სამკურნალო თვისებებმა სახელი გაითქვეს საქართველოს ფარგლებს გარეთ.

ოდესმე უთუოდ დაიწერება ამ შესანიშნავი წყლების ისტორია, რომელიც გადმოსცემს თუ რა დიდის პატივისცემით ეპყრობოდნენ მათ ადამიანები ქალაქ თბილისის დაარსებიდან 1500 წლის მანძილზე. თვით თბილისის წარმოშობასაც კი ლეგენდა უკავშირებს ამ წყაროების არსებობას.

ჩვენ არ მოგვეპოვება თბილისის გოგირდის აბანოების უძველესი დროის აღწერანი და მხოლოდ კანტი-კუნტი, ცალკეული ცნობები, რომლებიც თბილისზე მოგვითხრობენ — იხსენიებენ წყაროებს ჯერ კიდევ მე-10 საუკუნემდე, მაგრამ მე-17 საუკუნიდან დაწყებული, აბანოები მეტი დაკვირვების საგანი ხდებიან და ცნობები მათ შესახებ იღებენ დოკუმენტალურ ხასიათს არა თუ წყლით სარგებლობის, არამედ აბანოების სააღმშენებლო მასალების და თვით ნაგებობათა ხასიათის შესახებაც.

ამ შენობათა ძვირფასი ნაგებობა, რომელსაც არაერთგზის აღნიშნავენ ისტორიკოსები თუ მოგზაურები, სრულიად გასაგებია, თუ გავიხსენებთ, რომ აბანოები ერთგვარ საზოგადოებრივ როლსაც ასრულებდნენ; იგინი ემსახურებოდნენ არა მარტო ჰიგიენურ დანიშნულებას, არამედ შეხვედრისა და სასიამოვნო დროს ტარების ადგილებიც იყვნენ.

ეს აბანოები მშვენიერი დარბაზებით, მარმარილოს აუზებით, კედლებით და იატაკებით, მთელ რიგ დამხმარე სათავსოებით, გარშემორტყმული იყვნენ მშვენიერი ბაღებით, სადაც მოქალაქენი ატარებდნენ მთელ დღეებს.

და რადგანაც აბანოები ქალაქის ცენტრში იყვნენ განლაგებულნი, ისინი განიცდიდნენ მის ბედს და ყოველი ახალი შემოსევის შედეგად ინგრეოდნენ ბარბაროსთა ხელით. ამრიგად მე-18 საუკუნის ბოლოსთვის ამ შესანიშნავ შენობებისაგან მხოლოდ ნანგრევები-ღა შეგვრჩა, რომლებიც ოდნავადაც კი არ მოგვაგონებდნენ მოგზაურების თუ ისტორიკოსების მიერ აღწერილ მშვენიერ ნაგებობებს.

ისტორიკოსი პ. იოსელიანი გვაძლევს ძვირფას ცნობებს აბანოების მოწყობილობის შესახებ 1673 წელს შარდენის მონაცემების მიხედვით, რომელშიაც აღნიშნავს, რომ მეფის ბაღში იდგა აბანო, რომელშიაც გოგირდოვანი წყალი გამოყვანილი იყო საერთო აუზიდან თიხის მილებით, მთავარი ბაზრით და სიონის ქუჩით. აბანოს

იატაკი მთლიანად მარმარილოს ფილებით ყოფილა მოფენილი.

ამრიგად დასტურდება მინერალური წყლის გაყვანის ფაქტი საკმაოდ დიდ მანძილზე და მისი კაპტაჟი წყლის საცავ აუზებში შეგროვებით.

სახელგანთქმული ქართველი ისტორიკოსი და გეოგრაფი ვახუშტი ბაგრატიონი თავის მხრივ ადასტურებს, რომ: „ტფილისს დის ცხელი წყალი, კლდიდამ, არსმით აბანონი ექვსნი და დიდ-შენნი ავაზიანნი. მოდის მომდინარე ცხელი წყალი: აქ თაბორს ყოფილა ციხე, არამედ აწ შემუსვრილი არს“.

ბატონიშვილი თეიმურაზი შემდეგნაირად აღგვიწერს აბანოების უმაგალითო განადგურებას 1795 წელში:

„აღამაჰმადხანი თბილისის აღების შემდეგ წავიდა მეფის მარმარილოს და თლილი ქვით აშენებულ აბანოში, რომელიც მას ფრიად მოეწონა. მას ბევრი ჰქონდა გაგონილი მინერალურ წყაროების შესახებ თბილისში, რის გამოც რამდენჯერმე იბანავა, მაგრამ რადგანაც ვერ განიკურნა, უბრძანა ძირიან-ფესვიანად დაენგრიათ ისინი“.

როგორც ეს, ისე მთელი რიგი სხვა წყაროებიც, უდავოდ ამტკიცებდნენ გოგირდის წყლის გამოყენებას სამკურნალო მიზნითაც.

ა. ს. პუშკინი, რომელმაც თბილისი ინახულა 1829 წ., აღტაცებით სწერს: „მე არსად მინახავს თბილისის აბანოებზე უმშვენიერესი რამ“.

მეცნიერული შესწავლის საგნად გოგირდოვანი წყლები ხდებიან მხოლოდ მე-19 საუკუნიდან, როდესაც ჩატარდა ფრიად თვალსაჩინო სამუშაოები მათი ჰიდროგეოლოგიური და ფიზიკო-ქიმიური თვისებების, გეოლოგიურ თავისებურებათა და სხვ. შესწავლის მიზნით.

აქ განსაკუთრებით აღსანიშნავია აკადემიკოს ჰ. აბიხის კომისიის ნამუშევარი 1866-1868 წ. წ. და აგრეთვე ისიც, რომ ყოველგვარი მეცნიერული გამოკვლევანი სისტემატურ და ბეჯითეს წინააღმდეგობას აწყდებოდნენ წყაროებისა და აბანოების მეპატრონეთა მიერ.

თანდათანობით უფროდაუფრო თვალსაჩინო ხდებოდა, რომ წიაღის და აბანოების ისეთ პრიმიტიულ მდგომარეობაში დატოვება აღარ შეიძლებოდა, როცა საქმე მიდიოდა წყაროების ერთმანეთისთვის წართმევა-მოპარვაზე. რაც შეეხება რაიმე ტექნიკურ გაუმჯობესების შეტანას — ესეც ხომ სრულიად მიუღწეველი ოცნება იყო.

ცნობილი ქართველი პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე ნ. ნიკოლაძე ჯერ კიდევ 1879 წელში აყენებს პროექტს აბანოების რაიონის ხელმარჯვედ შეერთებისათვის ქალაქის ცენტრთან შუა-ბაზრის ქუჩის (დღევანდელი ლესელიძის) გაფართოებით.

როგორც ეს, ისე მეორე მისი წინადადება ბალნეოლოგიური სადგურის შექმნის შესახებ — უარყოფილი იქნა მაშინდელი ქალაქის საბჭოს მიერ, რადგანაც ეს არღვევდა მესაკუთრეთა ინტერესებს.

1907 — 1909 წ. წ. გათვალისწინებული იქნა წყაროების სამკურნალო და საზოგადოებრივი მნიშვნელობა და წამოიჭრა საკითხი სამთო-სანიტარული ზონის დადგენის შესახებ, მაგრამ კერძო მფლობელობის პირობებში სრულიად შეუძლებელი იყო რაიმე თვალსაჩინო შედეგების მიღწევა.

აბიხი აღნიშნავდა, რომ წყაროების მეპატრონე არის რამდენიმე კერძო მესაკუთრე, რაც არავითარ შესაძლებლობას არ იძლევა მათი გაუმჯობესებისა და ტექნიკურად უკეთესად მოწყობისათვისო.

ჩვენ არ გამოვუდგებით აქ სხვადასხვაგვარ წინადადებათა ჩამოთვლას ბალნეოლოგიური სადგურის შექმნის

შესახებ, რომელთაც ადგილი ჰქონდათ ოქტომბრის რევოლუციამდე. ყველა ეს წინადადებები გამომდინარეობდნენ კაპიტალისტ-მესაკუთრეთა ამათუიმ დაჯგუფებათა ინტერესებიდან და არა საზოგადოებრივ კეთილდღეობის თვალსაზრისიდან. ამ პირობებში არც გასაკვირია, რომ საკურორტო ტერიტორიის ფართობი ქანაობდა 5 — 54 ჰექტარამდე და არ მიუღია არავითარი კონკრეტული სახე.

მხოლოდ საქართველოს გასაბჭოების შემდეგ საკითხმა, წყაროების დაცვისა და მათი საკომპლექსო მეცნიერული შესწავლის შესახებ, მიიღო რეალური სახე და თვით იდეა—ბალნეოლოგიური კურორტის შექმნის შესახებ თბილისში—არსებითად, საბჭოური იდეაა.

წიაღისა და ყოველგვარ ბუნებრივ სიმდიდრეთა ბატონ-პატრონად გახდა ხალხი და თბილისში ბალნეოლოგიური კურორტის შექმნის პრობლემა წამოიჭრა მთელი პრინციპული სიგრძესიგანით.

საქართველოს კურორტების რეკონსტრუქციისა და მშენებლობის საკითხი იქცა რეალურ საქმედ. განსაკუთრებით საკ. კ. პ. (ბ) ც. კ. 1931 წ. 31 ოქტომბრის დადგენილების შედეგად, რომელსაც შემდეგში 1932 წ. 17 ოქტომბერს დაერთო ს. ს. რ. კ. ც ა კის დადგენილება ქ. თბილისში ბალნეოლოგიური კურორტის ორგანიზაციის შესახებ.

ამხანაგი ლ. პ. ბერია განუწყვეტლივ თვალს ადევნებდა ჩვენი კურორტების განვითარებას, რომელთაც უდიდესი მნიშვნელობა აქვთ სახალხო მეურნეობის სისტემაში.

1933—1938 წლებში მისი უშუალო ხელმძღვანელობით ჩატარდა დიდი სამუშაოები ძველი ქალაქის რეკონსტრუქციისათვის და მათ შორის გოგირდოვანი წყაროების რაიონისათვისაც.

თბილისი უნდა გახდეს სანიმუშო ქალაქად, საქართველოს ღირსეულ დედაქალაქად და ჩადგეს ს. ს. რ. კ. მოწინავე, საუკეთესო ქალაქთა რიგებშიო", — ამბობდა ლ. პ. ბერია ჯერ კიდევ 1933 წ. საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის და თბილისის საბჭოს პლენუმზე.

მის მითითებათა საფუძველზე 1937 წელს აგებული იქნა მომავალი ბალნეოლოგიური კურორტის პირმშო, კარგად მოწყობილი, დიდი კულტურული აბაზანის შენობა 58 აბაზანით. 1800 კაცის გამტარუნარიანობით დღეში; გაყვანილ იქნა მშვენიერი სანაპირო პროსპექტი; რაიონის საკრძნობი და უძვირფასეს წყაროებით დაფარული ტერიტორია გათავისუფლდა მოძველებულ შენობებისა და ყრუ ქუჩაბანდებისაგან.

როგორც ცნობილია, თერმალური წყაროები განლაგებულია თბილისის უძველეს და ულამაზეს ნაწილში, რომელიც იყო მისი განვითარების და გაფურჩქვნის აკვანი, მაგრამ თუ რამდენად იყო შერყვნილი ქალაქის ამ შესანიშნავი უბნის სახე ქაოსური მშენებლობით, რომელიც აღმოცენდა 1795 წლის ბარბაროსული დანგრევის შედეგად დღეს წარმოსადგენადაც კი ძნელია.

საჭირო გახდა ძველ დანგრეულ და ანტისანიტარულ შენობების გაწმენდა, განსაკუთრებით მტკვრის რაიონში. მდინარე განთავისუფლდა ნაგვისაგან და ამ პირველ წყების სამუშაოთა შედეგადაც კი ქალაქის ამ ნაწილმა სახე იცვალა!

აღნიშნავდა რა თბილისის საბჭოსთვის ქალაქის არქიტექტურული სამხატვრო გაფორმების საკომპლექსო პროექტის უქონლობას, ამხანაგი ლ. პ. ბერია მოითხოვდა ფასადების სამხატვრო გაფორმების გეგმას მთავარ მაგისტრალებზე, ქალაქის მთლიანი დაგეგმარების და მისი ცალკეულ რაიონების

გაფორმების დეტალური პროექტების შედგენას.

თბილისის რეკონსტრუქციის 1934 წლის პროექტში ბალნეოლოგიური კურორტი მოხსენებულია ზოგადად. მას მიჩნეული აქვს 600 ჰექტარამდე ტერიტორია, მაგრამ არ არის მოცემული არც დასაბუთება და არც საგეგმარეგო გადაწყვეტა.

გაცილებით უფრო ზომიერი მიდგომით იყო გაკეთებული კურორტოლოგიის ინსტიტუტის მიერ 1934 წ. შედგენილი წინასწარი სქემა, რომელიც კურორტისათვის გულისხმობდა დაახლოებით 100 ჰექტარ ფართობს. დაწყებული დიდი სამუშაოები მოითხოვენ დამთავრებას და ამ რაიონის ძირითადი რეკონსტრუქციის პრობლემა მწვავედ სდგას მიუხედავად იმისა, შეიქმნება აქ კურორტი თუ არა.

ისტორიულ თვალსაზრისით ყველაზე ძვირფასი ნაწილი შენახული უნდა იქნას, დანარჩენმა კი ადგილი დაუთმოს თანამედროვე მოთხოვნილებას. მხოლოდ ამ პირობებში დაიკავებს ღირსეულ ადგილს ქალაქის ეს რაიონი ჩვენს განახლებულ დედაქალაქში.

ერთ-ერთ უმთავრეს ფაქტორად, რომელზედაც დაფუძნებულია თვით ბალნეოლოგიური კურორტის აგების იდეა — ეს თბილისის გოგირდოვანი სამკურნალო თვისებებით აღჭურვილი წყლებია.

ამ მინერალური წყლების ჰიდროგეოლოგიის შესწავლა არის საფუძველი, რომელზედაც უნდა აშენდეს კურორტი. იგი განგვიმარტავს ძირითად პრობლემებს, რომელთაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვთ არქიტექტორულ საგეგმარეგო თვალსაზრისითაც. ხსენებულ მოსაზრების გამო ჩვენ ძალიან მოკლედ, მაგრამ მაინც უნდა შევეხოთ ამ წყლების ჰიდროგეოლოგიის ძირითად საკითხებს;

1. ჯერ კიდევ 1866—68 წ. წ. უკვე მოხსენებული აკადემიკოსი აბიხი ადგენდა, რომ მთავარი მინერალური წყაროები განლაგებულნი არიან მეიდრო ჯგუფად თაბორის მთის (სეიდაბადი) ჩრდილოეთის კალთის ძირში იქ, სადაც სამთო მასების ყველაზე მნიშვნელოვან გარდატეხებს და გადატრიალებებს ჰქონდათ ადგილი.

მთავარი ნაპრალი მინერალური წყლების გამოსასვლელებით, რომელიც ყოფილ ორბელიანის აბანოსთან გადის, ლეღვთახევის ჩრდილოეთისკენ მოსახვევში — აღნიშნული იყო, როგორც თერმალური სარტყელის ღერძი — 60 მეტრის სიგანით.

წყაროებს აბიხი ჰყოფს ორ კატეგორიად: პირველი კატეგორიის წყაროები გამოდიან პირდაპირ დაშრეებულ ძირითად ნიადაგიდან, აქვთ მაღალი (47°-დე) ტემპერატურა, არა აქვთ გოგირდის სუნი და გემო და არ იმღვრევიან დალექის ან გაწრეწის შედეგად. ატმოსფერული მოვლენები მათზე ხარისხობრივად, თუ რიცხობრივად ძალიან ნაკლებად მოქმედებენ.

მეორე კატეგორიის წყაროებიც გამოდიან იმავე თერმალურ ნაპრალებიდან. მათ ტემპერატურა 25 — 37°C უდრის, აქვთ მკაფიო გოგირდის სუნი და ოდნავი გემოც დაჰყვება, გავრცელებული არიან ფართოდ, სხვადასხვა სიღრმეზე. ბალნეოლოგიურ ღირებულებას წარმოადგენენ მხოლოდ პირველი კატეგორიის წყაროები, რომელთა ტემპერატურა და დებიტი სულ მცირე ცვალებადობას განიცდის.

ყველა წყაროების დღე-ღამის დებიტი 1.600 ათას ლიტრს უდრის.

საინტერესოა აბიხის კომისიის შემდეგი წინადადებები: 1. მინერალური წყლების რაც შეიძლება მეტი ცენტრალიზაცია, 2. წყლის საცავ აუზებში ღამის დებიტის შეგროვება. 3. საბაზანო შენობის გაკეთება ქალაქის საუკეთესო ნაწილში, რის შესაძლებლობას

იძლევა წყაროების გამოდინების სიმაღლე. 4. წყლის თვისებები იძლევიან შესაძლებლობას მისი შემადგენლობის დაუზიანებლად გაყვანისათვის დახურული მილებით საკმაოდ დიდ მანძილზე, ხოლო ტემპერატურის ოდნავ დაცემას არა აქვს დიდი მნიშვნელობა, თუ მხედველობაში მივიღებთ მის მაღალ ტემპერატურას გამოდინების მომენტში.

2. გეოლოგიური კომიტეტის მუშაობაც 1909 — 1911 წ. წ., ე. ი. თითქმის ნახევარი საუკუნის შემდეგ, ძირითადად ადასტურებს აბიხის კომისიის დასკვნებს იმ დამატებით, რომ თერმალური მოქმედების სარტყელი გაფართოვა, ხოლო დღე-ღამის დებიტი კი დაახლოვებით უცვლელი დარჩა.

3. ა/კ ჰიდროგეოლოგიური ტრესტის და კურორტოლოგიის ინსტიტუტის მუშაობა 1931 — 1934 წ. წ. მიმდინარეობდა მცირე და ღრმა ბურღვის ხაზით.

ბურღილებმა № 1 (113 მ. სიღრმე) № 2 (104 მ.) და № 3 (105 მ.) პირველ ხანებში თუმცა დებიტის დიდი მომატება მოგვცეს, მაგრამ მათ დიდი და უარყოფითი გავლენა მოახდინეს თითქმის ყველა ძველ წყაროებზე, რომელთაგან ზოგი სრულიადაც დაშრა. ამისდამიუხედავად მთლიანად დებიტმა საგრძნობლად იმატა და მიაღწია 1.800 ათას ლიტრს დღე-ღამეში.

4. კურორტოლოგიის ინსტიტუტის სამუშაოები 1945 — 1948 წ. წ. ისახავდნენ მიზნად წყაროების სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესებას და წყლის დებიტის მომატებას.

მუშაობა მიმდინარეობდა ღრმა ბურღილებით და მოგვცა დებიტის ფრიად დიდი მომატება, იგი ამჟამად ძველ დებიტთან ერთად აღემატება 3. 200 ათას ლიტრს დღე-ღამეში.

აღსანიშნავია არა მარტო დებიტის თითქმის ერთი ორად გაზრდა, არამედ ისიც, რომ ბურღილმა (№ 6) მოგვცა გოგირდწყალბადიანი წყალი თითქმის 300. ათას ლიტრამდის დღე-ღამეში, თუმცა აქამდე თბილისში ძირითადად ჩვენ გვქონდა მხოლოდ გოგირდოვანი მინერალური წყალი. თერმალური მოქმედების სარტყელი კი, რომლის სიგანეს აბიხი 60 მეტრს, ვარაუდობდა ამჟამად 400 — 500 მეტრს აღწევს, რასაც დაგეგმარების თვალსაზრისით ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს.

ზემოხსენებული ფაქტორები ახლებურად ასაბუთებენ ბალნეოლოგიურ კურორტის ორგანიზაციის იდეას და მის ტერიტორიალურად გაშლას.

ამ დეტალური შესწავლის საფუძველზე ფრიად აქტუალურ ამოცანად ხდება მტკიცე (ბალნეოლოგიური) და სააღმშენებლო-საკურორტო ზონების დადგენა, კურორტის განვითარების ნორმალური პირობების შექმნის თვალსაზრისით.

პირველი, მტკიცე ბალნეოლოგიური ზონა შეიცავს მინარულ წყაროების გამოსასვლელებს მიწის ზედაპირზე.

ყოველგვარი მიწის-ქვეშა წყლები— მტკნარი თუ მინერალური განუწყვეტლივ მეტამორფიზაციას განიცდიან. სამკურნალო წყლების კავშირის გამო ზედაპირის წყლებთან, მათი ჰიდროდინამიური წონასწორობისათვის, წყაროების გამოსასვლელებთან აკრძალულია ნიადაგის წყლების დონის დაწევა. ყოველგვარი მშენებლობა ამ ზონაში სასტიკად რეგლამენტირებულია და მისი საუკეთესო დაცვა იქნება პარკის გაშენება.

მეორე, საკურორტო — სააღმშენებლო ზონის დანიშნულება არის საკურორტო ობიექტებისათვის საუკეთესო პირობების შექმნა, მშენებლობა ამ ზონაში მტკიცე გეგმიანობით უნდა მიმდინარეობდეს. აქ აუცილებელია ინტენსიური საპარკო მშენებლობა მწვა-

ნე ნარგავების აყვანით 80 პროცენტამდე.

მესამე, ფართო ზონა, ანუ სამთო სასანიტარო ზონა, — რომელშიც, ხდება სამკურნალო ფაქტორის ფორმირება— თუმცა მნიშვნელოვანია, მაგრამ ჩვენ მას აქ არ შევეხებით.

კურორტის ტერიტორია სამხრეთ აღმოსავლეთით ისაზღვრება თაბორისის და თელეთის მაღლობებით, ხოლო ჩრდილო დასავლეთით სოლოლაკის ქედით და უკავია ტერასისებური, მდინარე მტკვრისაკენ დაქანებული კალთები. ძველი აბანოების რაიონში, ლეღვთა-ხევის მარჯვენა ნაპირზე, იგი შეიცავს ამფითეატრის ორ დაბლითა ფენას.

ამ სარტყელის ფართობი უდრის 40 — 45 ჰექტარს. მისი რელიეფი წყნარია და არ მოითხოვს ათვისებისათვის დიდ საინჟინრო სამუშაოებს.

პირველსა და უმთავრეს ზრუნვის საგანს აქ წარმოადგენს თერმალური ზონის და მისი ხერხემლის — თერმალური სარტყელის ხელშეუხლებლობა.

აქ აბაზანის შენობებიც შეიძლება აიგოს ყოველგვარი წინასწარი გამოკვლევების შემდეგ და მთელი იმ გამოცდილების გამოყენებით, რომელიც ჩვენ პირველი საააბაზანო შენობის აგების დროს მივიღეთ.

შენობების კონსტრუქციები უნდა ითვალისწინებდნენ თბილისის სეისმიურ პირობებსაც.

მეორე სარტყელი გაშლილია პირველის უკან და ზევით. იგი შეიცავს ბოტანიკური ბაღის სანერგეს და ყოფილ სასაფლაოს, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთით იგი აღწევს მშრალ ღელეს და თაბორისის ციცაბო კალთებს ეკვრის.

სამხრეთ ნაწილში გადასვლა ერთი სარტყელიდან მეორეში ხდება მცირე ქანობიან რბილი მოხაზულობის ფერდობებით, რელიეფი მრავალსახიანია, თითქმის მთლიანად გამოსადეგი მშენებლობისათვის. აქ, დაწყებული რეკონსტრუქციის შედეგად, ჩვენ გვაქვს თავისუფალი ადგილების — საგრძნობი რაოდენობა, რომელთაგან ძველი აბანოების უკანმდებარე ამფითეატრს და ყოფილ სასაფლაოს აქვთ საკმაოდ დიდი ფართობები. საკურორტო მშენებლობა უნდა გაიშალოს პირველ რიგში სწორედ აქ, რადგანაც ყველა სხვა დადებით მხარეებთან ჩვენ აქ საუკეთესო მიკროკლიმატიური პირობებიც გვაქვს.

ამ სარტყელის ცენტრალური და სამხრეთი ნაწილი ცოტად თუ ბევრად მჭიდროდ არის დასახლებული და მისი ათვისება უნდა ხდებოდეს თანდათანობით, კურორტის განვითარებასთან დაკავშირებით.

ამ რაიონში ზოგიერთ ადგილებში საჭირო იქნება ტერიტორიის საინჟინერო მომზადება, რომელიც გამოიხატება საყრდენ კედლების და სანიაღვრო არხების გაკეთებაში, ნიადაგის მოჭრაში ან მოყრაში, ლეღვთა-ხევის ნაპირების გამაგრებაში თუ სხვა სახის სამუშაოებში.

რა ხასიათისანი არიან ის თავისებურებანი, დაგეგმარების სპეციფიციური პირობები, რომლებიც გამომდინარეობენ იმ ფაქტიდან, რომ ბალნეოლოგიური კურორტი ეს დიდი ქალაქის შემადგენელი, ორგანული ნაწილია?

უწინარეს ყოვლისა, აქ უნდა აღვნიშნოთ ის გარემოება, რომ კურორტი განლაგებულია ქალაქის ყველაზედ უძველეს, ისტორიულ ნაწილში.

მრავალ საუკუნეთა განმავლობაში, თითქმის მე-19 საუკუნის პირველნახევრამდე ქალაქის ცენტრი რჩებოდა იმ ძველი ნაწილის ფარგლებში, რომელიც აბანოების რაიონის, შურის-ციხის და მტკვრის ორთავე ნაპირებით ისაზღვრებოდა ხარფუხის და ისანის ჩათვით.

საკურორტო რაიონი მთლიანად ქალაქის საზღვრებშია მოქცეული, ის

ყოველი მხრიდან ქალაქი აკრავს და ეს გარემოება ორთავე მხრისთვის სასარგებლო საქმეა, ქალაქის და კურორტის ინტერესები ავსებენ ურთიერთს და არსად, არც ერთ დარგში ეს ინტერესები არ ეთიშებიან, არც შეიძლება ეწინააღმდეგებოდნენ ერთმანეთს.

მათი კავშირი ინასკვება ათასი ძაფით, და დადგენა ზუსტად მოხაზულ, კურორტის კომპაქტურ ტერიტორიისა იქნებოდა მისი რეალური განხორციელების საწინდარი.

არავითარ ჰიგანტომანიას, ზედმეტ მოთხოვნას ამ მხრივ არ უნდა ჰქონდეს ადგილი, რადგანაც ეს საქმეს მოუტანდა მხოლოდ ზიანს.

კურორტის საპროექტო სიმძლავრე — ეს მთელი რიგი ფაქტორების შედეგია და ლიმიტირებულია რაიონის მოთხოვნილებით, რომელსაც კურორტი ემსახურება, მისი ბალნეოლოგიური რესურსებით და იმ ტერიტორიით, რომელიც შეიძლება კურორტისათვის იყოს განკუთვნილი.

თბილისის პირობებში ძირითად ფაქტორებად უნდა ჩაითვალოს მინერალური წყლის დებიტი და კურორტისათვის საჭირო ტერიტორია, გამოყოფა საკურორტო საალმშენებლო ზონისა, რომელშიც შევა ყველა წყაროს გამოსასვლელები.

ამ ზონის დასაბუთება წარმოადგენს ყველაზე დიდ სირთულეს.

მინერალური წყლების დებიტი:

1866 — 69 წლებში გამოყენებულ წყაროების დღე-ღამის დებიტი უდრიდა 1.250 ათას ლიტრს, ყველა წყაროების კი 1.600 ათას ლიტრს აღწევდა. როგორც დებიტს, ისე ტემპერატურას ჰქონდა სტაბილური ხასიათი, რადგანაც თვიური ცვალებადობა 10% და 1,25°C — ფარგლებში მიმდინარეობდა.

1931 — 1934 წლებში წარმოებულ სამუშაოთა შედეგად დებიტმა მიაღწია 1.800 ათას ლიტრს, რომელიც უცვლელად დარჩა 1945 წლამდე.

1945 — 1948 წლებში [illegible] ბურღვის შედეგად ჩვენ გვაქვს დებიტის მძლავრი მომატება, რომელიც 3 მილიონ ლიტრს აღემატება დღე-ღამეში. თუ თითო სამკურნალო ამბაზანაზე ვიანგარიშებთ 300—350 ლიტრ მინერალურ წყალს, რაც ახალ სააბაზანო შენობის ათი წლის პრაქტიკამ დაადასტურა — ამ შენობის წყლის ხარჯი დღეში გამოიხატება (350. 1800)—600 ათას ლიტრით (58 კაბინა საათში გააატარებს 120 კაცს, 15 საათში კი 1800 ავადმყოფს: სამკურნალო აბაზანის ხანგრძლივობა საშუალოდ — 30 წუთია). ამავე სიმძლავრის მეორე სააბაზანოს მოუნდება კიდევ 600 ათასი ლიტრი, ხოლო ტალახით მკურნალობას (ტალახი კუმისის ტბიდან) გაანგარიშებით დასჭირდება 200 ათასი ლიტრი მინერალური წყალი.

თბილისის მოსახლეობისათვის, რომელიც ძველთაგანვე მიჩვეულია გოგირდოვანი წყლით ბანაობას, უნდა შევინახოთ ძველი აბანოების ყველაზე საუკეთესო ჯგუფი (ყოფ. ორბელიანის, ირაკლის, გარნიზონის და სხვ.), რომელთა დღე-ღამის ხარჯი დაახლოვებით 1 მილიონ ლიტრ წყალს მოითხოვს.

ამრიგად მივიღებთ 2,5 მილიონამდე ლიტრ მინერალური წყლის ხარჯს, ე. ი. არსებულ დებიტზე გაცილებით ნაკლებს.

თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ თბილისის მოსახლეობა მოგვცემს 50 — 60% ავადმყოფს, რომელთაც ბინებით უზრუნველყოფა არ სჭირდებათ, ჩვენ სანატორიუმ-სამკურნალო სასტუმროებით უნდა უზრუნველვყოთ დაახლოვებით 2 — 2,5 ათასი ავადმყოფი. თითო სასანატორო საწოლზე თუ 100-150 — კვად. მეტრ. მიწის ფართობს ვიანგარიშებთ, ეს

40 — 50 ჰექტარს მოგვცემს, რაც დაგეგმარების დროს დაზუსტდება.

ეს მეტისმეტად საორიენტაციო გაანგარიშება მოვიყვანეთ იმ სრულიად დაუსაბუთებელ 600 ჰექტარის საწინააღმდეგოდ, რომელსაც ზოგიერთნი ჯერ კიდევ სრულიად უსაფუძვლოდ ეჭიდებიან.

კურორტის ტერიტორიას ვახასიათებთ მისი რელიეფის, გეოლოგიის, საინჟინრო-საალმშენებლო თავისებურების, საალმშენებლო ფართობების, შენობების ექსპოზიციის და არქიტექტურული — საგეგმარებო თვალსაზრისით.

პირველხარისხოვანი მნიშვნელობისა არის ქალაქის, კურორტის და ბოტანიკური ბაღის ურთი-ერთ დამოკიდებულება, მათი განვითარების ოპტიმალური თვალსაზრისით. კურორტის გარშემო მდებარე სიმაღლეების და ფერდობების გატყევება — გამწვანება, რაც რეალურ საქმედ იქცევა სამგორის უმნიშვნელოვანეს სარწყავი სისტემის მშენებლობის განხორციელების შედეგად.

კურორტის დაგეგმარებას წინ უნდა უძღოდეს მისი პეიზაჟის, რაიონის ბუნების არქიტექტონიკის და არსებულ შენობათა არქიტექტურის შესწავლა.

აქ არსებული ისტორიული ძეგლები, შურის-ციხე და მეტეხი, მეტად მნიშვნელოვანნი არიან და უკარნახებენ მომავალი კურორტის არქიტექტურულ კომპოზიციას.

კურორტის დაგეგმარების ერთ-ერთ სერიოზულ პრობლემად უნდა ჩაითვალოს აქცენტირებული გადასვლის შექმნა ქალაქიდან კურორტში, მისი თავისებური და განსხვავებული ესთეტიკით: კურორტის ტერიტორიაზე შესვლა უნდა იგრძნობოდეს მძაფრად და სათანადო ფსიქოლოგიური განწყობილების შექმნით. ამას ხელს შეუწყობს პერსპექტივა, რომელიც შეიცავს მეტეხსა და შურის-ციხეს და სანაპირო პროსპექტს — თვით კურორტზე.

ეს შეიძლება მიღწეული იქნას ქალაქსა და კურორტს შორის მოედნის შექმნით, რომლის გაბარიტები და ფორმა კარგად უნდა იყოს მოფიქრებული, რადგანაც მისი აღქმა მოხდება ჩვეულებრივის გარდა აგრეთვე აქსონომეტრიულად, გარშემო განლაგებულ მთელ რიგ მაღალ წერტილებიდან.

სანაპიროსა და მოედნის ცალკე ადგილებში უნდა გაკეთდეს გასასვლელები მდინარე მტკვრისაკენ — კიბეების თუ პანდუსების, მოაჯირების და კოლონადების სახით, რომელთაც შეუძლიათ მძლავრი არქიტექტურული ეფექტის შექმნა.

ადგილის მთიანი, ყათაროვანი ხასიათი მოითხოვს კურორტის ტერიტორიის რთულ რელიეფთან შეხამებას.

კურორტი გადაწყვეტილი უნდა იქნას, როგორც მთლიანი არქიტექტურული კომპოზიცია, მეტეხისა და შურის-ციხის ჩართვით, რომლებიც აქტიურად ჩაებმიან კურორტის ანსამბლში. გათვალისწინებული უნდა იქნას ხედვის დიდი მოცულობა, შორეულ პერსპექტივების აღქმის შესაძლებლობა, კურორტის სილუეტის სიმძაფრე.

მეტეხი — ქართული ხუროთმოძღვრების ძველი ტრადიციის მიხედვით, შესანიშნავად არის შეხამებული გარემოსთან.

მისი ახალი გაშენება პასუხსაგები არქიტექტურული ამოცანა არის.

ზომიერების სულ მცირე დარღვევასაც კი შეუძლია გაუსწორებელი ზიანი მიაყენოს ამ მნიშვნელოვან ობიექტს.

მტკვრის მარცხენა ციცაბო კლდიან ნაპირს შეუძლია ფრიად მხატვრული ელფერი შეუქმნას კურორტის ნაგებობებს, თუ იგი განთავისუფლებულ იქნა დრომოჭმულ, ქაოსურად განლაგებულ შენობებისაგან. ეს მაღალი, მტკვრის მარცხენა ნაპირი, რომლიდანაც მთელი

გალმა მხარე თითქოს ხელის გულზე ჰოსჩანს, მისი დამამშვენებელი გახდება კეთილმოწყობის, დეკორატიული გამწვანების და არქიტექტურულად გაფორმების შემდეგ.

შურის-ციხე კურორტის ძირითადი დომინანტია, სოლოლაკის ქედზე დღეს ნანგრევებს-ღა წარმოადგენს ეს ოდესღაც ამაყი და გულზვიადი ციხე. ალაგ-ალაგ, უფრო კი მომავალი კურორტის მხრით იგი შედარებით უკეთ არის შენახული. საინტერესოა კოშკების სახიანი წყობა აგურით და რიყის ქვით. ამ ციხის ფერდობებზე დადგმული სახლები მეტეხისა და კურორტის მხრით თავისებურია და წარმოადგენს ძველი თბილისის საინტერესო მონარჩენს. ძველი შენობებისაგან განთავისუფლებული ფართობები უნდა გამწვანდეს და აქა-იქ ჩაიდგას მცირე არქიტექტურული ფორმების ობიექტები, შეხამებული ციხის და მთის არქიტექტორულ სახესთან. კურორტის სილუეტში მისი შენობათა წამყვანი სიმაღლეები ხაზს უნდა უსვამდნენ და აძლიერებდნენ შურის-ციხის სილუეტურ აღნაგობას.

რელიეფი იძლევა აქ თავისებურ საკომპოზიციო შესაძლებლობას, რომელიც გამოყენებული უნდა იქნას რაც შეიძლება მეტის ეფექტურობით — ხედების თანდათანობითი გახსნით, ან სხვა ხერხით.

რამდენადაც თაბორის მთა თავდება ჰორიზონტალური, ნაკლებად მეტყველი ხაზით, დომინანტის, წამყვანი სიმაღლის როლი უდავოდ შურის-ციხეს ეკუთვნის, რომელიც არქიტექტურულად აქცენტირებულ მეტეხთან და მაღალტანიან ახალ შენობებთან ერთად შეჰქმნიან კურორტის ახალ სილუეტს, შეფარდებულს ამ რაიონის და მთელი ქალაქის რელიეფურ აღნაგობასთან. კურორტის მთლიან ანსამბლში გათვალისწინებული უნდა იქნას ფრიად თავისებური არსებული განაშენიანობა. შენობების და ქუჩების არქიტექტურაში თვალსაჩინო როლს თამაშობენ ხის აივნები, სვეტებით ან თაღებით თავისუფლად გადმოკიდებულნი კონსოლებზე, რიკულებიანი მოაჯირებით, კიბეები, მწვანით შემოსილ გადასასვლელში და სხვა.

საქართველოს კლიმატიურ პირობებში აივნები გარდა ესთეტიური მომენტისა ასრულებენ აგრეთვე უტილიტარულ როლსაც და ეს ტრადიცია კარგად უნდა იქნას გამოყენებული კურორტების არქიტექტურაშიც.

ადგილობრივი სააღმშენებლო მასალები ფერების უმდიდრესი შერჩევით (ბოლნისის ტუფი, კირქვები, სადახლოს მარმარილო, კრამიტი და სხვ.) ხელს უწყობენ არქიტექტორს სრულყოფილ ნაწარმოებების შექმნაში და ბუნების დაკავშირებაში საკურორტო ობიექტებთან.

თვალსაჩინო საგეგმარებო მომენტს წარმოადგენს კურორტის გაშენების სპეციფიურობა, თავისუფალი და მხატვრული, რასაც ჰქმნიან ცალკე, განმარტოებულად დადგმული, ყოველის მხრიდან დასანახი ობიექტები.

ფასადების მოცულობითი გამომეტყველება კურორტის პირობებში განსაკუთრებულ სიმძაფრეს იღებს, რადგანაც შენობებს აქ რამდენიმე ფასადი აქვს და მათი ხედვითი ზემოქმედება ბევრად უფრო ინტენსიურია, ვიდრე ქალაქის რიგითი, მწკრივად განლაგებულ, ერთფასადიან შენობებისაგან.

ზემოაღნიშნულის გარდა საგეგმარებო მნიშვნელობა აქვთ აგრეთვე: ქალაქის ტექნიკურ მოწყობილობათა გამოყენებას (წყალსადენი, კანალიზაცია, ენერგომომარაგება და სხვ.), მშენებლობის სისწრაფეს და სიიაფეს (რაც თავის მხრივ გამოწვეულია ყოველგვარი სატრანსპორტო მოწყობი-

ლობით), თავისუფალ სააღმშენებლო ფართობებს და ა. შ.

ამ წერილში არ შეეხებივართ მთელ რიგ საკითხებს, თუნდაც ისეთ პირველხარისხოვანს, როგორც მაგალითად, ქუჩების ქსელს კურორტზე, სატრანზიტო გზას, ქალაქის ბოტანიკური ბაღისა და კურორტის გამიჯვნას, კურორტის პროფილს, კლიმატურ თავისებურებას, დაგეგმარების ძირითად პრინციპებს და სხვა.

ყველა ჩამოთვლილი ძირითადი საკითხი მოითხოვს გაშუქებას და გადაჭრას — კურორტის დაგეგმარების გამო ქალაქის რთულ პირობებში და ეს სავალდებულო გახდება იმ შემთხვევაში, თუ დადებითად გადაწყდება ბალნეოლოგიური კურორტის არსებობა თბილისის სამკურნალო წყლების საფუძველზე.

სამგორის სარწყავი სისტემის განხორციელება ჰქმნის ახალ პირობებს ბალნეოლოგიური კურორტის განხორციელებისათვის თბილისში.

ამხანაგი კ. ნ. ჩარკვიანი თავის გამოსვლაში თბილისის პარტორგანიზაციის აქტივის კრებაზე 1948 წ. 15 აპრილს აღნიშნავდა:

„სამგორის სარწყავი სისტემის მშენებლობა ახალ ხუთწლიან გეგმაში შეტანილია ამხანაგი სტალინის პირადი მითითებით. სამგორის საექსპლოატაციოდ გადაცემით ჩვენ შესაძლებლობა გვეძლევა აყვავებულ ბაღებად, ვენახებად, ბოსტნებად და ბამბის მაღალმოსავლიან პლანტაციებად გადავაქციოთ 37 ათას ჰექტარზე მეტი ამჟამად ცარიელი მიწა, რომელიც უშუალოდ ქალაქ თბილისს აკრავს.

15 კვადრატული კილომეტრის ზედაპირის მქონე დიდი წყალსაცავი, რომელიც მლაშე ტბების აოზში იქმნება გარდა იმისა, რომ დაამშვენებს ქალაქს, შესაძლებლობას მოგვცემს აგრეთვე ტყით დავფაროთ მახათის მთის ფერდობები, ღრმაღელე, ავლაბრისა და ნავთლუღის რაიონი. სამგორის სისტემა მოგვცემს არა მარტო სარწყავ წყალს, არამედ ელექტროენერგიასაც. სისტემის მაგისტრალურ არხზე და ზემო წყალსაცავის კაშხალთან აგებული იქნება ოთხი ელექტროსადგური 36 ათასი კილოვატის საერთო სიმძლავრისა“.

ამხანაგ ჩარკვიანის ეს მნიშვნელოვანი სიტყვები ლაპარაკობენ მშვენიერ მომავალზე, რომელიც აქვს თბილისს მთლიანად და, მაშასადამე, ბალნეოლოგიურ კურორტსაც.

სტალინური ხუთწლედების მანძილზე გასაოცრად გამოიცვალა ჩვენი ქვეყნის სახე. საქართველო სწრაფად ვითარდება, როგორც მსხვილი ინდუსტრიული ქვეყანა.

შიგ თბილისში დიდი ყურადღება ექცევა მის გამწვანებას. ვაკეში შენდება დიდი სარაიონო პარკი 120 ჰექტარის ფართობით. იქმნება, ამრიგად, ახალი წინასწარი პირობები ბალნეოლოგიური კურორტის ორგანიზაციისათვის თბილისში, განსაკუთრებით სამგორის სარწყავი სისტემის განხორციელების შედეგად, რაზედაც ჯერ კიდევ გუშინ ოცნებაც კი არ შეიძლებოდა.

ჩაყრილია მტკიცე საძირკველი ბალნეოლოგიური კურორტის შექმნისათვის, რომელსაც ასეთი ძვირფასი შეხამება აქვს მინერალური წყლების და ბუნებრივ მონაცემების სახით. უდავოა, რომ კურორტის დაგეგმარება წინ უნდა უსწრებდეს ცალკეული ობიექტების მშენებლობას, რომლებიც ჩართული უნდა იქნან კურორტის ანსამბლში, მისი არქიტექტურული სახის მთლიანობაში.

კურორტის მომავალი განვითარება და ზრდა ისევე უდავოა, როგორც პროგრესი თვით ქალაქ თბილისისა,

რომლის ორგანულ ნაწილს შეადგენს ბალნეოლოგიური კურორტი.

თვით სახელწოდება „ბალნეოლოგიური კურორტი“ დღესდღეობით პირობითია, რადგანაც კურორტი თანამედროვე საბჭოური გაგებით თბილისში ჯერ არ არსებობს და ერთერთი ობიექტის — ახალი აბაზანის შენობა კურორტს არა ჰქმნის. მაგრამ, მეორე მხრით, თანამედროვე ეტაპზეც კი ეს აღარ არის მხოლოდ ქალაქის აბანოს რაიონი, რადგანაც აქ, მოგვეპოვება მომავალი კურორტის აშკარა ელემენტები.

რამდენ ხანს გასტანს ეს გარდამავალი პერიოდი, ვიდრე ქალაქის ფარგლებში კეთილმოწყობილ თანამედროვე კურორტს მივაღწევთ — ძნელი სათქმელია, მაგრამ ჩვენ, სტალინური ხუთწლედების თანამედროვეებს და მონაწილეებს, არ გვაქვს არავითარი საბუთი ვიფიქროთ, რომ ეს პერიოდი ხანგრძლივი იქნება და ყოველგვარი წინასწარი რეალური პირობებით აღჭურვილი ბალნეოლოგიური კურორტი თბილისში განხორციელდება ჩვენი ქვეყნის მშრომელთა საკეთილდღეოდ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შალვა ალხაზიშვილი

ვიბრძოლოთ თარგმნის მაღალი ხარისხისათვის

★

გაზეთი „ლიტერატურა და ხელოვნებაში“ გამოქვეყნდა კ. ჭიჭინაძის წერილი „უმართებულო კრიტიკა“, რომელიც ჟურნალ „მნათობში“ „რუსული პოეზიის ანთოლოგიის“ შესახებ დაბეჭდილ ჩემი წერილის პასუხს წარმოადგენს. ცხადია, ყოველგვარი გამოძახილი ამათუიმ რეცენზიაზე ან წერილზე მისასალმებელია, თუ ეს გამოძახილი პრინციპულ სიმაღლეზე დგას. მაგრამ, სამწუხაროდ ეს ასე არ მოხდა.

საჟურნალო სტატიაში, რასაკვირველია, ვერ შევსძლებდი ამ ვეებერთელა ანთოლოგიის გარჩევას, ეს მე წინდაწინ გათვალისწინებული მქონდა, ამიტომ შეგნებულად შევზღუდე ანთოლოგიის გარჩევის ფარგლები და უმთავრესი ყურადღება სრულიად სამართლიანად მივაქციე მეცხრამეტე საუკუნის რუსული კლასიკური პოეზიის ისეთ უდიდესი წარმომადგენლებს, როგორიც არიან მსოფლიო სახელის მქონე პოეტები: ა. პუშკინი, მ. ლერმონტოვი, ნ. ნეკრასოვი, ფ. ტიუტჩევი, და სხვ. დავისახე რა ეს მთავარ ამოცანად, არ გავყევი ანთოლოგიაში დაცულ ქრონოლოგიურ წესს და „მასალის განხილვა პირდაპირ პუშკინიდან“ დავიწყე. რა არის ამაში ცუდი და რატომ ეჩვენება ეს კ. ჭიჭინაძეს „უცნაურ მოვლენად“?

საერთოდ კ. ჭიჭინაძეს ერთი ცუდი ზნე სჭირს: იგი ძალიან დიდი წარმოდგენისაა თავის თავზე, ამიტომ ამ შემთხვევაშიაც მას რატომღაც ჰგონია, ვითომ პუშკინიდან, „თითქმის წიგნის შუაგულიდან“, იმიტომ ვიწყებ მასალის გარჩევას და „გვერდს ვუვლი სხვა ავტორებს“, რომ „პირველი იერიში მასზე მიმეტანა“. აქ ორ რამეში სცდება კ. ჭიჭინაძე: პირველი — „ანთოლოგიაში“ თარგმანებს 765 გვერდი უჭირავთ, პუშკინი კი მხოლოდ 120 გვერდიდან იწყება. განა ეს „წიგნის შუაგულშია“? მეორე — კ. ჭიჭინაძის თარგმანები ანთოლოგიაში პუშკინიდან არ იწყება. ამ წიგნში მოთავსებულია მისი თარგმანები გ. დერჟავინიდან, ი. კრილოვიდან, ა. გრიბოედოვიდან და პ. ვიაზემსკიდან, ასე რომ თუ მე კ. ჭიჭინაძეზე „პირველი იერიშის მიტანა“ მქონდა განზრახული რაღა მაინც და მაინც პუშკინიდან დავიწყებდი, როდესაც მანამდე კ. ჭიჭინაძეს ათიოდე ლექსის თარგმანი აქვს ამ ანთოლოგიაში მოთავსებული.

ამ რიგად „გვერდს ვუვლი სხვა ავტორებს“ არა იმიტომ, რომ „პირველი იერიში“ კ. ჭიჭინაძეზე მიმეტანა, არამედ მე, როგორც კრიტიკოსს, პუშკინი მაინტერესებდა და არა კ. ჭიჭინაძე. მაგრამ, „პირველი იერიში“ მაინც კ. ჭიჭინაძეს მოხვდა. რატომ? ამის მიზეზი — თვითონ კ. ჭიჭინაძეა. ჯერ ერთი, ნუ დავივიწყებთ, რომ კ. ჭიჭინაძე ანთოლოგიაში არა მარტო მთარგმნელია, არამედ ანთოლოგიის ერთერთი რედაქტორიც, ამიტომ კ. ჭიჭინაძე პასუხს აგებს არა მარტო თავის თარგმანებზე, არამედ საერთოდ მთელს ანთოლოგიაზეც. კ. ჭიჭინაძე „აღშფოთებულია“ იმის გამო, რომ მეორე რედაქტორს, ს. ჩიქოვანს, მხოლოდ გაკვრით ვახსენებ. მაგრამ, ეს სავსებით გასაგებია, რადგან ს. ჩიქოვანის მხოლოდ ორი თარგმანია ანთოლოგიაში მოთავსებული, მაშინ როდესაც თარგმანების უმეტესობა კ. ჭიჭინაძეს ეკუთვნის, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში მას ხელთ ჰქონდა უფრო უკეთესი სხვისი თარგმანები, ვიდრე თავისი. გასაოცარია, მაგრამ ფაქტია: სათანადოდ შემოწმებულია, რომ კ. ჭიჭინაძეს თითქმის 5000-ამდე სტრიქონი აქვს თარგმნილი, რაც მთელი ანთოლოგიის მეოთხედს შეადგენს, დანარჩენი 15.000 სტრიქონი კი 38 მთარგმნელზეა განაწილებული! აქედან, გასაგებია, რომელი რუსი პოეტის გარჩევაც არ უნდა დაიწყოთ, ყველგან თითქმის კ. ჭიჭინაძის თარგმანი შეგეჩეხებათ. მოდი და ამის შემდეგ ნუ ილაპარაკებ მასზე, როგორც ამბობენ „кому много дается, с того и много спросится“. მაშ, რად უკვირს

კ. ჭიჭინაძეს რომ მისი 50 თარგმანი კრიტიკის „პირველი იერიშის“ ობიექტად შეიქმნა?

ჩემს კრიტიკულ წერილში ანთოლოგიის შესახებ, საკმარისად ბევრი კონკრეტული მაგალითი მოვიყვანე კ. ჭიჭინაძის არასწორი, დედნისაგან დაშორებული და ზოგან აზრის დამმახინჯებელი თარგმანებისა; სამწუხაროდ კ. ჭიჭინაძის წერილი სრულიად მოკლებულია თვითკრიტიკას. იგი მედიდურად გაიძახის „ᲧᲕᲔᲚᲐ შენიშვნიდან ჩემს მიმართ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲔᲠᲗᲘ წარმოადგენს დედნის ნამდვილ დამახინჯებასო“ და აქვე აღიარებს, რომ პუშკინის „წინასწარმეტყველის“ глаголом жги сердца людей ვერ გაიგო ისე, როგორც საჭირო იყო, (კ. ჭიჭინაძეს აქვს „და ᲐᲛᲝᲨᲐᲜᲗᲔ კაცთა გულები“), მაგრამ ამავე ლექსში „Вижды и внемли“-ს გამოტოვება განა აგრეთვე პუშკინის აზრის უგულებელყოფა და დამახინჯება არ არის? ამ რიგად, კ. ჭიჭინაძე მხოლოდ ამ ერთ შენიშვნას ღებულობს და რადგან ის მთელ თავის წერილში მხოლოდ პუშკინის ორი პატარა ლექსის შესახებ მეკამათება, ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ დანარჩენში იგი სთვლის თავისთავს მართლად. ამ ორი ლექსის („დავასამარე სურვილი ყველა“ და „ᲯᲘᲚᲓᲝ ამაო“) ჭიჭინაძისებურ განხილვას ჩვენ ქვემოთ შევეხებით, ახლა კი გვინდა მოვაგონოთ მას დანარჩენ შეცდომებზედაც. ეს მით უფრო საჭიროა, რომ იმ მკითხველს, რომელსაც „მნათობში“ დაბეჭდილი ჩემი წერილი წაკითხული არა აქვს, ისეთი შთაბეჭდილება არ დარჩეს, ვითომ მე მართლაც „უმართებულო კრიტიკის“ დამწერი ვიყო.

კ. ჭიჭინაძე რომ თვითკრიტიკით ყოფილიყო გამსჭვალული, მაშინ აღიარებდა, რომ ზოგი თარგმანი ხალტურულად აქვს შესრულებული. მაგალითისათვის ავიღოთ ა. ბლოკის „სკვითებში“ ქვემოთ მოყვანილი ადგილების თარგმანი: „თეთრი ძმების ხორცს რომ ააგებს შამფურზე მწვადად“ ან „და ბრგე ქარხნებით ნაკვამლი კჰოლნი?“ კ. ჭიჭინაძე მისაყვედურებს, რომ მე „ასოებსაც კი გამოვიდებივარ (მაგალითად „Ჰ“-ს ბლოკის „სკვითებში“) და თუ „Ჰ“-ს შესახებ გული მოსდის, რატომ „ბრგე ქარხნების“ შესახებ არაფერს ამბობს. განა ასე უნდა ითარგმნოს ა. ბლოკის „И Кёльна дымные громады“? ნუ თუ კ. ჭიჭინაძეს ჰგონია, რომ აქ „ქარხნებზე“ არის ლაპარაკი? ან ვის გაუგონია ბრგე ქარხანა ან ბრგე სახლი? როგორი ქართულია ეს? ან სად გაგონილა „შამფურზე მწვადად აგება“ ბლოკის „И мясо белых братьев жарить“-ის მაგიერ? განა ყველაფერი რაც შეიწვება, უსათუოდ ქართველურად „შამფურზე უნდა აიგოს“? ნუ თუ ამასაც არ სცნობს კ. ჭიჭინაძე დედნის უხეშ დამახინჯებად? ავიღოთ სხვა მაგალითიც: ფ. ტიუტჩევის ლექსი „ალპები“. კ. ჭიჭინაძეს თავი მოაქვს რუსული ენის კარგ მცოდნედ, მაგრამ მას ვერ გაუგია რუსული სიტყვების „обаянны“-სა (სიტყვისაგან „обаяние“ და არა „об“ятые“) და „разят“-ის (სიტყვისაგან „разить-поразить“ და არა „მკვეთრობენ“) მნიშვნელობა. ამის შემდეგ კ. ჭიჭინაძე „უცოდველი პაპის“ პოზას ღებულობს და გაიძახის... „რეცენზენტი გადაგებულია „დამახინჯებული ადგილების“ ძებნას ჩემს თარგმანებშიო“. ან იქნებ იგი ამ „დამახინჯებულ ადგილებს“ იმ „შემოქმედებით მომენტად“ სთვლის, რომლის გარეშეც კ. ჭიჭინაძეს შეუძლებლად მიაჩნია „რიგიანი თარგმანის შესრულება პოეზიაში“?

არაფერს ამბობს კ. ჭიჭინაძე ა. პუშკინის პოემის „ბახჩისარაის შადრევნის“ თარგმანის შესახებ, მაგრამ სწორედ ეს თარგმანი წარმოადგენს კ. ჭიჭინაძის დამახინჯებათა „ᲞᲔᲠᲡ“.

ჩემს წერილში ვწერდი, რომ „კ. ჭიჭინაძე ზოგჯერ რითმებისათვის უმატებს არა საჭირო სიტყვებს, რითაც ხშირად მახინჯდება აზრი-მეთქი“ (გვ. 153). ეს არა მარტო „ბახჩისარაის შადრევნის“ თარგმანს ახასიათებს, არამედ კ. ჭიჭინაძის ზოგიერთ სხვა თარგმანებსაც. რითმის გულისათვის „მთვარისა — სამარისა“ კ. ჭიჭინაძე მაგალ. პუშკინის ლექსში „Не пой красавица“ ქართულ სიმღერას „სამარის ხმას“ უწოდებს, თარგმანს კი ასე იწყებს:

„არა, ლამაზო, ნუ გამაგონებ
ქართულ სიმღერას ესოდენ მწარეს“...

პუშკინს არაფერი ამდაგვარი არ უხსენებია და ქართველი მთარგმნელი კი ასეთ შეურაცხყოფას აყენებს ქართულ სიმღერას. არის თუ არა ეს აზრის დამახინჯება რითმისათვის? არის! შემდეგ რითმისათვის „ფართო — მარტო“ კ. ჭიჭინაძემ მ. ლერმონტოვის „დემონში“ კავკასიონის ვიწრო ხეობაში ფართო სივრცეს ხედავს ან იქვე რითმისათვის „წვიმას— იმას“ თამარი „ღვრის დიდი ხანი ცრემლების წვიმას“, მაშინ როდესაც დედანშია „вздыхает и томится“.

ჩემს წერილში მოვითხოვდი „აზრისა და შინაარსის პოეზიასთან შეთანხმებას“ (გვ. 149). რა თქმა უნდა, ეს ადვილი საქმე როდია, ამისათვის საჭიროა მთარგმნელმა დიდი სიძნელეები გადალახოს და საკმარისი დრო დახარჯოს, ხოლო სტრიქონების რიცხვით გატაცება, და ამისაგან გამომდინარე აჩქარება ზია-

ნის მეტს არაფერს მოუტანს ჩვენს თარგმნით ლიტერატურას.

ახლა შევეხოთ იმ ორი ლექსის თარგმანს, რომელთა გარჩევას კ. ჭიჭინაძე თავის წერილში ასეთ დიდ ადგილს უთმობს, ლექსი „я пережил свои желанья“ პუშკინს დაწერილი აქვს 1821 წელს, ესე იგი როცა 22 წლის ჭაბუკი იყო. ვისაც პუშკინის შემოქმედების განვითარების ცოტა რამ მაინც გაეგება, იმან უნდა იცოდეს, რომ ეს ლექსი პუშკინის ეგრეთწოდებულ „ჭაბუკური ლირიკის“ რიცხვს ეკუთვნის, როდესაც ლიცეიდან გამოსულმა პუშკინმა ჯერ კიდევ თავისი საკუთარი პოეტური ხმა ვერ მოსძებნა და „ჩაილდ-ჰაროლდის მოსასხამი“ ვერ მოიცილა. ამიტომ პირდაპირ სასაცილოა, როდესაც კ. ჭიჭინაძე იმისათვის, რომ დაიცვას თავისი უხეირო თარგმანი, „გულს გამოფიტულს, დაწრეტილს ნელა“, პუშკინისტიკაში ახალი აღმოჩენებით გვაბედნიერებს. თურმე, ნუ იტყვით, 22 წლის ახალგაზრდა პუშკინის გული „გაიცალა მძიმე წლების მანძილზე წვეთ-წვეთად, ნელ-ნელა“. კ. ჭიჭინაძემ ან არ იცის, ან დაავიწყდა, რომ ეს ლექსი პოემა „კავკასიის ტყვე“-ში მთავარი მოქმედი პირის სიტყვების ნაწილს წარმოადგენდა და მხოლოდ შემდეგ პუშკინმა ცალკე „ელეგიად“ გამოყო იგი.

გადავიდეთ პუშკინის მეორე ლექსზე „Дар напрасный, дар случайный“, რომლის თარგმანს ასეთის გულმოდგინეობით იცავს მთარგმნელი. საკვირველია, თავის წერილის დასაწყისში კ. ჭიჭინაძე გააფთრებით იცავდა „დედნისაგან ისეთ გადახვევას, რომელიც რითმიანი ლექსის თარგმანში დასაშვებია ყოველთვისო“, აქ კი ბავშვივით გახარებული აცხადებს, რომ „ამ სტროფის ორი პირველი სტრიქონი... გადმოთარგმნილია ზუსტად. განსაკუთრებით ზედგამოჭრილია თარგმანის პირველი სტრიქონიო“. აკი სიზუსტის და ადექვატურობის წინააღმდეგ ილაშქრებს იგი? მაგრამ, ამას თავი დავანებოთ. „ბედისწერის დასკვნა წყევითი“ — ნუთუ ასეთი საშინელი კანცელარული ოქმის სტილით სწერდა ოდესმე პუშკინი თავის ლექსებს? კ. ჭიჭინაძე კი დაუსაბუთებლად გაიძახის რომ სწორედ ასეთი „დაწყევლილი ბედისწერა“ აქვსო მხედველობაში პუშკინს! შემდეგ, არავის არასდროს არ უფიქრია, რომ სიტყვა „Казнь“ თავის პირდაპირი მნიშვნელობით აქვს ნახმარი პუშკინს. მაგრამ, „მუდმივი წვა“ აქ არავითარ შემთხვევაში არ გამოდგება, რადგან ეს ხომ ნამდვილი პოეტის შემოქმედებითი თვისებაა, გაიხსენეთ თუნდაც აკაკი წერეთლის შესანიშნავი თქმა „რაც არ იწვის, არ ანათებს“, — ეს ხომ პოეტსა და ხელოვანზე არის ნათქვამი! კ. ჭიჭინაძე რომ არ აჩქარებულიყო და იმდენი ეფიქრნა სათანადო ექვივალენტის გამოძებნისათვის, როგორც ამას მან თავის წერილის დაწერის დროს შემთხვევით მიაგნო („დაუსრულებელი ტანჯვა“), ასეთ შეცდომას არ ჩაიდენდა. უფრო უარესია „გული გამოშრა, მდუმარებს ენა“. ეს რომ რუსულად გადავთარგმნოთ იქნება „сердце высохло, молчат уста“, რაც პუშკინის აზრის აშკარა დამახინჯებას წარმოადგენს. პოეტის გული დაცარიელებულია გრძნობებისაგან („сердце пусто“), მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მისი გული გამოშრა, თუ ასეა მაშინ მისი გული უთუოდ მკვდარი უნდა იყოს; შემდეგ — გონება შეიძლება მოცლილი ან უმოქმედო იყოს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ამის გამო ენაც მდუმარებდეს. პირიქით, მოცლილი გონების მქონე ადამიანი ხშირად უფრო ენაჭარტალაა და ყბედი, და პუშკინს რომ მოესმინა მისი ლექსის ასეთი ჭიჭინაძისებური კომენტარი, მისი ენა უთუოდ არ იქნებოდა მდუმარე. შემდეგ: მართალია „არარაობიდან გამოიხმო რაღაც მტრულმა ძალამ“ პოეტი, მაგრამ აქ არავითარი იდეალისტური კომენტარი არ გამოდგება: კ. ჭიჭინაძე თხზავს ვითომ „ამ სტროფში პოეტი ლაპარაკობს იმ პუშკინის შესახებ, რომელიც მისი აზრით (უფრო კი ჭიჭინაძის აზრით) პუშკინის დაბადებამდე არსებობდაო!“ აი ნამდვილი იდეალისტური ჩმახვა! „Ничтожество“ — აქ იგულისხმება პოეტის ის მდგომარეობა („არარაობა“), როდესაც იგი ჯერ კიდევ არ განსხვავდებოდა სხვა ადამიანებისაგან, ბედისწერამ პოეტი არარაობიდან იხმო, მისი გული ვნებით აავსო, გონება კი ეშვით ააღელვა. ასეთია ლექსის აზრი! და სადაც დაეშვებაა, სადაც სკეპსისია, იქ რა უნდა „მძინარე აზრს“? აი რაში ვედავებით კ. ჭიჭინაძეს, რომელიც წარბშეუხრელად აცხადებს, რომ „ამ თარგმანში საკმაოდ ბევრი სიძნელეა დაძლეულიო“. თუ რა „სიძნელეა“ აქ დაძლეული მკითხველი აშკარად ხედავს. და რა გასაკვირია, თუ ჩვენ გრ. ორბელიანის თარგმანი ვახსენეთ. ჩვენი დიდებული წინაპარი დიდის პასუხისმგებლობით ეპყრობოდა ყოველ თავის ნამუშევარს, იგი გრძნობდა, რომ მისი თარგმანი არ იყო ადექვატური და ამიტომ დაარქვა მას „მიბაძვა პუშკინისა“, კ. ჭიჭინაძე კი გაუმართლებლად ვარჯიშობს პუშკინის ლექსზე და თავმომწონედ აცხადებს, რომ ეს „პუშკინის ლექსის ნამდვილი თარგმანიაო“! ჩვენი კლასიკოსებისაგან მაინც ვისწავლოთ თავმდაბლობა და ბოკრძალება!..

რაც შეეხება პუშკინის ცნობილ ლექსს „19 ოქტომბერი“, რომლის თარგმანის დროს კ. ჭიჭინაძემ მთელი მეჩვიდმეტე სტროფი გამოტოვა, მე სრულებითაც არ მაინტერესებდა ის, ქება შეასხა აქ პუშკინმა ალექსანდრე პირველს, თუ აგინა იგი. საქმე იმაშია, რომ, რაც არ უნდა ყოფილიყო ამ სტროფში, მისი თარგმნა აუცილებელი იყო. კ. ჭიჭინაძე „საკუთარი პოეზიის სიმაღლიდან“ აკრიტიკებს პუშკინს, თურმე ნუ იტყვით პუშკინის ლექსში მან რაღაც „ნაძალადევი აღფრთოვანება“ აღმოაჩინა და ამიტომ იგი არა სთვლის ამ რვა სტრიქონს მხატვრულად გამართულ სტრიქონებად.

კ. ჭიჭინაძე გულუბრყვილოდ გაიძახის, რომ 1928 წელს გამოცემულ პუშკინის ნაწარმოებთა კრებულში „ხსენებული სტროფი არ არის შეტანილიო“. რა ბავშვური თავის მართლებაა! 1948 წელს კ. ჭიჭინაძე სარგებლობს 1928 წლის ყოფილ ფორმალისტ ტომაშევსკის გამოცემულ კრებულით! იგი უგულებელყოფს ისეთ მნიშვნელოვან ეტაპს საბჭოთა პუშკინისტიკაში, როგორც იყო 1937 წლის საყოველთაო სახალხო იუბილე, იგი უგულებელყოფს ჯერ კიდევ იუბილემდე 1931 წ. და 1934 წ. გამოცემულ პუშკინის კრებულებს, რომლის რედაქტორები იყვნენ ლუნაჩარსკი, შჩეგოლევი, საკულინი, ციავლოვსკი და სხვები და უდავო ავტორიტეტად ტომაშევსკის ძველი გამოცემა მოჰყავს და რა გასაკვირია, თუ კ. ჭიჭინაძეც თავხედურად მოითხოვს: „ჩემის ღრმა რწმენით, რუს რედაქტორებს, (აქ კ. ჭიჭინაძე ალბათ ჩემს მიერ ზემოთდასახელებულ ლუნაჩარსკის, ციავლოვსკის და სხვ. გულისხმობს!) ეს სტროფი უნდა მოეთავსებიათ მხოლოდ სქოლიოში“. ეს ხომ ტომაშევსკის დრომოჭმული შეხედულებების გატარებაა საბჭოთა ქართულ ლიტერატურაში, რომელსაც თვითონ ტომაშევსკიც კი უარყოფს ახლა! საერთოდ კ. ჭიჭინაძე რატომღაც ძველ საბჭოთა გამოცემებით სარგებლობს, 1928 წლის პუშკინით და 1929 წლის ლერმონტოვით. მახ ავიწყდება, თუ რა დიდი ნაბიჯები გადადგა საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეობამ რუსეთში დიდი კლასიკოსების რედაქტირება — კომენტირების მხრივ, კ. ჭიჭინაძე უიმედოდ ჩამორჩა ლიტერატურათმცოდნეობის ახლანდელ ეტაპს და დრომოჭმულ ფორმალისტურ გამოცემებით იკვებება. რა ვუყოთ, რომ 1928 წლის გამოცემაც საბჭოთა გამოცემაა, მაგრამ ანალოგიას თუ მივმართავთ, განა ახლა აკადემიკოსს ტ. ლისენკოს ცნობილ გამოსვლის შემდეგ შეიძლება შმალგაუზენის ბიოლოგიის კურსის საბჭოთა გამოცემით სარგებლობა? იგივეა ლიტერატურაში და ეს უნდა იცოდეს კ. ჭიჭინაძემ, თუ არ სურს ჩამორჩეს ცხოვრებას.

დასასრულ: ჟურნალ „მნათობმა“ 1948 წლის მანძილზე სხვადასხვა თარგმანების რამდენიმე გარჩევა მოათავსა თავის ფურცლებზე. „მნათობის“ რედაქცია, როგორც ამას იგი წინა ნომერში აცხადებდა, შემდეგშიც განაგრძობს ამ საქმეს. მე მგონია, ეს გარემოება უნდა ახარებდეს მთარგმნელებს, რადგან აქამდის მათი ნამუშევარის კრიტიკული გარჩევა იშვიათ მოვლენას წარმოადგენდა. ქართული ლიტერატურის ამ ერთერთ საპასუხისმგებლო დარგს მეტი ყურადღება უნდა მიექცეს. ამიტომ საჭიროა ვიბრძოლოდ თარგმანის მაღალი ხარისხისათვის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ახალი წიგნები

✻ საქართველოს სახელგამი სცემს კონსტანტინე გამსახურდიას თხზულებათა კრებულს.

1948 წელს გამოქვეყნდა I ტომი, მასში მოთავსებულია რომანი „მთვარის მოტაცება". წიგნს დართული აქვს რედაქტორის — ს. ჭილაიას წინასიტყვაობა და ავტორის პორტრეტი, ქეთევან მაღალაშვილის მიერ შესრულებული. წიგნი გაფორმებულია მხატვარ ლ. გრიგოლიას მიერ, შეიცავს 657 გვერდს და ღირს 35 მანეთი. ამავე წელს გამოვიდა მეორე ტომი. რედაქტორია დ. ბენაშვილი, გაფორმებულია ლ. გრიგოლიას მიერ. ამ ტომში მოთავსებულია რომანები: „დიდოსტატის მარჯვენა" და „დავით აღმაშენებელის" I კარი. ტომი შეიცავს 795 გვერდს, ღირს 35 მანეთი. წარმოებაშია „დავით აღმაშენებელის" მეორე კარი.

✻ „სახელგამმა" გამოსცა ცნობილი ქართველი დრამატურგის სანდრო შანშიაშვილის პიესების კრებული. ეს კრებული, რომელშიც დაბეჭდილია პიესები „უგვირგვინო მეფენი", „არსენა", „კრწანისის გმირები" და „ხევისბერი გოჩა", ნათელ წარმოდგენას იძლევა სანდრო შანშიაშვილის დრამატურგიულ შემოქმედებაზე. კრებულის რედაქტორია გ. ნატროშვილი.

✻ „პოეტის ბიბლიოთეკის" სერიაში, რომლის გამოცემას „საბჭოთა მწერალი" მიმდინარე წელს შეუდგა, გამოვიდა სანდრო შანშიაშვილის რჩეული ლექსები. როგორც ეს წიგნი, ისე „პოეტის ბიბლიოთეკის" სხვა წიგნებიც, სუფთად და ლამაზად არის გაფორმებული, მხოლოდ უნდა შევნიშნოთ, რომ ამ წიგნების შრიფტი მასობრივი მკითხველისათვის შეუფერებელია.

✻ ჩვენმა ბავშვებმა კარგი საჩუქარი მიიღეს. „საბლიტგამმა" გამოსცა იოსებ გრიშაშვილის საბავშვო ლექსების სრული კრებული. ამ კრებულში მოთავსებულია ყველა ის შესანიშნავი ლექსი, როგორც სკოლამდელი ასაკისათვის, ისე მოზრდილთათვის, რითაც ი. გრიშაშვილმა ბავშვების საყვარელი მწერლის სახელი მოიპოვა. წიგნი დასურათებულია მ. დაუშვილის მიერ. წიგნს დართული აქვს ავტორის სურათი და ზოგიერთი სიტყვის განმარტება.

✻ ალექსანდრე ქუთათელის ცნობილი რომანის „პირისპირის" პირველი და მეორე წიგნი, რომლებიც ასახავენ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის ბრძოლას პირველი მსოფლიო ომის დასასრულიდან 1921 წლამდე, — მიმდინარე წელს გამოსცა „საბჭოთა მწერალმა". ეს მეორე გამოცემა ავტორმა შეავსო და საფუძვლიანად გადაამუშავა. წიგნის რედაქტორია ამხ. დ. ჭოლოკავა.

✻ „საბჭოთა მწერალმა" გამოსცა კარლო კალაძის „ახალი ლექსების წიგნი „ისევ მშობლიურ სოფელში". წიგნში დაბეჭდილია ჰხოლოდ ის ლექსები, რომლებიც ავტორმა დასწერა მიმდინარე წელს, და ასახავენ ჩვენი სოფლის ომისშემდგომი ცხოვრების სურათებს. წიგნში აგრეთვე შეტანილია სპეციალურად მუსიკისათვის დაწერილი ლექსები და ცნობილი რუსი პოეტის პავლე ანტოკოლსკის პოემის „შვილის" თარგმანი. წიგნი გამოცემულია ლამაზად.

✻ აჭარის სახელგამმა გამოსცა კლიმენტი გოგიავას ნარკვევი „ალექსანდრე ყაზბეგი ბათუმში". წიგნში განხილულია დიდი ქართველი მწერლის მოღვაწეობა აჭარაში ყოფნის დროს, და აგრეთვე გამოქვეყნებულია ალ. ყაზბეგის დაუმთავრებელი მოთხრობებისა და პიესის ფრაგმენტები აჭარის შესახებ. წიგნის რედაქტორია ანტ. კელენჯერიძე.

8560 8 856.

29
КНИЖНАЯ ПАЛАТА

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ХУДОЖЕСТВЕННО-
ЛИТЕРАТУРНЫЙ ЖУРНАЛ

„МНАТОБИ"

ГОСИЗДАТ ГРУЗИИ